

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

14 მაისი 2010 №10(114)

ედმუნდ ბერკის ფიქრებიდან  
ზვიად კვარაცხელიას ნოველა  
ჟაკლინ სირაძის იდუმალი სარკე  
მამა არჩილის ლექსები — ლოცვები  
„სინემას“ დაუჯერებელი თავგადასავალი  
დალი ფანჯიკიძის ინგებორგ ბახმანი  
გურამ ოდიშარიას მინიატურები  
ჯონ სტაინბეკის წითური პონი  
ერთი ხოსეს ორი ამბავი



## შირვანისი

<b>კიბო</b>	<b>2</b>	<b>ლიანა ელიავა პიროვილმ „სიცემას“ დაუჯერებელი თავგადასავალი</b>
<b>გამოხმაურება</b>	<b>6</b>	<b>მარინე ტურავა სარპის მეორე მხარეს (ზურაბ სამადაშვილის „ობლები“)</b>
<b>ვესარის-ილიარი</b>	<b>8</b>	<b>სერგი ლომაძე პოეზია გელიერებაა (მოამზადა ნატა ვარადამ)</b>
<b>პროზა</b>	<b>10</b>	<b>გურამ ოდიშარია მინიატურები</b>
	<b>15</b>	<b>ზვიად კვარაცხელია პებოს მინდა ცერილი</b>
<b>აირველი ჟოვაფლიება</b>	<b>18</b>	<b>ნინო სადლობელაშვილი სიტყვის სათავი</b>
<b>არაზოს ერთი ლექსი</b>	<b>18</b>	<b>შოთა ბოსტანაშვილი გაოცემული (მ)ცემებები (არუ მედიუმები და ბარიერები (ბანი/ბარაბანის თანხლებით)</b>
<b>არაზია</b>	<b>19</b>	<b>ჟაკლინ სირაძე იღვმალი სარკე და სხვა ლექსები</b>
<b>ფილოგი</b>	<b>22</b>	<b>ის, რაც თარგმანი შეუძლია (ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება ნინო დოლიძე)</b>
<b>ასეისტია</b>	<b>25</b>	<b>ედმუნდ ბერკი ფიქრებიდან</b>
<b>აუგოსტარი სახალები</b>	<b>28</b>	<b>ლალი ეზუგბაია „შეშმარილებას არც მაჩვარი სტილები, არც მაძაგარები“ (არნოლდ ჩიქობავას ერთი კერძო წერილი)</b>
<b>რეარჩარი</b>	<b>30</b>	<b>თამარ შაიშმელაშვილი მინდა ორდენი განევრიანება</b>
<b>ჩამი აატარა ქალაძე</b>	<b>33</b>	<b>წათე ბანქელი ერი და საკუთარი „სიცილისი“</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>35</b>	<b>მაია ჯალიაშვილი „ჩვენ ვიპალით, რათა მიწყივ ზეცას ვესრაფლი“ (მამა არჩილის ლექსები — ლოცვები)</b>
<b>აცონი</b>	<b>42</b>	<b>რუსულან ნიშნიანიძე სემინარი: სამი ისტორია</b>
<b>არაზის გერიდიანები</b>	<b>43</b>	<b>ინგებორგ ბახმარი ვარდების ჭიქა-ქუხილში და სხვა ლექსები</b>
<b>ასალგაზძეგორ. ან კი თქვენ</b>	<b>46</b>	<b>დათო გორგილაძე ერთი ხოსტა რინი ავაპავი</b>
<b>ასალი თარგმანები</b>	<b>49</b>	<b>ჯონ სტაინბეკი ციტური პონი</b>
<b>ნაკვეთი</b>	<b>61</b>	<b>მაცვილისიტყვაობის ციტურები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>პიკლიცები და ურია ხეთები</b>

ორკვირეული ჟურნალი  
დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41  
რედაქცია – (995 32) 96\_20\_62  
რეკლამა – (995 93) 65\_93\_68  
გაფრცელება – (995 77) 11\_24\_30  
ფაქსი: (995 32) 96\_20\_62  
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი  
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე  
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი  
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი  
სტილისტი – კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი  
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი  
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ნინო დოლიძე  
ლალი ჩარუას ფოტოეტიუდი

ლიანა ელიავა

## პიროვილმ „სინემას“ დაუჯერებელი თავგადასავალი

**ეძღვნება ფილმის კონსულტაცის,  
ქართული კინოს პორტფელის —  
გასილ ამაშუკელს, რომელიც ამ ფილმზე  
მუშაობისას გარდაიცვალა**

გალაკტიონს უთქვამს: ლექს ახალფეხადგმული ჩვილივით უნდა გაძლოლაო. „სინემა“ ჩემი პირმშოა. სამწუხაროდ, მე ვერ გამოვდექი გზამკვლევად. საბედნიეროდ, თვითონ ბავშვმა ივარგა და თავისით გაიკვლია გზა. გავიდა მსოფლიო ასპარეზზე. არც ტაში დაკლებია, არც ქათინაურები. მხოლოდ სამშობლოში არ ელირსა აღიარება. თითქოს მისტიურად მასზეც გავრცელდა ფილმიდან გამომდინარე ბიბლიური ჭეშმარიტება: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. ამგვარი უსამართლობის გაძლება კი ჩემთვის, როგორც ავტორისა ანუ პატრონისათვის, რაც დრო გადის, მით უფრო აუტანელი ხდება. რა ვქნა, ვერავის დაგაჩაგრინებ ჩემს სულიერ შეილს. მომიტევეთ, თუ დრო და დრო წავიტრაბახებ ხოლმე მისი წარმატებებით. გარემოება მაიძულებს.

ეს ისტორია იმდენჯერ მაქვს მონაყოლ-დანერილი, რომ იქნებ ზოგიერთებს თავიც შევაწყინე, მაგრამ ვისაც საჭიროა, ვერაფერი შევასმინე, თორებ ჩემს კითხვაზე: — რატომ ჩქარლავენ და აფუჩეჩებენ „სინემას“ საერთაშორისო წარმატებებს? რა პასუხია: — „ვაკეთოთ კარგი ფილმები“. ჯერ ერთი, მე ფილმებს არ ვაკეთებ. ეს სადილი არა! მეორეც, იმაზე, რაც შემიტნია, კარგი, თქვენ ჩაიგუბეთ პირში წყალი, მაგრამ სხვის აზრს თქვენზე კომპეტენტური პროფესიონალებისას, რატომ არ უწევთ ანგარიშს? მესამეც, „ვაკეთოთ“, რომ მიკიშინებთ, მაძლევთ გასაქანს, რომ გადავილო?!

ეს იყო დიდი ხნის წინათ. იმათვის, ვისთვისაც უცნობია ამ უკვე ჭარმავი ფილმის (30-ს გადაცილებული) ტრაგიკული ბიოგრაფია, მოყვები დაუჯერებელ ამბავს:

იმ დროს, ანუ დაახლოებით 30 წლის წინათ, ორ წელიწადში ერთხელ საქართველოს ქალაქებში იმართებოდა რესპუბლიკური ფესტივალები, სადაც მხოლოდ ქართული ფილმები მონაბილეობდნენ. ერთ-ერთ ასეთ ფესტივალზე, ზუსტად არ მახსოვრებელი იყო თუ თელავი, ქართული კინოს მესვეურებმა „სინემა“, როგორც ყველაზე სუსტი წარმოები, საერთოდ არ დაუშვეს კონკურსში. ეტყობა, გაიზიარეს მანამდე კინოს მუშავთა პლენურზე გამოიტაქსოდ მთავარი იდეოლოგი ქალბატონის მოსაზრება: რეჟისორის მეცადნეობა ფილმში „სინემა“ უშედეგო გამოდგაო.

მე მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩემი თავის რწენა ჩამინერგა და გამათამამა. სწავლის პერიოდში „ვგიკის“ (ასე ეძახდნენ კინოინსტიტუტს) თითქმის ყველა ახალგაზრდული ფესტივალის მონაწილე და ორ-

ჯერ პრიზიორიც ვიყავი: პირველად ჯილდო მერგო ვასილი შუკშინის მოთხოვბა „ჭკება-ილუპებას“ საუკეთესო ეკრანზაფილისთვის (მეორე კურსის ხმოვანი ეტიუდი გახდა), მეორედ — საუკეთესო რეჟისურისათვის საკურსო ფილმში (რომლითაც დიპლომიც დავიცავი) რეზო ჭეიშვილის მოთხოვბა „ზზიანეთის“ მიხედვით. ამიტომ ქართველი კინოვტორიტეტების მიერ ჩემი ფილმის ამგვარ უგულვებელყოფას შინაგანად, ცხადია, არ ვეთანხმებოდი და ვერც ვეგულებოდი. თურმე არცა ვცდებოდი.

მხედად მართლაც სასწაული! თითქოს ზეცაში მფარველი ანგელოზი მყავდეს, ყოველთვის გაკრთება ხოლმე ჩემს სიბრძლეში ნათლის სხვით. ამ დროს თურმე მოსკოვში ჩამოსულან ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორები: ცნობილი კინომცოდნე და რეჟისორი — კარლო ლიძანი და უფრო მეტად ცნობილი მწერალი — ალბერტო მორავია. რატომძაც ვენეციის ფესტივალი კარგა ხანს არ ფუნქციონირებდა. მეორე წელი ყოფილა, რაც განახლდა. ეტყობა, პრესტიული სამაღლებლად, ორგანიზატორები თვითონ არჩევდნენ ფილმებს. ჩჩეულთა შორის მოხვდა ჩემი „სინემაც“. საბჭოთა კავშირს თვითონ რომ გაეგზავნა, ჩემს ფილმს იქ ვინ გააჭარბებდა, რადგან საქართველოს კვალდაკვალ, საკავშორო კინოკომიტეტშიც ცუდად მიიღეს, მაღალი საზოგადოების კრიტიკა ვერ დავინახეთო. რაც არ იყო, რას დაინახავდნენ! სამაგიეროდ, დიდ ოსტატებს დაუზახავთ და დაუფასებიათ სწორედ ის, რის გამოც შეიქმნა ეს ფილმი. მწირი ცნობები ამ არჩევანის შესახებ მოგვიანებით მოვიპოვე სხვადასხვა წყაროებიდან. პირველ ეტაპზე 200 საბჭოთა ფილმიდან დარჩენილა მხოლოდ 20. ჩემთვის დღემდე უცნობია იმ კეთილისმყოფელის ვინაობა, ვინც ამ ოცეულში ჩემი ფილმი მოახვედრა. ქართველი რომ არ იქნებოდა, დარწმუნებული ვარ. დამამასოვრდა რამდენიმე გახმაურებული ფილმი ამ ოცეულიდან, რომლებიც ვერ გამხდარან ორგანიზატორთა რჩეულები. ესენია: ა. კონჩალოვსკის „სიბირიადა“, ნ. მიხალკოვის „ხუთი სალამო“, ვ. უალაკაიავჩის „კენტავრი“, ლ. ლოლობერიძის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და სხვ. აურჩევიათ: გ. დანელიას „შემოდგომის მარათონი“, ა. ტარკოვსკის „სტალენერი“ (რუსების დაუნიტებული მოთხოვნით, შეუცვლიათ ეზენბეტეინის ფილმით „გაუმარჯოს მექსიკას!“) და ლიანა ელიავას, ანუ ჩემი „სინემა“. არ დაუჯეროთ, თუკი ქართული კინოს რომელიმე მაღალჩინოსანი, ჩემს გასაპიაბრუებლად გეტყვით, ეს ფილმი რეჟისორის ახალგაზრდობის გამო შეარჩიეს. მაშინ რატომ არ მოხვდა ამ სამეულში ჩემზე ახალგაზრდა — ნ. მიხალკოვის ფილმი? გაგეცინებათ და ამ დროს, როცა მეორე მაღალჩინოსანს ვთხოვე, სადმე ახალგაზრდულ ჩვენებაზე მაინც გაეგზავნათ „სინემა“, საპირისპირო რამ მიპასუხა, თქვენ არც ისე

ახალგაზრდა ხართო. მე იუნესკოს მიერ დაწესებულ ზღვარს ჯერ არ ვიყავი მინევნილი, ის კი კარგა ხნის გადაცილებული იყო და მაინც არ ეუხერხულა ახალგაზრდულ დათვალიერებაზე თავისი ფილმი წარედგინა. მექოთნის ანდაზასავითაა ამათი საქმე, ქოთანს საითაც უნდათ, იქით მიაბამენ ყურს.

საქოთაშორისო ფესტივალებზე ფილმს უმეტესწილად რეჟისორი წარადგენს ხოლმე. მე საგანგებოდ ვყოფილგარ მინვეული, როგორც ქალი, თანაც პირველი ფილმის ავტორი.

ხომ არავინ დაიჯერებს ახლა, რომ ჩემთვის ყოველივე ამის შესახებ, არც შინაურს, არც გარეულს, არავის არაფერი უცნობებია. ყოველივე შევიტყვე შემთხვევით, ფესტივალის გახსნამდე ერთი დღით ადრე, როცა იტალიელმა უურნალისტმა — კარლო ბენედეტიმ ინტერვიუსთვის დამირეკა თბილისში. იგი ჩემზე მეტად განცვიფრდა, რომ გაიგო, არაფრის აზრზე არა ვარ და ამიტომ არც კი ვფიქრობ ვერციაში გამგზავრებაზე. უმისოდაც ვიცოდი, მაგრამ გულზე მეფონა, იმანაც რომ დამიდასტურა: თქვენი კინობოსები ძალიან ცუდი ჯენტლმენები ყოფილანო. ისე, მართალი გითხრათ, ერთ დღეში ვერც საბუთების

შეგროვებას მოვასწრები და ვერც მომზადებას. მე ხომ არ მექნებოდა ტანსაცმლის კარადა სადღესასწაულო სამოსელით გამოტენილი?! ამიტომ ჩუმად, უხმაუროდ შევეგუ ბედს.

ფესტივალის მიმდინარეობის შესახებაც არსაიდან ხმა, არსით ძახილი! იმ ხანებში შემდეგი ფილმის სცენართან დაკავშირებით, მომინია მოსკოვში ჩასვლამ. კინოკომიტეტის სათანადო განყოფილებაში შევედი, თავი წარვუდგინე და ვიკითხე, როგორ ჩაირა “სინემაზ” ვერციის ფესტივალზე-მეტე. — უკალოდო, — თვალის დაუხამაშებლად მიპასუხა თავხელური გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა. ვერ მოვთვლი, რამდენი დაუმსახურებელი დამცირება გადამიტანია ამ ფილმის გამო. გარეთ გამოვედი, გონება მოვიკრიბე. რეჟისორ მარლენ ბუციევსგან, რომელიც წინა წელს მონაწილეობდა ამ ფესტივალში, გამეგონა, ვენეციის ახლადაღდგენილი ფესტივალის ორგანიზატორები, რადგან მიღებული წესისამბრ, არ ელოდებიან სხვადასხვა ქვეყნებიდან ფილმების წარდგენას და თვითონ არჩევენ მათ, ყველას აჯილდოებენ ოქროს მედლით — მონაწილეობისთვისო. ვიფიქრე, რახან პრიზებს არ ანიჭებენ, პრესას მაინც უნდა განეხსვავებინა ფილმები ერთმანეთისაგან და შეეფასებინა მათი ავ-კარგი. რა გარანტია გაქვს, რომ გინდა თუ არა, შეაქებენ შენს “სინემას”? რაც იქნება, იქით მიაბამენ ყურს.

იტალიელ უურნალისტს, კარლო ბენედეტის, ჩემს შესახებ საბჭოთა საიდუმლო რომ გამიმსილა. ძალიან გაუხარდა. — რა კარგია, რომ დამირეკეთ, მე თქვენთვის მთელი საქალალე მაქვს გადანახულიო. მათ გაზეთს მოსკოვშიც პერნდა ოფისი. რომ გაიგო ჩამოსული ვარ, დამითქვა შეხვედრის დრო ამ ოფისში. დიდი ბატივით მიმიღეს. ცნობილ უურნალისტ ჯულიეტო კერზას, რომელიც სხვებთან ერთად ესწრებოდა ამ შეხვედრას, აღბათ ემახსოვრება ეს ამბავი. მოწვეული ჰყავდათ მოსკოვის უნივერსიტეტიდან იტალიური ენის პროფესორი, რომელმაც რუსულად მითარგმნა ეს წერილები. ამ მხრივ საქართველოში არანაკლებ გამიმართლა, ბაჩანა ბრეგვაძემ იყისრა ეს როლი. მოვიტან იტალიური პრესიდან მისი თარგმანით რამდენიმე ამონარიდს:

„...სხვა ფილმებს არწივივით დასტრიალებს მშევნეორი ქართული ფილმი (ყველა ამბობს, „რალამაზია“) შექმნილი რომის მონაფის, ქართველი კინორეჟისორი ქალის — ლიანა ელიავას მიერ...“

ირონია და სინაზე ერწყმის ერთმანეთს საუკუნის დასაწყისის სტილით შესრულებულ ამ ფილმში ყველა იმათ დასატკბობად, ვინც შეპყრობილია ნოსტალგიით ამ ეპოქისა და მშვევნეორი სულის ადამიანების მიმართ“.

#### ჯოვანი გრაცინი

რომის კინოცენტრის იმდროინდელი დირექტორი გაბ. „ეკორიერე დე ლა სერა“, 29.8.1979.

„... ეს ლამაზი ამბავი აშეარად სიმბოლურია, ამავე დროს ზედმინებით ზუსტად და ფაქიზად იმპონირებული ეპოქის ჩარჩოში.“

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ უეჭველად მოვიგონებთ მას, როგორც კეთილშობილ ყვავილს, ამოსულს სარეველა ბალახით წარდორზე.“

#### აგეო სავიოლი

გაბ. „უნიტა“, 28.8.1979.

„ეიზენშტეინის მექსიკიდან კინემატოგრაფის პირველ ნაბიჯებამდე“

„...ეს მეტად თავისებური ფილმია. ის უეჭველად მოენონებათ თვითი კანემატოგრაფისტებსაც კი, რადგან წარმოადგენს კინოს სამყაროსადმი, უფრო სწორად მისი პირველი ნაბიჯებისადმი, დიდი სიყვარულის დადასტურებას.“

#### კარლო ლიძანი

კენეციის ფესტივალის მაშინდელი დირექტორი გაბ. „უნიტა“, 22.7.1979.

„საბჭოთა ფილმი ჯაბნის იაპონურს“

(იგულისხმება ცნობილი რეჟისორის — კანეტო სინდოს ფილმი)

„...ფილმის ფინალი მოულოდნელი აღმაფრენაა პოეზიის მაღალი ზეცისკენ“.

**გულიელმო ბირაგი**  
ვენეციის ფესტივალის ერთ-ერთი,  
შემდეგდროინდელი დირექტორი  
გა. „მესაჯერი“, 27.8.1979.

მე ვაოცებული ვარ არა მხოლოდ დადებითი შეფასებით, არამედ როგორ, რა მეტაფორებითა და ეპითეტებით გამოსთქვამენ ისინი ამ ქებას. ქართველ კინომცოდნეთა უმეტესობის (გამონაკლისები ყველგანაა!) კარგი შეფასება არ სცოლდება: ჩანახატს, ეტიუდს, მცდელობას და ასე შემდეგ. ოქმების ენით დაწერილ მათ სტატიებს რომ ვკითხულობ, ან მათ გამოსვლებს ვუსმენ, სულ მაგონდება გალაკტიონის ნაქილიკარი კრიტიკოსების მისამართით: მათი სიტყვები უგულო კავლებით სცვივიანო.

იტალიელების მაღალი შეფასებით შეგულიანებული, კიდევ ერთხელ ვესტუმრე კინოკომიტეტის და დამატებითი ცნობებიც მოვიძიე. „სინემა“ ვენეციის ფესტივალი-დანვე წაულიათ სხვა ორგანიზატორებს თავიანთ ფესტივალებზე კონკურსგარეშე საჩვენებლად (კონკურსში ქვეყანამ უნდა წარადგინოს, ღ. ე.). ასე და ამგვარად აღმოჩენილა იგი: ვიენალეზე ვენაში, სალონიკისა და მელბურნის საერთაშორისო ფესტივალებზე, კიდევ აფრიკის რომელილაც ქვეყანაში. ამ ჩხრეკა-ძიებაში მექებარი ძალის გეში გამომიმუშავდა და თვითონვე აღმოვაჩინე პაპირუსის ქაღალდზე ლამაზი ხელნერით შესრულებული სალონიკის ფესტივალის დიპლომი, მოგვიანებით გადმომცეს მელბურნის ფესტივალის დიპლომიც. ვენეციის ფესტივალის ვერავითარ მედალს, ხუციევმა ოქრო ახსენა, მებრინჯაოსაც დავეჯერდებოდი, ვერსად ვერ მიგავლიე. ვერც ის გავიგე, რა სტრატეგიული მოსაზრებებით უთქვამს საბჭოთა კავშირს უარი რომის კინოცენტრის ფილმოთებისთვის ფილმის გადაცემაზე. მე რომ განუმეორებელი დღესასწაული წამართვეს, ამაზე ისე არ დამწყვეტია გული, როგორც იმაზე, რომ „სინემას“ საფესტივალო ჩვენებაზე არავინ არ ყოფილა. ურეკლამოდ, უპატრონოდ გაუშვიათ ორგზის, ჩემი საზყალი კონკია! მეორე ჯერზეც რომ არ გამოვჩნდი, ალბათ ავადმყოფობა დამაბრალეს. საბჭოთა დელეგაცია: გია დანელიას, მისი ფილმის მთავრი როლის შემსრულებელი მსახიობი ქალის — ნეიოლოვასა და კინოკრიტიკოს — იურენევის შემადგენლობით, ფესტივალზე გამგზავრებულა გიას ფილმის „შემოდგომის მარათონის“ ჩვენების წინ. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდა თაგისი ამ ფილმითაც შინ და გარეთ უაღრესად დაფასებულ დაწელიას, რომ წაეკითხა ასეთი რამ: „მასინ, როცა ლიანა ელიავას „სინემა“ პოეზიით სავსე ფილმია, გია დანელიას „შემოდგომის მარათონი“ ბურჟუაზიული კომედიაა“ — სერჯო სურკი „გაზეტტა“, 31.08.1979წ. ეს ამონარიდი შემთხვევით აღმოვჩინე დახურულ ბიულეტენში „საბჭოთა ფილმები საზღვარარეთ“, 1, 1980წ., რომელიც ჩვეულებრივი თვალისოვის მიუწვდომელია და ინახება კინოს მოხელეთა კაბინეტებში.

ამასწინაათ რუსეთის ტელევიზიამ საგანგებოდ აღნიშნა „შემოდგომის მარათონის“ ოცდაათი წლისთავი. თვითონ ფილმის გარდა, უჩვენეს ამ ფილმზე გადაღებული ფილმიც, რომელშიც შემოქმედებითი ჯგუფი წვრილად

ჰყებოდა ფილმის შექმნის ისტორიას. პატრონობა და გაძლილაც ამას ჰქვას!

ამავე პერიოდში გია დანელიას წიგნი წავიკითხე. სათაურია „უბილეთო მგზავრი“. მგზავრში თავის თავს გულისხმობს. ძალიან მომენტონა მისი თვითირონია, მაგრამ მაინც გამკრა აზრმა, რომ ყოველგვარ ირონიაში დევს სიმართლის ნატამალი. საბჭოთა ხელისუფლებამ უბილეთო დანელია ლხენა-სიმღერით მოატარა მთელი დედამიწა, საერთაშორისო კლასის ბილეთიან ტარკოვსკის კი — გაუთავებელი დევნა-შევიწროებისგან უცხოობაში აღმოხდა სული. ამასთანავე ერთი რამ მაინც უეჭველად უნდა ითქვას, გიას გარდა არავინ მიმართავს თვითირონიას. პირიქით, ყველაფერს იფერებენ, ირგებენ, ზოგჯერ უნამუსოდ ჰყებიან კიდეც, ან თავიანთ მონაფეებს, ქვეშვრდომებს, უბრალოდ მათზე დამოკიდებულ ადამიანებს, ახმოვანებინებენ იგავ-არაკებს იმაზე, რა შევიწროებული იყო ეს გაფოფინებული ხალხი საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ამდენი და ამხელა სიცრუის შემდეგ კინოკომიტეტის მოსამართულ მოხელეებში, თითქოს სინდისმა გაიღვიძა, გამომიცხადეს, სასწრაფოდ გამოაგზავნინეთ თბილისიდან ქართული საწყისი მასალები, ხუთ ენაზე უნდა გაგუეთოთ თქვენს ფილმს სუბტიტრები და ბერლინის ფესტივალზე წარვადგინოთო. მაშინვე დავრეეკე თბილისში. საწყისი მასალები დაუყოვნებლივ ჩამოიტანეს, მაგრამ ისევ ამაოდ დავშვერით! მგონი, გითხარით, განსაკუთრებული გეში გამომიმუშავდა-მეთქი. ამ რიარიაში ყური მოვკარი სატელეფონო საუბარს, საიდანაც შევიტყვე: ბერლინის ფესტივალზე „რამდენიმე ინტერვიუს...“ ვაგზანითო. შემდეგ უკვე არავისთვის არაფერი მიკითხავს, არც რამე დამიზუსტებია. მიგხვდი, აზრი არ ჰქონდა. ახლა როცა ვიგებ, რომ საბჭოთა სივრცეში არამარტო ფილმების, სცენარების ბედსაც ხანდახან ცეკას პირველი პირი წყვეტდა თურმე, არ გამიკვირდება, რომ ფესტივალებში მონაწილეობა-დაჯილდოებასაც პარტიულ-კორპორაციული ხასიათი ჰქონდა (მსგავსმა ცნობებმა გაისაზრის კიდეც ტელევიზიოთ). აბა, მე საიდან მიმიწვდებოდა იქამდე ხელი? სადღაც მაინც არსებობს რაღაც სამართალი. ჩემი ფილმის ნაცვლად გაგზავნილ იმ პრივილეგიურ ქართულ ფილმს ბერლინში არაფერი აულია, მაგრამ მე ხომ გადამიკეტა გზა. მისთვის კი წარუმატებლობას ხელი არ შეუძლია სხვა ფესტივალებზე გაეგზავნათ, სახელმწიფო პრემია მიენიჭებინათ. ზემოთ ჩამოთვლილთაგან (ტარკოვსკის გარდა), არც სხვები დაუჩაგრავთ, ყველამ რაღაცას გამოჰკრა კაბინეტი.

„სინემას“ კინოპრემიერა არ შემდგარა. ფილმის ასლებიც ძალიან მცირე ტირაჟით დაიბეჭდა. თბილისში დაბრუნებულს, შინ აორი წერილი დამხვდა: ერთი მაგინებელი სტატია ქალაქის გაზეთში, რომელიც რესპუბლიკური საფესტივალო კაზუსის გასამყარებლად შეკვეთილს ჰერადა, რადგან მისი ავტორის გვარი მერე საერთოდ არ შემხედრია არც ქართულ პრესაში, არც კინომცოდნეობაში. მეორე — პირად ბარათს რიგითი მაყურებელი, ქუთაისელი ექიმი — ლევან სულავა მწერდა. უცნობი კინომოყვარული იმდენად გათვათცნობიერებული და კეთილგან-წყობილი აღმოჩნდა, რომ მისი შეფასება, შინაარსითაც და

პათოსითაც, საესებით დაემთხვა უცხოელ პროფესიონალთა აზრს. ამიტომ იტალიურ პრესასთან ერთად, ამ წერილსაც სათუთად ვინახავ. ამგვარი კინომოყვარულების დამსახურებაა, რომ 1979 წელს, მიუხედავად ტრიაჟის სიმცირისა, „სინემა“ თბილისში მაყურებელთა რაოდენბით პირველ ადგილზე გავიდა. კიევშიც მაყურებელთა პრიზი დამსახურა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე კინოკავშირიდან მსტოვარი გამომიგზავნეს, რომელმაც იტალიური გაზეთები წაიღინა სადღაც შესამოწმებლად. მეგონა, როცა დარწმუნდებიან, რომ მე არაფერი მომიგონია, ამხელა აბავს რამე გამოძახილი მაინც ექნება-მეთქი. შენც არ მომიკვდე! ბოლოსდაბოლოს, რამდენი ქართული ფილმი ყოფილა ვენეციის ფესტივალზე და მიუღია ასეთი შეფასება?! ეს ხომ “ჭ” კლასის ფესტივალი არ არის, რომ არად ჩააგდეს ფილმის ამგვარი აღიარება, თითქოს იგი სახელმწიფო კინოსტუდია „ქართულ-ფილმსაც“ არ ეკუთვნოდა?! ვერ გავიგე, რატომ გაუჩინდა ამას ყველა. ისევ მე მივაწყდე გაზეთ „კომუნისტს“ მასალები და მეოთხე გვერდზე დაიბეჭდა შეერეჭილ-შემცირებული ცნობა, მორცხვი სათაურით „ქება ფილმისა“.

ამის შემდეგ ვილნიუსში მიმიწვიეს შემოქმედებით სემინარზე ვენეციის ფესტივალის ექიდ აღვიქვა კინოკრიტიკოს — სვეტლანა ინდენოკის მიერ რუსულ და ლიტვურ ენებზე გამოქვეყნებული, ფოტოებით დამშვენებული, სტატია: „გთავაზობთ სადღეერძელოს: გაუმარჯოს სინემა!“ („კინო“, 8, 1979წ.). იმდენად მრავლისმთქმელი სათაურია, რომ ციტატის მოტანა არც ჩავთვალე საჭიროდ. შეფასების აღმატებული ხარისხი ტყუილა მეგონა ვენეციის ფესტივალის ექი, ავტორმა ჩემგან შეიტყო ფესტივალის აბები და მეტად გახარებული დარჩა, რომ პროფესიულმა ალლომ არ ულალატა.

თანდათანობით საკავშირო კინოკომიტეტშიც თითქოს მოულათ გული — „სინემა!“ მესამე კატეგორიიდან პირველზე გადაინაცვლა. ოღონდ ისევ და ისევ არ წარუდგენიათ არც ერთ საკონკურსო კინოფესტივალზე საზღვარგარეთ, არ უჩვენებიათ ქართული კინოს არც ერთ რეტროსპექტივში, კინობაზრობაზეც კი არ გაუტანიათ არსად. რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, ქართული კინოს ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სალამოშიც კი არავის მოსვლია აზრად, ამ, „კინოს პირველი ნაბიჯებისადმი დიდი სიყვარულის“ (კარლო ლიძანი), დამადასტურებელი, ფილმის ჩვენება.

როგორც უკვე მოგახსენეთ, გავიდა 30 წელზე მეტი. ყველაფერი შეიცვალა გარშემო: საუკუნე, ამინდი პლანეტაზე, მსოფლიო რუსა, დაიშალა სსრკ, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, მიიცვალა თურქმენ-ბაში, გადადგა თვით ფიდელ კასტროც, ქართულ კინოს კი, პირდაპირ თუ შეფარვით, ისევ იგივე ადამიანები ატრიალებენ თავის ჭუაზე. ამიტომაც „სინემას“ მიმართ ქართული კინოფიციონზის დამოკიდებულება ჯიუტად არ იცვლება. ჩემი ეს ფილმი (და არა მარტო ეს) ქართულ კინოხელოვნებაში საერთოდ არ არსებობს. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მე არ ვარსებობ დღევანდელ ქართულ კინოში. ეს რომ დავწერ, უნებურად აღმოვაჩინე, რომ გავიმეორე პასტერნაკის სიტყვები: ამჟამად მე ლიტერატურაში არ ვარსებობო. ამ პარალელს ნუ გამიგებთ ისე, თითქოს დიდ მწერალს

ვადრიდე თავს. მიმაჩნია, რომ ადამიანთა შედარება აკრძალული ხერხია, მიდენად განუმეორებელია ყოველი მათგანი. ჩემი სიტუაცია უფრო რთულია, რადგან ჩემთან ერთად იჩაგრება ის ხალხიც, ვინც თავისი ნიჭი, ენერგია არ დაიშურა ამ ფილმების შესაქმნელად.

საქართველოს გარეთ „სინემასადმი“ ინტერესი დღესაც არ განელებულა. მას, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, აჩვენებს ხოლმე რუსეთის ტელევიზია და როგორც გავიგე, პირატულ კასეტებადაც გაუყიდიათ. წარმატებით ჩაიარა სეანსებმა ფინეთში. საქართველოში ერთიორჯერ კი გაიიღვა ტელეეკრანზე, მაგრამ ყოველგვარი შესავლისა და წარდგინების გარეშე. არადა, ფილმის ოცდაათი წლის იუბილე მაინც აღენიშნათ დალოცვილებს! რა დაშავდებოდა, ორიოდე სიტყვა თქმულყო ვენეციის ფესტივალზე მისი აღიარების შესახებ? ახალგაზრდობას ხომ არაფერი სმენია ამის თაობაზე?

მეგონა თხრიბა დავამთავრე, რომ „სინემას“ ბიოგრაფიაში ისევ გადაიშალა ახალი ფურცელი. იმ ამბავს, რომ „სინემას“ თაყვანისმცემლები ფინეთშიც გამოუწინდნებ, უკვე შევეჩივე, მაგრამ არ მეგონა, ჩემი „ბებერი“ ფილმი ამერიკაშიც თუ მოენონებოდათ. „სინემას“ ჰელსინკელმა თაყვანისმცემელმა, მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესიორმა, ვიტალი კაუფმანმა, რომელსაც წესად აქვს ინტერნეტით ინფორმაციის გაცვლა თავის მეგობრებთან, თურმე ამერიკაში გასტყორცანა ჩვენი ფილმის სახელი. სწორედ მისგან გადაედო „სინემასადმი“ გაუნელებული ინტერესი პატსბურგის უნივერსიტეტის პროფესიორს, ცნობილ მათემატიკოსს, ამავე დროს შესანიშნავ პოეტსა და ესეისტ — ბორის კუშნერს. ეს ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანი, გამუდმებით მთხოვდა გამეგზავნა მისთვის „სინემას“ დისკი (კასეტები დიდიხანია ყავლაგასულია ამერიკაში). როგორც კი მოვახერხე „სინემას“ დისკზე გადატანა, ვაფრინე ამერიკაში და უმოკლეს ვადაში მივიღე ელექტროფორსტით პასუხი, შემდეგ პასუხის პასუხი. ამ სტატიას უსურავნებელია ბორისის წერილებიდან, ასე ვთქვა, „პოპულს“. ის მაგალითია იმისა, როგორ უნდა დააფასო შემოქმედი მის სიცოცხლეში. აი, ისიც:

„სინემა“ ახდენს უზარმაზარ შთაბეჭიდილებას ყველა კომპონენტით: თავისებური სევდიანი ქართული ლირიზმით, რომელიც სხვაში არ შეგეშლება, მსახიობების ბრწყინვალე თამაშით, ოპერატორის შესანიშნავი გრაფიკული ნამუშევრით, გამოსახულებას გასაოცრად მიესადაგა გია ყანჩელის მუსიკა... და ყოველივე ამის სულის ჩამდგენელია რეჟისორი — ლიანა ელიაზარი. როივე მთავარი გმირი გხიბლავთ თავისი ასე სხვადასხვანაირი გარეგნული გამოვლინებით და ამავე დროს მთავარში ერთნიარად მხურავალე რომანტიკით. ეს ორი სულიერი დინება ერთმანეთს ერწყმის, როცა ორი სევდიანი იკაროსი თავის პირველ და უკანასკნელ ფრენას ახორციელებს.

გატყვევებო ნამდგილი კადრები შორეული წლების ქრონიკისა. მაღლობა კინოს შესანიშნავ პიონერს, რომელმაც შემოვგინახა ეს საგანძურო... ფილმის ატმოსფეროს ვერ გამოთქვამ სიტყვებით, მას უნდა უყურო, უსმიო, მიუბრუნდე მის „ფურცლებს“...

ჩვენ გვთავაზობენ მოგზაურობას სამყაროებში, საიდანაც წამოსვლა არ გინდა. მე ყოველთვის მწყდება გული, როცა ფილმი მთავრდება...

შესანიშნავია, რომ დღევანდელი ტექნიკა იძლევა საშუალებას არა უბრალოდ ფილმის ნახვისა, არამედ მისი თვალიერება-წვდომისა, როცა უბრუნდები სცენებს, დეტალებს. ფილმი ლირსეულად უძლებს ასეთ, თითქოს გამადიდებელი შეზით, ჭვრეტას... დრო “სინემას” სასარგებლოდ მოქმედებს, როგორც ეს ხდება ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებებთან მიმართებით...”

ყველაზე დიდი ქათინაური ამერიკელი ავტორის შეფასებებში (ისევე, როგორც ქართველი ექიმის — ლევან სულავას შთაბეჭდილებებში) ისაა, რომ ორივეს ”სინემაში გამოყენებულ პატარა ფილმები დოკუმენტური კინოსაგანძურის კუთვნილება ჰგონია. (ამ შემთხვევაში ისინი გამონაკლისები არ არიან. დოკუმენტური ჰგონია მაყურებელთა უმრავლესობას, ზოგჯერ პროფესიონალებსაც კი, არა მარტო ეს ფილმები, ჩემი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმებიც). არადა, ვასილ ამაშუკელის დოკუმენტური ფილმიდან ”აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭალებრივი უმრავლებობისას წერილი ჩვეულებრივი ფოსტითა გამოგზავილი (იმ დროს სად იყო კუმუნური!), ბორის კუშნერისა კი — ელექტრონულით, ინტერნეტის მეშვეობით. ღვთის მაღლით, ”სინემა“ გაუძლო გარემოების ცვალებადობას და ამავე დროს განაგრძობს ახალი სივრცეების დაპყრობასაც.

პელსინგი — თბილისი

**P.S.** ბორის კუშნერისაგან ამერიკიდან ელექტროფოსტით მივიღე ლექსიც, რომელიც მას – ”სინემას“ შთაბეჭდილებით შთაგონებულს – დაუწერია რუსული აგრესის პერიოდში. ამ ლექსის ჩემებული თარგმანით დროებით ვამთავრებ ”სინემას“ უჩვეულო თავგადასავალს:

\* \* \*

თუმც ეკრანზეა ცხოვრება მუნჯი,  
მაგრამ რაოდენ რამეს აუნჯებს  
სინემა — ჯადო-ქალი, ფერია,  
ვინაც თან ჯიქურ, თან მოფერებით  
თავადიშვილის სულში შეიქრა, —  
თაფლზე უტკბესი ყოფილა ფიჭა.  
ვუყურებ, ვტირი, თავს ვერ ვაწყნარებ, —  
ვერ ნახავთ ქვეყნად იმათ ან მარებთ.  
და შეაურულებთ ფირში ამ წამებს,  
როს პატარძალი გულქანდს აწვალებს  
და ხელებს მაღავს მუფთაში ბეწვის.  
თვალის სეირში ფირები იწვის.  
ქართლი კი ნამდვილ ალშია ხანძრის,  
გულსაც მოედო, არა სცნობს მანძილს.  
ამ დროს ქარი ბურთს ცისკენ მიარნევს —  
.....  
ევინროებათ პოეტებს მინა.

მარინე ტურავა

## სარპის გეორგი მხარეს

□

### ზურაბ სამადაშვილის „რბლები“

ჰაროლდ პინტერმა 2005 წლის ნობელის პრემიის გადაცემისას წარმოთქმულ სიტყვაში ბრძანა: „მწერალი უკიდურესად დაუცველია. ის ლამის შესველი ხელებით იბრძვის. თუმც ბედს როდი უჩივის. მწერალი არჩევანს აკეთებს და მთლიანად ამ არჩევანით არის შესყიდვის მაგრამ რეალურად ივი გახსილია ყოველგვარი ქარიშხლებისათვის“. ადამიანთა უმრავლესობას გამომუშავებული გვაქვს უნარით თვალი დავუხუჭოთ იმ რეალობაზე, რომელშიც ვცხოვრობთ. ხშირად სირაქემას პოზას ვიჩევთ, საკუთარი მეგობრებისა და გატაცებების ტყვეობაში ვიყეტებით და ვარებოს, ხშირად დაუნდობელსა და მძიმეს, ვივინტებთ. ეს, აღბათ, თავდაცვის ინსტინქტიცაა პიოკალიფსურ ყოველდღიურობაში. მწერალი ამ ინსტინქტებისაგან აპსოლუტურად თავისუფალია, ის თვალს ვერ დახუჭავს, ტკივილს ვერ წაუყრუებს. მან იცის, რომ ჭირი თავის თავს ვერ დამალავს, ამიტომაც „იგი ლამის შესველი ხელებით იბრძვის.“ ლიტერატურა ყოველთვის ასახავს ცხოვრებას, უნდა თუ არა მას, იგი გარემოს პროდუქტია, რეალობის გარეშე არ არსებობს მხატვრული ნაწარმოები, მით უფრო დრამატურგია.

„ადამიანები სულ ერთმანეთს ექიმებიან, ერთმანეთს ებრძვიან, მზად არიან კბილებით გადაუღადრონ ერთმანეთს ყელი. მე ადამიანები უმწერებად მეჩვენებიან, ძლიერნიც და სუსტიციც. ჩემთან არავინ იმარჯვებს არავის ზემთავრი, გაიმარჯვონ საკუთარ თავზე“ (რევაზ ინანიშვალი). ზერაბ სამადაშვილის ხუთმოქმედებანი პიესა „ობლების“ („ჩვენა მწერლობა“ №6, 7) ოთხივე პერსონაჟი უმწერ და საცოდავია, მაგრამ დრამატურგი არსად ქადაგებს, არსად განიკითხავს ან კიცხავს, ის გვიხატავს შეულამზებლად, დაუნდობლად, პატიოსნად, ამიტომაც ვერანაირ წრეში ვერ ჩაიკეტი, სირაქემას პოზა ვერ ვიმვების. ეს მეტრი, ყოველდღიური რეალობაა და მწერალიც გაიძულებს თვალი გაუსწორო მას.

მოქმედების დრო და ადგილი ლოკალურია, მოქმედ პირთა რაოდენობა შეზღუდული, მხატვრული სამუალებანიც არც ისე უხვი, პიესა კი სხარტი, ექსპრესიული, ჩამთრევი, დამაფიქრებელი, მტკივნეული. ლოყაში სილის განნას პეტავს მისი წაკითხვით მიღებული ემოცია, მაგრამ ეს სილა გაფხიზლებს, გარემოს და ირგვლივ მყოფებს შეგათვალიერებინებს და შეგახსენებს, რომ ამ სამყაროში მარტო შენ და შენი მეგობრები ან ინტერესები არ ხართ, რომ სამყარო ამგვარ ადამიანთაგანაც ან უფრო მათგან შედგება.

გამოსიღარება

მთავარი და ყველაზე გამაოგნებელი ძმების — ტახოსა და ბეღოს — დამოკიდებულებაა ერთმანეთთან. პირველი ადამი-ანებიდან მოყოლებული — კაენიდან და აბელიდან დაწყებული, თითქოს მივერჩიეთ ძმის მიერ ძმის მოკვლას, შურსა და უთანხმოებას ორ უახლოეს ადამიანს შორის. რომ არა ღმერ-თის მიერ ადამისა და ევასათვის სანუგეშებლად მოვლენილი მესამე ვაჟი — სეითი, მთელი კაცობრიობა ძმის მკვლელი კაე-ნის შთამომავლები ვიქწოდოთ. ძველი ალთემის წინასწარ-მეტყველის, ქანაანში დასახლებული იაკობს ვაჟები ეგვიპტე-ში გასაყიდად გაიმტებენ თავიათი უმცროს ძმას — იოსებს, რადგან ის ყველა ძმაზე მეტად უყვარდა მამას. იოსების თავი-დან მოშორების მიზეზი შურიც იყო, რადგან იგი წინასწარ-მეტყველურ, საკურალურ სიზმრებს ხედავდა. ძმებმა მას და-ცინვით მესიზმრეც კი შეარქეს. ზღაპრებსა და ხალხურ თქმულებებში ერთგვარი კლიმეა ბრიყვი და გაუაზრებელი უჯროსი და გონიერი და მოხერხებული უმცროსი ძმა; ძმების სიძულვილის არაერთი ლიტერატურული ვერსიაც გვახსოვს — ძალაუფლებისა და სამეფო ტახტის ძმებაში ერთმანეთს სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ძმები შექსირის დრომებში; ფრანც და კარლ მორიები შელერის „ყაჩალებიდან“ (მფლობელი ვაჟის მაქსიმილიან მორიოს ვაჟი კარლი ფრანც) იმიტობ სწირავს, რომ იგი ძმაზე ადრე დაიბადა და მამის ქონე-ბის მეტვიდრე და მისი საყვარელი შვილია; იოსებთან დაკავ-შირებული ძველი ალთემის ისტორია ლიტერატურულად გა-დაამუშავა თომას მანმა ტეტრალოგიაში „იოსები და ძმანი მისინი“. გამუდმებით დავობენ ანდუყაფარ, პავლე და ივანე დი-დებულიძეები გიორგი ერისთავის „გაყრაში“. დავით კლდიაშ-ვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“ პლატონს ჯერ გაუჩე-ნელი, არდაბადებული ძმა ეზიზლება და ა.შ. მაგრამ, რაც ზუ-რაბ სამადაშვილის „ობლებში“ ხდება, მართლაც გამაოგნებე-ლია და ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს.

ქმათაგან ერთს ტახო ჰქვია, რაც, ბუნებრივია, ტახის ასო-  
ციაციას ინვესტიციას, მეორე ბელო — „ბენტერაა და თანაც ლორია,  
ბელოს იმიტომ ეძახიან“. გამოდის, რომ ორივე ძმა ლორია. აქი-  
დან ერთი ტახო — მამისმკვლელია, არც ეს მოტივის უცხო  
ლიტერატურისათვის, თუმცა „ობლებში“ ყველაფერი სხვანა-  
ირად ხდება. ეს მამის ყველა მკვლელობის ერთგვარი პარო-  
დია — „ბავშვისიდან ვერ იტანდა, რალაც დამპალი სათამა-  
შოსთვის შეიძულა, ბოლმა ჰქონდა გულში. იმ დღეს კი ვარცხ-  
ნილობაზე წაკამათდენ. აქაოდა შენიშვნა მომეციო, იმ თესლ-  
მა დასტაცა თოფს ხელი, აა, ასე მიადიო ლულა შუბლზე და გა-  
ისროლო. ნახევარი თავი წააცალა საკუთარ მამას“. ბელო მხო-  
ლოდ იმიტომ არ ამხელს მამისმკვლელ ტახის, რომ ამ ამბის  
გამჟღავნების სანაცვლოდ მან თავის წილზე თქვა უარი.

პიესის კიდევ ერთი პერსონაჟი მამა ობი - სუსტი რწმენისათვის ისყვება, საეჭვო წარსულის მქონე, ახალგაზრდობაში ძევლი ბიჭი, ახლა კი სმის მოყვარული, ლამის გალოთებული მოძღვარი, მოუხედვად მცდელობისა, ვერ ცვლის ვერც ძმების ოჯახში, ვერც უბანში გამეფებულ ურნმუნობას, სიძულვილს, ბიროტებას: „აქ სად მოკედი, რა ჯურის ხალხა?! ბავშვები სპირტით ვაჭრობენ, ძმები ერთმანეთს ჭამენ, ორი მკვლელია არხინანდ დაეხეტება ქუჩაში. ვინა ხარო სართოდ?“ პრიბლემა არც ისეთი უმნიძენებლიოდ და მხოლოდ ობლებსა არ ეხება, ასე ცხოვრობს მთელი უბანი, ქალაქის მთელი დასახლება. დავით გურამიშვილი „დავითანში“ იდეალურ მოძღვარს ასე ახასიათებს: „ხუცესი უნდა მამაცა, არ თუ ჯაბანი, მხრალობა. ხუცესის არ ითქმის: „ტირშიან ვარ შეავს, სარიანა-“

ლია”. ხუცესმან უნდა დამარხოს, თუ კაცმან სული დალია, ხუცესიც ბევრს რიგს დანაკლებს, თუ მეტი ლეინო დალია”. მამა ობი გურამიშვილის ხუცესის სრული ანტითეზა.

თავისი არქეტიპისაგან, ბიბლიური ობისაგან განსხვავებით, მას ლიმიტირებული, შემოსაზღვრული მოთმინება აქვს და კიშკას თვითმკვლელობის შემდეგ თვითონაც უმტყუნებს ნებისყოფა. მამა ობი, რომელსაც მაინც შერჩენია სულიერების ნასახი, თავადაც თვითმკვლელობას გადაწყვეტს — “არა-ვინ მივერებსო, სიტუაციას ვერ მოვერიეო, არ ვარ ლირსი ღვთისმსახური მერქავას.” მკითხველს იმედის ნატამალი ესახება — მამა ობის ამგვარ საქციელს, ერთი შეხედვით, ღვთისმსახურისათვის მიუღებელსა და ნებადაურთველს, ერთგვარ პროტესტად, სულიერების მბჯურაც იმედად ალიქვამს.

თითქოს ერთი პიტისასათვის საკმარისი უნდა იყოს ამდენი განსხვავებული ფსიქოტიპის დახასტვა, მაგრამ დრამატურგი ამაზე არ ჩერდება და სიმპათიური ვოგონსა — ქეთის სახესაც გამოძრილად გვთავაზობს. იგი იმავე გარემოს ღვიძლი შვილია, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა არყიო ვაჭრობს და მამა იობთან „აღსარებაზე“ მისვლას აპირებს — ჩემს ს სექსუალურ ფანტაზიებზე როდის გელაპარაკოორ? ლექსიკა ბიჭებივით ქუჩის აქვს და არც უწმანურ სიტყვებს ერიდება, არც გინებას, მაგრამ მამა იობის თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ მის პიროვნებაში ერთგვარი გარდასახვა ხდება, მასში ღვთის ხატად და მსაგვასად შექმნილი ადამიანი თვლებს და კითხველიც კიდევ ერთხელ ამოისუნთქავს შვებით — იქნებ ქეთის მაინც ეშველოს, ის მანც გადარჩეს ამ ჭაობში, ამ დაუზიდობელ, უსიყვარულო, ულმეროთ სამყაროში.

ტახო და ბელო ერთმანეთის მიმართ ჩადენილ ცოდვებს აღდარებდ და ერთგვარ აღსარებას წარმოთქვამებ. თითქოს მკითხველი მზად უნდა იყოს ყველაფრის მოსასმენად, დრა-მატურგმა საკმაო სამუშაო ჩაატარა ამისათვის, მაგრამ პიე-სის მექუთე სურათი კიდევ ერთი სილა, კიდევ ერთი მძაფ-რი, მტკიცნეული შთაბეჭდილება. ყველაზე დიდი ფანტაზიის მქონე მკითხველიც ვერ წარმოიდგენს, როგორ შეიძლება ასე დაცმა, როგორ შეიძლება ასე გაძლიდეს და ასე გამტობო — შენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი?! რო-გორ შეიძლება ადამიანი ასე გადაგვარდეს, ასე დაკინძდეს, ასე გაღორდეს, ამგვარ „ფსკერზე“ აღმოჩნდეს?! ერთი ძმის უბედურებს, უილბლობის, მოუწყობელი ცხოვრების მიზე-ზი მხოლოდ მეორე ძმაა და სხვა არაგინ. ბელოსთვის ყველა-ზე მტკიცნეული მისი საყვარელი ძალლის განირვაა. საოცა-რია, მაგრამ მას საკუთარ ძმაზე, საერთოდ ადამიანებზე მე-ტათ ძალობი უყარს. მათი ადამიანურის თანაურები ურჩევნია

გარშემო მყოფებს... ალბათ, იმიტომ, რომ ძალი ასე ვერ გაგნირავს, ვერ გამუხათლებს, ვერ გიდალატებს.

ლეიქლი ძმები კიდევ ერთხელ და მერამდენედ იმეტებენ ერთმანეთს მოსაკლავად, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში, ფატალური აღსასრულის გარეშე. ალბათ, იმიტომ, რომ ზურაბ სამადაშვილს „ადამიანები უშენეობად ეჩვენებიან, ძლიერნიც და სუსტნიც. მასთან არავინ იმარჯვებს არავისზე. მთავარია, გაიმარჯვო საკუთარ თავზე“. საკუთარ თავზე გამარჯვების უმწეო, მაგრამ მაინც მცდელობაა ბეღლოს საფინალო სიტყვები: „დმტერთო, მაპატიი! ერთი პატარა ცოდვილი ვარ, პატარა ჭიანჭველა, მაპატიი! რა ვენა, არაფრის შეცვლა არ შემიძლია, არც მეონია რამის შეცვლის შანსი, ვცხოვრობდი, როგორც მაცხოვრებდი და ვიცხოვრებ, როგორც მაცხოვრებ. მაპატიი, დმტერთო, ჩემი უძლურება; ჩემს ძმასაც აპატიი, მამა იობსაც აპატიი. გვაპატიი, რომ უსუსურობით დაგამახსოვრეთ თავი. გვაპატიი, დმტერთო!“

„ლიტერატურული ფორმა ჩვენს ჭირებულობას როდი ემორჩილება. მას მუდამ სიუჟეტი განსაზღვრაული“ (გაბრიელ გარსია მარკესი), დრამატურგიამი განსაკუთრებული დატვირთვა აქვს პერსონაჟთა მეტყველებას, დალორების ტექნიკას. ბუნებრივია, „ობლების“ ენა ვერ იქნება ლიტერატურული, აკადემიური. პიესის მოქმედი პირები აქ ქუჩის ენაზე მეტყველებები. მათი საუბარი ცოცხალი ფირმებით, სლენგური გამოიტებითა და ბილნისტყვაობით არის აღსავსე. ამგარი ენბორივი ნატურალიზმი ეპატაჟის მიზნით არ არის გამოყენებული, პირიქით, მას პიესის სათემელი განსაზღვრავს. მტკყვნეული და სავალალო, ალბათ, ისიცაა, რომ ეს ენა ვყველა წიგნერთი თუ უწიგნერი ქართველისათვის გასაგები და ზოგჯერ, უფრო მეტიც, სასაუბრო ენაა. სამწუხაროდ, დიდი განსხვავება „ობლების“ ენასა და ჩვენს მეტყველებას შორის არ არის. იგი იმდენად მწირი და 500-600 სიტყვით შემსაზღვრული გახდა, რომ ნელ-ნელა იყარება მწიგნიბრული, უძლიდრესი ქართული მეტყველება.

ბოლო დროს ქართულ სინამდვილეში კოტირებული და საკმაოდ მოძურია ნარკომანიის თემა. ირაკლი ლომოვრის „რა ურჩევნია მამულსა“ და ლაშა თაბუკაშვილის „მეტე რა, რომ სველია, სველი იასამანი?!“ ამ მხრივ პირველები და გამორჩეულები იყვნენ. მას შემდეგ ახალგაზრდა დრამატურგებისა და რეჟისორებისათვის თვითდამკვიდრების ერთ-ერთ საშუალებად იქცა ამ თემაზე გადალებული, ხშირად უნიჭო, ფილმები. ზურაბ სამადაშვილი თავისი პიესით განსხვავებულ და ჩვენი საზოგადოებისათვის მტკიცნეულ თემატიკას შეეხო. მე არ ვიცი, როგორ იქნება ამ პიესის სასცენო ან კიონვერსია, ეს სპეციალისტთა გადასაწყვეტია, მაგრამ, ჩემი აზრით, ერთი რამ უდავოა: „ობლების“ ლიტერატურული ვერსია შედგა — თავისი ანტიგმირებით, სიყვარულის ანტითეზური კონფლიქტით /„ჩხუბი სიყვარულის მეორე მხარე, აი, რა არი, ჩხუბი“ — ტახო /, ანტისაზღვადლებითა და ანტიგარემოთი, „მეტოხელის განვალებითა და ყელში წვდომით“ (იოსით ბროდსკი), ოდნავ მბჟუტაციი იმედითა და გადარჩენის უუმცირესი შანსით.

დავამთავრებთ იმით, რითაც დავიწყეთ, ჰაროლდ პინტერის სანიბელონ სიტყვით: „საკემი ყურებისას ჩვენ წინაშე აღმართული გამოსახულება ჩვენივ ზუსტი ანარეკლი გვგონია, მაგრამ საკმარისია თუნდაც ოდნავ შევირხეთ და გამოსახულება მყისვე იცვლება. ჩვენ ყურადღებით ვაკეირდებით ანარეკლთა უსაზღვრო წყებას, მაგრამ ზოგჯერ მწერალი იძულებულია, სარკე დაამსხრიოს, რადგან ის სარკეის მეორე მხარეს დგას, საიდანაც ჭეშმარიტება მოგვერებია.“

## სერგი ლომაძე

# პოზია ბედიერება

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ის დრო, როცა გულს ტოვებს პოეზია და სადღაც უჩინარება, არკი იცი: დროებით თუ სამარადისოდ.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მთებიში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ერთადერთი ნამდვილი ბედნიერება პოეზია.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ესაა ბერისონაჟები გიორგი ზუბაიას (ზუბაბა) გრანდიოზული პოემიდან „პოეტი“: ატლანტი, სენეკი, იგრესი და სხვები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— პოეტი-გმირები: ილია ჭავჭავაძე და მერაბ კოსტავა.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი და ვან-გოგი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბერპოვენ და მოცარტი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ძმაკაცისადმი, მეგობრისადმი ერთგულებას, გონიერებას... მოკლედ, შეარ პიროვნულობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მამაკაცისადმი მის ერთგულებას, სილამაზეს და ქალურობას... მორჩილებასაც.

— რომელი ადამიანური სათონებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მიტევების უნარი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— პოეზიის ქმნადობა. ნებისმიერი სხვა საქმის კეთები-სას დროს დაკარგულად ვთვლი.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ის, ვინც ვარ: პოეტი სერგი ლომაძე.

— თქვენი სასიათის მთავარი თვისება?

— არ ვიცი. კარგად არ ვიცნობ ჩემსავე პიროვნებას.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— პიროვნულ სიძლიერე, ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ის, რომ სერგი ლომაძე ხან ყველაზე მეტი მგონია, ხან კი — აბსოლუტურად არაფერი.

— თქვენი ნარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ნარმოვიდგენ, რომ ვცხოვრობ რეალობიდან შორს, პოეტურ სამყაროში, სადაც მეფობს პოეტური გრძნობა...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— დიდხანს სიცოცხლე. მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელი ძალიან დიდხანს გაუძლია გმირი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ჩემი იდეალებია იქსო და რუს-თველი. თუმცა მათნაირი ვერავინ ვიქწებით.

— **თქვენი საყვარელი ფერი?**

— ლურჯი, თეთრი, შავი, ვარ-დისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია, იასამანი.

— **თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— არწივი, ცხოველი კი — ლომი.

— **თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ჰემინგუეი, ყაზბეგი.

— **თქვენი საყვარელი პოეტები?**

— რუსთველი, გრანელი.

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— ასეთია ვიოლიტა, პერსონაჟი კახა ბაციკაძის ვრცელი, პოეტური მოთხოვისა „პრემენული დღიური“.

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— დღეს, არ ვიცი. ისე კი, გმირი იყო მერაბ კოსტავა. ახლა ერთი წიგნიც წავიკითხე, რომელმაც ქაქუცა ჩოლოყაშვილები ძალიან ჩამაფიქრა. ხო, ექვთიმე დვოთისკაციც მას-სენდება... თუმცა დღეს... ია, დღევანდელთაგან — არ ვიცი.

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ალბათ, ქეთევან დედოფლალი.

— **საყვარელი სახელი?**

— გიორგი, ნანა და სხვა.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— უგრძნობელობას.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზ-ლი დაიმსახურა.**

— ვფიქრობ, არ უნდა არსებობდეს როგორც ადამიანის დახვრეტა, ასევე — მისი სამუდამო ჭატიმრობა. ზიზლის ღირ-



სია ის, ვინც ეს ორი და ამათი მსგავსი განაჩენები მოიგონა (თუკი, საერთოდ, ვინმე არის ზიზლის ლირსი).

— **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ლირი მეტ-ნაკლები აღტა-ცებისა?**

— მაყედონელის, ნაპოლეონის ლაშქრობანი, საქმენი, საგმირონი პანიბალისა თუ დავით აღმაშენებლის.

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განასაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ვცდილობ არ ვიფიქრო პოლიტიკასა და პოლიტიკურ რეფორმებზე.

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— უამრავია ასეთი...

— **როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— რა გითხრათ... ისე, ლაბაზია მთებში სიკვდილი...

— **თქვენ სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— ვებრძვი ჩემს პიროვნებაში აღმოჩენილ ცუდ ადამიანს.

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— ბევრია ასეთი ქმედება.

— **თქვენი დევიზი?**

— მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მკვდარ მეფებს! — ისე, ცოტა უცნაური დევიზია, მაინც მომწონს.

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით დმერთს, რას ისურ-ვებით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ვყელა ადამიანი ბენეფირა იმით, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც ხვდება დმერთს, მიმტეცებელ დმერთს. კარგი იქნება, თუ მეტყველის: „იქ, დედამიწაზე, უკვე ყველაზე დაგივიწყა, ახლა შეგიძლია ნამდვილად დაისვენო აქ — ცაში“...

## ქრონიკა

„თავისუფალი თეატრს“ ამჯერად კარი მიითხველისთვის გაელო. მისი დარბაზი წიგნის მოყვარულებსა და დამფასებლებს მასპნძლობდა. საგამომცემლო სახლი „ტრიასი“ საზოგადოებას ახალ, ძალზე სიანტერესო წიგნს წარუდგენდა. ეს გახლდათ „სიბრძნე მნიანგურაში“. გამოცემის იდეის ავტორი — გია მურალულია, ხოლო მთარგმნელები: მანანა ქაჯაია, თამარ მლებრიშვილი, მანანა ჭელიძე, ლელა ელისაშვილი და თამარ ლონლაძე. მინიატურისთვის, ერთი შეხედვით უზვეულო, დიდი ფორმატის წიგნში 140-ზე მეტი ფილოსოფიური არავი და იგავია შეტანილი. ახალ სოლიდურ გამოცემის ამდიდრებს ცნობილი რეჟისორის — ბატონი რეზო ესაძის ნახატები, გრაფიკა, რომელც, როგორც ალინიშნა კიდეც, ამ წიგნში ჩასახლებული სიბრძნის განუყოფელი ნაწილია და იგავებოთ ერთად მთია „ნაკითხვა“ კიდევ უზრუნველყოფს და სრულყოფს მეითხველის სამყაროს.

იმას, რაც თეატრის დარბაზში ხდებოდა, წარდგენა-წარმოდგენა უფრო ეთქმოდა. გამოცემის იდეის ავტორსა და შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელს — ბატონ გია მურალულიას ასე ჩაეფიქრებინა: მათ, ვისაც სურველი ექცევთ ამ წიგნის შესახებ ესაუბრა, თავისთვის შერჩეული თუ გამორჩეული ერთი-ორი წიგნშიც უნდა წაეკითხა. ამ კიდევ ერთი ახალი და საინტერესო იდეის ხორცებასს სხვადასხვად თეატრის სცენა ზუსტად მიგნებული მისამართი აღმოჩნდა.

გამომცემლობა „ტრიასა“ და წიგნის შემოქმედებით ჯგუფა თუ დარბაზში მყოფ საზოგადოებას მიესალმა და ახალი წიგნი მიუღოცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დამიტრი შავენინა.

მინიატურებში ჩაბენეული სიბრძნის მარცვალი ყველას „თავისი“ შერჩია და გამომსვლელთაგან უმეტესობა მისამებისა და შთაბეჭდილების გაზიარების შემდეგ მათ კითხულობდა. რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი, მწერლები დათო ტურაშვილი და ზაზა ბურჯულაძე, უზრანალისტი ეკა ხოფერია, მსახიობი აღეკურ გაბედავა, მხატვარი ნიკოლოზ შენგელია. მწერალმა როსტომ ჩეხიძემ იგავი არ წაითხა, მაგრამ ძევდი ხასიათური შეგონებით შეგვასენა, რა სამსახურს უწევს ადამიანს ისეთი ბრძნელი სიტყვა და იგავი, როგორიც ამ ახალ, ორიგინალურ წიგნშია თავითყრილი და ძალიერ საინტერესოდ გაფორმებულ-დასურათებული.

ბატონმა რეზი ესაძემ თავისი ცხოვრების ის ეპიზოდი გაიხსნა, როდესაც მას, ჩრდილოებში ჩასულ შეგირდს, დიდმა რეჟისორმა და პედაგოგმა მიხეილ რომები უთხრა, რომ სიბრძნე და ჭეშმარიტება აქ კი არა, არამედ აღმოსავლეთშია, იმ მარჯვში, საიდანაც შენ ჩამოხვედო სიბრძნე აქ და ჩვენში უნდა ვექტორო

შევედრის დასასრულს საგამომცემლო სახელ „ტრიასის“ დამუშავებელმა ლიკა მესხმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, რომელმაც ეს წიგნი სიხარულითა და სიამოვნებით „ჩაბარა“.

ჩემო როსტომ, ამას წინათ, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემული გერმანული გროტესკის მცირე ანთოლოგია – „ამერიკა არ არსებობს“ (თბილისი, 2009). პესეს, კასტნერის, ლენცის, ბიოლის, ბიქსელისა და ქაუერის ნოველები გერმანულიდან შესანიშნავად უთარგმნიათ ლევან, რუსუდან და გიორგი ბრეგაძეებს.

მაღალმხატვრულ ნანარმოებთა უცნაური გმირების საოცარი თავგადასავლები რამდენჯერმე წავიკითხე. მაინც სხვა მაგია აქვს მინატურულ გროტესკს – ლექსივით იკითხება, ავტორისაგან სულ სხვაგვარ ოსტატობას ითხოვს.

ამ წინმა ჩემი ახალგაზრდობის ნაცოდვილარი გამახსენა: აფხაზების ომამდე მხოლოდ ჩემი ლექსების კრებულები გამოიცემოდა. აფხაზებში დატრიალებულ უბედურებამდე (1989 წლის ივნისში აფხაზთა და ქართველთა სისხლიანი დაბირისპირება) და ომამდე ცოტა ხნით ადრე სოხუმში მცირე ტირაჟით გამოვიდა ჩემი ლიტერატურული ზღაპრების წიგნი „სალამია“ (ჩემი ომამდელი ერთადერთი პრიზაული წიგნი). იმ წიგნში რამდენიმე მინატურული პრიზის წიმუშიც შევიტანე. შექმნილი ვითარების გამო „სალამია“ ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფმა წაიკითხა. მის შემდეგ წიგნში შესული ნანარმოებები არსად გამომიქვეყნებია. ვიზუალური, იქნებ როსტომმა გამოძებნოს დრო და გადახედოს-მეთქი... მოკლედ, ჩემი როსტომ, იქნებ ჩემი იმდროინდელი ნაცოდვილარი „ჩვენი მწერლობისთვის“ გამოგადგეს.

გისურვებ ყოველივე საუკეთესოს!  
შენი გურამ ოდიშარია

გურამ ოდიშარია

## მინიატურები

უდაბო

წარდგნამდელია ეს ამბავი, ძელთაძველი, ვით სამყარო: ორი მგზავრი გადაეყარა უდაბნოში ერთმანეთს...

სალამ-ქალამისა და გამოცნაურების მერე ერთმანეთის ამბავიც იყითხეს.

ერთმა თქვა — ქალაქში ვიყავი საშოვარზე და ახლა ჯალაბს ვუბრუნდები, ვშიშობ, ბალღებს ხომ არ გადავავინვდიო.

მეორე — სახლიდან მოვდივარ, ბედის საცდელად ქალქისაკენ მიმეჩქარება, ფული უნდა ვიშოვო და სარჩო-საბადებელი მოვიხაზირო იჯახისათვისო.

ერთსაც უთავდებოდა წყლის მარაგი და მეორესაც.

ცოტა ხანს კიდევ იმასლათეს და მერე კვლავ განაგრძეს თავთავიანთი გზა.

მეორე დღეს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

თუმცა კი დარჩნენ სახტად და ორივეს გულმა უყორდისი, მაგრამ არაფერი შეიმჩნიეს და ძალისძალად წაიონუჯეს კიდეც.

მერე ერთი კვლავ ქალაქის მიმართულებით გაემართა, მეორე კი შინისაკენ წავიდა.

ორი დღის შემდეგ, მიმწუხრისას, ისევ შეეფეოთნენ ერთიმეორეს.

უავე ერთსაც გათავებოდა წყალი და მეორესაც.

ილავგანყვეტილები მინაზე დაეშვნენ, ჩაქინდრეს თავები და მონისლული მზერით უსამანო უდაბნოს ხვლიკის-ფერ ქვიშას ჩამტკრდნენ.

ამბობენ, დღესაც იქ სხედანო.

მისა

ბაბუაჩემის ძმა გახლდათ მიხა.

ასეთი მახსოვს იგი — სახეზე ლვთისნიერი კაცის ღირსება და ჩემთვის დღესაც ჩაუწვდომელი სევდა ენერგია.

არც ცოლი ჰყოლია  
ოდესმე, არც შვილი.

მთელი ახალგაზრდობა უცხო ქვეყნებში ხეტიალს მოანდომა, შემდეგ კი სულ ერთ ვებერთელა, შავ ყდაში ჩასმულ, სანახევროდ გაცრეცილ წიგნს კითხულობდა: ბოლოს, სოფლის განაპირას, ზღვის მახლობლად და-სახლდა მარტოკაცი და ცხოვრების დანარჩნი ნაწილი იმ წიგნის ფურცლებში გამოხვეული თუთუნის წევაში გაატარა.

იჯდა ასე ფიქრნადებული მიხა ფარლალალა, ზამთარზაფხულ კარმოლიავებული ქოხის წინ და დარსა თუ ავდარში ზღვას გაჰყურებდა. დღენიდაგა თამბაქოს აბოლებდა და კაციშვილი ვერ გაუგებდა, რა ფიქრები უმძიმებდა სულს.

გამოხდა ხანი და გასრულდა წიგნის ფურცლები. ამასობაში კი ფიცარ-ფიცარ და ყავარ-ყავარ დაიშალა მისი ძველი ქოხიც. და მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა ახალი სახლის ამენება.

ერთ წელინადში ააგო კიდეც მეტად უცნაური შენობა, რომელსაც არც სარკმელი ჰქონდა სადმე და არც კარი, თანაც ისეთი ვინრი და დაბალჭერიანი იყო, კაცი შიგ დანოლასლა თუ მოახერხებდა.

იმავე წლის ზამთარში გარდაიცვალა მიხა.

ბევრი იფიქრეს, იკამათეს მეზობლებმა და მოკეთეებმა, და ბოლოს, კარგა ხნის ჭოჭმანის მერე, ასე გადაწყვიტეს — ჩასვენეს — საკუთარი ხელით მოჯოროთილ სახლში და ასე მიაბარეს მისივე — ხაია და უვერმოძალებული — ეზო-კარის მინას.

## კედელი

ლვთის გამოჩენას ელოდა ბერი.

იჯდა თავის სენაკში სანახევროდ ხავსმოდებული კედლის წინ, ლოცულობდა და უცდიდა იმ წამს, როცა თვალწინ უფლის სახე ამოუტივდებოდა.



## ხელი

გადიოდა წლები, მაგრამ არადა არ ჩანდა ზენათა მეუფე. მამაც გარდაეცვალა ბერს და დედაც, ძმაც მიწას მიაბარა და დაც...

იყი კი, ისევ ქვის სარეცელზე ფეხმორთხმული, უამისაგან გავერანებულ და დაბეჩავებულ კედელს გულდა-გულ მიცეცებული, ღაღადებდა უკვე ხრინმომდგარი ხმით.

თვალები დააწყდა მოლოდინში.

დროთა განმავლობაში ხმაც ისე დაუძაბუნდა, რომ სა-კუთარი ვედრება თვითონვე ძლიერდა ესმოდა.

ერთხელ, შუქმისილი ივლისის დილას, როცა მარტო-ობისა და მოლოდინისაგან დაუძლურებულმა ლოცვაც კი ველარ შეძლო, იხილა, თუ როგორ გაილანდა კედელზე ადამიანის სახისოდენა ნათელი ლაქა.

გამოწინდაო, — გაუელვა.

... მაგრამ კედლიდან ქალიშვილის მტრედისფრად მო-რიალე სახე უღიმდა, სწორედ იმ ქალიშვილისა, რომელ-მაც იდესლაც უარყო მისი სიყვარული და რომლის გამოც მონასტრისაკენ მიმავალ გზას დაადგა მაშინ...

თავი ჩაქინდრა ბერმა და აქვითონდა.

საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არასოდეს ელოდა უზე-ნაესის გამოჩენა.

## მიმინდობრები

უმცროსმა ძმამ სიცოცხლე მოისწრაფა.

დღენიადაგ ფიქრობდა, თავს იმტკრევდა გულდაშუშ-ხული უფროსი, მაგრამ ვერაფრით ამოებსნა ძმის თვითმ-კვლელობის მიზეზი.

ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა, თორემ სასიკვ-დილო არაფერა სჭირდა უმცროსს.

ძმის დაკრძალვიდან მესამე დღეს, შინისაკენ მიმავა-ლა, თავის ფიქრებში დანოქმული, შუა ქუჩაში გახევდა.

მიმინდონ გაახსენდა...

ერთხელ, ბავშვობაში სახლის შორიახლო ტყეში მოხე-ტიალე ძმებმა ჯაგებში ფრთამოტეხილ მიმინოს ჰყიდეს თვალი, დაიჭირეს და შინ წაიყვანეს; პურიც დაუფშვნეს, მოხარშული ხორციც დაუნაკუნეს, პირთამდე წყლით სავ-სე ფიალაც დაუდეს, მაგრამ არაფერს გაეკარა მიმინო.

გალიის კუთხეში მიწმანილს ამაყო და ოდნავ შიშნეუ-ლი გაყინული მზერა გარედან შემოფრქვეული სინათლი-სათვის მიეპყრო.

რამდენიმე დღე გაგრძელდა ასე.

მერე იყო და მისი გაშვება სცადეს ძმებმა, მაგრამ ვერ გაფრინდა მიმინო, დაშავებული ფრთა ვერაფრით ააცი-ლა მიწას.

— არც ჭამს და არც დაფრინავს, — თქვა უფროსმა მა-შინ, — ცოდვაა, რატომ ეწამოს.

სარდაფიდან ნაჯახი გამოიტანა და მიმინოს თავი წაა-ცალა.

არც შეუმჩნევია, როგორ გაუგანიერდა თვალის გუგე-ბი შეძრნუნებულ ძმას.

არა, მართლაც არაფერი სჭირდა სასიკვდილო უმც-როსს, ოლონდ ესაა, ბოლო დროს მხრები და ხელები ნაჭ-რილობევი ფრთხილი უზომოდ დაუმძიმდა.

## ხელი

ერთ დილით, ლოგინში მონებივრეს, ოდესლაც და სადღაც გაგონილი ხმა შემოესმა ბალიდან:

— ნუ გძინავს ამდენ ხანს!

მეორე დღეს, რიბირაბიზე, გამოიღვიძა რა... მსწრაფლ მუქარსავით გაკვეთა ჰაერი იმავე ხმამ:

— ნუ გძინავს ამდენ ხანს! მიფრინავს უამი!

მერე ნაშუალამეეს გაახილა თვალი, მაგრამ მაშინათვე გაიგონა:

— არ დაიძინო!

ყინვით მოზარნიშებულ სარკმელში შუქსავსე მთვარე კრიალებდა.

შემდეგ ოთხი დღისა და ღამის განმავლობაში არ მო-უწეურავს თვალი — მაგიდას უჯდა და ლექსტბს წერდა.

არც ჭამა-სმა ახსოვდა და არც სამსახური, ერთმანეთ-ში აერია სადაგი და უქმე დღეები.

თავი დაუმძიმდა, ჩაუსისხლიანდა თვალები, მოჭირი-სულე კაცივით შეიპყრო სევდამ, მაგრამ მაინც შეუპოვ-რად უქმლავდებოდა უძილობას.

ერთ სალამოს იფიქრა, იქნებ ცოტა ხნით ქალაქში გა-ვისეირნო, და ჭიკრისაკენ გაემართა.

ქუჩაში მეგობრების ცნობა გაუჭირდა, მეზობლების სახელებიც გადავიწყებოდა. უკან მობრუნებისას ძლივს მიაგნო თავის ეზო-ყურეს.

შინ დაბრუნებული მაშინათვე მაგიდას მიუჯდა და საქმიანობა განაახლა.

წერდა და წერდა...

ბიბლიურ მეუდაბნოეს დაემსგავსაა.

კიღევ რამდენიმე დღე გაატარა ასე.

არადა, ბოლოს, დაღლილობამ მაინც თავისი გაიტანა და აი, ერთხელ, ალიონზე, სულ ერთი წამით ჩასთვლიმა.

თავი მაგიდაზე ჩამოუკარდა და...

მყის გამოაღვიძა ხმა:

— ხომ გიოხარი, არ დაიძინო-მეთქი!

ხმა კვლავ ბალიდან მოისმოდა.

ძლივს აითრია წელი და აივანზე გაფრატუნდა.

თავდაპირელად ვერაფერი გაარჩია განთიადის თრთვილით მომინაქრებულ ნათელში, შემდეგ კი, წაიგრ-ძელა რა კისერი, კარგად დააკვირდა ბაღს და იქვე, ლურ-ჯად მოლივლივე აუზთან, ზღვის ბალახებში მდგარი სა-კუთარი თავი დაინახა, რომელიც მომწუსხველი და გა-კერპებული მზერით ამოცექეროდა.

## ხუროთმოძღვარი

სატახტო ქალაქიდან კარგა მოშორებით, ძნელად მი-სადგომ მთაზე, წიწვოვანი ტყის შუაგულში, საიდანაც თვალნათლივ მოჩანს ლურჯი ნისლით დაბინდულ ორ ქედს შორის ცისფრად მოციმციმე ზღვა, მეფე ბუროთმოძღ-ვარს ტაძარი ააგებინა. არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად შვიდი წელი იმოღვაწეს თავატამა და მისმა არცორუ ისე მრა-ვალრიცხოვანმა საძმომ და, ბოლოს, მთელი თავისი დიდე-ბულებით ამონათა კიდეც ქრისტიანთა სამლოცველომ მარადმწვანე მცენარეთა შუა. ისე იდგა ტაძარი, თოთქოს

სამყაროს დასაბამიდან იქ, ტყეში არსებულიყო და კაციშვილის ხელს ქვითა და კირით კი არა, თვით უზენაესს შეექმნა იმავე მასალისაგან, რომლის შემწეობითაც აღმოაცენა ხე თუ ბალახი, მოგვივლინა მწვერვალი თუ ღრუბელი...

როცა გასრულდა მშენებლობა, უკანასკნელად ავიდა ხუროთმოძღვარი ტაძრის სახურავზე, საკუთარი ხელით გამოჭედოლი, ადამიანის სიმაღლე ჯვრის სიმტკიცე შეამონა და დუღაბით ფუძის შემოლესვა დაიწყო. ამ დროს, სად იყო და სად არა, თვით ხელმწიფე მიეახლა ტაძარს მცირეოდენი სპის თანხლებით.

მარჯვენა ასწია გოროზ სახეზე უცნაურ ნაღველდა-ფენილმა მბრძანებელმა და რამდენიმე მოლაშქრე უმალ მიეჭრა სამლოცველოს. წა-მიც და... კედელს მიყუდებულმა ხის უზარმაზარმა კი-ბემ ირგვლივ მიმიყრილ ძელებსა და ფიცრებს შორის გაადინა ზღართანი.

მერე იქვე მდგარი რამ-დენიმე კიროთხურო გაიგ-დეს წინ მხედრებმა და ქალა-ქისკენ გალალეს, მეფემ მო-ქუფრულ ნარბებქვემოდან კუშტად გახედა სახურავზე გასულ კაცს, მდვინვარედ ააშეულა ჰაერში მათრახი და ცხენს დეზი ჰერა.

მოკლედ, უღალატა ხელ-მნიფემ თავის სიტყვას, უმუხლოა ხუროთმოძღვარს — ააგებინა ტაძარი და გა-სამრჯელო ან გადაუხადა.

დარჩა ოსტატი სახურავზე მარტოდმარტო, სამყა-როსა და უფალთან პირის-პირ. იდგა გაოგნებული და გაპურებდა მირიადთავა ურჩხულივით მბორგავ მტვრის ნარინჯისფერ ბუდს, რო-მელსაც მეფე და მისი ამალა ტოვებდა დაღვარენილ შარა-ზე. ცალი ხელი მენამული მზის სულმობრძავი სხივებით აპრიალებული ჯვრისთვის ჩაევლო, მეორეთი კი დუღა-ბით სანახევროდ სავსე კარდალი ჩაებრუჯა...

ნელ-ნელა ინთემებოდა ორჯვრიანი ტაძარი მწუხრ-ში... ორჯვრიანი იმიტომ, რომ მის სახურავზე მდგარი ხუ-როთმოძღვარი თვითონაც ჯვარს ჰგავდა შორიდან, ოდ-ნავ სახეცვლილს.

როდის-როდის გამოერკვა, ერთხანს ფიქრებში ჩაძი-რული დაპურებდა კარდალას, მერე ჩაიჩოქა, გახმობა-დანყებულ დუღაბს ხელით საგულდაგულოდ ამოურია და ჯვრის ფუძის შელესვა განაგრძო...

მეორე დღეს მეჯოგებმა მკვდარი იპოვეს ხუროთ-მოძღვარი — სახურავიდან გადმოვარდნილიყო. ერთმა-ნეთში ალუფხული ფიცრებით, მორებისა და ლოდების ნამსხვრევებით, ათასი ნაყარნუყარით სავსე ეზოში სულ

ერთი ხელისდადება, აბრეშუმივით რბილი, მწვანე ბალა-ხით მოხასხასე მიწაზე მის ჯერ კიდევ თბილ, საცოდავად მოკუნტულ, თითქოსდა შემცივნულ სხეულს უცნაური ნა-თელი დაციაგებდა...

ეს უძველესი თქმულება, რომელიც ბავშვობაში მაქვს გაგონილი, შემდეგი სიტყვებით მთავრდება — “ასე მოიკ-ლა თავი ხუროთმოძღვარმა”.

მაჯადოებდა და რაღაცითაც მაშინებდა ეს ამბავი. ახ-ლაც მახსენდება ხუროთმოძღვარი და ხშირად ვფიქრობ მას-ზე. ვესაუბრები კიდეც...

ვინ იყავი შენ, ხუროთ-მოძღვარ?

რატომ იჩქარე ასე წუთი-სოფლის დატოვება?

ხომ შეგეძლო გაგერდვა სახურავი, ჯერ ძელებს, სარ-კმელს, მერე კიდევ ქვით ნა-გებ კედელს ხელის ცეცებით ჩამოყოლოდი, ფრთხილად, ნელ-ნელა?.. ბოლოს ციმციმ დაშებულიყავი მინაზე?

წუთუ იმიტომ მოისწრაფე სიცოცხლე, რომ მეფემ მო-გატყუა, განაწყენდი მასზე და ასე იძიე შური? მაგრამ არა, შენ ხომ კარგად იცოდი, რომ იგი მეფე იყო და თითოე-ული გვირგვინოსანი, თუნდ ყველაზე მცირე ქვეყნის მფლობელიც, მარად იმის მცდელობაშია, რომ მისმა ყმებმა, მოლაშქრებმა თუ ხელოსნებმა, მოკლედ, ყო-ველმა ქვეშევრდომმა, ხელმ-ნიფეთა ხელმწიფედ შე-რაცხონ, და განა ასეთი კაცი-საგან ღალატი მოულოდნე-ლია და გულზე ცეცხლშემო-სანთები?

წუთუ იმიტომ მოისწრაფე სიცოცხლე, რომ მთელი და-მე ვერც ერთმა შენმა თვისტომმა, ვერც ერთმა ქვისმთ-ლელმა თუ ხურობ ვერ გაბედა ტაძართან მიახლოება, იქვე, სულ ახლოს მიგდებული კიბის კედელზე მიყუდება? მნამს, გულმწუხარე ამაოდ გაპყურებდი ბნელით მოსილ ტყეს, სა-იდანაც არავის ამოუძახი შენთვის — “ნუ გეშინაა, ძმავ, გამაგრდი, მე აქ ვარო”. მხოლოდ ჩამოდაბლებული, ვარსკ-ვლავებით მოჭედილი, მარად დიდებული, მოღლილი და თანაც ოდნავ დამცინავი ცა დაგნათოდა თავსზემოთ. გა-ნაწყენდი განა შენიანგებზე? მაგრამ არა, შენ კარგად იცო-დი, რომ ბრბო ბრბოა და, მითუმეტეს, შენი პატარა ქვეყნის ხალხი ძნელად თუ გაბედავდა ხელმწიფეთა ხელმწიფის სურვილის შენინააღმდეგებას, თუნდაც იმ სურვილისა, რომელიც მას სიტყვიერად არასოდეს განუცხადებია.

დიდი ხანია ვფიქრობ, ხუროთმოძღვარო, ვფიქრობ და დღეს ასე მესახება ყოველივე — შენ სულ სხვაგვარად იხი-ლე სამყარო შენსავე მიერ აგებული სიმაღლიდნ, ცის მიღ-



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

მა აფრენილ, იდუმალ საზღვარს მიახლოვებული ტაძრიდან და ღმერთი შეგეცოდა, ღმერთი, რომელიც რამდენიმე ხნის მერე იძულებული იქნებოდა, ესმინა ტაძარში მობრძანებული იმავე მეფისა და იმავე ხალხის ლოცვა-ვედრებისათვის.

## კავუნი

თათბირი ახალდაწყებული იყო, როდესაც სასახლის ბალიდან ნაჯახის კაუნი გაისმა.

ტახტზე ამაყად მჯდომ მბრძანებელს, რომელიც წარბეჭვემდან გადმოჰყურებდა დარბაზს, ლაპარაკი არ შეუწყვეტია, თუმცა ოდნავ მოექვირა სახე.

იგი საუბრობდა ხმადაბლა, ნება-ნება. სიტყვები უჩინარ და უმძიმეს ბადესავით ეშვებოდა სადღაც მაღლიდნ და იანვრის ზღვაზე განოლილი ნისლივით ბურავდა საკრებულოს.

ერთიანად დაჭიმული, კისერდაძაგრული დიდებულები, მრჩევლები და ვეზირები ცდილობდნენ მისი ერთი სიტყვაც არ გამოპარვიდათ. მათი მზერა ერთიანად ხელმწიფის სახესა და მის უკან, მუხით მოპირკეთებულ კედელზე ამოკვეთილ გერბს მიყინვოდა.

კაუნი თანდათანობით ძლიერდებოდა...

სასახლის ერთი მოხელე წმმომართა და თვალით ანიშნა მეფეს — თუ ნებას დამრთავთ, დარბაზს დავტოვებო.

მბრძანებელმა სხვებისთვის შეუმჩნევლად, თავის იღნავ დაკვრით თანხმობა მისცა, ისე, რომ სიტყვა არ გაუწევეტია.

გავიდა დრო და შეწყდა კაუნი. მალე სასახლის მოხელემაც ულიმლამო ლიმილით შემოაღო დარბაზის კარი.

დაჭრილ-დასახიჩრებული მარცხენა ხელი ჩოხის გულისპირში ჩაეჩარა, ცალ დაწვზეც რამდენიმე ლრმა ნაიარევი ემჩნეოდა, მაგრამ ვითომოც არაფერიო, მშვიდად დაუბრუნდა თავის სავარძელს და კვლავ სმენად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმწიფე ძალზე დადინჯებულად და ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაინც ყველამ გარკვევით გაიგო მის ხმაში ხმლების გამეტებული წკრიალი.

ცოტა ხნის მერე კვლავ განმეორდა კაუნი.

ისევ ითხოვა მოხელემ დარბაზის დატოვების უფლება.

ისევ დართო ნება მბრძანებელმა ისე, რომ ლაპარაკი არც ამჯერად შეუწყვეტია.

ცოტა ხანში შეწყდა კაუნი და მოხელემაც შემოალო კარი.

კოჭლობით შემოსულ, ფერმიხდილ მოხელეს მოკვეთილი ხელი ხამის პერანგის ნაგლეჯით გადაეხვია, მარჯვენაც საკმაოდ ჰქონდა დასახიჩრებული.

მისთვის ამჯერადაც არავის მიუქცევია ყურადღება.

მზე შუბის ტარზე იყო გადმოხრილი, როცა სასახლის ბალიდან ისევ გაისმა კაუნი. რის ვაი-ვაგლაბით წამოდგა მოხელე, ერთადერთი ხელით მტკიცედ ჩაბლუჯა ხმალი და კარისაკენ წაჩლახუნდა.

თვალებადებული კრებულის ყურადღება კვლავ ხელმწიფისაკენ იყო მიმართული.

გავიდა დრო და ჩაჩუმდა ნაჯახის ხმაც.

დიდი დაგვიანებით, ერთიანად სისხლში მოთხვრილი მოხელე ძლივს შემოლასლასდა დარბაზში.

მას თავისა და მკერდის მარცხენა მხარე ჩამოსხეპილი ჰქონდა, მარჯვენა ხელი საცოდავად ჩამოკონიალებოდა მხარზე.

მოხელემ ცალი, უაზროდ გადმოკარკლული თვალი მიმოვლო მოდარბაზებს, როგორც იქნა, მიაღწია თავის ადგილს, ჩაეშვა სავარძელში და... სული განუტევა.

არც მისი შემოსულა გაუგია ვინძეს და არც სიკვდილი. მეფე საუბარს განაგრძობდა.

ამ დროს თითქოს რაღაცის მოლოდინით დამუხტულ ჰაერში ისევ გაისმა კაუნი, ოლონდ ამჯერად მოგუდულად აუდერდა და თანაც გარეთ კი არა, უშუალოდ დარბაზში ხმიანებდა.

კაუნი თანდათანობით ძლიერდებოდა.

მოხელისაგან შორიახლო მსხდომმა დიდებულებმა მზერა ძალაუნებურად მას მიაპყრეს. ერთმა ხელიც კი შეახო, მაგრამ გველნაკენივით უმალ მოაშორა.

რამდენიმე ათეული წყვილი თვალი მიაშტერდა მოხელეს — ეს მისი შუაში გაჩეხილი და ჯერ კიდევ მძლავრად მფეთქავი, აბოლებული და ყაყაჩისავით მოღალანე გულის ნახევარი კაუნობდა ასე ხმამაღლა.

## ანგელოზის ხეა

ცხოვრობდა გაგუმში ერთი მეთევზე, რომელიც მთელი თავისი დღე და მოსწრება იცნებობდა, იდესმე ზღვის გაღმა ქვეყანა ეხილა. გასაოცარი ხმა მესმის უამი-უამი იქიდან, ასეთი ხმა მხოლოდ ანგელოზს თუ შეიძლება ჰქონდესო, — ეუბნებოდა მეგობრებს.

დროთა განმვლობაში თვალის ფერიც კი შეეცვალა მებადურს — ლურჯი გაუხდა. არავის გაკვირვებია ეს გაგუმში, რადგანაც იგი ხმა რიურაჟიდან ბინდუნდამდე და, შესაძლოა, სიზმარშიაც, მუდამ ზღვას ხედავდა.

საერთოდ, ხალზე სიტყვაძვირი და გულდაბშული კაცი იყო; არც არავისთვის გაუზიარებია თავისი ნაფიქრალი და არც არავინ შეუამხანაგებია, ისე მაღლად ააგო მოზრდილი ნავი. ერთ მშვინიერ დღეს, სისხამ დილით, ახსენარა უფალი, გაშალა იალექნი და იმ შორეული, ანგელოზის-ხმიანი ქვეყნისაკენ აიღო გეზი.

ავედობის უამი იყო მაშინ და კაცსაც ნავში პატარა მსუბუქი ქვემეხი ედგა.

ბევრი იცურავა თუ ცოტა, სადღაც, შუაგულ ზღვაში, მწვანეაფრიან ნავს გადაეყარა. წაუხდა ნირი მებადურს. დიდხანს უთვალთვალეს ერთმანეთს მან და მწვანეაფრიანი ნავის პატრონმა, დიდხანს ზომეს თვალით ერთიმეორეს შეპყრობილებმა და, ბოლოს, მათი შეხვედრა სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლით დასრულდა.

პირველად მეთევზის ქვემეხმა გადმოანთხია ფინთიხი.

მწვანეაფრიანმაც სროლით უპასუხა და ომობდნენ ისინი ასე დღისა და ღამის გაყრდება.

საბოლოოდ ჩაძირა მებადურმა მტრის ნავი, თუმცა თვითონაც კარგა გვარიანად დაზარალდა — მისი ანძა და აფრის ნახევარი ცეცხლმა შეინირა.

დაკარგა მეთევზის ნავა სისწრაფე.

ერთი კვირის შემდეგ ყვითელაფრიანი ნავი შემოხვდა.

ახლაც დიდხანს უთვალთვალეს ერთმანეთს მან და ყვითელაფრიანმა და, ბოლოს, დაიგრუხუნა მონინააღმ-დეგას ზარბაზანმა.

შუადღემდე იძრძოდნენ...

ჩაიძირა ყვითელაფრიანი.

მას კი თითქმის მთლიანად გადაებუგა იალქანიცა და ანძაც.

ძლიერდა ჩააქრო ხანძარი მებადურმა.

იძულებული გახდა, ტანისამოსი დაეფხრინა და აფრის სანაცვლოდ ანძაზე გადაეჭიმა.

მისი ნავი უკვე ძლიერ მიიწევდა.

მხარი ექცა მეთევზეს, არ იცოდა, რომელი მიმართულებით ეცურა.

რამდენიმე დღის მერე ამაყად და ლალად მოსრიალე ზღვისფერაფრიან ნავს ჰკიდა თვალი.

აქ უკვე ბევრი არ უფიქრია, მაშინათვე დააქუხა ქვემეხი.

მხოლოდ რამდენიმე საათს გაგრძელდა შეტაკება.

ჩაიძირა ზღვისფერაფრიანი ნავიც.

მეთევზეს ახლა კაცის სიმაღლეზე გადამსხვრეული ანძალა შემორჩა, სხვა ყველაფერი განადგურებულიყო.

წყალიც გათავებოდა.

უმნეოდ ირწეოდა ნავი ტალღებზე.

დადგა მაშინ ცოცხალ-მკვდარი მეთევზე შუა ნავში, როგორლაც მოახერხა და თოკით მიიბა თავი ანძაზე, ფართოდ გაშალა აცახცახებული ხელები, ჯერ უნდოდ ახედა ცას, მერე კი ჩახრინნული ხმით შესთხოვა ღმერთს:

— მე აფრა ვიქენბი, ღმერთო, და შენ კი ქარი იყავ! ნაფოტი ვიქენები მე და შენ — ზვირთი იყავ! ოღონდ ისე არ მოქელა, რომ ვერ ვიხილო ანგელოსხმიანი ქვეყანა!

... და მისდა გასაოცრად, აიფოფრა ზღვის აზნექილ-ჩაზნექილი ზედაპირი, ღმერთმა თუ ბუნების შეუცნობელმა ძალამ ადგილიდან დაძრა ნავი.

ნაშუადღევს გამოჩნდა მინა და მანაც მაშინვე გარკვევით გაიგონა ანგელოზის შეგიბისმომგვრელი ხმა.

მალე რომელიდაც ქალაქი გამოიკვეთა სანაპიროს მსუბუქ სიმწვანეში — აგურისაგან ნაგები და კირით შეთეთრებული კრამიტისასახურავიანი სახლები, ნაძვები, ევკალიპტები, ნაერისადგომი...

ანგელოზის ხმა ძლიერდებოდა...

განცვიფრებამ კაცს ფართოდ, ტკივილამდე გაახელი-ნა თვალები — იცნო ქალაქის შუაგულში მდგარი უზარმა-ზარსათაიანი თეთრი კოშკი...

სალამოჟამს, როცა დაისის სისხლი ჩამოელვენთა ცას, ნაპირთან მყოფმა გაგუმელებმა ცალ მხარეს გადაფერდებული, თითქმის გადაბუგული და გვერდებამჭვარტლული ნავი იხილეს, რომლის ანძის გადაამსხვრევზე ვიღაც უცხო, შიშველი და ნაწამები კაცის უსიცოცხლო სხეული იყო გაკრული.

## მუსიკა

ერთხელ, ბავშვობაში, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ ორიოდე ალიონით ვარ დაშორებული და რომელიც დღენიადაგ მახსენებს ხოლმე თავს, რუსეთში მცხოვრებ ბიძას ვესტუმრე.

იქაურობის მოგონებისას უპირველესად ალვის ხეების უმსუბუქესი ყვავილები მახსენდება, რომელთაც გარშე-მო უხვად ფანტავდა ივნისის ჯერ კიდევ სიგრილეგამჯ-დარი ხიავი და არც თუ ისე იძვიათად ღია ფანჯარაშიც შემოაფარფატებდა.

უთავბოლო პროსპექტის გასწვრივ ჩანკაპულ გოლია-თურ და ტყუპისცალივით ერთმანეთს დამსაგასებულ სახლებში, რომელთაც, ერთი შეხედვით, თითქმის არაფე-რი საერთო არ ჰქონდათ არც იმ ქალაქსა და არც იქ მცხოვრებ ადამიანებთან, ჩემთვის, ზღვისპირელი ბიჭი-სათვის, უცხო მოწყენა სუფევდა.

ქალაქის მოსაბეზრებელ გუგუნს, ძალზე ხშირად მო-ქუფრულ ცას, საოცრად განელილ, თითქმის დაუღამე-ბელ დღეებს მხოლოდ ალვის ხეთა ყვავილების ფრიალ-ფრიალი ასხვაფერებდა...

... და კიდევ მუსიკა.

ბიძაჩემის სახლის მახლობლად მდგარი შენობის მეცხრე სართულის განაპირო ფანჯრიდან მთელი დღე ვიოლინოს ხმა მოისმოდა. ხალისიანი და თან ოდნავ ნაღვლიანი მუსიკა თვალით უხილავ, ნახევრად ზღაპრულ და ნახევრად სიზმ-რისეულ არსებასავით იპყრობდა გარემოს და განა მარტო მე ან ქალაქს, მთელ უკიდეგანო სამყაროს ესაუბრებოდა. მწვანე, გაუმჭვირვალე ფარდის მიღმა მუსიკოსი არ ჩანდა, მაგრამ რატომდაც დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ახალ-გაზრდა უნდა ყოფილიყო. არა, ნამდვილად არ შეეძლო სხვას ასე თამმად და ლალად, მგზნებარედ დაეკრა. ვფიქ-რობ, მევიოლინე კონსერვაცორის სტუდენტი იყო...

ხელმეორედ მხოლოდ ათიოდე ნლის შემდეგ ვენვიე ბიძაჩემს.

ზაფხული კარს იყო მომდგარი.

იგივე პროსპექტი, სახლები, აყვავებული ალვები...

ბიძაჩემის ბინაში იდესალაც ჩემს მიერ სოხუმიდან ჩა-მოტანილი პალმა დამხვდა. ძლიერ ვიცანი ხე — ვეება გამ-ხდარიყო, გაბარჯელული რტოები ჭერისოვის მიებჯინა, უზარმაზარი ფოთლები გაშლილი ხელისგულივით შეეგ-ბებინა სარკმლიდან ბლანტი სინათლისათვის და ერთია-ნად მინას აკვროდა.

ვერ ეტეოდა პალმა ოთახში.

რალაც ჩამწყდა გულში.

ამ დროს ქალაქის მოგუდულ გნიასს გამოეყო და მოუ-ლოდნელად პალმის ფოთლებს შორის დარჩენილი არეე-ბიდან ოთახში ვიოლინოს ხმა შემოიპარა.

საჩქაროდ გავალე აივნის კარი და გარეთ გავედი.

მუსიკა მეზობელი სახლის მეცხრე სართულის განაპი-რო გამოხუნებული და გაუმჭვირვალეფარდიანი ფანჯრი-დან იღვრებოდა.

დაბატუმიდან უკრავდა მუსიკოსი, თითქმის თითები უკან-კალებს და ხემს ვერ იმირჩილებსო. დაბატუმებდა დაკვრას და ორიოდე წუთში შეწყვეტდა, კვლავ დაწყებდა და შეწყვეტდა.

ნაბატუსევი კაცივით ბორძიკობდა მუსიკა, რაღაცის თქმას ლამობდა თითქმის, მაგრამ ვერაფრით გამოეთქვა.

შემდეგ რამდენიმე საათი მდუმარებდა ფანჯარა.

სალამოჟამს იგივე განმეორდა.

ჩემი ბავშვობის მევიოლინე სამგლოვიარო მელოდიას ამუშავებდა, სწორედ ისეთს, რომელსაც პანშვიდებზე უკ-რავენ დაქირავებული, ხშირად გალოოთებული მუსიკოსები.

ზვიად კვარაცხელია

## პეპოს ნიმუში

— ჩემთან ერთად ეს პერანგიც გაიცრიცა, შვილო, ჩემი გულივით ამასაც დააწყდა ძაფები...

მოგუდულად ჭრიალებს კარადის კარი, საკეტმოშლილი და მორჩვეული. მოხუცი თრთოლვით გადმოიღებს ძველი ზენრების წყებაში ჩამალულ ნაკეცს, სინათლეზე გამოიტანს — გადმოფენს მაგიდაზე.

— გაწვალდა... გაილია, გამჩენის მადლს ვენაცვალე...

ბოლო წლებია, ჩამიჩუმი ალარ ისმის თინიას ეზოდან. ადრე სანატრელი იყო სიჩუმე, შუქიც დღედალამ ენთო, სტუმარიც მოდიოდა და მოდიოდა. ახლა ჩაკვდა და ჩაიფერფლა ეს სახლ-კარი, როგორც სოფლის შარავზა ზაფხულის არდადეგების შემდგომ.

— მთელი ცხოვრება კაბრძოდი, რომ პენსიის იმედად არ ვყოფილიყავ. ზოგი ნანატრი და დაუმადლებელი სიბერისთვის შრომობს... მე არა! ჩემი ნატვრაც და სიცოცხლეც შვილის სხეულში გამოვახვი. გიში დედობა პროფესიაა, შვილო...

ძაძისა და ძველი პერანგის სუნი დადგა ოთახში.

— როგორ დავჩარჩანა და, ნივთებს და სიჩუმეს ვეწყობი მხოლოდ, მათთან საუბარი მიადვილდება. იოლად მიგებენ, არ მეცასუხებიან და მეც დილიდან საღამომდე გაუთავებლად ვეჩურჩულები ჩემი წუთისოფლის სევდიან ამბავს...

— ამბობენ, ქარიშხლიანი ცხოვრება ჰქონდათ.

— მე შეცდომიანს დავარქმევდი, სხვები არ ვიცი, რას ლაპარაკობენ. სიმართლე ვითხრა, აღარც მაინტერესებს! შეცდომაში იხვეწება ადამიანი, ქალი მითუმეტეს. ჩადენილის გამო სინანული სჯობს ჩაუდენელი ცოდვების მოლოდინს. მე კიდე არასდროს არაფრისთვის მიცდა!

— თინია ბებო, ცოტათი მეუხერხულება, პირველად ვარ აქ. იცით, რაღაცნაირი იდუმალებით მიყვებოდნენ თქვენზე, თითქმის დამარწმუნებს, რომ...

— სწორადაც დაგარწმუნებს, შეიღო, ღლონდ ქაჯი და კაციჭამია კი არა, ერთი საცოდავი დეაბერი ვარ და მეტი არაფრი. ამ სახლს და შვილის პერანგს ვდარაჯობ. ეს არის ჩემთვის უკვდავების წყაროც, ოქროს სანმისიც და ნმინდა ნერილიც, რომელსაც არ ეღალატება.

— შეიძლება გული გატკინოთ და გაწყენინოთ, მაგრამ მაინც მინდოდა მეტითხა...

— რატომ ვინახავ და ვუფრთხილდები ამ ვაცრეცილ პერანგს...

— დიახ.

— ჩემი შვილის დაღუპვის შემდეგ, კლასის დამრიგებელმა, მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესანიშნავად მცოდნებ, საშინაო დავალება მისცა ბავშვებს — ორი სიტყვით გაეხსენებინათ ცოტნე — მოეთხოთ საერთო მოვონებები, ან უბრალოდ ეთქვათ რაიმე, ღლონდ გულწრფელად...

ყველამ რაღაც გაიხსენა.

ბოლო ზარზე, სკოლის ეზოში, ჩემი შვილის თეთრი პერანგიც გამოფინეს.

პერანგი ნარნერებით იყო გადავსებული — ნაწყვეტებით საშინაო დავალების ტექსტიდან...

### ლაპა

პირველი კლასიდან ვიცნობდი. ღლინიერი და დამრტყმელი ბიჭი იყო, თავს არავის დააჩაგვ-რინებდა, არც სხვისი დაჩაგვრის ნებას მისცემდა ვინმეს. გული ერჩიოდა და ძალაც მოსდგამდა, ოლონდ ნამეტანი ფიცხი და თავისებული იყო. არაფერს გეტყოდა, არ ჩაგახედებდა თავის სამყაროში, ამიტომ მასთან შეში კი არა, უფრო სიფრთხილე მაკავშირებდა. ფრთხილად ვმეგობრობდი — არც იქით, არც აქეთ. ყოველ სიტყვას ვწონიდი მასთან ყოფნის დროს და დაძაბულობის მარწუხი სადაც მექაჩებოდა სულ, მანვალებდა...



### ნატა

არასდროს მჯეროდა, რომ შენისთანებს ჩემისთანების შეყვარება შეუძლიათ. შენი წერილები, ყვავილები, დიდი თვალების შემონათება აღარ მიმაჩნდა საჩემოდ, იმდენ ვინმეს აფირისაებდი და უშფოთებდი გულს. მერე ვილაცამ მითხრა, დაქალმა მგონი, ასე და ისეო, და მეც არ დავუჯერე. ქალებს ჩვევიათ ოცნებებში ცხოვრება, მაგრამ ცხვირნინ მოარულ, ახდენილ ოცნებებს ვერ ამჩნევენ. არადა, თვალის გახელა უნდა მხოლოდ...

### ვასიკო

ბოლმამ და სირცხვილმა ერთდროულად ამასხა სახეზე. გაშვებულ გოლს არ ვანიბდი, მაგრამ ხვალ დილიდან (დღესვე თუ არა) მთელ სკოლას ეცოდინებოდა, რომ წლის საუკეთესო მეცარემ „დირკა“ ჰამა. გაკვირვებული და გახარებული სიფათები ნარმოვიდგინე და გწყველე, რაც შემეტლო. მძულდი, მეზიზლებოდი, ვერ გიტანდი და სულ ფეხებზე მეკიდა, რომ ასეთი საქციულები არაკაიიბიჭურია. ოლონდ გეცოცხლა და, მამას ვფიცავარ, ყველაფერს გაპატიებდი...

### სანდრო

პირველი ფიზ-რა ვეჭინდა. შენ სულ კაიფობდი, „ფიზიკური კულტურა“ სათქმელადაც ამხელა ენერგიას მოითხოვს, ისე კი ბურთის ერთი გაგორებააო, მარტივი, მშვიდი, აუდელვებელი გაგორება. ეგ სიმშვიდე აღარ ვმოგივიდა, მმარ, თორემ დანარჩენში ხუთიანს იმსახურებ ჩემგან, სწორედ იმ დიდ, უშველებელ, ვეებერთელა ხუთიანს.

### ლიკა

მახსოვს, „ლტოლვილოო“, — დამიძახე. გულზე მომხვდა. ისე მეწყინა, გაჩერებას არც ვაპირებდი. „ჩვენ ყველანი ლტოლვილები და გამოქცეულები ვართ იმ კუთხიდან ამ ქვეყანაში“ — გალიმება იცოდი უჩვეულო, უცნაური.

„თავს ნუ იმართლებ, უკვე მაწყენინე-მეთქი“, — გავჯი-  
უტდი. ეტყობა, ძალიან შემეტყო გაბრაზება. დიდხანს ვია-  
რეთ უხმოდ, გაბუსეულებმა. ჭიშკარს ისე მივადექი,  
აღარც გამიხედია შენკენ. იდექი და ჩურჩული მესმოდა  
მხოლოდ...

### მირანდა

ატირებული შემოვარდა ლიკა, ზლუქუნებდა, ხავერ-  
დის ნაჭერზე იმშრალებდა ცრემლს. რა დაგემართა-მეთ-  
ქი. დიდხანს ხმა ვერ ამოილო, დამუნჯებულივით იყურე-  
ბოდა. ფანჯარაში გაიხედეო, — ეს მითხრა მხოლოდ.  
ფარდა გადავწიე და ახლომახლო მოვავლე თვალი, თუმცა  
არავინ იდგა გარეთ. ნასულაა, — ლიკამ, — ცოტნე იყო,  
აქამდე მომაცილა და... სიყვარული ამისნაა. როგორ-  
მეთქი, — გავცოფდი, შევიშალე კინალამ, არ ვიცოდი, რა  
მექნა...

### ლევიკო

ამ გოგოებს ხომ თეთრი შავად ელანდებათ და ბუზი  
სპილოდ. მთელ სკოლას მოსდეს: ცოტნეს ლიკა ჰყვარებია  
და ამას გვიმალავდნენო. ისეთი არაფერი, კაცო! უბრა-  
ლოდ, ლექსი წაუკითხავს — „ვშორდებით, ყოველ წუთას  
ვშორდებით...“ და ამაზე ატყდა ერთი ამბავი. რახან კლას-  
გარეშე წიგნებს კითხულობს, გენისი გონიათ ბიჭი... ეგო-  
ნოთ... ანდა გოგოს განითლებას რა უნდა?!

### თორნიკე

გამოქანებაც ეგ იყო, მაგრამ მაშინვე ავუდე „აბარო-  
ტი“ — ისეთი ვძნელებული ჟამი, ჩაიკეცა და ტირილი დაინყო.  
მტერი ხომ არ ვიყავი, მივედი და წამოვაყენე. არ გაპატიე-  
ბო, — სასაცილოდ დამეტუქრა. ვმეგობრობდით მას მერე,  
ბევრჯერ გვიჩჩება ერთად. თქვენ წარმოიდგინეთ, ქალის  
გულისტვისაც კი. თავშენირვასავით იცოდა ჩეუბი, თით-  
ქოს ომში გადიოდა, თან უკანასკნელად. გავიდა და ეგაა...

### გოგიტა

საჭირო ოთახში ვიყავი, ხველებით რომ შემოვიდა,  
მიღდა კუთხეში და მიწყნარდა ხმაურიც. ველოდები რა იქ-  
ნება — თავი მოვიმკვდარუნე ასე ვთქვათ. სიჩუმე აუტან-  
ლად გაინელა, საუკუნეს დაემგვანა და უცებ დაირღვა:  
„რა დაგიშავეთ, ხალხო?“ — სასონარკეთილების განსა-  
სიერება იდგა ჩემს წინ, ცალკე სიმწრისგან და იქით —  
ტკივილისაგან ეხეთქებოდა ყრუ კედელს, დამალულ  
ცრემლით, გაუმხელელი საიდუმლოთ, რომელიც ლიფ-  
ტის ხურდასავით და ავტობუსის ბილეთივით საგულდა-  
გულოდ შეენახა უბეში.

— გადმოაბრუნე, შვილო... მეორე მხარეს უფრო გარკ-  
ვევით იკითხება, ალაგ-ალაგ ფლომასტერუბიც გაურევი-  
ათ... რატომ ვარ ცოცხალი...

პასუხაც არაფერი მაგონდება. ისევ ბებო:

— ხანდახან მგონია, რომ სხვა სჩადის ჩემს საქციელს,  
სხვა გარბის ამ ცხოვრებიდან და შემორბის ხელახლა და  
გაუთავებლად, რომ გულის აირწინალში ჩატუმბოს ცოდ-  
ვილი ჰაერი, რადგან ცოდვის ქვეყანაში უამპაეროდ გაძ-  
ლება ისეთივე ძნელია, როგორც პირჯვარი, როცა მარჯ-  
ვენა ხელი არა გაქვს.

### სალომე

დედიკოს ბიჭი არასდროს ყოფილა. თუ სიმართლე გინ-  
დათ, შვილიშვილად უფრო ეკუთვნოდა საწყალ თინიას. ზოგ-  
ჯერ ბებოსაც ეძახდა ხუმრობით. ყველამ ვიცოდით, აყვანილი  
რომ იყო, ამიტომ კიდეც გვეშინოდა და კადეც გვეცოდებოდა.  
სახელს ამართლებდა რაღაცნაირად — ერთგული და თავგან-  
წირული იყო, თუმცა როგორც ძმაკაცები ამბობდენ, გულწ-  
ვილობასაც ავლენდა რიგ შემთხვევებში. ერთხელ ვერ მოვით-  
მინე და გვითხე: „გოგოს გამო თუ გიტირია-მეთქი?“ არაფერი  
უთქვამს, მაგრამ მივხვდი — თვალებით მიდასტურებდა.

### ზურა

ჩემზე წინ იჯდა, დამამთავრებელ კლასში. ტოტალიზა-  
ტორმა დაგვაძმაკაცა. ხშირად იჩითებოდა მანდ. დიდ ფულს  
არ დებდა, მაგრამ ბევრჯერ მოუგა. ვირტუოზიერ აწყობ-  
და კომბინაციებს, რამდენიმე გუნდს ერთმანეთზე გადაა-  
ბამდა, თავისი „სტრახოვებით“ და... უმართლებდა მოკ-  
ლედ. ზოგჯერ ჩამოვჯდებოდით, თამაშს ვუყურებდით, ვე-  
წეოდით. სულ რაღაცას ინიშნავდა ქალალდზე, მერე კუჭავ-  
და და ყრიდა... ერთხელ ვიღაცამ დაუძახა გარედან. როცა  
გავიდა, დაჭმუქნული ბილეთი დავითორიე და ჩავხედე ჩუმად.  
გაკურული ხელით ეწერა: სიყვარული — სიძულვილი 1X.

### მამა საბა

აღელვებული მომეჩვენა. „ამდენ რამეს რომ გამოვედე  
და გამოვეკიდე, მადლსა და შემწეობას ვითხოვ, მამაო,  
უფლისგან, რადგან, დღეს თუ ხვალ, მეც მტკრად ქცევა არ  
ამცდება და თუ ზეციდან არ ვიგრძენი სითბო, მინაზე  
დალვენთილს ვინ მიპატრონებსო...“ — ალალი და გულნრ-  
ფელი თვალებით შემომჩიოდა, მე კი მეგონა, „ჯესუს ქრა-  
ისთ სუპერსტარის“ მოსანანიებლად იყო მოსული.

### კუსა

ის დღე საშინლად დაიწყო. ჯერ იყო, გვიან მივედით  
გაკეთილზე და ქიმამ დერეფანში გამოგვყარა ყველანი.  
სიგარეტს გააბოლებდა კაცი, მაგრამ მოთმენა და ნათელი  
მომავალი ვარჩიეთ მათხოვრობას, ვიღაცის დანაყვედრებ  
ორ ლერ ფილტრიანს. „ბაყაყი ხო არ არის, ჯიბიდან ამო-  
გიხტეს, ან როიალი, ჯიბეში არ ჩაგეტიოსო?!“ — ამათი  
ატანა არ გინდოდა?! ქალაქისკენ ვაპირებდით, როცა ნი-  
კუშა მოვარდა აფორიაქებული...

### ნიკუშა

ჩემი და მოიტაცეს! ქუჩის თავში დახვედრილან ახვრე-  
ბი, ძალით შეუტენიათ მანქანაში და მარცხნივ დააწვნენო,  
ქალებმა მითხრეს. მაგათი ამშავი ხომ ვიცი, სადმე სო-  
ფელში აიყვანენ, უკაცრიელ ადგილას და დიდ გულზე იქ-  
ნებიან მერე. მშობლები შემეცოდა და, რაც პირველი ვაზ-  
რე, სკოლაში მიყვარი-მეთქი. ბიჭები დამხვდებიან, ეგბ-  
რამეთი დამეხმარონ-მეთქი...

### დაჩი

რა ცოტა ყოფნის — სიხარულიც და მწუხარებაც — ვი-  
საც სული უდგია. წუხელ ჩემს გოგოსთან ვაბუქნავე მთე-  
ლი ლამე, ზღაპარი იყო! დილით კიდე, ვინ გაცადა, ცოტნებ  
მომაყენა ბიჭები, თაკო მოუტაციათ და მანქანა გამოიყვა-  
ნეო. როგორ გინდა ამ ხალხს გააგებინო, რომ მამაჩემის

გადამეოდე, „პატიხონკუ“ ვაკეთებ რალაცებს, ისიც ათასში ერთხელ... გაბაზრება არ მინდა, თორე ამათ ვაწუწუნებდი?! მოკლედ, დავადექით კვალზე...

#### ირაჩო

ორი „ძევიატკა“ გავამზადეთ სანადიროდ... რა დიდი მიხედრა უნდა, ვინ მოიტაცებდა. ადრეც მინახავს ის ნაგლი პარაზი. არასრულნლოვნებმი ახეხინეს სამი წელი, ვითომ გამოსწორდებაო, მაგრამ უარესი გამოვიდა. „უნდა გამელა-ხა, გუშინნინ ეზოში იჯდა გაბლენძილი, დირექტორი-ვითო“ — გაცეცხლებულია ცოტნე, ძლიერ ვამაგრებთ. წინ წამოგვისუპდა — მაგას ვინ დაასწრებს წინ დაჯდომას?! „ვიცოდი მე ეგ, ვიცოდი ეგ შორით ტრიფი როგორც დამთავრდებოდა“ — ისე გვიყურებს, თითქოს ჩვენ მოგვეტაცოს ის გოგო. „რა გააჭირე, დავენევით და დავაწეროთ“ — იმედიანადა დაჩი. ასფალტი მორჩა და ხრეშიან გზაზე აცეკვდა მანქანა.

#### გუგა

არ მთავრდებოდა აღ-მართები, ატალახებულ გზაზე უჭირდა „დევიატკას“, წამდაუწუმ სრიალებდა, ბუქსაობდა, იჭინთებოდა ორსული ქალივით. „აქ ამოსვლა იყითხე, თაკო თუ მაგ ვიგინდარას გაყვა!“ — ახითხითდა დაჩი. ცოტნემ შეუბლვირა, სერიოზული დაედო სახეზე. „წინ იყურე, ბიჭო!“ — ჩამქრალ ბიჩოეს მოუკიდა და ფანჯარა ჩაწია ბოლომდე. ერთი ნავსიანი მოსახვევი გვაკლდა და დაიწყებოდა დამრეცები...

#### თეუზნა

ხმაურის მეტი რა გამიგონია, ხმას და ხმაურს ვიყავით სულ მიყურადებული — დირექტორი, სასწავლო წაწილი, დამრიგებელი — თვალდახუჭული ვარჩევდი მათი ფეხ-საცმლების ხმას, მაგრამ ასეთი უცნაური, ასე მოულოდნელი არაფერი გამეგონა. შეშინდნენ ბიჭები. ერთმა ისიც თქვა, მიწისძვრა ხო არ იყო. რალაცით კი გავდა მიწისძვრას! გავიხედ-გამოვიხედე. მთები იწვენენ გარშემო, დღენიადაგ მოლუშულნი, როგორც ჩვენი დაწყებითის მასწავლებელი, სულ რალაცით უკმაყოფილო. მთებს ბილიკები გასდიოდა წაწილ-წაწილ, თითო-თითოდ, პაწია ქუჩები, ქუჩა კი არა და — ჩიხები; სადღაც იკარგებოდნენ ხვეულები, მთის ძირში თუ მთის მწვერვალზე; სახლებს ამაყადეჭირათ თავი. რატომაც არა — უკვე გადასულიყო ზამთ-

რის სუსხი და მეწყრის შიში. ბოლო თვეში იყო, სულს და-ფავდა გაზაფხულიც. ხეები შეფოთლილყვნენ, ნაწიმარზე ბალახი ბზინავდა. ნისლიც გაეპარებინათ, როგორც უდროო სტუმარი, რომელსაც მასპინძლის ნაცვლად მასპინძლის მეზობლები დახვდნენ, ხელცარიელი და უპურმარილო... ყველგან მოვავლე თვალი. ვხედავ, აჩიკო მეჩურჩულება გაბზარული ხმით: „იქ, დალმართთან, მგონი, რაღაცაა!“

#### აჩიკო

მანქანა გულალმა ეგდო ტალახში. მზე აცხუნებდა და ზაგარზე გამოსული ქალივით, სხივებს ისრუტავდა მინაც, მანქანაც, ტალახიც... გულალმა ეყარნენ ბიჭებიც. დაჩი ტკივილისგან მოკრუჩხულიყო, ფეხებს ასავსავებდა ჰაერში, ხმალდა ითხოვდა შველას. „წყალი, წყალიო“ — ჩალურჯებულიყო ირაჩო, ბოდავდა რალაცებს, თითქოს უკანასკნელ წამებს ითვლიდა მოწყვეტილი თითებით, რომლებიც უნუგეშოდ და უანგარიშოდ ცახცახებდნენ თავისთვის. გუგა მჭევრ-მეტყველებდა, როგორც არსად და არასდროს: „ბეჭი ჩამელენა და უკანასკნელი ღამე მივდრიკე აღსასრულისკენ. გულით მჯერა, რომ ხვალ დილიდან არ ვიქნები აქამბას. ყველა საყვე-დური, შური და დამცინავი თვალები მიპატიებია თქევნ-თვის, რაც აქამდე ვიგრძენი და შევამჩნიე. რაც გამომრჩა — ისიც, უბრალოდ, ამ

#### მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ორომტრიალში ვერ მოვიცალე, ყველასთვის მეგდო ყური, ძმაკაცების ხოშები მეცხოვერა და ჩემი წაბიჯები ვიღაცებ-თან მეთანხმებინაო. წუწუნი რა მოსატანია — ახალი დღის მოლოდინი მაშინებს მხოლოდ. იმედიც მაძლებინებს, იქნებ ის ჩემი ცოდვით სავსე მფარველი ანგელოზი მოვიმადლიერო და თუნდაც ერთი სამუშაო დღით გამიხანგრძლივოს წუთისოფელიო“. ცოტნეს დავხედე — ჩამქრალი ჰქონდა თვალები...

#### თაკო

„დაბადებასაც თავისი კანონები აქვს, თავისი წესი. დაბადებაც, როგორც სიკვდილი, არავის ეკითხება და არც არავის უთანხმებს მოსვლას. ოდონდ სიცარიელეს კი არ ტოვებს სიკვდილივით, აქებს ყველა ღრიჭოს და ჭუჭრუტანას, სადაც უკუნეთია“ — ვიღაცის წათქვამს ჰკაგს, მაგრამ მე მჯერა, რომ ეს მისია, მხოლოდ მისი — ცოტნეს უკანასკნელი ჩანაწერი ჩემს დღიურში.

## სიტყვის სათავე

საიდან მოდის ნიჭიერება?

პასუხაუცემელ კითხვათა მწკრივიდანაა. ზუსტად იგივე შინარსი აქვს, რაც მის პოეტურ ვარიაციას: საიდან მოდის სილამაზე?

ეს ორი სიტყვაც: სილამაზე და ნიჭიერება, თანბარი განცდით მეტყორფასება, როცა ზვიად კვარაცხელიაზე ვფიქრობ, მის ნოველებს, მის წიგნს ვკითხულობ.

ზოგადად, შემოქმედი ხომ უზიროდ წარმოუდგენელია, მაგრამ როცა ის ასე სახიერად გეცხადება, ასე უზვად და მაღლიანად, ძალიან ბუნებრივად ჩნდება შემივე სილამაზის განცდა, — ეს ყოვლად ყოფიერი(ც) და ფილოსოფიური(ც) ზეიმ დედმინაზე!..

ჩემი პირველი შთაგეზდილება ზვიად კვარაცხელიას კრებულს — „ჰა“—ს — უკავშირდება, რომელიც რამდენიმე ნოველას აერთინებს. პირველი, რამაც მომზუსხა — ენა იყო, მწერლის ენა, სრულიად განსაკუთრებული, თავისთავადი, თითქოს კოლხური მელოდიის სიტყვიერი ანაბეჭდი, თითქოს, ამბავს კი არ მოგითხოვს ვინმე, არამედ გელილინება... და ისე შეყვახარ ამ ენაში, ქართულ ენაში, ანბანში, როგორც ბავშვების საძინებელ ოთახში — ფეხაკრეფით რომ მოგატაროს და შენთან ერთად თვითონაც განიცადოს მისი საიდუმლო.

მთელი ეს კრებული ამ „ანბანური თრთოლვითა“ გაჯერებული, ამ წესრიგს კი პირველი სიყვარულის სურნელი ახლავს.

აბა, როგორ გინდა, წიგნმა ასეთი განცდები აგიშალოს, ამ საღერღელით თავი წაგაკითხოს და სამუდამოდ მძაფრად არ ჩაგრჩეს მისი შთაგეზდილებაც.

„ბებოს წმინდა წერილმა“ ზვიად კვარაცხელიას ახალი შესაძლებლობებიც დამანახა. ფორმის, სიუჟეტური ქარგის,

თხრობის დეკონსტრუქციის წარმატებული მცდელობა. ერთი ამბის ბევრი პერსონაჟის მიერ სხვადასხვაგვარად თხრობა წაცადი და მშვენიერი ხერხია მწერლობაში, მაგრამ ის, რაც ზვიადის ნოველაში ხდება, ვფიქრობ, კიდევ უფრო მომსიბვლელია თავისი სიცინცხალით, სისხარტით.

ეს სისხარტე კი — მეტაფორაა. ზოგადად, ზვიად კვარაცხელიას პროგნოს მუდამ ახლავს პოეტური ელფერი, ხშირად ის აზროვნებს კიდეც, როგორც პოეტი. ამ შემთხვევაშიც, მთელი ნოველა სწორედ მეტაფორაა წმინდა წერილისა. ამ ღრმა და მრავალმხრივი სიმბოლოს ძალიან ადამიანური, მშობლიური ანაბეჭდი — შვილის სკოლის პერანგზე, მისი თანაცლასელების მიერ დაწერილი მისი ცხოვრების შტრიხები... ამ პერანგს კი დედა ინახავს (დედა, თუ ბებია, თუ სულაც — დედობილი, რადგან ერთი პერსონაური მის ნაშვილებობაზეც ლაპარაკობს), და ალბათ ყოველდღე, სახარებასავით კითხულობს. თავისი სახარებასავით. ამით უკავშირდება ცხოვრებას. ალბათ ამით ეხარება სიკედილიც.

ეს ნაშვილებობაც, ანუ არა-ნამდვილი დედის თემა, ძალიან საინტერესო პასაურია ნოველაში. იგი კიდევ უფრო ამძაფრებს ზოგადად დედის, მშობლის შინაარსს. ამ შინაარსში კი, ალარ აქვს მნიშვნელობა, შვილი საკუთარია თუ არა, დედა — აქ უკვე დიდი დედის სიმბოლოა, მშობლიური სიყვარულის მთხრობელი, სანუკარი რელიეფიაც — წარწერებიანი პერანგი, მისი შინაგანი დიალოგია დანარჩენ სამყაროსთან.

და სიცოცხლეც მანამ იქნება, ვიდრე გაუსაძლის ტკივილებშიც ადამიანებს ექნებათ თავიანთი წმინდა წერილი.

ვიდრე წიჭიერებას და სილამაზეს საერთო სათავე ექნება. ყველაფერი კი ისედაც სიტყვიდან იწყება.

## 6060 სადღოპელაშვილი


### პოეტის ერთი ლექსი

#### შოთა ბოსტანაშვილი

#### გაოცებული (გ)ცნებები

ანუ მედიუმები და პარიერები (ბანი / ბარაბანის თანხლებით)

- |   |                           |
|---|---------------------------|
| 1. ცაცაა, ცასა და ჩემს შორის...                               |                           |
| 2. შინა მიწაა, მიწასა და ჩემს შორის...                        |                           |
| 3. წამი წამია, წამსა და ჩემს შორის...                         |                           |
| 4. მზე მზეა, მზესა და ჩემს შორის...                           |                           |
| 5. მთვარე მთვარეა, მთვარესა და ჩემს შორის...                  |                           |
| 6. ვარსკვლავები ვარსკვლავებია, ვარსკვლავებსა და ჩემს შორის... |                           |
| 7. ზღვა ზღვაა, ზღვასა და ჩემს შორის...                        | დაჩემდორის...             |
| 8. მთა მთაა, მთასა და ჩემს შორის...                           | დაჩემდორის...             |
| 9. ტყე ტყეა, ტყესა და ჩემს შორის...                           | დაჩემდორის...             |
| 10. ხალხი ხალხია, ხალხსა და ჩემს შორის...                     | დაჩემდორის...             |
| 11. ღობე ღობეა, ღობესა და ჩემს შორის...                       | დაჩემდორის...             |
| 12. ორმო ორმოა, ორმოსა და ჩემს შორის...                       | დაჩემდორის...             |
| 13. კედელი კედელია, კედელსა და ჩემს შორის...                  | დაჩემდორის...             |
| 14. კიბე კიბეა, კიბესა და ჩემს შორის...                       | დაჩემდორის...             |
| 15. ჩარჩო ჩარჩოა, ჩარჩოსა და ჩემს შორის...                    | დაჩემდორის...             |
| 16. იმედი იმედია, იმედსა და ჩემს შორის...                     | დაჩემდორის...             |
| 17. მამული მამულია, მამულსა და ჩემს შორის...                  | დაჩემდორის...             |
| 18. რწმენა რწმენაა, რწმენასა და ჩემს შორის...                 | დაჩემდორის...             |
| 19. ენა ენაა, ენასა და ჩემს შორის...                          | დაჩემდორის...             |
| 20. ჩემი ჩემია, ჩემსა და ჩემს შორის...                        | დაჩემდორის, დაჩემდორის... |



18.04.10.



პოეზია და პროზა სიცოცხლის ვწებიან ნაკადს რომ ამოჰყვება, უსისხლო თამაშობებით ქმნის ტომეულებს, დიდი სინამდვილის წინაშე არავითარ ღირებულებას რომ არ ნარმოადგენენ.

ეს ზედაპირზე დაფენილი მტვერია, რომელიც წამი-წამობით იცვლის სახეს, რათა ხილულ საგნობრიობათა მოჩვენებითობა აჩინოს.

ამ ვწებით ნაკადს გამოქცეული, დაფენილი მტვერი მოთხოვნის წინაშე – ერთ წერტილში, ხელისგულზე დაფენილი მეხილა სიცოცხლე, ოცნებას ცხოვრებიდან, მატირანიზებელი რეალობიდან რომ ამორჩნავდა.

მუდმივ მზადყოფნა – ათასი გზებით, განუსხვავებელი ერთგვაროვნებით რომ აკვირდება მდინარეს თუ წემპეს, მზეს თუ გვამს, ვარსკვლავს თუ მეჭქეს... მსოფლიოს მრავალფეროვნებას წამის მეათედში რომ მიმოიხილავს, რათა შემდგომ გარდაისახოს ერთ აზრად, ერთ მჭვირვალე ცრემლად, ერთ მარცვლად.

ზოგს გულწრფელად ჭერნა, რომ თუ სული ერთხელაც უსასრულობის გზას შესდგომია, გამყარებულ საგნობრიობათა მსგავსად არ იცვლება და ერთი და იგივე რიტმის ინარჩუნებს.

თუმც რიტმი და სუნთქვა, ეს უარსებითესი ნანილი სულის გამოსახებისა ერთდაიგივეობას უნდა ინარჩუნებდეს, მაგრამ სული ხომ მუდამყამს უსასრულო გზებზე და აძლებინებს შენს ფრინველს ცაში.

და თუ მაინც ამომწურავად შევეცდებოდი წერის სირთულის ახსნას, გავიხსენებდი უილიამ ფოლკნერის ნათქვამს:  
– როგორ მინდა სათქმელი ქინძისთავზე მოვათავსომ.

### ჟაკლინ სირაძე

#### შემოქმედება

(გარდაცვლილი ვდგებით და  
ვცდილობთ მივბაძოთ სიცოცხლეს)

ბუნება გვიმალავს სამყაროს იდუმალებას  
და როცა ამლერებული კოსმოსი  
სულში ჩაგვესახება,  
როცა ვარსკვლავთ ცივი და შორეული  
მუსიკა ხმიანობს გულში

სხეული ჩვენი  
სხეული ჩვენი  
ვით მჭერარი ფოთოლი ვერ ირხევა.  
ჭკნობაშეპარული სიცოცხლე იფერფლება  
და ჰქრება.

გარდაცვლილი ვდგებით,  
და ვცდილობთ მივბაძოთ სიცოცხლეს.

#### იღუმალი რე

აღარაფერს, აღარაფერს ძალუძს შენს სულს შეეხოს,  
აღარაფერს შეუძლია შენი დამხობა,  
აღარაფერს შესწევს შენი უარყოფა,  
უკუქცევით,  
უკუქცევით, რომ არ გამთლიანდე.

და ეს ჩაკეტილ წრე-ბრუნვაში ტრიალს მოაგავს,  
იმ წრეში ტრიალს, რითაც შემოიწერა  
იღუმალებით შებურვილი შენი მე-ობა.

#### შესენება – ეს ვარსებობა

რაც უფრო მარტოვდები,  
მით უფრო ღრმავდები შენს თავში  
და მით უფრო იზრდება ხმა შენში.

და რა ძალუმად ცნობ სიცოცხლის ძალას –  
შეეხო სამყაროს, შეეხო ადამიანებს  
და შეახსენო, რომ შენ არსებობ.

#### დაბადება

ისევ იქ ბრუნდები  
საიდანაც დაინყე გზა.  
ისევ წყვდიადში ვარდები,  
ვით თესლი მინის სილრმები.  
არ იცი, რად იხარებ  
და ამიტომაც ღვივდები.

#### მფარველი ანგელოზი

ძილქუში მიპყრობს...  
ასე ვვარდები დაგინყებაში,  
ასე მფარველობს ჩემი ანგელოზი  
და ტკივილს აძინებს.

#### გამოუთხმელი სული

რა შეიძლება შეესიტყვოს ჩემს სევდას,  
ცრემლებით სავსე სულს,  
სადღაც მდინარესავით, რომ მიედინება  
და არსად თავდება.

## სამყაროს საგათოა შეცნობა

ქარიშხალი დაჰქრის...  
აწყდება სახლების კედლებს,  
ბოროტი ხარხარით არხევს ხეებს,  
და მჭკნარ ფოთლებს აშარიშურებს...  
  
ღრუბლებს ერეკება...  
ჩემს გულს კი დაუნდობლად გარდასახავს  
ყოველივე იმად,  
რაც გზად შეხვდება.

## იდუმალი სარკე

დღეს, არ გიპყრია სარკე იდუმალი  
დღეს, არ გიპყრია თასი მათრობელი  
რითაც სამყაროს სისავსეს  
შენი ვარსკვლავებით, მზეებით, ზღვებით  
თუ ნისლის ოცნებაში წასული არყის ხეებით  
ჩატევდი შენს ამოსუნთქვაში.  
  
დადუმდი! ნუ სუნთქავ უვარსკვლავებოდ!

## სულის თვალებით

თვალს ავახელ –  
ნისლის ბურანში მეოცნებედ,  
იისფრად გაშეშებულ ხეებს ვკიდებ თვალს,  
თუ სულში ჩავაბრუნებ  
დახურული თვალის მზერას, –  
– ორგანვე, ის ნაზი გაშეშება და გარინდებაა.

## სამყაროს ნამდვილი ხეა – გულით ხედვა

უპედურებით შეიძრა გული,  
და ცნობ სამყაროს.  
ბედნიერებით შეიძრა გული,  
და ცნობ სამყაროს.  
და ასე გულწრფელის ხედვით ისმინება  
სამყაროს ნამდვილი ხმა.

მარცვალი აღმოცენდება  
თუ იქნება სადმე დათესილი.

\* \* \*

აღარასოდეს მოიწყენ სულო ჩემო.  
ეს რა უნაპირო,  
თაებრუდამხვევ-მზიან-სიხარულიანი  
ტალღები გიხვევს და გიკრავს  
ალერსიანი ლიმილით.

სამყაროს ერთიანი მდინარება მოგეახლა,  
და თავისი მშვიდი აზრიანობის ფშვინვა მოგაახლა.

## ზამის ნაყოფი

როცა დროის მდინარე უამად გარდაისახება  
შენს სულში აყვავდება ტანჯული ხე  
და ისე მოირთვება,  
რომ მისდა სასმენად  
სამყარო გაინაბება.

## მთირად მხედველი

შენ კი მომისმენ, დამიგდებ ყურს  
და იპოვი მარცვლებს:  
– ბალებად, ტყეებად თუ მზეებად,  
რომ მოგევლინება

მე კი რა?

ჩავყურებ ამ მარცვალს, დავთესავ ამ მარცვალს  
მოვიმკი ერთ უფერო და უსუნო ყვავილს,  
ჩემს ცრემლს რომ მოაგავს  
და არც მოაგავს.

და ასე გრძელდება ათასწლეულები.

## თვალითი ქვეყანა

რა თვალიათელია ქვეყანა ვინც ხედავს  
და ხედვით ისმენს უთვალავ და დამათრობელ ფერადებს.  
ეს ხედვა ყველა ფარდის გადაწევაა.

და არა აქვს მნიშვნელობა რას აკეთებ:  
გძინავს თუ გლვიძავს, დადიხარ თუ უძრავად დგეხარ.  
შენს სულში მუდამჟამს მზის სიცხადით  
იხედებან საგნები.

მხედველში ყოფიერების წიაღიდან შემაშინებელი  
თრთოლვა მკვიდრდება,  
და წამი მარადიული ფერების ინყებს.

## მხეცი თუ ანგელოზი?

ვინ გეეუთვნის:  
მხეცი თუ ანგელოზი?  
– ვინ მეთქი?

თავად შენმა სულმა  
თავად შენმა სულმა  
უპასუხოს!

და ეს პასუხი სარკედ შეიქმნება შენთვის.

## რწმენის დაკარგვა

რწმენა იგი დაკარგე,  
და სიცოცხლე შენი  
ასე უსასრულო შესაძლებლობათა ზღვა  
განჰქრა, ვით სიზმრის ტკბილი შეხება.

## ადამიანი

აურნყავი სიხარულით ვცნობ ადამიანში ღვთაებრივ იდუ-  
მალებას.

ცხადში ვგრძნობ სიზმარს,  
სიზმარში ვწვდები ცხადს.  
ეს ის სხივია ჩემს რაობას ცათამდე რომ ალამაღლებს.

და ასე უსასრულობაში სცლით  
ვქმნი ღვთაებრივ ადამიანს.

და ჩემი სული ფოთლის მოცახცახე სისათუთედ ქცეული  
გრძნობს მოწინებას და მადლიერი ბაგე წარმოთქვამს:  
– მადლობ უფალო, ადამიანად რომ მყოფ!

## გადლივება (ჰაივილით დაფარული ღიაბილი)

თავმოდრეებილი, უფლის წინაშე დგეხარ  
და ყოველი საგნის ჭვრეტისას  
მადლიერებით იცსები.

ტკივილით დაფარული  
შენ ცრემლის იქით იღიმი.

და რა მზიანია ეს ღიმილი,  
თითქოსდა მთელ სამყაროს  
ნათელი ეფინება.

## ზღვის სიხარული

ტკივილთა ზღვების დაუსარულებელი მიმოქცევა  
ერთ ტალღად მოვარდება და თავისში მოგიმწყვდევს.  
სინათლის სიცხადე განუზომელ სიხარულად გექცევა  
როცა გაიხსენებ:  
რომ სინამდვილეა, და არა სიზმარი  
რომ შენ, შენ, შენ,  
ნამდვილად შენ –  
ცოცხალი არსება დადიხარ ამ დედამიწის ზურგზე.

## საბრალო გულის სახსოვანი

მჭკნარი ფოთლები ქვაფენილზე...  
იქნებ ეს არის შენი სულის ტანჯვიანი მონახაზი,  
და ამიტომაც შენ საბრალო გულს აეკიდა.

## ქრისტეს ლურსმანი

ხელოვანის სული გაყინული მიწის წიაღში  
შთავარდნილი თესლის მსგავსად  
ჩაესვენა და შეენივთა ყინულოვან უდაბნოს.  
და ვით ქრისტეს ლურსმნიდან მოდენილი ტკივილი  
ამ სიცვის ბუნებაც უსასრულობა.

## მარადიულის პირისპირ

პაწია პეპელა მიხურული  
მიწის კარებს უაზროდ მიაწყდა  
და აფარფატდა.

ჩემი სული გამახსენდა,  
შენი სული გამახსენდა,  
და ავტირდი.

## ღვთის მესივრება

დღე იგი დღეთაგანი,  
თვისგან რომ შვა საწყისი  
ახალი სიცოცხლისა.  
რწმენის სინათლით  
ზღუდე, რომ აღმართა წარსულთან.

## სიყვარული

სიყვარულს მოჰყვა ყვავილოვანი ქარიშხლები,  
ვარსკვლავების გიური სრბოლა  
შენი ცის თაღზე,  
ღამის სიშავეში მზეთა სიკაშკაშე,  
ვერსვთა რიგების ნელი-ნელ რწევა,  
და შუქ-ჩრდილთა წამი-წამად ცვალებადობა.

სიყვარული მოვარდა და შენი ჭიპი  
ერთ დღეს მოკვეთილი დედის სხეულს,  
დედის ძუძუს და დედის საშოს  
მოკვეთილი სამყაროს საერთოობას  
ისევ აღსდგა.

აღსდგა და გამთლიანდა სისხლი  
მიმოქცეული შენსა და დედაშენის სხეულს შორის,  
შენსა და საერთო მდინარეს შორის.

სიყვარული მოვარდა  
და კაცობრიობას შეემატა ადამიანი.

\* \* \*

ჩემი სული გამოვაბი ჩემს ხელს  
და მან დაივიწყა, რა არის დაღლა.  
რადგან მისა ბუნება  
უსასრულობის გზას გაუყვა.

## დუმილის ენა

მე ჩამესმის დუმილის ენა  
ასე მარტივი, ასე ნატიფი.

და როცა მსურს ხმამალლა  
გავაუღერო ეს სიტყვები  
ასე მსუბუქნი და ასე ცხადნი

მყის ვიღაც აქრობს  
სინათლის დაუშრეტელ წყაროს...  
და ჩნდება...  
ბუნდოვან,  
მთვარეულ-ნისლოვანნი,  
ტყეთა ლანდები.

## ხელოვანის დანაშაული

შენი დანაშაულია,  
რომ ეს ქალი შეშლილია,  
შენი დანაშაულია,  
რომ ამ მოხუცს ასე უმწეო და მიტოვებული სახე აქვს.  
შენი დანაშაულია,  
რომ ამ ძალს ასეთი სევდიანი თვალები აქვს.

შენი დანაშაულია ეს სამყარო,  
დანაშაული, რომელიც ისე გტკივა,  
რომ ჭრილობასავით თრთის შენი სული  
სამყაროს საგნებთან შეხვედრისას.

## დუმილის შერხევა

შენ ებლაუჭები თეთრ ქალალდს,  
ამ დუმილს –  
რომელიც უნდა შეირჩეს,  
რათა შენ აღიბეჭდო.

## პრბო

არაფერს არ ფიქრობ,  
არაფერს არ გრძნობ,  
არაფერს არ ოცნებობ.

და ეს არაფერობა  
გითრევს და გითრევს, ვით მორევი.  
მიედინები,  
და ასე მინებებული არაფერდები.

## პოეტი

შენ მოპოვე მარცვალი იგი,  
შენს არსობას, რომ მოაგავს  
და ასე ამ მარცვალს ჩაჩერებული  
თეთრ ფურცელს ეხმიანები.

# ის, რაც თარგმანს შეუძლია

ეკა პუჯიაშვილს  
ესაუბრება  
ნინო დოლიძე

28-31 მარტს კაიროში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „თარგმანი და ეპოქის გამონვევები“, რომლის ორგანიზორი იყო „თარგმანის ეროვნული ცენტრი“. კონფერენციაში არაერთი ქვეყნის მკვლევარი, კრიტიკოსები და მთარგმნელი მონაცილეობდა. საქართველოდან მოხსენებები ნაიკითხეს დარეჯან გარდავაძემ და ნინო დოლიძემ. კონფერენციის თავისებურებების და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს ქალბატონი ნინო მოუთხობს.

– ევგიპტის კულტურის სამინისტროსთან 1995 წლიდან არსებობდა თარგმანის ეროვნული პროექტი, რომელმაც 2008 წლის პირველ აგვისტოს დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახე მიიღო. მისი მიზანია ორიგინალიდან არაბულ ენაზე თარგმნის წახალისება. დაარსებითან საკმაოდ მოქლე დროში ამ პროექტის სამუალებით ხუთასამდე წიგნის გამოცემა მოესწრო.

– რა სახის ლიტერატურა ითარგმნება? აქვს თუ არა ორგანიზაციას რაიმე პრიორიტეტი სათარგმნი ნანარმოებების შერჩევისას?

– ეს არის როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა, რომელიც საკმაოდ ფართო სპეციტრს მოიცავს. დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო ტერმინოლოგის თარგმნასა და დაზუსტებას. კონფერენციაზე არაერთი მოხსენება სწორედ ტერმინოლოგის სხვადასხვა ენაზე თარგმნის პრობლემებს შეეხმარავს.

– ჩანს, ევგიპტეში თარგმანი სახელმწიფო ინტერესთა რანგშია...

– დიახ, ეს ერთი შეხედვითაც თვალნათლივია. ამ სფეროში დიდი თანხები იხარჯება და ამ თანხებს უმთავრესად სახელმწიფო გაიღებს ხოლმე. აღნიშნული პროექტის მესვეურიც სწორედ კულტურის სამინისტროა. მისი მიზანია ყველაფერი ითარგმნის არაბულ ენაზე და ეს მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას არ ეხება. თუნდაც ის, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება ორგანიზაციის მიერ გამოცემული წიგნების შეძენა ინტერნეტით, განზრახულია არაერთი გამოფენის მოწყობა და მონაცილეობა წიგნის საერთაშორისო ფესტივალებში, იმაზე მეტყველებს, რომ ორგანიზაცია ბევრს იღვნის არა მარტო იმისთვის, რომ სწორედ არაბულად იყოს ხელმისაწვდომი როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა, არამედ ლონეს არ იშურებს არაბული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის და ამ ყველაფრის საფუძველი უწინარესად სახელმწიფოებრივი ინტერესია.

– მაინც რომელი ენებიდან ითარგმნება და რამდენად

### პრიორიტეტულია მათ შორის ქართული ენა?

– ორგანიზაციის ეგიდით ითარგმნება ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ბერძნული, ლათინური, ესპანური, პორტუგალიური, იტალიური, პოლანდიური, ინდური, ჩინური, სპარსული, თურქული ლიტერატურა. ამას ბოლო ხანს დაემატა ბულგარული, ბოსნიური, ეთიოპიური, კორეული და ყაზახური ენები. დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულმა ენამ. კარგი იქნებოდა, ჩვენს სახელმწიფოშიც მეტი დაინტერესება არსებობდეს სხვადასხვა ენიდან ქართულად თარგმნის სფეროში...

– ალბათ არც ის არის ნაკლებ მნიშვნელოვანი, რომ პირიქითაც განვითარდეს თარგმანი

– ქართული ლიტერატურა ითარგმნებოდეს უცხო ენებზე, ჩვენ არა-ნაკლები რანგის მწერლობა გვაქვს და კარგი იქნებოდა მისი გატანა მსოფლიო ასპარეზზე უფრო დიდი მასშტაბებით. ეს უწინარესად ქართული ლიტერატურის, ჩვენი კულტურის პოპულარიზაციას ნაადგებოდა, ამ მხრივ რა ვითარებაა იქ, რამდენად მნიშვნელოვანია არაბული ლიტერატურის თარგმნის საკითხი?

– თვითონ ეს პროექტი სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ენიდან არაბულად ითარგმნოს ყველაფერი და არ ჩამორჩნეს მსოფლიოში არსებულ ლიტერატურულ თუ სხვა სახის პროცესებს, ანუ მათ აინტერესებთ „ჩვენ როგორ შევძლებთ“ – როგორ მოახერხებენ ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ენიდან არაბულად თარგმნას. რაც შეეხება პირიქით თარგმნას, მგონია, რომ ისინი მაინც მატერიალურ პერსპექტივებს ითვალისწინებენ – იმას, თუ როგორია წიგნის ბაზარი ამა თუ იმ ქვეყანაში. არაბულ ენაზე მკითხველთა რიცხვი გაცილებით დიდია, აი, მაგალითად ჩვენი წიგნის ბაზარი ვერ შეეძლება არაბული წიგნის ბაზარს და ქართულად თარგმნაზე თუ მიდგება საქმე, შესაძლოა, მათთვის ძალიან საინტერესოც იყოს ასეთ იშვიათ ენაზე არაბული ლიტერატურის გადათარგმნა, მაგრამ ქართულენოვანი მკითხველი ხეთა მილიონიდან რეალურად ალბათ რამდენიმე ათასია. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პირიქით თარგმნისას ისინი მანც საბაზრო ეკონომიკის თავისებურებებს ითვალისწინებენ, თორებ რატომაც არ უნდა ანიტერესებდეთ ნებისმიერ ენაზე არაბული ლიტერატურის პოპულარიზაციის!?

– ვატყობ ეს თემა შორის ნაგვიყვანს, ამიტომ მინდა გთხოვთ: იქნებ უშუალოდ ამ კონფერენციაზე გვიაპბოთ.

– „თარგმანის ეროვნული ცენტრის“ მიერ გამართული პირველი საერთაშორისო კონფერენცია 28 მარტს საზეიმოდ გაისხსნა კაიროს პეტრის დიდ დარბაზში. ეგვიპტის კულტურის მინისტრმა ფარუჟ პოსიმ ამ ცენტრის მიერ სამი წლის წინათ დაწესებული საგანგებო ჯილდოთი – რიფა'ა ატ-ტაჰიაციის სახელობის პრემიით (100 000 ეგვიპტური ფუნტის ღიანობით) – დააჯილდოვა როგორც არაპი, ისე არაარაპი მთარგმნელები. ცნობილი ეგვიპტელი რეფორმა-

ტორის, მუჟამედ ალის ეპოქაში მოღვაწე რიფა'ა ატ-ტაჰიაციის (1801-1873) მიერ გაჩაღებულმა მთარგმნელობითმა მუშაობამ თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი „ეგვიპტურ აღორძინებას“, ამიტომაც მიენიჭა მისი სახელი პრემიას, რომლითაც ეგვიპტელები კვლავ ცდილობენ ხელი შეუწყონ ინტელექტუალური ცხოვრების აღმავლობას, თარგმნა ხომ ყველა ეპოქაში კულტურის აღორძინების საწინდარია.

– ასეა, ოღონდ სხვადასხვა დროს განსხვავებული თემატიკის მიმართ ჩნდება ინტერესი. უთუოდ ამ კონფერენციაზეც გამოიკვეთა პრიორიტეტული თემები.

– კონფერენციის ძირითადი თემატიკა იყო თარგმანთა

და კავშირებული პრობლემები – თარგმანი და გლობალიზაცია, თარგმანი და კულტურული იდენტობა, მხატვრული თარგმანის პრიბლემები, ტერმინოლოგიის თარგმანის საკითხები, და საერთოდ, ნათარგმნი პროდუქციის გამოცემასა და გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები. ბევრი იყო ინფორმაციული ხასიათის მოხსენება, როდესაც ავტორი მოკლედ მიმოხილავდა, თუ რა ვითარებაა მის ქვეყანაში – არაბულიდან თარგმნის სფეროში. მათ შორის ძალიან საინტერესოდ წარმოჩნდა დარეჯან გარდავაძის მოხსენება, რომელიც საქართველოში არაბულიდან თარგმნის ტრადიციებს შეეხებოდა. აღმოჩნდა, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილ ქვეყნებს ჩვენი ქვეყანა არაფრით ჩამოუვარდება კლისიკური არაბული ლიტერატურის თარგმნაში, რასაც ჩვენს არაჩვეულებრივ მთარგმნელებს (თინა მარგველაშილს, ნანა ფურცელაძეს და სხვებს) უნდა უუმაღლოდეთ. თარგმანის მნიშვნელობა შესანიშნავად ესმოდა ქართული აღმოსავლეთმცოდნების სკოლის დამარსებელს გიორგი წერეთელს და თვით მან დაიწყო ეს პროცესი, როდესაც ამინ არჩევიჲანის ცნობილი თავისუფალი ლევესი „განმკურნე მე, ხევის ქალმერთო“ თარგმანი. კონფერენციაზე აღნიშნა, რომ თარგმანის ტრადიციი საქართველოში დღესაც გრძელდება.

– ცნობილია, რომ ამ ბოლო ხანს ევროპაში დიდ ყურადღებას აქცევენ არაბულ ლიტერატურას, ინგლისში, გერმანიასა და ესპანეთში არსებობს საგანგებო გამოცემლობები, რომლებიც მხოლოდ არაბულ ლიტერატურაზე არიენტირებული...

– არა მხოლოდ გამომცემლობები, ევროპაში არაბულ მნერლობაზე არიენტირებული საგანგებო ჟერიტოდელი გამალითად, ბრიტანული „ბაზაპალი“ ან ბაზელში გამომავალი ჟურნალი „ლისანი“, გერმანულენოვანი ქვეყნებისთვის. სხვათა შორის, კონფერენციაში მონაწილეობდა „ბაზაპალის“ რედაქტორი, ბრიტანელი აღმოსავლეთმცოდნე მარგარეტ ბაბანქი. მან 1998 წელს ერაყელ მწერალთან სამუელ შამონთან ერთად დააარსა დღეს უკვე მთელ დასაელეტ სამყაროში ცნობილი ჟურნალი, რომელიც აქცევებს თანამედროვე არაბულ ქვეყნებში შექმნილი ლიტერატურის ინგლისურ თარგმანებს, ასევე არაბ მნერალთა ინგლისურენოვან სტატიებსაც სხვადასხვა თე-



ნინო დოლიძე

## დიალოგი

მაზე. რაც შეეხება გერმანულენოვან „ლისანს“, ის აქვეყნებს არა მხოლოდ თანამედროვე არაბული ლიტერატურის გერმანულ თარგმანებს, არამედ ეხმარება ევროპაში მოღვაწე ახალგაზრდა არაბებს, ხელს უწყობს ახლ მთარგმნელთა გამოვლენას, მიმდინარე არაბულ ლიტერატურულ პროცესებში არკვევს გერმანულ გამომცემლობებსა თუ აღმოსავლეთმკოდნებსა და უბრალოდ აცნობს არაბულ ლიტერატურას ჩვეულებრივ, რიგით გერმანულენოვან მკითხველს. „ლისანი“ 2005 წელს ეგვიპტელმა ლიტერატურის კრიტიკოსმა ჰასან ჰამადმა დააარსა.

— **როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ევროპელთა ასეთი დაინტერესება არაბული ლიტერატურით?**

— ეს ინტერესი კარგა ხანია შეიმჩნევა. საერთოდ ამ გამოცემების არსებობა მეტყველებს, რომ არსებობს მათი წამის თხელიც. ჩვენც ხშირად ესარგებლობთ „პანიპალითაც“ და „ლისანითაც“ ამა თუ იმ სიახლის გასაცნობად. საქმე ის არის, რომ ევროპაში აღმოსავლეური ლიტერატურის მიმართ ინტერესი ყოველთვის იყო, მაგრამ აქამდე ამ მნერლობას ევროპა მაინც...

— **ზემოდან უყურებდა?**

— დიახ, ასე იყო. ეს ტენდენცია XX საუკუნის ბოლოს დაიძლია და არაბული მწერლობა უკვე ევროპულ ლიტერატურასთან თანაბარ რანგში გაისახილება. ამას ხელი შეუწყო არაბულენოვანი მწერლის ნაჯიბ მაჰფუზისთვის 1988 წელს ნობელის პრემიის მინიჭებამ. ევროპის ყურადღება ამ მწერლისადმი გარკვეულილად განსაზღვრა იმ ფაქტორმაც, რომ მისი წარმოები მსოფლიო ლიტერატურულ ასპარეზზე ერთ-ერთმა ცნობილმა სახელმა — დენის ჯონსონ-დევისმა — თარგმნა. ამის შესახებ თვით ნაჯიბ მაჰფუზმაც განაცხადა და აღნიშნა, რომ ჯონსონ-დევისს უშუალო წვლილი მიუძღვის არაბი მწერლისთვის წობელის პრემიის მიზნებაში.

— **მგონი ბრიტანელი მწერალია, არა?**

— წარმოშობით არის ბრიტანელი. ისე, კანადაში დაიბადა და 1922 წელს. ბავშვობის ნანილი კაიროსა და სუდანში გაატარა. 30-იან წლებში დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი არაბული ენის სპეციალობით. ენის ცოდნა გაიმყარა 1931-1935 წლებში ბიბისიში მუშაობით. ორმოცდაათა მადე საბავშვო წიგნი აქვს დანერილი, რომლის წყაროდ აღმოსავლეურ ლიტერატურას იყენებდა. მაჰფუზის გარდა თარგმნა იაპია ჰაკი, მაჰმუდ თემური, იუსიფ იდრისი, იდვარ ალ-ხარატი, ატ-ტაიბ სალეპი, მაჰმუდ დარვიში, ჰანა ატია,

ალიფა რიფათი და სხვა მწერლები.

— „თარგმანის კონფერენციაზე“ ალბათ არაერთი ასეთი დიდი სახელი მონანილებდა, არაერთი ცნობილი მკვლევარი ნარსდგა თავისი მოხსენებით...

— მკვლევარიც, ლიტერატურის კრიტიკოსიც და მთარგმელიც. საფრანგეთიდან გახლდათ ისტორიკოსი ჰენრი ლორენსი, ბრიტანეთიდან — ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი რობინ ისტელი, აშშ-დან — ჰენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩრდილოეთ ამერიკის ახლო აღმოსავლეთის ასოციაციის (MESA) პრეზიდენტი როჯერ ალენი, იტალიიდან — რომის უნივერსიტეტის თანამედროვე არაბული ლიტერატურის პროფესორი მარია ავინო, ესპანეთიდან მთარგმენტილი კარმენ რუისი, იაპონიიდან — კარუ იამამატო... რომელი ერთი ჩამოგითვალით კონფერენციაში ბევრი ემიგრაციაში მცხოვრები არაბი პროფესორი და მთარგმენტიც მონანილებდა. პრემიით დაჯილდოვნებინ როგორც არაბი (ბაშირ ას-სიბა'ი, მუსტაფა ლაბიბი, მაჰმუდ 'ანანი და სხვა), ისე არაარაბი (დენის ჯონსონ დევისი, როჯერ ალენი, ბედრი მარტინესი და სხვა) მთარგმენტები.

— რას ეხებოდა პირადად თქვენი მოხსენება და, საერთოდ, როგორი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს მონანილებს?

— პირადად ჩემი მოხსენება შეეხებოდა მურიდ ალ-ბარლუთის ბემუარული თბილების „მე ვნახე რამალა“ ქართულ თარგმანს. მემუარული ლიტერატურა ძალზე მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, როცა მტკვეულ ისტორიულ საკითხებს შეეხება. მთარგმენტი განმოგვიდგება ერთგვარ ხდად სხვადასხვა ეროვნებს ადამინინებს შორის. ბალტიკინელთა პრობლემა არაბული სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ტკივილია. ჩემს მოხსენებაში პარალელი გავავლე აფხაზეთის და სამაჩაბლის საკითხათან. გლობალზაციის ეპოქაშიც კი, როცა ინფორმაცია წამებში ვრცელდება, თარგმანი არ კარგავს თავის მნიშვნელობასა და აქტუალობას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „მე ვნახე რამალა“, რომლის ქართული თარგმანის მეშვეობით ჩვენი მკითხველისათვის შესაძლებელი გახდა არაბული სამყაროს ერთ-ერთი მთავარი სატკივარის გაზიარება. ის, რაც ამ წიგნმა შეძლო, მიუღწეველია ნებისმიერი მაღალტექნიკოლოგიური საინფორმაციო სამუალებისათვის (და ამაში დიდია თარგმანის წვლილი). მე ვიცი ქართველ მკითხველთა ნანილის აზრი მის შესახებ, გავეცანი როსტომ ჩემიძისა და ნანა კუციას ძალზე საინტერესო გამოხმაურებებს ამ წიგნის თაობაზე, თუმცა ეს ალბათ ცალკე საუბ-

## ეროვნა

საქართველოს საპატრიოარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალურ განვითარების ცენტრმა რობერტ მესხის პოზიციის სალამის უმასპინძლა. აქვე გაიმართა მისი ახალი წიგნის — „ნიუარები“ — ვრცელებაციაც.

სალამი გახსნა წიგნის ავტორმა, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა სალამის ორგანიზაციონურობას, საქართველოს მწერალთა კავშირს, და წიგნის რედაქტორას, პოეტ მარიამ წიკლაურს.

„ეს დღე ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სწორედ დღეს მომეცა საშუალება ამ დიდებულ ტაძარში თითოეულ თქვენგანს მოგავალი ჩემთვის სიტყვა და გაგაცნოთ ჩემი ლექსები. ჩემი შთავინების წყარო სიყვარულია, რომელმაც ეს ლექსები შემაქმნევინა“, — დასძინა პოეტისა.

პოეტის ფიქრი უმთავრესად აფხაზეთის ტრაგედიას დასტრიალებს და ახერხებს ამ ტკივილის გაუნებლებლობა განსხვავე-

ბული, დაუშტამპაბი, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ფერებითა და სახეებით წარმოჩინოს.

სალამიზე მონვეულ სტუმრებს შორის იყვნენ პოეტის მეგობრები, რომლებიც კითხვის დანების შესაძლებელი გახდა არაბული სამყაროს ერთ-ერთი მთავარი სატკივარის გაზიარება. ის, რაც ამ წიგნმა შეძლო, მიუღწეველია ნებისმიერი მაღალტექნიკოლოგიური საინფორმაციო სამუალებისათვის (და ამაში დიდია თარგმანის წვლილი). მე ვიცი ქართველ მკითხველთა ნანილის აზრი მის შესახებ, გავეცანი როსტომ ჩემიძისა და ნანა კუციას ძალზე საინტერესო გამოხმაურებებს ამ წიგნის თაობაზე, თუმცა ეს ალბათ ცალკე საუბ-

„რობერტი ის პოეტია, რომელიც ცდილობს მშვენიერებისა და პარმონიულის შენარჩუნების თავის შემოქმედებაში, როცა ჩვენს ყოფიერებაში ირლევენა პარმონია, იგი კარგად ახერხებს მას. თავის ლექსებში გააძლევანის, ამიტომ მისი ლექსების წაკითხვა ჩემთვის დღესასწაულია“, — ნარმოლქვე ურნალისტმა ეკა ტალახაძემ და პოეტის შემოქმედებიდან ერთ-ერთი საყვარელი ლექსების წაკითხვა წარმოადგინა.

სალამი დაასრულეს სტუდენტებმა, რომლებიც მონაცემებით გაიმოვიდებია და ალბათ ცალკე საუბ-

ედმუნდ ბერკი

## ფილოზიდან

პოსერვაცია და რეფორმა

რაკი შენება არ შეეძლოთ, ფრანგმა რადიკალებმა დანგრევა დაინტენის, ამბობს ბერკი „ფიქრებში“. იგი გვიჩვენებს სახელმწიფო მოღვაწის მოვალეობას – კიდევ შეინახოს და კიდევ შეცვალოს სოციალური ინსტიტუტები.

სწორედაც რომ უუნარობამ, შებრძოლებოდნენ სიძნელეებს, აიძულა საფრანგეთის თავნება ასამბლეა შეეთხზა სქემები რეფორმისა ანუ გაუქმებისა და სრული ნგრევისა.\* ნუთუ დანგრევასა და დაქცევაში უნდა გამოამჟღავნოთ ნიჭი და უნარი? რასაც თქვენი ასამბლეა აკეთებს, თქვენს ბრძოსაც ხომ კარგად შეეძლო. ამ საქმისათვის ზედმინევნით შესაფერია უფშუტესა შემეცნება, უუხეშესი ხელი. მრისხანება და მძვინვარება ნახევარ საათში გაანადურებს უფრო მეტს, ვიდრე კეთილდღეობა, დიდსულოვნება და წინახედულება შეძლებს ააშენოს ას ნელინადში. ძველ დაწესებულებათა შეცდომები და ნაკლოვანებანი თვალითაც ჩანს და ხელითაც შეეხები. მათ გამოსავლენად მცირეოდენი უნარია საჭირო. როცა აბსოლუტური ძალაუფლება აშკარაა, ერთადერთი სიტყვაა საჭირო, რომ ნაკლიცა და დაწესებულებაც ერთდროულად გაუქმდეს. იგივე ზარმაცი, მაგრამ მოსუსევნარი განწყობლება, მცონარობა რომ უყვარს და სიმშვიდე სძლებს, წარმართავს ამ პოლიტიკოსებს, როცა იმ ადგილის შევსებას იწყებენ, თვითონ რომ დაანგრიეს. იოლია ყველაფრის საწინააღმდეგოდ მოქმედება, რასაც ხედავ; ასევე იოლია დაანგრევა. სიძნელეები არ შეგხვდება, როცა არაფრის შემნას არ ცდილობ. კრიტიკას ყოველთვის უჭირდა იმის ნაკლოვანების მიგნება, რაც არ არსებობს, და მონადინებულ მგზნებარებასა და მაცულებელ იმედს ძალზე ვრცელი წარმოსახვა აქვს, რაც შეიძლება ისე წარიმართოს, რომ სრულებითაც არ შეხვდება წინააღმდეგობა.

სრულიად სხვაა კონსერვაცია და რეფორმა ერთდროულად. როდესაც ძველი დაწესებულების საარეგებლი ნანილები შენარჩუნებულია, ის, რაც ემატება, უნდა მოერგოს არსებულს; ენერგიული გონება, ბეჯითი და გამჭრიახი ყურადღება, შედარებისა და შერწყმის მრავალფეროვანი ძალები და

\* ასამბლეის ნამყვანმა ნევრმა, მუსიკ რაბაუდ და სენტ ეტივნმა, რაც შეიძლება ნათლად გადმოსცა თავიანთი პრინციპები და მართლაც, რა შეიძლება იყოს უფრო ადვილი: (საფრანგეთის ყველა დაწესებულება დაფუქნებულია ხალხის გაჭირვებაზე; იმისათვის, რომ ბედნიერი გავხადოთ ხალხი, საჭიროა განვახლოთ ისინი, შევცვალოთ იდეები, კანონები, ჩვეულებანი... ადამიანები, საგნბი, სიტყვები... დავანგრიოთ ყველაფერი; დიახ, დავანგრიოთ ყველაფერი, რადგანაც ყოველივე ხელახლა უნდა შეიქმნას). ეს ჯენტლმენი გახლდათ არჩეული პრეზიდენტი ასამბლეისა და არა Quinze-vingt (ბრძპის თავშესაფარი) ან Petits Maisons (გიუების თავშესაფარი) მკვიდრი, სადაც ის საცოდავები არიან თავშერგულნი, რაციონალურსაც რომ არ არიან შიჩნეულნი, მაგრამ არც იდეებით, არც ენითა და არც ქცევით ოდნავადაც არ განსხვავდებიან მათგან, ვინც ასამბლეის შიგნით თუ გარეთ წარმართავენ იმ მანქანის მოქმედებას, რაც ახლა მუშაობს საფრანგეთში.

შემეცნების ნაყოფიერი და მიზანშეწონილი წყაროები უნდა გამოიცადოს; უნდა გამოიცადოს ხანგრძლივ კონფლიქტში დაპირისპირებულ ცოდვათა გაერთიანებულ ძალებთან, ყოველგარი გაუმჯობესების უარმყოფელ სიჯიუტესა და თავქარიანობასთან, რაც მობეზრებული და შეძლებული აქვს ყველაფერს, რასაც კი შეპრებია. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ შემედავოთ: ამგვარი პროცესი წელია. ეს კი ვერ დააგმაყოფილებს ასამბლეას, რომელიც ძლევამოსილად განახორციელებს ორიოდე თვეში საუკუნეთა საქმეს. ამგვარი რეფორმა, ალბათ, მრავალი წელი გაგრძელდება.” ალბათ ასე იქნება და ასეც უნდა იყოს. ამ მეორიდის ერთ ბრნეინვალება ისიცაა, რომ დრო მისი ერთ-ერთი თანაშემწერა, თვითონ კი წელი მოქმედებს და ზოგიერთ შემთხვევაში შეუმჩნევლადაც კი. თუკი სიმართლე და წინდახედულება სიბრძნის ნანილია, როცა საქამა გვაქვს მხოლოდ უსულო მატერიასთან, ცხადია, საქმის ნაწილიც ხდება; როცა ჩვენს მიერ წარმოებული ნგრევისა თუ შენების საგანია აგური და ფიცარი კი არ არის, არამედ მგრძნობიარი არსებანი, მათი მდგრამარეობის, პირობებისა და ჩვეულებათა უეცარმა ცვლილებამ შესაძლოა მრავალ არსებას უბედულება მოუტანოს. მაგრამ, როგორც ჩანს, პარიზში გაბატონებულა შეხედულება, რომ უგრძნობი გული და ეჭვმიუკარებელი თავდაჯერება ერთადერთი კვალიფიკაციაა სრულყოფილი კანონმდებლობისათვის. ჩემი იდეები კი იმ მაღალი დაწესებულების გამო სრულიად განსხვავებულია. ჭეშმარიტი კანონმდებლის გული გრძნობებით უნდა იყოს აღვასილი. მას უნდა უყვარდეს და პატივს მიაგებდეს მოყვასს და ეშინოდეს საკუთარი თავისა. მას უფლება უნდა ჰქონდეს ტემპერამენტისა და ინტუიციის შემნებით მოიხელთოს უმაღლესი მიზანი, მაგრამ მისი სვლა მიზნისაკენ ფრთხილი უნდა იყოს. პოლიტიკური განგებულობა, რაც სოციალური მიზნებს ემსახურება, მხოლოდ სოციალური იარაღებით უნდა შეკავშირდეს. გონება გონებით განვითარებულდეს. დრო იმისათვისა საჭირო, რომ გამოაწროოს ეს კავშირი გონებათა, რაც ერთადერთია, რასაც იმ ყოველივე სიკეთის შექმნა შეუძლია, მიზნად რომ ვისახავთ. მოთმინებით მეტის მიღწევა შეგვიძლია, ვიდრე ძალით. თუ გადაცემვეტ და შევეხები გამოცდილებას, რაც პარიზში მოდიდან გამოსულა, უნდა გითხრათ, რომ ჩემი საქმიანობის დროს გამიცვნია და მითანამშრომლია, ჩემივე შეფასებით, დიდ ადამიანებთან; და ჯერ არ მინახავს გეგმა, რაც არ განეხილოთ იმათ, ვინც წინამდიღლებთან შედარებით დაბლა დგანან. წელი, მაგრამ ბეჯითი წინსვლის დროს თვალყურს ვადევნებთ თვითეული ნაბიჯის ეფექტურობას; პირველის წარმატება თუ წარუმატებლობა გზას უნათებს მეორეს; და ასე, განათებდან განათებამდე, უსაფრთხოდ წარვმართავთ მთელ სერიებს. გვედავთ, რომ სისტემის ნანილები ერთმანეთს არ ეჯახება. ყველაზე უფრო იმედის მომცემ საშუალებათა ფარული ნაკლოვანებანი გამოჩენის-



თანავე გამოსწორდება. ერთი უპირატესობა ისეთი მცირეა, რომ შეიძლება მეორეს შეენიროს. ვანა ზღაურებთ, ვარიგებთ, ვაწონას სწორებთ. შეგვიძლია თანამიმდევრულ მთლიანობად შევაკავშიროთ მრავლებაროვანი ანომალიები და საკამათო პრინციპები, რაც ადამიანის გონებასა და საქმიანობაში გვხვდება. აქედან ალიქვრება არა ბრნყინვალება უბრალოებისა, არამედ გაცილებით მეტი — ბრნყინვალება კომპოზიციისა. იქ, სადაც კაცობრიობის დიადი ინტერესები ზრუნავს თაობათა გრძელ წყებაზე, თაობებს უფლება უნდა ჰქონდეთ მონაწილეობდნენ იმის განსჯაში, რაც ასეთ ღრმა გავლენას ახდენს მათზე. თუკი სამართლიანობა ამის მოითხოვს, სამუშაო თავისთავად მოითხოვს უფრო მეტი გონების დახმარებას, ვიდრე საუკუნებ შეიძლება შესთავაზოს. ამ თვალსაზრისის შედეგია, რომ საუკეთესო კანონმდებელი ხშირად დაკმაყოფილებულან იმით, რომ საფუძველი ჩაუყრიათ დამაჯერებელი, მყარი და ნარმმართველი პრინციპისათვის მთავრობისა; ისეთი ძალაუფებისათვის, რასაც ზოგიერთი ფილოსოფისი პლასტიკურ ბუნებას უნიდებს; და ამ პრინციპის განმტკიცების შემდეგ ნება ეძლევა თვითონ იმოქმედოს.

ამ გზით სვლა, ანუ ამ უმთავრესი პრინციპითა და ნაყოფიერი ენერგიით მოქმედება გახლავთ ჩემთვის ულრმესი სიბრძნის საზომი. რასაც თქვენი პოლიტიკოსები თამაში და გაბედული გენიოსის ნიშნებად მიიჩნევენ, მხოლოდ უნარ-ჩევათა ქონის საბრალობელი სურვილი. სასტიკ ფაციფუცი გართული დაუმორჩილებლივას რომ უცხადებენ ბუნებრივ პროცესებს, ბრმად ენდობიან ყოველ თავგადასავალთა მაძიებელ პროექტანტს, ყოველ ალქმინებასა და ემპირიკოსს. აითვალინებენ ყველაფერს, რაც საყველთავა. დეტას არაფრად აგდებენ თავიანთ სამკურნალო სისტემაში. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ სნეულების საყველთავ სამკურნალო საშუალების ათვალისწინება ზარმობრივი არა მხოლოდ იქიდან, რომ ვერ გაუგიათ, არამედ, ვშიში, ბოროტგანწყობილებიდან. როგორც ჩანს, თქვენი კანონმდებელი შეხედულებებს პროფესიებზე, რანგებასა და სამსახურებზე სატირიკოსთა დეკლამაციიდან და მასხარებისაგან ითვისებენ, ვინც თვითონაც გაოცდებოდნენ, მათივე აღწერილობის მიხედვით რომ მოქცეოდნენ. მასხარებს რომ უგდებენ ყურს, თქვენი ლიდერები ყველაფერს მხოლოდ ნაკლოვანებისა და შეცდომების კუთხით აღიქამებ და ყოველნაირად აზვადებენ ამ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს. ეგვებ პარადოქსულად მოგეჩენოთ, მაგრამ უეჭველი სიმართლეა, რომ ისინი, ვისაც ჩვევად აქვთ დანაშაულთა გამორჩეული და გამომზეურება, მომზადებული არ არიან რეფორმების ჩასატარებლად, რადგან მათი გონება არამარტო აღჭურვილი არ არის კეთილისა და მშვენიერის ნიმუშებით, არამედ, ჩვეულებისამებრ, ვერ პოვებენ ვერავითარ სიმოვნებას კეთილისა და მშვენიერის აღქმისას. ნულოვანებათა დიდი სიძლევილის გამო ადამიანი ძალზე მცირედ უყვართ. ამიტომაც რა გასაკვირია, რომ არც განწყობილი არიან და არც ძალუძი ემსახურონ ადამიანებს. აქედან მომდინარეობს აღრიცხული განწყობილება ზოგიერთი თქვენი წინამდლოლისა, ყველაფერისა დანაწევრება რომ სურთ. ამ ბოროტ თამაშში ამჟღავნებენ მთელ თავიანთ დათხოვილ აქტივობას. ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, ენამჭევრ მწერალთა მიერ შეთხულ პარადოქსებს, რასაც მარტოდენ ფანტაზიის თამაშით აღწევენ, ნიჭის წყალობით აღძრავენ ყურადღებას და ინვევენ განცვიფრებას, ეს ჯენტლმენები მიიღებენ არა როგორც ორიგინალურ ავტორთა ნაზრევს, არამედ როგორც

საშუალებას, რომ დაიხვეწონ გემოვნება და გაიუმჯობესონ სტილი. ეს პარადოქსები მათთვის სერიოზული საფუძველია მოქმედებისათვის, როთაც წარმართავენ სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს. ციცერონი დაცნვით აღწერდა, თუ როგორ ახორციელებდა ცხოვრებაში კატონი თავისი სკოლის პარადოქსებს, როცა სტოკურ ფილოსოფიაში ავარჯიშებდა დამზებ სტუდენტებს. და თუ რასაც კატონზე ამბობენ სიბართლეა, ამ ჯენტლმენებმა უნდა გადაიღონ ის, რაც pede nudo Catonem-ის დროს მცხოვრებმა რამდენიმე პარონებამ ჩაიდინა. მ-რ ჰიუმმა მითხრა, თვითონ რუსოსგან ვისნავლე კომპოზიციის საიდუმლოო. ამ გამჭრიახმა, თუმცა ექსცენტრულმა დამკვირვებელმა შენიშნა, რომ მსმენელთა ინტერესის გასაღვივებლად ჯადოსნური რამ უნდა შეეთხზა; რომ წარმართული მითოლოგის ჯადოქრობამ დიდი ხანია დაკარგა ზემოქმედების ძალა; რომ შემდგომ მოსულმა გოლიათებმა, ჯადოქრებმა, ფერიებმა და რომანტიკულმა გმირებმა ამონტრეს თავიანთი ეპოქის იაფი ინტერესი; და რომ მნერალს ისლა რჩებოდა, რომ ხელი მოკეთდა ჯადოსნურის ახალი ნიმუშისათვის, რაც კიდევ შეიძლებოდა შექმნილიყო და ისეთივე დიდი ყურადღება მიეპყრო, ოლონდ სხვა გზით; ესე იგი, ჯადოსნურს ცხოვრებაში, ჩვეულებებში, ხასიათებსა და არაჩევულებრივ სიტუაციებში უნდა გამოიწვია ახალი და ჯერ არნახული ყურადღება პოლიტიკისა და ზნეობის სფეროში. მჯერა, რუსო რომ ცოცხალი ყოფილიყო და ცხოვრების ფხიზელ ინტერვალში შესწრებოდა, თავზარ დაეცემოდა, თავისი მოძვრვის პრაქტიკულ მძვინვარებას რომ იხილავდა, იხილავდა მათ, ვინც ყალბი მიმარტველი არიან თავიანთი პარადოქსებით და ურწმუნოებაში ჰპოვებენ რწმენას.

### ზეობრივი ნარმოსახვა

**ბერკის აზრით, ზეობრივი წარმოსახვა ცივილიზაციის ნიშანია. იგი განიხილავს ევროპული სამყაროს ორ შემადგენელ პრინციპს — ჯენტლმენურ სულსა და რელიგიურ სულს.**

თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წელი გავიდა, რაც პირველად ვისლე საფრანგეთის დედოფლალი ვერსალში; მაშინ დოფინი გახლდათ; და მართლაც არასოდეს ყოფილა ცისქვეშეთში უფრო სასიამოებო სანახაობა. სადღაც პორტიზონტან დავინახე, ამშვენებდა და ახალისებდა აღმავალ სფეროს, რაშიც ის-ის იყო იწყებდა ტრიალს — კაშკაშებდა როგორც დილის ვარსკვლავი, სიცოცხლით, ბრნყინვალებითა და სიბარულით სავსეობა, ეს რევოლუცია! რა გულმა უნდა გამიძლოს, რომ აუდელველად ვიფიქრო იმ ამაღლებასა და დაცემაზე! ძნელად თუ წარმოვდგენდი, ნეტარისი ტიტულსაც თუ დაუმატებდა იმ მგზებარე, შორეულ, პატივისცემით განმსჭვალულ სიყვარულს, რომ იდესმებ მოგებოდა საკუთრებას და მათი მოერთოდა თავისი მოერთოდა ანგარიშით, მაგრამ უეჭველი სიმართლეა, რომ ისინი, ვისაც ჩვევად აქვთ დანაშაულთა გამორჩეული და გამომზეურება, მომზადებული არ არიან რეფორმების ჩასატარებლად, რადგან მათი გონება არამარტო აღჭურვილი არ არის კეთილისა და მშვენიერის ნიმუშებით, არამედ, ჩვეულებისამებრ, ვერ პოვებენ ვერავითარ სიმოვნებას კეთილისა და მშვენიერის აღქმისას. ნულოვანებათა დიდი სიძლევილის გამო ადამიანი ძალზე მცირედ უყვართ. ამიტომაც რა გასაკვირია, რომ არც განწყობილი არიან და არც ძალუძი ემსახურონ ადამიანებს. აქედან მომდინარეობს აღრიცხული განწყობილება ზოგიერთი თქვენი წინამდლოლისა, ყველაფერისა დანაწევრება რომ სურთ. ამ ბოროტ თამაშში ამჟღავნებენ მთელ თავიანთ დათხოვილ აქტივობას. ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, ენამჭევრ მწერალთა მიერ შეთხულ პარადოქსებს, რასაც მარტოდენ ფანტაზიის თამაშით აღწევენ, ნიჭის წყალობით აღძრავენ ყურადღებას და ინვევენ განცვიფრებას, ეს ჯენტლმენები მიიღებენ არა როგორც ორიგინალურ ავტორთა ნაზრევს, არამედ როგორც

თგულებას რანგისა და მანდილოსნისადმი, ამაყ დაქვემდებარებას, ღირსეულ მორჩილებას, მიძღვნას გულისა, რომელიც ცოცხლად ინახავს, თუნდაც ყმობსისა, აღტაცებული თავისუფლების სულ. უფასო მშვენიერება ცხოვრებისა, უანგარო დაცვა მამულისა, ვაჟკაცურ გრძნობათა აღზრდა და პერიოკული მისწრაფება დაიკარგა! ხელიდან გავგისხლტა შეგრძნება უმთავრესისა, განცდა ღირსებისა, ჭრილობასავით რომ გვწვდება და შთავაგონებდა სიმამაცეს, აშოშმინებდა მძვინვარებას, აკეთოლმობილებდა, რასაც შეეხებოდა; მისი გავლენით ბოროტება კარგავდა ნახევარ ძალას და იჯიტებოდა.

ეს შერეული სისტემა აზრისა და განცდისა სათავეს უძველესი რაინდობიდან იღებს; ხოლო პრინციპი, თუმც მისი გამოვლინებანი ერთმანეთისაგან განსხვავდება, თვით ადამიანური ყოფის მრავალფეროვნების გამო, არსებობდა და გავლენას აკრცელებდა მრავალრიცხოვნ თაობათა მანძილზე, თვით ჩვენი დროის ჩათვლით. და თუ ოდესმე მთლიანად უნდა გაქრეს, ვშიშობ, დიდი დანაკარგი იქნება. ეს ისაა, რამაც განსაზღვრა თანამედროვე ევროპის ხასიათი. ეს ისაა, რამაც განსახვავა ევროპა თავისი სახელისუფლებო ფორმებით და დაამჯობინა აზიის სახელმწიფოებს, და ალბათ იმ სახელმწიფოებსაც, ანტიკური სამყაროს ბრწყინვალე ეპოქაში რომ ჰყვაოდნენ. ეს იყო ის, რამაც რანგების აურევლად შექმნა კეთილშოთობა თანასწორობა და სოციალური ყოფის მთელ გრადაციაში ჩანერგა. ეს იყო აზრი, რაც მეფეებს კეთილად განაწყობდა ქვეშევრდომთა მიმართ და რიგით ადამიანებს მეფის თანამერნახედ აქცევდა, ძალისა და წინააღმდეგობის გარეშე აოკებდა სიამაყისა და ძალაუფლებს მძვინვარებას; აიძულებდა მთავრებს ანგარიში გაეწიათ სოციალურად დაბლა მდგომარეობს, აიძულებდა მკაფრ ხელისუფლებას მოქნილად ემოქმედა, გამარჯვება კანონებისათვის დაეთმო და წეს-ჩვეულებებს დამორჩილებოდა.

მაგრამ ახლა ყველაფერი იცვლება. ყველა სასიამოვნო ილუზია, რაც აკეთოლმობილებდა ძალაუფლებას და ალიბერალებდა მორჩილებას, რაც აპარმონიულებდა ცხოვრების განსხვავებულ მხარეებს და რასაც აულელვებელი შეთვისებით შეჰქონდა განცდები პოლიტიკაში და ამით ამშენიერებდა და არბილებდა კერძო საზოგადოებას, უნდა დაიშალოს სინათლისა და გონების ამ ახალი იმპერიის ძალით. უხეშად უნდა განიძარცვოს ცხოვრებაში მისაღები ყოველნაირი სამოსი. ყველა ამაღლებული იდეა, ჩვენი ნარმოსახვის კარადიდან გამოილებული, ჩვენი გულის კუთვნილება და შემეცნების მიერ დამტკიცებული, აუცილებელი ჩვენი შიშველი ბუნების მოცაცახე ნაკლოვანებათა დასაფარად და ღირსეულ აზრებამდე მისაყვანად, უნდა აფეთქდეს, როგორც სასაცილო, ასურდული და მოდიდან გამოსული რამ.

საგანთა ამ სქემის მიხედვით, მეფე უბრალოდ კაცია, დედოფალი უბრალოდ ქალი; ქალი უბრალოდ ცხოველია და არც თუ უმაღლესი რანგის ცხოველი. ყველანირი თაყვანისცემა სქესისადმი როგორც ზოგადი მოვლენისადმი, გამორჩეულ შეხედულებათა გარეშე მიჩნეულია რომანულად და სისულელედ. მეფეთმკვლელობა, მშობელთმკვლელობა და მკრეხელობა არაფრისმთქმელი მონაჩმახია ცრურწმენისა, კორუმპირებული იურისპრუდენციისა, რათა მიეჩქმალათ მისი უბრალოება. მოკელა მეფისა ან დედოფლისა, ან ეპისკოპოსისა, ან მამისა ერთი ჩვეულებრივია მკვლელობა; და თუ ხალხი რაიმეგვარად თუ რაიმე გზით მოიგებს ამით, ეს მკვლელობა იქნება ყველაზე უფრო

შესანდობი და მისთვის არ უნდა მოვიგონოთ განსაკუთრებით მცაცრი საჯეველი.

ამ ბარბაროსული ფილოსოფიის სქემით, რაც ნასხლეტია ცივი გულებისა, ბინძური შემეცნებასა და რაც დაცლილია ღრმა სიბრძნისაგან, მოკლებულია ყველანაირ გამოვნებასა და სილაზიათეს, კანონები დაფუძნებულია მხოლოდ მათსავე საკუთარ ტერორსა და იმ საქმეზე, რასაც თვითეული ინდივიდი პპოვებს მასში, კერძო მისაზრებით ან კერძო ინტერესებიდან გამომდინარე. მათი აკადემიის ჭალებში, ყოველი ბილკის ბოლოს ვერაფერს ჰპოვებთ, გარდა სახრჩობელებისა. არაფერია დარჩენილი, რაც საერთო კეთილდღეობისადმი ერთგულებას ჩაგვაგონებს. ჩვენი ინსტიტუტები, თუ შეიძლება ეს გამოთქმა გამოვიყენო, პერსონალურად ვერასოდეს დაეფუძნება ამ მექნიკური ფილოსოფიის პრინციპებს სიყვარულის, თაყვანისცემის, აღტაცებისა თუ მიღრებილების აღსაზღდელად ჩვენში. ისეთი აზროვნება, რომელიც დევნის ადათებს, ვერ შეძლებს დაიკავოს მათი ადგილი. საჯარო მიღრებილებანი, შერწყმული წეს-ჩვეულებებთან, ხანდახან საჭიროა როგორც დამატება, ხანდახან როგორც შესწორება, და ყოველთვის მხარში უდგას კანონს. ბრძენკაციისა თუ დიდი კრიტიკოსის დამოძლევრა, თუ როგორ უნდა ავაგოთ ლექსები, სახელმწიფოებისთვისაც გამოდგება: *Non satis est pulchra esse poeata, dulcia sunt.*\* ყველ ერზი უნდა იყოს წეს-ჩვეულებათა სისტემა, რასაც დაბრუნებული გონება მიიღებს და მონონებს. იმისათვის, რომ გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, ის საყვარელი უნდა იყოს.

მაგრამ ძალაუფლებას შეუძლია გადაიტანოს დარტყმა, რომლის დროსაც ჩვეულებები და შეხედულებანი იღუპება; და ძალაუფლება იპიგოს სხვა და უფრო უარეს საშუალებას დასახმობლად. უზურპაცია უძველესი ინსტიტუტების დასამორჩილებლად ანგრევს უძველეს პრინციპებს და ძალაუფლებას ინარჩუნებს ისეთივე ხელოვნებით, როგორითაც მოიპოვა. როცა ძევლი ფეოდალური და რაინდული სული ერთგულებისა, რაც შიშისაგან ათავისუფლებდა მეფეებს და ტირანისაგან იცავდა მეფეებსა და ქვეშევრდომებს, გაქრება ადამიანთა გონებიდან, უნდა მოველოდეთ შეთქმულებებსა და მევლელობებს, რასაც წინ უძღვის ხოცვა და კონფისკაცია და გრძელი ჯაჭვი პირქში და სისხლიანი მაქსიმებისა, რითაც იქმნება პოლიტიკური კოდექსი ყველა იმ ძალაუფლებისათვის, რომელიც არ დგას საკუთარ ღირსებასა და იმათ ღირსებაზე, გონც უნდა დაემორჩილოს. მეფეებს ტირანებად აქცევს პოლიტიკა, როცა ქვეშევრდომები მეამბოხენ ხდებიან პრინციპის გამო.

შეუძლებელია შეეფასო დანაკარგი, როცა უკუაგდებენ უძველეს შეხედულებებსა და წესებს. ამ წუთიდან უკვე აღარ გავგარინია კომპასი, რათა გზა გავიგნოთ; არც ის გვეცოდინება გარკვევით, თუ რომელი ნავსადგურისაკენ მივემართებით. ეჭვგარეშეა, რომ ევროპა მთლიანობაში აყვავებული იყო, მისი უძველებებით და მევლელობების, რასაც წინ უძღვის ცხოცვა და კონფისკაცია და გრძელი ჯაჭვი პირქში და სისხლიანი მაქსიმებისა, რითაც იქმნება პოლიტიკური კოდექსი ყველა იმ ძალაუფლებისათვის, რომელიც არ დგას საკუთარ ღირსებასა და იმათ ღირსებაზე, გონც უნდა დაემორჩილოს. მეფეებს ტირანებად აქცევს პოლიტიკა, როცა ქვეშევრდომები მეამბოხენ ხდებიან პრინციპის გამო.

მეტისმეტად ვართ მიღრებილი გავითვალისწინოთ საგნები იმ მდგომარეობაში, რამიც გპოვებთ და საკმარისად არ

\* საკმარისი არ არის ლექსი იყოს მშვენიერი, კმაყოფილებაც უნდა აღგვიძრას (პორაციუსი, პოეზიის ბუნებისათვის, 99)

ვაკეირდებით მიზეზებს, რამაც ისინი წარმოშვა და, ალბათ, განაპირობა. არაფერია უფრო ცხადი, ვიდრე ის, რომ ჩვენი ჩვეულებანი, ჩვენი ცივილიზაცია და ყველა სიკეთე, რაც დაკავშირებულია ჩვეულებებსა და ცივილიზაციასთან, ამ ჩვენს ევროპულ სამყაროში, სუუცხვეთა მანძილზე, ეყრდნობოდა ორ პრინციპს და ერთდროულად ორივეს შედეგი გახლდათ; ვგულისხმობ სულს ჯენტლმენბისა და სულს რელიგიისა. კეთილშინილნ და სასულეურო პირები, ერთიან პროფესიით და მეორენი მფარველობით, ახერხებდნენ სწავლა-განათლების შენარჩუნებას თვით მოქმედისა და არეულობების დროსაც, და მთავრობებიც მათი მიზეზით იქმნებოდა და არა ყალიბდებოდა. სწავლა-განათლება უკუგებას სძენდა კეთილშინილებსა და სამღვდელოებას; და უკუგებას სძენდა უხვად, აფართოებდა მათ იდეებს და ამშვენებდა მათ აზროვნებას. ბედნიერება იქნებოდა თუ ამბიციისაგან ამღვრეული სწავლა-განათლება დაკამაყოფილდებოდა მოძღვარის როლით და არ მოინდობდა გაბატონებას. თავის ბუნებრივ მფარველებთან და მცველებთან ერთად, სწავლა-განათლებაც ჩაეფლობა ტალახში და ლორების კოლტის ფერხთით დაიყრება.

თუ, როგორც ვეჭვობ, თანამედროვე მწერლობა უფრო მეტადაა დავალებული უძველეს ჩვეულებათაგან, ვიდრე

ისურვებდა, ასევეა სხვა ინტერესებიც, რომელთაც ისე ვაფასებთ, რისი ღირსნიც არ არიან. თვით კომერცია, ვაჭრობა და მრეწველობა, ჩვენი ეკონომისტი პოლიტიკოსების ღვთაებანი, თავისთავად მხოლოდ ქმნილებანია; მხოლოდ შედეგები, რასაც ისე ვეთაყვანებით, როგორც პირველსაწყისს. ისინი სწორედ სწავლა-განათლების ჩრდილში განვითარდნენ. შეიძლება გადაგვარდნენ კიდევ თავიანთ ბუნებრივად დამტკავ პრინციპებთან ერთად. ამ დროში, თქვენთან, მათ ერთობლივი გაქრობის საფრთხე ემუქრება. იქ, სადაც ვაჭრობა და მრეწველობა ხალხის სამსახურშია და კეთილშინილებისა და რელიგიის სულ შენარჩუნებულია, გრძნობებს თავისი ადგილი უკავია; მაგრამ თუ კომერცია და ხელოვნება ჩაიკარგება ექსპერიმენტში, როგორდა გაძლებს სახელმწიფო ამ ძველ და ფუნდამენტურ პრინციპთა გარეშე; რა უნდა იყოს ერი, შემდგარი ბრიყვი, მძვინვარე და, ამავე დროს, დატაკი და ბინძური ბარბაროსებისაგან, რომელთაც არც ახლა გააჩნიათ რამე და არც მომავალში ელოდებიან?

ინგლისურიდან თარგმნეს  
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმან

## დაუვითეარი სახელები

ლალი ეზუგბაია

# „ზეშმარიტებას არც მაქებარი სჭირდება, არც მაქაგებელი“

□

## არნოლდ ჩიქობავას ერთი კერძო წერილი

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა (1898-1985) პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებულია. მის სახელთანა დაკავშირებული ქართული ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მძღავრი სამეცნიერო კერის შექმნა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი მოძღვრება.

1950 წელს მოსკოვში გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე გაიმართა ცნობილი დისეუსია, სადაც არნოლდი. ჩიქობავამ დაასაბუთა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სამეცნიერო დირექტულება ნიკო მარის ელემენტოვანი მეთოდის საპირისპირო. მას შემდეგ მეცნიერმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო წრეში და საერთაშორისო აღიარებულ მოიპოვა. თუმცა მოწინააღმდეგენიც მრავლად გამოუჩნდა როგორც მოსკოვი, ასევე საქართველოშიც. უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მი-

სი კრიტიკით, შეიძლება იმიტომაც, რომ არნოლდ ჩიქობავა უნებლივით ამ ადამიანთა „შინაგან ცენტორად“ ქცეულიყო.

არნოლდ ჩიქობავას მოძღვრების კრიტიკა თანამედროვე ეტაპზე ახალ სიმაღლეზე ავიდა – არის მცდელობა გადაისინჯოს მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ორი ნიშით: ასრულებდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დაკვეთას; რამდენად მეცნიერული და ჭეშმარიტია მისი მოძღვრების საფუძვლები.

ასეთი ამოცანის გადაწყვეტა რომ შეძლოს, ადამიანს რამდენიმე თვისება მიინც სჭირდება: უნდა იყოს გაბედული; არ უნდა ასრულებდეს პოლიტიკური თუ სახელმწიფო სტრუქტურების დაკვეთას და, რაც მთავარია, სულ ცოტა ისეთი მოაზროვე და მეცნიერი მაინც უნდა იყოს, როგორიც არნოლდ ჩიქობავა ბრძანდებოდა.

ერთი რამ ცხადია, არნოლდ ჩიქობავას უმოწყალო კრიტიკა „არ ახალია, ძეველია“. უფრო მეტიც, ბრალდებებიც ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს: ავტორი და დრო რომ მოაცი-

ლო, გეგონება, ამ წუთას ნათქვამი და მოსმენილიაო. სამწუხა-  
როდ, განსხვავება ისაა, რომ მეცნიერი თავის სიცოცხლეშივე  
საკადის პასუხს სკემდა მავანთ, ხოლო დღეს პასუხად ან ობ-  
ვრა ისმის, ან მოკრძალებული კულუარული განცხადებები.

არაერთხელ მიფიქრის, თუ თავად არნოლდ ჩიქობავა  
რა პასუხს გასცემდა თანამედროვე კრიტიკოსებს. თით-  
ქოს ამ ფიქრის გამოძახილად იქცა ერთი ბედნიერი შემთხ-  
ვევა, როდესაც ჩვენს ხელთ აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას მი-  
ერ პროკოფი რატიანისადმი გაგზავნილი კერძო ნერილი,  
რომელიც თარიღდება 1952 წლის 14 მაისით. პროკოფი  
რატიანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომი-  
ტეტში კურირებდა მეცნიერებათა აკადემიას და, პუნქტ-  
რივია, მეცნიერს საჭიროდ ჩატვალა ახსნა-განმარტება  
მთელი რიგი „საჭირბოროო“ საკითხებისა, რომლებიც  
დროდადრო ავტედით  
ლრუბლებად გროვდებოდა  
მის გარშემო. მაისის ამ ჩვე-  
ულებრივ დღესაც არნ. ჩი-  
ქობავას პრ. რატიანისათვის  
გაუგზავნია ნერილი და  
სტენოგრამიული მასალა.

საინტერესოა ამ წერი-  
ლის დაწერის მიზეზი: 1950  
წლის თებერვალში თათბირი  
მოუწვევია საკავშირო მეც-  
ნიერებათა აკადემიის პრე-  
ზიდიუმს. თათბირი გაუხს-  
ნია შესავალი სიტყვით აკად.  
ტოპჩიევს (აკად. მთავარი  
მდივანი). თათბირი მიზნად  
ისახვდა – განესაზღვრა  
ახალი ლონისძებანი მარის  
მოძღვრების დასანერგვავად  
(რავი 1950 წ. იანვარს მარის  
გარდაცვალების 15 წელთან

დაკავშირებით არ მოხდა მარის გამოცხადება საბჭოთა  
ენათმეცნიერების ფუძემდებლად). გაჩნდება კითხვა, რა  
კაშირია ამ თათბირსა და არნ. ჩიქობავას შორის. რო-  
გორც ჩანს, ამ თათბირს მხოლოდ მარისტები დასწრებიან:  
მეშჩანინოვი, სერდიუჩენკო, იაკოვლევი, ფილინი, ჩემო-  
დანივი, ტოლსტოი, ლარიბიანი... საქართველოდან – ალ.  
ლომონგრი და ს. ულენტი. ალ. ლომონგრის გაუკრიტიკებია არნ.  
ჩიქობავას ის კონცეპტუალური მიდგომა ენის შესწავლი-  
სადმი, რომელიც 1928 წელს გამოცემულ წიგნში „მარტივი  
წინადადების პრობლემა ქართულში“ არის გადმოცემული.  
კრიტიკის საგნის მეცნიერის აზრი, რომ ინდო-ევროპული  
ენათმეცნიერება ერთადერთი მეცნიერებაა, რომელსაც  
შეუძლია სხვა ენების დამუშავებისას იკისროს მეთოდო-  
ლოგიური პაზის საპასუხისმგებლო როლი.

არნოლდ ჩიქობავას თქმით, ამ ციტატის კომენტარით  
ალ. ლომონგრი საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს საქმე ეხ-  
ბოდეს მეთოდოლოგიის ზოგად პრინციპებს, მსოფლმხედ-  
ველობას... დახეთ, რას წერს...

მეცნიერი განმარტავს, რომ აქ საქმე ეხებოდა სპეცია-  
ლურ მეთოდს, შედარებით-ისტორიული ანალიზის პრინ-  
ციპებს, რომელსაც უპირისპირდებოდა ნ. მარის ელემენ-  
ტოვანი ანალიზის მეთოდი: საიდან ჩანს, რომ სენებულ

ადგილას სწორედ შედარებით-ისტორიული მეთოდი იგუ-  
ლისხმება? მთელი კონტექსტიდან (იმავე და წინა გვერდ-  
ზე). კონტექსტიდან ამოგლეჯილ აზრს, რასაც გინდა, ათ-  
ქემევინებ (სტალინი ჯერ კიდევ 1904 წელს წერდა: მამაო-  
ჩვენოდან შეიძლება ისე ამოგლიჯო ფრაზა, რომ მამაო-  
ჩვენოს ავტორს ლვთის გმობისათვის საღრმობელაზე აიყ-  
ვანებო... ხსენებულ ადგილას (...საპასუხისმგებლო რო-  
ლი) შენიშვნა აქვს: მხედველობაში გვაქვს კვლევა-ძიების,  
ე.ი. შედარებითი და ისტორიული მეთოდი. ამ შენიშვნას  
აბა ვიღა შენიშნავს! – აცხადებს მეცნიერი და განმარტავს,  
რომ ეს დებულება დაზისტდა და განსხვავებული რედაქ-  
ციით შევიდა მის მიერ 1935 და 1945 წელს გამოცემულ ზო-  
გადი ენათმეცნიერების I და II ნაწილში.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ნაშრომში მარტივი წი-  
ნადადების პრობლემა ქარ-  
თულში ზოგადად იღებს ის-  
ტორიულ-შედარებით მე-  
თოდს, მაგრამ აღნერით  
ანალიზის მეთოდს ინდო-ევ-  
როპულ ენათა შესწავლისას  
მიღებულს, ავტორი უარ-  
ყოფს. ზოგადად ეს იმავე  
გვერდზე ნათქვამი, შედა-  
რებით რბილად, ხოლო მომ-  
დევნო 130 გვერდის მანძილ-  
ზე (გვ. 3-133) მოცემულია  
კრიტიკა იმ გაგებისა, რაც  
ინდო-ევროპული ენათმეც-  
ნიერების ყველა მნიშვნელო-  
ვან წარმომადგენელს მოუ-  
ცია. რადგანაც უარსაყოფი  
მეტი იყო, ამიტომ მისაღები  
რაც იყო, ის გახაზაზა უფრო  
მეტად, ვინგმ ეს საჭირო იყო,  
– განმარტავს მეცნიერი.

მეორე დებულება, რომელსაც აკრიტიკებს ალ. ლომონ-  
ტი, ეხება იმანენტიზმის საკითხს. არნ. ჩიქობავა განმარ-  
ტავს, რომ ალ.ლომონტის „გაზეთებში არაერთხელ უთქვამს:  
ჩ-ვა შუპე, შუბერტ-ზოლდერნის იმანენტიზმის მიმდევარია  
და ეს იმანენტიზმი ხომ ლენინმა გაანადგურაო... ერთი  
სიტყვით: გრამატიკის მეთოდოლოგიურ იმანენტიზმს გნო-  
სეოლოგიურ იმანენტიზმს უტოლებს... მათ შორის საერთო  
იმდენივეა, რამდენიც ქიმიურ რეაქციასა და სტოლიპინის  
რეაქციას\* შორის. ამის შემდეგ მეცნიერი მოკლედ ხსნის  
მეთოდოლოგიური იმანენტიზმის არს გრამატიკაში და შე-  
ნიშნავს: ზემოთ მოვანილ ორ შენიშვნაზე პასუხი არაერ-  
თხელ ყოფილა გაცემული (1930, 1931, 1934, 1935, 1936,  
1946წ). ... 1950 წელს ლომონტი ისევ იმეორებს.

ირკვევა, რომ რეალურად არნ. ჩიქობავას ყოველთვის  
ედავებოდნენ იმაში, რაც გახდა ქართული ენათმეცნიერე-  
ბის საფუძველი: ერთი მხრივ, ქართული ენის შესწავლა შე-

\* კომუნისტური იდეოლოგიური ტერმინი. სტოლიპინი  
იყო რუსთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე,  
რომელმაც გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები რუსეთში,  
მათ შორის მინის რეფორმა. ეპრძოდა რევოლუციონერ-სოცი-  
ალისტებს, რომლებმაც მოკლეს კიდეც.

დარეპით-ისტორიული მეთოდით, რომელიც ევროპული ენათმეცნიერების წიაღში წარმოიშვა; მეორე მხრივ, ქართული ენობრივი სისტემის აღნერა მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპით.

შეიძლება ითქვას, რომ XX ს-ის ქართული ენათმეცნიერების მონაპოვარია ის შრომები, რომლებიც ამ ორი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომის საფუძველზე შეიქმნა. დღეს კი XXI ს-ის გარიურაუზე სწორედ ამ საფუძვლების რევიზია განუზრახავთ...

ეს რაც შეეხება, არნ. ჩიქობავას მოძღვრების კრიტიკას. მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა სხვა სახის ბრალდები, რაც იმავე მოსაოვაზე თაბბირზე განუცხადებიათ: მავანი და მავანი ევროპისაკენ იყურებათ... ჩ-ვას მისი ჯგუფი უცოდველად თვლის... ეს ჯგუფი ვნებს საბჭოთა ენათმეცნიერებას, იგი უნდა მოვსპოთო... ჩ-ვას ჯგუფის განადგურება მთავარი ამოცანააო. მეცნიერი იქვე ირონიულად შენიშვნავს: (მათი) ეს სურვილი უთუოდ საინტერესოა.

ეს სურვილი უთუოდ საინტერესოა თანამედროვეობისთვისაც, რადგან თუ მაშინ ევროპისკენ ყურებას აბრალებდნენ, რაც ვნებდა საბჭოთა ენათმეცნიერებას, დღეს პირიქით ამბობებს: საბჭოთა ენათმეცნიერების, ანუ საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთით შექმნილი ენათმეცნიერების ფუძემდებელია; მაშინ თუ დაუინებით აცხადებდნენ, ჩ-ვას ჯგუფის განადგურება მთავარი ამოცანააო, ახლაც არანაკლები დაუინებით ამტკიცებენ, არნ. ჩიქობავას სამეცნიერო შრომები ქართველური ენების შესახებ და-საგმობი და ამოსალებია მეცნიერების ისტორიიდან. როგორც ჩანს, სხვადასხვა ეპოქაში ერთი და იმავე ადამიანის მიმართ კონიუნქტურის მიხედვით ურთიერთსაპირისპირო ბრალდები და შეფასებები შეიძლება გამოითქვას. მაგრამ მაშინ სად არის ჭეშმარიტება?

ამ კითხვაზეც აქვს პასუხი არნ. ჩიქობავას!

წერილს ერთვის შენიშვნა, ე.ნ. შ. რომელსაც მთლიანად მოვიყენთ:

ეს მასალა მე არავისთვის – ამხანაგთაგან არ მიჩვენებია. იქნებ სჯობდა, რომ ამხანაგებისთვის ცნობილი ყოფილიყო. ამას წინათ ამხ. გ. ცხოვრებაშვილმა მეთხა: თქვენზე კარგ რამებს ამბობენ, წერენ მონაფები და თქვენ რა აზრის ხართ ამაზეო? მოვახსენე: ა) მონაფები მე არა მყოლია და არც მყავს (არიან თანამშრომლები; თუ თანამშრომელი ვარგა საქმისთვის, ის (ენათ)მეცნიერების მონაფეა და არა ჩემი; თუ მეცნიერებისათვის არ ვარგა, არც ჩემი მონაფე იქნება და არც მეცნიერებისთვის მეთექი). ბ) პირში ქათინაურს ვერავინ გამიბედავს, – არც თანამშრომელი, არც სხვა ვინმე. თუ ვინმე რამეს წერს კარგს, მე არ მითანხმებს (ისევე, როგორც სალანდავს არ მითანხმებს). მაგრამ ეს პასუხი და ეს კითხვა კი არაა აქ მთავარი. მთავარია საკითხის დასმა: კარგი როგორ ითქვა თქვენ შესახებო? (წინათ მეკითხებოდნენ: რომ გლანდლავენ, რატომ გლანდლავენო, რატომ წერთ ისეთ რამეს, რომ გაგლანდლონ? ახლა კიდევ: რატომ არ გლანდლავენ?)

ასეა, ვიღაცა გაქებს, ვიღაცა გლანდლავს, მერე შეიძლება როლებიც გაცვალონ: მაქებარმა გაგლანდლოს, მძაგებელმა – შეგაქოს... ჭეშმარიტების წესი ასეთია: არც მაქებარი სჭირდება და არც მძაგებელი...

ჭეშმარიტება ერთია და მარადიული!

## თამარ შაიშმელაშვილი

# მინდა როდენში განევრიანება

ოთარ ჩხეიძის სახელობის სამ სტიპენდიანტს – გიორგი კე-კელიძეს, ოქტავი ქაზუმოვსა და ანი კოპალიანს – წლეულს მეოთხე სტიპენდიანტი – ანა ბაკანიძე დაემატა. ივანე ჯავახიშვალის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუ-მანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უკვე ტრადიციად დამკიდრდა ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტების დაჯილდოება.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ მადლიერება გამოითქვა ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიის და-არსებისათვის.

„ეს ძალიან კეთილშობილური ქესტი იყო სტუდენტების მხარდასაჭერად. ოთარ ჩხეიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენი სტუდენტების სახით ნამდვილად ჰყავს ღირსეული გამგრძელებელი, და მიხარია, რომ როგორც კომისიის წევრები: როსტომ ჩხეიძე, პატარა ჩხეიძე, გიორგი გარეჩილაძე, მაკა ჯოხაძე, დარეჯან თვალოვაძე, ქეთევან გოჩიტაშვილი აღიარებენ, სტუდენტებმა დიდი ინტერესი გამოავლინეს, ასევე, მაღალი იყო მათი მომზადების დონე და კომისიის გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ თავისთავად სასამოვნოა ის, რომ ჩვენი სტუდენტები პატივს სცემენ ქართულ ენას, მწერლობას, მხატვრულ სიტყვას... მათი სახით ქართულ მწერლობას ძალიან კარგი გამგრძელებელი და მფარველი ჰყავს“.

გიორგი ხუბუას თქმით, ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა სხვადასხვა ასპექტითაა საინტერესო. პირველ ყოვლისა, ესა საოცარი აგადემიზმი, რომელიც არაჩვეულებრივად იყო შეწყმული მოქალაქეობრივ პოზიციასთან, პირველობისათან, სამართლიანობასთან, ნებისმიერი სიმახინჯის კრიტიკასთან, რაც წერის მიერ დროს ახასიათებს: საზოგადოდ, ადამიანი ერთდროულად ლეთის ხატიცაა და ცოდვილიც. მაგრამ ოთარ ჩხეიძის მოღვაწეობის ეპოქა განსაკუთრებულად რთული იყო, რადგან საბჭოთა რეჟიმის იღორლივიური წესების პირობებში მხოლოდ მართალი სტყვის თქმა არ ვაძროდა – აკადემიური კვითოლსინდისერება უნდა შეგვარჩუნებინა, მოქალაქეობრივი პოზიციაც დაგვეცა და ეპოქის შეულამაზებელი სახეც წარმოგეჩინა. ოთარ ჩხეიძე სწორედ ასეთი – დროის კონიუნქტურისა თავისუფალი – სტყვის დიდოსტატი იყო.

„ამ სტიპენდიის დაარსება არა მარტო სერიოზული დახმარება სტუდენტებისთვის, ამავე დროს სერიოზული გამოწვევაა უნივერსიტეტისთვისაც, ყოველი ასეთი კონკურსის დროს უნივერსიტეტი, პროფესურა, ფაკულტეტი მინი-გამოცდასაც აბარებს საზოგადოებას იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ შევვიძლია, ერთდროულად შევაფასოთ, როგორ მიმდინარეობს ჩვენთან სწავლების პროცესი, რამდენად აქტიური სტუდენტობა მოდის, არა მარტო პროფესურისა თავისუფალი სიტყვის დიდოსტატი იყო.“

პროფესიისადმი სოლიდარობის განწყობა და პატრიოტული დამოკიდებულება უნივერსიტეტის ფაკულტეტისადმი, იმ შრომისადმი, რასაც განათლებაში ჩვენი პროფესიურა დებს“.

თსუ პროფესორმა თამარ პაიჭაძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტთა ინტერესი ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მიმართ არ ნელდება: „მათ ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ, რომლის არსიც ისაა, რომ ოთარ ჩხეიძე არის სიმართლის მოყვარული შემოქმედი. მას შეუძლია ყველაზე სწორად, მართლად, პირუთვნელად ასახოს ის პერიოდი, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ამიტომ ლექციაზე სტუდენტები ყოველთვის ამბობენ, რომ ეს ადამიანი მე-20 საუკუნის ყველაზე პირუთვნელი ამსახველია. და რომ მათთვის ძვირფასია მწერლის ეს თვისება, ხაზს უსავისენ შემოქმედებით და მხატვრულ მეთოდს – განსაკუთრებულად ორიგინალურსა და თავისთავადს. ეს ყველაფერი ქმნის მნიშვნელოვან მოტივს, რომ მწერალი სტუდენტებისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იყოს“.

ქალბატონი თამარის აზრით, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიის დაარსებამ სტუდენტებს მისცა სტიმული, რომ უფრო და კვირვებით, განსჯოთ, გაანალიზებთ შეისწავლონ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურული პროფესები. მათი აზრით, თუკი ოთარ ჩხეიძის შემოქმედება და მის სახელთან დაკავშირებული წახალისება იარსებებს, ეს მათ შეაგულიანებთ, მწერლის შემოქმედებას კიდევ უფრო დაკვირვებით გადახდონ.

თსუ პროფესორის კახა ლორი-

**ას** თქმით, ოთარ ჩხეიძე ჭეშმარიტად ქართულ მწერლობას (და არა ქართულ საბჭოთა მწერლობას) ემსახურებოდა:

„უკვე შეიძლება დაბეჭიოთებითა და პასუხისმგებლობით ითქვას, რომ ოთარ ჩხეიძემ დროს გაუსწრო და გაუძლო კიდეც. იგი არ მორიცებია უაღმრესად მწვავე, აქტუალური თემების ასახვას. ხშირად პირდაპირაც რეაგირებდა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენაზე და თითქმის უახლეს პოლიტიკურ სინამდვილეზე წერდა ნაწარმოებებს. ეს მწერლისთვის სარისკოა, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს სწყალობდა ნიჭი და ინტუიცია და ემპირიულ მოვლენებში ყოველთვის პოულობდა ზედროულს, იმას, რაც ისტორიის განვითარების ხაზი და ისტორიის ჭეშმარიტი ლოგიკაა“, – დაასკვნა კახა ლორიამ.

მისი აზრით, ოთარ ჩხეიძე არასოდეს არ გარიდებია მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. მე-20 საუკუნეში არსებობდა ქართულენოვანი ორი სახის მწერლობა: ქართული საბჭოთა მწერლობა; ჭეშმარიტად ქართული მწერლობა; ოთარ ჩხეიძე ჭეშმარიტად ქართულ მწერლობას განეკუთვნება და მისი ერთ-ერთი უთვალსაჩინოების წარმომადგენელია არა მარტო გასულ საუკუნეში.

ანა ბაქანიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტი:

„ეს არ არის ჩემთვის ჩვეულებრივი სტიპენდია, არამედ დიდი პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულებაა დიდებული შემოქმედის წინაშე. შეუძლებელია ოთარ ჩხეიძესთან ცოტათი მაინც იყო დაკავშირებული და ცხოვრებაში სულ ცოტა იმას არ ცდილობდე, რომ მართალი ადამიანი იყო. თვითონაც ასეთი გახდათ. ცდილობდა, თავისი წილი წუთისოფელი ეპოვა...“

მიაჩნდა, რომ უმჯობესია უბედური იყო, ვიდრე გეგონოს, რომ ბედნიერი ხარ. ამას მაშინ ფიქრობდა, როდესაც მთელი სსრ კავშირი თავის თავს ბედნიერად მიიჩნევდა.

ხელოვნებაშიც და ლიტერატურაშიც მისთვის მთავარი სიმართლე და პიროვნების უფლება იყო, ეს მაშინ, როდესაც სოციალისტური რეჟიმი ყველაზე მეტად პიროვნულ თავისუფლებას და აზროვნებას ზღუდვდა. ასეთი შეზღუდვების მიუხედავად, მან მოახერხა საბჭოთა მწერლობის სინამდვილეში კრიტიკიზმის შემოტანა, ისე ფიქრობდა და აზროვნებდა, როგორც ახლა ვწყებთ ფიქრსა და აზროვნებას რეალურად.

იგი იყო ადამიანი, რომელიც არც ციხეში მჯდარა, არც გადასახლებაში ყოფილა, მაგრამ თავისი ცხოვრებით კატორლა გამოიარა. ასეთი დევნის მიუხედავად, მან შეძლო სრულიად განსხვავებული სტილისა და სამყაროს შექმნა.

ანა ბაქანიძემ მადლობა გადაუხდა უიურის – გასაუბრება სულ არ ჰგავდა კონკურსის გარემოს. ეს იყო საინტერესო საუბარი უფროს შეგობრებთანა, აღნიშნა მან.

გორის უნივერსიტეტში ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტმა თეონა ქურთაულმა აღნიშნა, რომ ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტმა მისთვის დიდი სიხარული და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა: ვეცდები გავამართლო იმ ადამიანის იმედები, რომელსაც ოთარ ჩხეიძე ერქვაო.

როსტომ ჩხეიძე, უურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარი რედაქტორი:

„ჩვენი დღევანდები დღე და თავყრილობა ნიშანდობლივა გულწრფელობით, სიმართლით და კიდევ იმით, რომ გრძელდება ის განზრახვა, რაც შარშან დაიწყო. ყველა წამოწყებას მაშინ აქვს ფასი, როცა წამოწყებად არ რჩება და მართლა ისე გაგრძელდება, იმ დონითა და ლირსებით, როგორც მას შეეფერება. უმთავრესი, რითაც შარშანაც და წელსაც გასაუბრებამ ყურადღება მიიპყრო, ესაა ძალიან მაღალი დონე. მართლაც ძნელია უკეთესის გამორჩევა, და საბოლოოდ რჩეულთა შორის რჩეული მოიპოვებს ამ სტიპენდიას. განსწავლული, ღრმად მოაზროვნე ასალგაზრდები გვიყვავს, რომლებიც გონივრულად ლაპარაკიბდნენ არა მარტო ოთარ ჩხეიძეზე, არამედ ბევრ თემატიკაზე.“

ერთი სიტყვით, დღევანდები დღე ვიგულისხმოთ ერთ-ერთ რეოლად არა მარტო ამ სტიპენდიის დაარსებისა და გაგრძელების საქმეში, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრების ღირსასხვარ მოვლენად.



ანა ბაქანიძე

თავის დროზე, როცა ოთარ ჩხეიძეს ეკითხებოდნენ, როგორ გაბედეთ სიმართლის თქმა უმწვავეს დროს, როცა შეიძლება ამ სიმართლეს ციხის კედლებთან მიეყვანეო, იგი ამბობდა, არ ვიცი, არც გამიგია, თუ რაიმე გაბედულ საქ-ციელს ჩავდიოდი, მხოლოდ ერთი რამ ვიცი – მწერალმა უნდა აღწეროს ის, რასაც ხედავს. რასაც ვხედავდი, იმას აღვნერდი, და ეს ყოფილა თურმე გაბედულებაო.

ასე იყო ბოლო დრომდე, ვიღირე სული ამოხდებოდა, იგი განაცრობდა წერას. ყველას უკვირდა, როგორ ახერხებდა იმ ასაკშიც შეენარჩუნებინა ის ექსპრესია, რაც ახალგაზრდობის თვისებაა და შემდგომ და შემდგომ თანადათან ნელიდება“.

როსტომ ჩხეიძემ ყურადღება გაამახვილა ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მრავაფეროვან ასპექტებზე: მისი შემოქმედება გამოადგებათ არა მხოლოდ ლიტერატურის მკვლევარებს, არამედ – ისტორიკოსებს, ფსიქოლოგებსა, ფილოსოფოსებს, ასტრონომებს, იურისტებსო...

„მახსოვეს, ლევან სანიკიძეს ახალი წაკითხული ჰქონდა „არტისტული გადატრიალება“, მითხო: გავა დღო და ამ ნიგენს ჰომეროსის „ილიადას“ მსგავსად დაეყრდნობიან ის-ტორიკოსები, რათა დაინახონ მაშინდელი ეპოქა... ეს არ ყოფილა პათეტიკა. გავიდა ხანი და რეალობამ ეს დაადასტურა. ვერავითარი ისტორია იმ ძალით ვერ წარმოსახავს რეალობას, რა ძალითაც ამას მწერლობა შეძლებს. ლიტერატურა ყოვლისმომცველია“, – ბრძანა როსტომ ჩხეიძემ.

მნერალმა, თბილისის საკურებულოს თავმჯდომარებ  
**ზაალ სამადაშვილმა** მიულოცა სტიპენდიანატებს ეს გან-  
საკუთრებული დღე და აღნიშნა, რომ ბატონი თბარის  
თხრობის მანერას, განუმეორებელ სტილს მისთვის უპირ-  
ველესი ანდამატი და მიზიდულობის ძალა აქვს:

„თხრობის ეს მანერა ყველაზე მეტად ჩამოთრევი იყო... ჩემთვის მწერალი თხრობის მანერასთან ერთად საინტერესოა იმით, რამდენად შეძლო საკუთარი გამოცდილების ჩემს გამოცდილებად ქცევა, ანუ როცა კითხულობ, ისეთი განცდა გეუფლება, უკვე შენი გგონია. ასეთ დიდ უსაყვარლეს მწერალთა რიცხვს ოთარ ჩემიძეც განეკუთვნება. ეს „ბორიაყსაც“ ეხება, „პაგანინის თითებსაც“, „ჰიუგოს „საბრალონსაც“, მარკესის „მარტონბის ას ნელინადსაც“. უკვე წაიშალა ზღვარი, რა ვნახე მე თვითონ და რა ამოვიკითხე ჩემს საყვარელ დიდ მწერლებთან.

და თან ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბატონი  
ოთარი იყო პედაგოგი და მკულეუარი. მხოლოდ და მხოლოდ  
დიდ მწერლებს შეუძლიათ ლიტერატურაზე გადამდებად  
საუბარი, მხოლოდ და მხოლოდ დიდ მწერლებს შეუძლიათ  
ნიგნი შეაყვარონ დამაინას, მხოლოდ და მხოლოდ დიდ  
მწერლებს შეუძლიათ საკუთარი გამოცდილება აქციონ  
მკითხველის გამოცდილებად, და ამის გამო არიან ისინი  
უპირველეს ყოვლისა მაღლობის ღირსნი.

სტიპენდანტთაგან ერთს ვიცენობ – გიორგი კეკლიძეს, პოეტს, უნიჭიერეს შრომისმოყვარე ახალგაზრდას, რომელიც, იმდენი მაქავ და დარწმუნებული ვარ, შეეცდება მთელი ცხოვ- რება იყოს ასეთი და უერთგულოს იმ ღირებულებებს, რომელ- თაც ბატონი ითარი და მისი მსგავსი მწერლები საქართველო- ში, და არა მარტო საქართველოში, ამ კვიდრებენ. ”

**მაკა ჯოხეაძე, მწერალი, შესარჩევი კომისიის წევრი:**

„ბატონიშვილი რექტორმა მისასალმებელ სიტყვაში ეპოქის შეფასებისას სიტყვების ასეთი დაწყვილება გამოიყენა: დროის კონიუნქტურა. არაფერს, ალბათ, არცერთ სიტყვას

დღოებითობა ისე არ უნდება, როგორც კონიუნქტურას. რა თქმა უნდა, ცხოვრება საერთოდ ლაგირება და კონიუნქტურაა, ხოლო ჭეშმარიტი და ნამდვილი ხელოვნება ამ კონიუნქტურის გარეშე სიცოცხლე და ცხოვრებაა. ამიტომაა, რომ კონიუნქტურაში მყოფი ქვეყანა ყოველთვის ქედს იხრის ნამდვილი ღირებულებისა და მწერლობის წინაშე.

თქვენ ყველამ შესანიშნავად იცით, ვინ იყო დიდი ესპანელი მწერლა მიგელ დე უნამუნო, მისი გახმაურებული ფრაზა – „მე მტკივა ესპანეთი.“ უნამუნო იგივე იყო ესპანეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის, რაც ილია ჭავჭავაძე ქართველების მივის.

მხეცოვან მწერლათან, დიდ პორტუგალიელ პოეტთან უუნეკეირუსთან იყო შექვედრა. უუნკეირუმ უნამუნოს ასე-თი რამ უთხრა: თქვენს ქვეყანას ეტყობა, პოეტი არ ჰყავსო. ცოტა გაუკეირდა უნამუნოს და მიუგო, ალბათ, თქვენ პატ-რიოტებს გულისხმობთ. არაო, — უუნკეირუმ — დადგება დრო, ქვეყანა წელშიც გაიმართება, ეკონომიკურად მძღვრ ბერკეტებს ჩაიგდებთ ხელში და აუცილებლად ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა გახდებით, მაგრამ მე ამას არ ვგულისხმობ. შეიძლება ძალიან კარგი პროფესიონალი — ეკონომისტი, ფილოსოფონი, სოციოლოგი და ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი არ იყოს პატრიოტი, მაგრამ წარმომუდგენელია, პოეტი პატრიოტი არ იყოს.

წუნებულის მსგავსიც არ მახსოვეს, თქვენი ქვეყნიდან რომ გამეგონოს. ამიტომ გითხარით, ეტყობა თქვენ პოეტი არ გყავთ-მეთქი.

ოთარ ჩხეიძე, უპირველეს ყოვლისა, ამ პატრიოტ მწერ-ლებს შორის მიიღაზრება. იგი რომ მარტო პატრიოტი ყოფი-ლიყონ და ხელოვნების ესთეტიზმი ძალიან მაღალ რანგში არ აყვანა, მისი სიტყვა ჩეკენზე ასე არ იმოქმედდებდა. ამის გა-ყოფა-გათიშვა ერთმანეთისგან არ შეიძლება. იგი დიდი მწე-რალია, სიტყვის დიდი ოსტატია, მართებულად აღნიშნა როსტომმა, რომ მას საოცარი ენერგია უბოსა ღმერთმა. არ-სებობს სტილის ინერცია, მაგრამ ის, რაც მან თუნდაც სტი-ლისტიკის თვალსაზრისით შეცვალა თავის ბოლო რომანებ-ში, როდესაც სრულიად შეცვალა, რასაც თავის დროზე საყ-ვედურობდნენ, ეს იყო წმინდად ხელოვნება რასაც ჰქვია.

მაგრამ უპირველესად გამარჯვებული იყო იმით, რომ ისე იცხოვრა ბოლო ამოსუნთქვამდე, პირნათელი წავიდა ამქვეყნიდან.

საოცარი ანდერძი დაუტოვა შვილებს – ეს კიდევ ცალკე რომანია – მიხედეთ იაკობ გოგებაშვილს, მის კარმითა-მოს და მეგვყვიდრეობასო. ასეთ ანდერძებს უკვე აღარ წერენ, აღარ ტოვებენ მსოფლიოში. მსოფლიო მზად არ არის, ამგვარ ანდერძებს ფასი გაუგოს. ღმერთმა ქნას, თქვენს თაობას ეცხოვროს ისეთ ქვეყანაში, და მსოფლიოში, რომელშიაც ამგვარ ანდერძებს უხვად დატოვებენ”.

გორის უნივერსიტეტის პროფესორმა **მარინე გიგაშვილმა** ყურადღება გაამახვილა გორის უნივერსიტეტში ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევაზე, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობს. „ჩვენ ჩვენად მიგვაჩნია ბატონია ოთარი, იგი წლების განმავლობაში ჩვენი ლექტორი იყო“. გორის უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამა კეთდება. მისი თქმით, იურისტებიც ჩაერთვნენ კვლევაში.

„პირველმა შარშანდელმა შესარჩევმა კონკურსმა, რომელ-შიც ჩვენი 12 მაგისტრანტი მონაწილეობდა, უკვე დაგვანახა ვითარება, რაც პირველი კონკურსის დროს შეიქმნა (ამ ვითარებაში ცხადა, კომისიის შემადგენლობასაც ვგულისხმო) – იმედი გაჩნდა, რომ ის ნარმატებით გაგრძელდებოდა.“

შარშან უკლებლივ ყველა პირველმა კონკურსანტმა ცხადყო, რომ მათ არა მარტო იციან, ვინ არის ოთარ ჩხეიძე, არამედ მისი მნიშვნელობაც უწყიან, უყვართ მისი შემოქმედება და ცდილობებიც ცხოვრების წესით, მეტ-ზაკლებად მიემსავსონ ამ დიდ ადამიანს.

ჩვენი შარშანდელი ყიურის წევრებიც დამემონიმებიან, ამან მაშინვე გადაწყვიტა წლევანდელი კონკურსის ბედიც – უნდა გაგრძელებულიყო ეს კონკურსი.“

დარჯან თვალთვაძის თქმით, წლეულსაც 15 აპლიკანტიდან საუკეთესო შეირჩა, სათითაოდ ყველა მათგანზე საგულდაგულო სჯა-ბასი გაიმართა. ეს არ იყო უბრალოდ გასაუბრება. სასიხარულოა, რომ თვითონ გამარჯვებული ანა ბაქანიძე ამბობს ამას, იგივე განცდა ჰქონდა დანარჩენ 14 სტუდენტსაც.

„მოხარული ვარ, რომ ოთარ ჩხეიძის 90-ე წლისთავს დაემთხვა ანას სტიპენდიანტობა. იგი ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტი იქნება მწერლის საიუბილეო – 2010 წელს. ანას და მისი მე-გობრების ინიაციტივა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტში გაიმართოს ოთარ ჩხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო ჩვენი, არამედ, პირველ ყოვლისა, გორის სტუდენტები. შეიძლება ჩაერთონ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებიც, რომელთაც ქართული მწერლობა, და უპირველესად, ოთარ ჩხეიძის შემოქმედება აინტერესებთ. კონფერენცია, ალბათ, ძლიან ბევრ ნიჭიერ სტუდენტს გამოავლენს.“

ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტმა ოქტავი ქაზუმიგმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი სტიპენდიის მიღება სასიხარულოა ყოველი ახალგაზრდისთვის, რადგან ამას დამსახურება სტირდება, დამსახურება კი შრომა-გარჯით მიიღწევა.

მაგრამ ორმაგად სასიხარულოა, როცა სახელმისამართი სტიპენდიანტი ხდები, თანაც ისეთი დიდი მოღვაწის სახელმისამართი, როგორიც ოთარ ჩხეიძეა მისი პირვენება და შემოქმედება... ეს იგივეა, როგორც რომელიმე წმინდა ორდენში განეკრინანება და მთელი ამ პასუხიმგებლობის გაზიარებაო...“

**ანი კოპალიანშა** ოთარ ჩხეიძეს ეპოქის სული უნივერსიტეტისა და დასძინა, საპატიო და სასახელოა დიდი მწერლის სტიპენდიატობათ. ხოლო გორგი კეკელიძისთვის ეს ჯილდო – სტიმული და პასუხისმგებლობაა.

დაბოლოს, გორგი ხუბუამ მიულოცა რა გამარჯვებულთ ნარმატება, ხაზი გაუსვა, რომ ნებისმიერი საზოგადოება წესიერებას და სამართლიანობას ყველა ეპოქაში დააფასებს.

## წათე პანძელი

# ერი და საკუთარი „სინილისი“

მარტვილის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მორიგი თავყრილობის მონაწილეებმა პატივი მიივაგეთ მეცნიერისა და პედაგოგის სერგი დანელიას ხსოვნას. მისი დაბადების 120-ე წლისთავი აღინიშნებოდა...“

სერგი დანელიას ცხოვრების გზა საზოგადოებას მოკლედ გააცნეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უურნალისტიკის წრის აღსაზრდელმა გვანცდა ჯლარკავამ, მასწავლებლებმა — სოფიკო განერელიამ და ოთარ დანელიამ.

თავყრილობას დაწესებულების დირექტორი უძღვებოდა. „საინტერესო დღეა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიაში... სერგი დანელია არ ყოფილა მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიოსი, არამედ ის იყო ფილოსოფიოსი, დიდი მოაზროვნე... გახლდათ პედაგოგთა პირველი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, რომელიც 1920 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის უნივერსიტეტში“, — აღნიშნა თავისი გამოსვლაში იგორ კეკელიამ და სტუმრები — პროზაიკოსი ოტია იოსელიანი, აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე, კინოდრამატურგი რეზო კვესელავა და პოეტი ირაკლი ვაშაყმაძე — წარუდგინა საზოგადოებას.

**რამაზ გახოკიძე** (ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი):

„დღეს ჩვენ ვიხსენებთ გამოჩენილ მოღვაწესა და ლირსეულ მამულიშვილს. მართალია, მას მაღალი წოდებები არ ჰქონდა, თუმცა ყველამ იცოდა, დიდი მეცნიერი და მოაზროვნე რომ იყო. გორეთ ამბობდა — წოდება ისეთ ხალხს სტირდება, რომელსაც პირადი ლირსება არ გააჩნიაო.“

სიკვდილის წინ შალვა უცუბიძემ, უნივერსიტეტის ერთეულთა დამარჯენებელმა და ფილოსოფოსმა, შვილებს დაუბარა: რა ვქნა, ვერაფერს გიტოვებთ, მაგრამ ნუ გეშინიათ, საფლავიდან ჩემი ძვლების ფოსფორი გზას გაგინათებთ.“

სერგი დანელიაც მრავალი წელია გზას უნათებს ქართულ მეცნიერებას, მათ, ვისაც ჭეშმარიტების წვდომა და შემეცნება გაუზდია ცხოვრების მიზნად...“

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხმ მის წიგნს — „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა. იმ დროს, როცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება იდევნებოდა, სერგი დანელიამ ბრწყინვალე აპოლოგია უძღვნა მას...“

მკვლევარმა გვიჩვენა, რომ „ვაჟას მსოფლგანცდაში მოცემულია ულრმესი ფენა ქართველური განცდისა“. მან ასევე გვიჩვენა, რომ ვაჟას ფილოსოფიური კონცეფცია არ არის იდეალისტური, იგი უაღრესად ჩეალისტურია...“

სერგი დანელია იშვა სოფლის წიაღში, ძირძეველი კოლხეთის მინაზე, საიდანაც, ჰეგელის თქმით, იწყება კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესი. ეპოქის განმსაზღვრელი კაციაო, — სწორედ მასზეა ნათევამი... საუკუნეებს გადასწვდება სერგი დანელიას სულიერი ენერგია და როდესაც საქართველო გაბრწყინდება და ამქვეყნად სიეთე, სიყვარული და სილამაზე სამარადებამდ გამარჯვებს, ქართული მეცნიერებისა და აზროვნების კვარცხლბეკზე, ლირსეულ მამულშვილებთან ერთად, მისი ვარსკვლავიც აკიაფდება...“

**ანა ჩიქვანაია** (მარტვილის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი): „ჩვენს მუზეუმში სერგი დანელიას სახელი ყოველთვის იყო გამორჩეული... ის იყო მკაცრი, მაგრამ დიდ-ბუნებოვანი, რაც კარგად ჩანდა მეცნიერების გზაზე ახალ-ფეხადგმულ ადამიანებთან ურთიერთობაში... მუზეუმის დამარსებელი, ან გარდაცვლილი მეცნიერი გივი ელიავა თავის წიგნში („შეხვედრები ცნობილ მეცნიერებთან და პედაგოგებთან“) გულთბილად იგონებს მუზეუმში სერგი დანელიას პირველ სტუმრობას, თუ როგორ იძლეოდა ჩეჩინ-ჩის კიტელში გამოწყობილი მხცოვანი მეცნიერი შენიშვნებსა და მითითებებს ექსპოზიციის გასაუმჯობესებლად თუ ტოპონიმიური ატლასის შესაღენად...“

**რეზო კვესელავა** (ლიტერატორი და კინოდრამატურგი): „ქართულ მწერლობაში ძალიან მიღებული იყო სერგი დანელიას წიგნი — „ნარკვეპი XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“. მასხოვეს ნაფლეთებად ქცეული ეს წიგნი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა... მან არამარტო თარგმნა არის ისტორიელს „პოეტიკა“, არამედ, წინასიტყვაობასთან ერთად კომენტარებიც დაურთო და ტერმინოლოგიური სირთულეები განმარტა... აკაკი განერელია რომ გაბრაზდებოდა, სერგის სიტყვებს მოიშველიებდა: „სინდისი ქართული სიტყვა არაა, ნასესხებია...“

**იგორ კეკელია** (ისტორიკოსი): „სერგი დანელიას თქმით, აღმოსავლეთის უისტორიონ ხალხებსა და დასავლეთის ისტორიული ერების მიჯნაზე გეოგრაფიული მდებარეობა იყო საქართველოს ბედისწერა — ქართველები მუდამ ცდილობდნენ ეროვნული ბიოგრაფიისა და კულტურის შექმნით ისტორიაში შესვლას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ, ისტორიის შესავალ კარებს ვერა და ვერ გასცდნენ: „დავიწყებდით ისტორიას თუ არა, — ამბობს სერგი დანელია, — კვლავ გაგვინდებოდა ისტორიის ძაფი. ეპოქათა მეტვიდრეობა არ იყო. ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობები. ერთი დიდი ფართო ხაზი არ არის ჩვენს ისტორიაში. არის მხოლოდ ხაზი წამებისა, ანიოკებისა, რძევისა და ჩაგვრისა. მაგრამ აქ ქართველები ისტორიის სუბიექტები კი არ იყოავთ, არამედ ატომებსავით ობიექტები: საქართველოს აგურებით სხვისი ისტორია შენდებოდა“.

რატომ ვერ გასცდა ქართველი ისტორიის კარიბჭეს? რატომ შენდებოდა საქართველოს აგურებით სხვისი ისტორია? რა იყო ამის მიზეზი? სერგი დანელიას თვალთახედვით, ამის მიზეზი ქართველთა დაფანტულად, გათმოშულად (ცხოვრებასა და იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მათ, როგორც ატომებს, ერთიმეორისა არ ესმოდათ. ყველა საზოგადო საქმეზე მაღლა პირადულს აყენებდა. „არ იყო ერი, რადგან გვარმა ვერ დასთმო თავი“.

თანამოძმეთა ორგულობით, გაუტანლობით, შურითა და დაქსაქსულობით გულშეძრულ სერგი დანელიას, ერის მომავალ ბედ-იღბალზე სერიოზულად შეფიქრიანებულს, ქართველთა სწორედ ამ ტრაგიკულმა ბედისწერამ დაანერინა შემდეგი სიტყვები: „შეიძლება ამასთან არის დაკავშირებული ისიც, რომ ქართველებს არა გვქონდა სიტყვა „სინიდი-

სიც“. „სინიდისი“ ბერძნული სიტყვაა, ქართველებს იგი სსვებისგან გვისესხებია. ნასესხები სინიდისით კი ისტორია არ შეიქმნება; ისტორიულ ერს ის საკუთარი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან სინიდის არის ის დუღაბი, ურომლისოდ ისტორიის კოშკი არ შენდება. ქართველთა მიერ აშენებული კოშკიც ყოველთვის ინგრეოდა, და ის ვერც ადამიანის სისხლმა და ცრემლმა შესძლეს დაცვათ დანგრევისაგან...“

სერგი დანელიას „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ სულ მალე კოსმოპოლიტურად გამოცხადდა და ამ „ნათლობით“ 1949 წლის 3 სექტემბერს კოსმოპოლიტის ბრალდებით (პრე-საში გამოქვეწებული კრიტიკის საფუძველზე!) უნივერსიტეტის რექტორატმა ავტორი რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობიდან გათავისუფლა!..“

**ოტია იოსელიანი** (მწერალი): „რა აჩერებებთ ახლა მარტვილელებს სახლში, როცა სერგი დანელიას ვიხსენებთ!.. ასე არ შეიძლება... ეს არის სწორედ ქვეყნის დალუბვა. რად გვინდა სერგი დანელიას გახსენება, თუ მის შემოქმედებას ბატრიონი არ ჰყავს, თუ არ წაიკითხე და გააცნობიერე... კაცობრიობის აზროვნება წიგნშია მოქცეული. წიგნს თუ არ წაიკითხავ, უკან წახვალ — გამოქაბულში... ილია და აკაკი, დანელია და ნუცუბიძე ვინც არ იცის, სამშობლი იქ ჰყონა, სადაც გაძლება...“

სოფელ ბანძაში დიდი ქართველი ფილოსოფოსას და ლიტერატურათმცოდნის საცხოვრებელი სახლის სავალალო მდგომრეობაზეც ვისაუბრეთ. საქართველოს მინსტროთა საბჭოს 1990 წლის 10 დეკემბრის დადგენილებით ბანძაში გახსნილი სახლ-მუზეუმი მალე დაიხურა, თვით სახლს კი მოუვლელობით განადგურებისა და საფრთხე ემუქრება...“

ესეც მისი ბედისწერა...“

სინდისი რომ ნასესხები სიტყვაა, დღევანდელი ყოფა უფრო ნათელს და დამაჯერებელს ხდის სერგის გულისტკივილსო, — აკი ესეც დასძინა რეზო კვესელავამ.

სინდისი მაშინ იმდენად არ გვჭირდებოდა, რამდენადაც დღეს, დანანებით ჩაურთავს ოტია იოსელიანი...“

ნასესხები სინდისით ისტორია არ შეიქმნება; ისტორიულ ერს ის საკუთარი უნდა ჰქონდესო... რვა ათეული წლის შემდეგაც მთებს ექოსავით შეასკდება სერგი დანელიას უმარესი ფიქრი და განცდა...“

საკუთარი და არა — ნასესხები, თუ გვსურს ისტორიის კოშკის აგებაო...“

გაუქმებული მუზეუმი... დასანგრევად განწირული მეგრული ოდა-სახლი...“

თუმცა... მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ერთი პატარა, ნათელი კაბინეტისათვის მეცნიერის სახელის მიკუთვნებამ მაინც ჩაგვისახა იმედი იმისა, რომ სერგი დანელიას მრავლისმეტყველი, საინტერესო ცხოვრებითა და ფილოსოფიური მეტვიდრეობით ხვალ უფრო მეტად ვიამაყებთ; მოვესაუთებით დიდი წინამობედის ხსოვნას, და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ცხოვრება გაბმული აღლუმი როდია, რომ ცხოვრება წვრილმანი შრომაა, საჯახირო და შეუპოვარი შრომა, — როგორც სერგი დანელია იტყოდა.



სერგი დანელია

## ମାର୍ଗ ଜୀବନିକାଶ୍ଵିଳି

## „ჩვენ ვიტაჲებით, რათა გიცყვივ ზეცას ვესრაფლეთ“

1

ବ୍ୟାକ ଅଲନ୍ତିଳିକ ଲୋକଶବ୍ଦି – ମରାଜବାଦି

სიტყუათა რომელთა გეტყვი თქუენ,  
სულ არიან და ცხონრება  
ოთანე, 6, 63  
და ზეცა გულში კვლავ იხედება  
გალაკტიონი

„როცა მიმზუხრი ფრთებს შემოახვევს მოციქულების ძეველებურ ტაძარს“, მაშინ მამა არჩილი „ნებინდა ტრაპეზითან ქედდაღლეკილი“, „სამგალობლოდ ხმადანხმენდილი“ შეუდგება „სერაბინთ მსგავსად“ ღვთის დიდებას და აგიზგიზდება „ტაძარში ცეცხლი საღმრთო ლოცვების“. ამგვარი დანართი გვიდება მამა არჩილის (მინდიაშვილის) სულეირი პორტ-რეტი, მისივე ლექსის სტრიქონებით დახატული, პეტრე-პავლეს ტაძრის ფონზე, იასამნისფერი ცის სილაჟურადებში.

დღის მიმართ აღვლენილი მისი ლოცვები ხშირად პო-  
ეტურ სტრიქონებად იქცევან და იძენენ ლექსის ფორმას,  
გულში ვერდატეული „უფლის უკადეგანო სიყვარული“  
რითმებითა და რიტმების თანხლებით გადმოედინებიან  
„დელვა-გვემული ფრთხებდამსხვრეული მწირობის მნარე  
წერისობალში“ („ქმნილება შენი“).

მისი ლექსები — „ზესთასოფლის ნატვრით“ ნასაზრდოები ლოცვებია. მას ცხოვრება ნარმოუდგება, როგორც მარადიული „გზაჯვარედინი“ — „მივმართავთ ზესკენლს — გზას ჯარის მუდვრლს ანუ თუ ეშმას ჩვენს დამჭრევარს“.

ମାତ୍ରା ଅରହିଲୀ କିମନ୍ଦୁଗରାଫ୍ଟା ଉପ୍ରେସ୍‌ରେ ତ୍ରାଣିକ୍ଷିତା ମିଳ-  
ଇଗ୍ରେସ ଡା ରୁତିଲ୍ ଡିଇର୍ବା କମ୍ପ୍ୟୁଟର ଏଣିଟ ଅଳାଙ୍କରଣେବୁଁ. ରୁତିଲ୍  
ଟିଲ୍ ଫ୍ଲୋରମ୍ବର୍ଜିଭ୍ କେମ୍ ଯୁମାଲ୍‌ଲେସି କମ୍ପ୍ୟୁଟର ପ୍ରକାଶିତ  
କିମନ୍ଦୁଗରାଫ୍ଟା ମିଳେନ୍଱ରାଫ୍ଟା କିମନ୍ଦୁମଲ୍‌ଲେସ ଗାମରସାବ୍ସେ, କେ-  
ଲ୍‌ଲୁଣ ସାମ୍ପ୍ରାର୍କ୍ ମିଳିମା ରନ୍ମାରା. ମିଳି ଗ୍ୟୁଲିସଟ୍‌କ୍ରମା „କିମି ଇକିତ  
ଏକିବେଳେ ସାଧଗୁରୁର୍କ୍, ଥେନାରାର୍କ ସାମ୍ପ୍ରାଟ୍, ରନ୍ମି ଫାର୍ମଟନ୍ସ ଆଜି ଅମାନ-  
ଗ୍ରା“ (ବାରାତାଶ୍ରେଣୀ).

မိမိ မြောက်ချွေးပါ တော်ဖြောက်ချွေးပါ အရာ မဲ့ကြော်စွဲ စာတ္ထမိုလှေး  
တွောလေးစာစိတ်ရှိခိုင်း၊ အရာမျိုး စုစုပေါင်းဖြောက်ချွေးပါ မိမိ ပျော်ချွေး  
လျှော်ဆို၊ ဒိုက်နာပိုက် တွေ့ ပျော်ရွှေ့လှွှေ့လာဖော်၊ ပျော်ချွေးတွော်ရှိချွေး  
ပါ ဖြစ်ပါသည်။

მაგა არჩილის პოეზიას ორი წყარო ასაზრდოებს, პირველი: ბიბლია, და მეორე: ქართული პოეზია, უპირველესად — ვალაკეტიონი. ორივე წყაროს მწყურვალივით არის დაწაფებული და ამიტომაც მისი სტრიქონებიც „მშობელივით“ სადა და მინდაა, შეურყვნელი, პირველმობილი ფერებით მოქარეული.

ამ პოეზიის კითხვისას იღვიძებენ სახარებისეული ჰასა-  
უები. განა პოეზიასაცით არ აღიქმება ომანე ღვთისეტყვე-  
ლის სახარების დასაწყისის: „პირველითგან იყო სიტყუა, და  
სიტყუა იგი იყო ლმრთისა თანა, და ლმერთი იყო სიტყუა  
იგი“. ამ სიტყვის ერთგული, უძალატო და ლირსეული რაონ-  
დია მათა არჩილი. იგი ცდილობს გამოიტკას ის ერთი მიჯნუ-  
რობა „რომელსა ტრფალნი ვერ მიხვდებიან, ენა დაშვრე-  
ბის, მსმენლისა ყურნიკა დავალლებიან“ (რუსთაველი).

იგი ნამდვილი პოეტია, რუსთველისეული გაგებით, რადგან მისი პოეზია სიბრძნის შემცველია, „საღმრთო საომროო“ ასაკანი და „მისიენილთა კავის ჰილი მარჯანი“.

თვითონ იქსო ქრისტე, შრომანგებზე მოსაუბრე ლერთი, განა სწორედ სიტყვის იდუმალ ძალას არ აზიარებდა მსმენელს, როდესაც საოცარი გზნებით მსჭვალავდა მათ გულებს, მაღლოთ და სინათლით ავსებდა: „თქუნ ხარ ნათელნი სოფლისანი. ვერ ჯელ-ენიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა“ (მათე, 5, 14). ამიტომაც წარმოუდგებოდა იგი ქრისტიან არაბ მწერალს ჯიბრან ხალილ ჯიბრანს პოეტად: „მის დუშმილში ველური უდაბნო იმზირებოდა, საუბარში კი მოხსასხასე წალკოტი ყვაოდა... ერთხანს მეჩვენებოდა, რომ პოეტი ვიყავი, მაგრამ ერთხელ, როცა ბეთანიაში მას გადავეყარე, ვიგრძენი, რა დღეშია ერთადერთსიმიანი საკრავის პატრონი იმის წინაშე, ვისაც მორჩილებენ სამყაროს ორკესტრები. მის ხმაში იყო ყველაფერი: ელფის სიცილი, წვიმის ცრემლი და ხეთა მხარული სიმორა ქარში“ („აღსო ძე კუავია“).

ამ „შეტმინანებასთან“ ერთად, მამა არჩილი ცდილობს თავისი საკუთარი ხმა მიაწვდინოს უფალს, მისკენ მიმავალ საღვთო ბილიკებს თავისი ნატერფალიც დაამჩნიოს. ამის დასტურია მისი ლექსების ახლახან გამოცემული კრებული, „შეტირილი“ რომ ჰქვია. ავტორი ახალ ორიგინალურ ფორმაში მოაქცევს ზემიმართულ ტირილს. თითქოს შეტირილი ერთი გაბმული და დაუსარულებელი ტირილია, მიწიდან, კაცთა ცოდვილი ბაგებიდან გადმომსკდარი და ღვთისკენ მიმავალი. მდინარეები თავდაბმა ეშვებიან, პრემიონ დამორჩ მოისწრავის. აწ ვი პირიძითაა: მონანო-

ლი გულიდან აღმომსკდარი გოდება ლეთისკენ მიიმართება, ეს ტირილი ამხელს დაცემული ადამიანის სასოწარევე-თასაც და ხსნის იმედსაც.

ასე შესტირის მამა არჩილის ლექსთა ლირიკული გმი-რიც (ავტორის ალტერ ეგო) ზეცას და იქიდან მოელის შვე-ლას:

მომგონებელი  
სასუფევლისა  
დაკარგულ ედემს  
გული სტიროდა.

იქნებ ეს „შეტირილი“ შთაგონებული იყოს „ვეფხისტყა-ოსნის“ სტრიქონებითაც. გვახსენდება ნესტანის საძებრად მიმავალი ავთანდილი, მარტოსული და დალლილი, უფალს, ერთადერთ პატრონს მინდობილი: „მიმავალი ცასა შეს-ტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა: აპა, მზეო, გეაჯები, შენ, უმძლესთა მძლეუსა, ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა, მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შე-მიცვლი დამედ დღესა“.

ეს „მზეა“ მამა არჩილის პოეზიაში, რომელსაც შესტი-რის და ევედრება. მზე ხან უფალია, ხან — ლეთისმშობელი.

ამ კრებულის ყველა ლექსი ერთი „შეტირილი“ მცირე ნაკადება, სწორედც რომ ნაკადები, ამიტომაც არის, რომ სტრიქონები და სიტყვები ერთმანეთს ისე მიჰყვებიან, არ აბრკოლებთ სასვენი ნიშნები. ამ შემთხვევები ავტორისთვის სწორედ ეს მნიშვნელობა ენიჭება პუნქტუაციაზე უარის თქმას. ერთი ამოსუნთქვით მიედინება ლექსი, რო-გორც ტირილისას, ძალიან რომ გაგიჭირდება, იქ ამოისუნ-თქავ, უფრო ზუსტად, ამოიკვნესებ და ეს შეყვანება, ჩა-სუნთქვა მხოლოდ იმსთვისაა, რომ ამოაყოლო ხაგვემი გულის ტკივილები. მას სჯერა: „ნეტარ ხართ თქუნენ, რო-მელნი სტირთ ან, რამეთუ იცინოდით“ (ლუკა, 6, 21).

ერთ ლექსს სწორედ „შეტირილი“ ჰქვია, რომელიც აღ-სარებაა ლეთის წინაშე. მასში თავმოყრილა ყველა ის ტკი-ვილი, რომლებიც სხვა ლექსებშია განფენილ-განტოტვი-ლი.

დღეს ქარი ჰქროდა  
ისე სასტიკად...

ქარი ვნებებისა და ცოდვების სიმბოლოა, ასე ევედრე-ბოდა ბარათაშვილიც „არა დაპქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა, არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა...“ („ლოცვა“).

ეს ის ქარია, სახარებაში მოციქულებს რომ შეაშვო-თებთ, ხოლო უფალი დაანწყარებს და ეტყვის: „და თავად-მან ჰრეჭა მათ: რაასა შეშინდთ, მცირედ-მორნმუნენო? მაშინ ალდგა და შეპრისხნა ქართა მათ და ზღუასა. და იქ-ნა მეყსეულად დაყუდება დიდ.“ (მათგ, 8, 26).

ლირიკულ გმირს აძლოთებს, ერთი მხრივ, დროის წარ-მავლობა, წლების ქარით გამქრალი, მეორე მხრივ, ამაოე-ბის ქარი, სასუფევლის რომ განაქარვებს. ლექსში მოთქმა-გოდებაა დაკარგული მამულისა; რეალურისა და ზესთა-სოფლიურისაც. საზოგადოდ, ამ პოეზიაში რელიგიური სა-ხე-სიმბოლოები ორმაგადაა კოდირებული და მათში ირეკ-ლება ეს ქვეყანაცა და საიქიოც.

ავტორის წარმოსახვა არღვევს დროის სამანებს და გა-ნიცდის ცხოვრებას, როგორც ზღვას, რომელიც დანთემით ემუქრება, ისიც ხომ იმ ნავშია, მოციქულნი რომ ისხდნენ, მასაც შეაკრთობს და შეაცახახებს მძლავრი, დაუნდობე-ლი და ყოვლისნარმხოცი ტალღები:

უფალ ჩემო მეც დავინთქმები  
უფსკრულთა ჩემთა ცხოვრებისათა  
ვით ძველოდესმე პეტრე დაინდე  
დაინდე ჩემი სიჭარძაგეცა  
ამაოების ამის სოფლისგან  
გამომიხსენ მე.

პეტრეს სახეს მოჰყვება გახსენება იმ ეპიზოდებისა, რომლებიც სახარებაში პეტრეს შესახებ მოგვითხრობენ. სწორედ პეტრე იყო ის მოციქული, რომელმაც პირველმა აღიარა იესო, როგორც ღმერთი. მას უცვალა სახელი რა-ბიმ და სიმონის ნაცვლად უნდა პეტრე-კლდე. სწორედ პეტრეს აღმსარებლობას დაეფუძნა ეკლესია. მაგრამ სწო-რედ ამ პეტრემ სამგზის უარყო მოძღვარი, ვიდრე მამალი იყივლებდა. ლექსთა ავტორსაც აკრთობს „სახეში შეყრი-ლი ფოთლება“, ძლიერი წვიმისგან დასველებული, თითქოს საკუთარი დაფლეთილი სულის ნაკუნები და მოუხმობს მშველეულს:

გამომიხსენ მე  
და გამიყვანე  
უვნებობის მშვიდ უდაბნოში.

„უვნებობის უდაბნო“ ორიგინალური ხატია და სიმბო-ლურად სასუფევლებს განასახიერებს. უვნებობა ხომ უსურ-ვილობაა; სწორედ ამას სთხოვდა ავთანდილი უფალს: „მო-მეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო“.

გრიგოლ ლეთისმეტყველი ასე მიმართავდა საკუთარ გვემულ სულს: „ჯერეც გარვა მოგიწევს, განვლი ცხოვრე-ბას — ამ შენთვის საგვარებით უცხო დინებას, ველურ ნაღვა-რევს, აბობიქრებულ ოკეანეს, განუწყვეტელი ქარებისა-გან ხან აქ, ხან იქ ყალყზე რომ დგება. ხშირად ვყოფილვარ საკუთარი განუსველობით ლელვა-გვემული, ზოგჯერ კი ჩვენი ცხოვრების მტერს — დემონს მოუგვრია შფოთი“ („გარეგანი ადამიანის ნაკლებფასეულობასა და არსებული სინამდვილის ამაოებაზე“).

ამ პატარა კრებულში თავმოყრილი ლექსების უმეტე-სობა გაზაფხულზე დანერილი, მაშინ როცა სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთს ურიგებიან, როცა თან ჯვარს ეც-მება და თანვე ალდება უფალი. მისთვის მარტი „გიუმაჟი თვეა, ამლვრეული და ფათერაკი, ამადაც აცვეს ჯვარს უფალი ჩვენი იესო, სწორედ ამ თვეში ალბორგებულთ და ჭკვა-გადასულთ“ („ალუბლის სიბრძნე“).

ჯვარცმის მისტერიის იდუმალებითა და გზნებით არის გამსჭვალული მამა არჩილის პოეზია. გაზაფხული მისთვის სიმბოლოა თვით უფლისა, რომელიც მარადის, ყოველწამ-ერად ევნება ადამიანთა გულში. თვითონაც, როცა სულში ზამთარს შეიგრძნობს, სიმბოლურად, ცოდვას ემონება, როგორც დავით აღმაშენებელი აღიარებდა: „მე ვნებათა ბილწთა მონად მივჰყიდე თავი“ („გალობანი სინანულისა-ნი“). მასაც ყინვა სუსხავს, ხოლო სინანული ისევე აატი-

რებს, როგორც ვაზს — აპრილის ბოლო დღეები. თვითონ მას კი „გაზაფხული“ სინანულის ცრემლებს ჰქონის და თანვე სიხარულსაც, რადგან ეს მაცოცხლებელი ცრემლები „დაბერებულ“ გულს გაანედლებს და ააყვავებს, ამიტომაც წერს: „ვტირი მერამდენე განახლებაზე“ („სიკვდილი სიცოცხლისთვის“).

ეს მარადული განახლება, რაც პოეტის გულში ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომას გულისხმობს, აძლევს სიცოცხლეს აზრს და გულს კი წყაროს უშრეტი სიყვარულისთვის.

უფლის მუდმივი ხსოვნის მანიშნებელია სტრიქონი: „გული გაზაფხულს ატარებდა ყინვა და ქარში“. სწორედ ეს „გაზაფხული“ აძლებინებს მას ცხოვრების „სიცარიელეში“. უკვე მერამდენედ, ზამთრის, ე.ი. ცოდვების სუსტეს გადარჩენილი კვლავ და კვლავ ახლად აღმოაჩენს ქეშმარიტებას: „სიკვდილი მხოლოდ სიცოცხლისთვის პგიეს და არის“.

ეს სტრიქონები ეხმანება პავლეს სტრიქონებს: „მარადე მოკურუდები“ (I კორ, 15, 31), „ეგრეცა თქუენ შეჰრაცხენით თავნი თქუენი მკუდრად ცოდვისათვეს და ცხოველად ომრთისა ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა“ (რომ, 6, 11), ხოლო სიკვდილის სტრიქონებს: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკეთუ არა მარცუალი იჯელისა დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი მარტო ხოლო ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალნ ნაყოფნი გამოილოს“ (იოანე, 12, 24). თუმცა ლექსებში ხანდახან მაინც გაკრთება ეჭვი, რომელიც დიდი რწმენის თანმხლებია:

რად დამეხურა გული ამგვარად  
გაზაფხულიც კი აღარ მახარებს  
განსაცდელებმა პირად-პირადმა  
კატაკლიზმებმა ამა სოფლისა  
პირქვე დამამხეს  
და ამატირეს.

გვახსენდება ჯვარზე გაერული უფლის სიტყვები: „ელი! ელი! არა საბაქთანი“, რაც ნიშნავს: „ლმერთო ჩემო, რად მიმატოვე“ (მათე, 27, 46), გალაკტიონი რომ ამგვარად გამოთქვამდა „რომ დავიღალე მე ამ კუბოში“.

თუმცა სულს ახსოეს და ენატრება სამშობლო — სამოთხე: „ამ მთათა მიღმა, ცოთმილთა მიღმა რომ და-ფურნა ლმერთმა მალალმა“ („ამ და მარადის“).

ამიტომაც კვლავაც მორჩილად იღებს ჯვარს და წამიერ შედრეკას „თავის უარყოფით“ და უფლის დიდებით დაამარცხებს. ისევ იესო გვახსენდება, გეთსომანის ბაღში განმარტოებული, მოსალოდნელი საფრთხის წინაშე ადამიანურად შემკრთალი და სისხლის ცრემლებით მოტირალი: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-ნარმქედინ ჩემგან სასუმელი ესე; და თითქოს თავისივე სიტყვებით „გმიოფხიზლებულ“ მოაყოლებს ამოკვნესას: „ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შეა“ (მათე, 26, 39).

მამა არჩილის ერთ უსათაურო ლექსში, რომელსაც მთლიანად მოვიყვანთ, შთამბეჭდავი სისადავით არის წარმოჩენილი ჯვარცმის ტრაგედიის ძალმოსილება. მკითხველი შეიგრძნის იმ ტეივილს, რომლითაც მთელი სამყარო იმსჭვალება. „ლურჯი იასამანი“ გულისშემძვრელი სიმბოლოა ყოველი ცოცხალი არსისა, რომელიც დვთის სიყვარულით ხარობს:

### ნითელ პარასკევს

ვკითხულობდი  
„ლურთისმშობლის ტირიოს“  
გადავსებული იყო მრევლით  
წმინდა ტაძარი  
მოულოდნელად  
თვალი ვკიდე  
ლურჯ იასამანს  
მწუხარებით რომ მომდგარიყო  
საკურთხეველთან  
თითქოს ცრემლებით დასიებულ  
მის ლურჯ ყვავილებს  
როგორაც თვალებს  
ემჩნეოდათ  
დიდი წუხილი  
ლვთისმშობლის თანა  
დასტიროდნენ  
მაცხოვარს  
ჯვარცმულს  
გარდამოხსნიდან  
სამარემდის  
მიაცილებდნენ.

„მიამბე რაიმე ლმერთზე, და ნუშის ხეო“, — ასე მიმართა ცხოვრებისა და ზამთრის ყინვისაგან გათოშილმა ფრანცის ასიზელმა გაშიშვლებულ ხეს და პასუხად: ნუშის ხე აყვავდა. ამ ლეგენდას ლაბაზ ამბად ჩართავს ნიკოს კაზანდაკის წიგნში „აღსარება გრეკოსთან“.

მამა არჩილიც თავისი ლექსებით ისევე უშუალოდ, სადაც გვიამბობს ლმერთზე, როგორც ის ნუშის ხე, რომელიც ლმერთზე ფიქრმა და ოცნებაზ აყვავდა.

„მე მენატრება ბეთანიაში მახლობლად წმინდა მონასტერისა მედგას სენაკი“, — ვკითხულობთ ლექსში „ზრახვა მარტისა“. საოცარი სიმშევიდე იღვრება ამ სტრიქონებიდან. ერთი შეხედვით, თითქოს ასე იოლად განსახორციელებელი „ზრახვა“ აქ მიუწვდომელი, სანატრელი გამხდარა პოეტისთვის. იქნებ იმიტომაც, რომ ეს, უბრალოდ, ფიზიკურ სივრცეში მონიშნული ადგილი კი არაა, არამედ ზეციური სამყაროს ანარეკლია, მისი ჩრდილია. როგორც პავლე წერდა: „რამეთუ ვხედავთ ან, ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ. ან ვიცი მცირედ, ხოლო მერმე ვიწნა, ვითარცა შევემეცნე“ (I კორინთ, 13, 12). ბეთანიის მონასტერთან სიახლოვეს სენაკის დადგმა მიანიშნებს ლვთის სიახლოვისკენ, სასუფევლისკენ სწრაფვას.

იესო ქრისტემ სწორედ ბეთანიაში, რომელიც იერუსალიმთან ახლოს იყო, ნახა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე, აქ მიეგება მას ლაზარეს დამწუხრებული და მართა, რომელმაც მდუღარე ცრემლებით აუწყა, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა. იგივე გაუმეორა მწუხარებისაგან სასოწარვეთილმა მარიამმაც მაშინ „აცრემლდა იესოც“ — და მკვდრეთით აღადგინა თავისი მეგობარი ლაზარე (იოანე, 11, 17-45).

სწორედ ბეთანიაში, სიმონ კეთროვანის სახლში სტუმრობისას სცხო დედაკაცმა იესო ქრისტეს ძვირფასი ნელსაცხებელი და როგორც უფალმა მონაფეებს აუწყა, ამგვარად, ამ უცხო, უბრალო დედაკაცმა დიდი

სიყვარულით „მოამზადა“ „ხორცნი მისნი დასაფლველად“ (მათე, 26, 6-13).

პასექამდე ექვსი დღით ადრე კი, როგორც მოგვითხრობს ითანა, იესო ბეთანიაში ლაზარეს ოჯახს ესტუმრა სერობად, აქ მარიამა სცხო ძვირფასი ნარდის ნელსაცხებელი (იოანე, 12, 1-11).

ამიტომაც ოცნებობდა გალაკტიონი: „ნამყე ბეთანიისაკენ... მე აქ უნდა დავესახლო“ („ნამყე ბეთანიისაკენ“), ხოლო უფრო ადრე, ბედისაგან დაჩაგრული გრიგოლ ორბელიანი სწორედ ამ მონასტერში, თამარის გაცრეცილი ფრესკის წინ მუხლმოყრილი იგლოვდა შავი ყორნის კლანჭებით დაფლეთილ საქართველოს და წუხდა: „ნუთუ ესლა გვაქეს, ვხედავთ რასაცა?... ტაძარს დარღვეულს“. დარღვეული ტაძარი, სიმბოლურად, ურნმენობის გამომხატველიცაა.

ლაზარესთან სულიერი ნათესაობა იგრძნობა მამა არჩილის უსათაურო ლექში, (კრებულიდან „უფალი მოვალს“, 2008). იგი ემსგავსება „მართალ ლაზარეს“, მასავით სიკვდილით ევნება, საიქიოში დემონები ცოდვებს შავ წიგნებად გადაუშლიან, მიმოიხილავს საზვერებს, ჭვრეტს ქერაბინთა ფრთხებზე აღმართულ უფლის საყდარს და სასწაულებრივი „სასოებით, რწმენითა და სიყვარულით“ აღვესილი, სააქაოში მრევლს მოუთხრობს ნანახ-განცდილის შესახებ (\*\*\* „გზაგასაყრზე ვდგავარ მდუშარედ“).

მამა არჩილის თავისი პოეზით გამოხატავს სწრაფვას ზესთასოფლისკენ. იგი ცდილობს, ნიუანსობრივად წარმოაჩინოს, როგორ მიისწრავიან ფიქრები ზეცისკენ, როგორ მიარღვევენ „სამზღვარს“, რათა შეიგრძნოს წარუვალის სიდადე: „ცისა ფერს ლურჯას ფერს ახუნებს სამოთხე იქრაც არს იმის მსგავსს ენა ვერ გამოთქვამს“ („ზე ცაზე“). რა თქმა უნდა, გვახსენდება ბარათაშვილის „ცისა ფერს, ლურჯას ფერს, პირველად ქმნილსა ფერს“. ბარათაშვილისთვის ეს პირველქმნილი ფერია, ესე იგი, მისთვის ამ არაამჭელენური ფერისაა სამოთხე. იგი ამ ფერს ემიჯნურება და ერთგულებს. მამა არჩილისთვის კი ცისა ფერი, ლურჯი ფერი სუნდება სამოთხის წარმოდგენაზე, სამოთხის „ფერადოვნების“ გამოთქმა კი ენას არ ძალუდს. წმინდა პავლეს „წერილები“ თუ შეგვაგრძნობინებენ მხოლოდ. ცის ფერი მამა არჩილისთვის მხოლოდ ხილული თვალისითვის სახილველი ფერია, როგორიც „ზესთასოფლის კარიბჭეს“ ფარავს. წუთისოფელი მისთვისაც პლატონისეული გამოქვაბულია, რომლის „ტყვეობაში“ მყოფი კედლებზე აჩრდილებს უყურებენ და არაფერი უწყიან სრულყოფილი, ნამდვილი სამყაროს შესახებ. თვითონ კი რწმენის გზით თავს აღწევს ამ ტყვეობას და „სამოთხეს“ ჭვრეტს წარმოსახვით.

ამ ლექსებში, ერთი მხრივ, მოჩანს დაღლილობა „ადამიანური ურთიერთობებით“, ამ დაღლილობას ამძაფრებს მიწიერი ტვირთი — გარდაუვალი სიბერე, ხორცის დაუძლურების („ამ ასაკის ძონი და ფლასი“) თანხლებით:

**ერთხელ როგორლაც გადაღლილმა**  
**ნიგნზე დახრილმა**  
**საკომელს მივხედე საკუთარი თავი შევიცან**  
**მინამ არეკლა ჰაბიტუსი ძალზედ ნაცნობი**  
**მობერებული მთლად ჭალარა**  
**თვალებჩამქრალი**  
**თვალთა უპეებს რომ მივსებდა მიმნეხრის ბნელი**  
 (\*\*\* „ერთხელ...“)

თუმცა ხორციელი დაუძლურებისა თუ დაქანცულობის თანაფროულად საოცარ ენერგიას იკრებს სული, რომელსაც სტანჯავს: „ვერ გავამართლე მოვლინება ჩემი ამქვეყნად“. წლებით ნაგროვი გამოცდილება, ტანჯვით ავლოლი აღმართები აჩენენ მწვერვალზე ასვლის განცდას, საიდანაც იოლად აიტყორცნება სული ზეციური სანახებისაკენ.

მამა არჩილი ახერხებს სიტყვიერ ქსოვილში მოიხელოს ის ღვთაებრივი განცდა, რომელიც მხურვალე ლოცვის უას ღმერთთან წამიერი მიახლებისას იბადება და ამგვარად გამოთქვამს:

**ლმერთს უუერთდები თუმც კი ვრჩები ადამიანად**  
**ლმერთი კი ლმერთად**  
**საოცარი არის შეგრძნება**  
**ჩვენ ვიბადებით რათა მინყივ ზეცას ვესწრაფდეთ**  
**ნაპერნკალივით.**

(„ზრახვა მარტისა“)

ამგვარი ფიქრებისას ბუნებრივად ჩნდება სახე იობისა, რომელმაც უკიდეგან მოთმინებით და ღვთის უღალატო სიყვარულით ეშმაკი დაამარცხა.

ამ ლექსებში ხდება ავტორის ერთგვარი ფერისცვალება, მის გულში აღდგება წუთისოფლის ამაოებათა სისტემით „დაგლეჯილ ლმერთი“ (გრიგოლ რობაქიძე). წმინდანთა ხატებანი მას, როგორც პიროვნებასა და შემოქმედს, სრულყოფენ. ამ შემთხვევებში, შეიძლება ვისაუბროთ, „სახისმეტყველებით თანახატქმნაზე“, როდესაც ადამიანი ემსგავსება რომელიმე წმინდანს, ან ცდილობს მიემსგავსოს, როგორც იდეალურ სატს, ასევე ცდილობს მამა არჩილი მიპყვეს წმინდანთა კვალს, ფიზიკურსა თუ სულიერს და თანახატქმნება იდეალთან:

**„წმინდა უქმობა“ ნაზიანზელის**  
**შემაძლებინე უფალო ჩემო**  
**მისებრი ჭვრეტა ღვთიურ აზრების**  
**ზესთა ცათასა ხილვების მჩენო.**

ნატვრა, რომ შეძლოს „მისებრი ჭვრეტა“, ხორციელი ცხოვრების ერთგვარი მწვერვალია, რომლისკენაც სიზიუფესავით მძიმედ და ტანჯვით მიემართება, რათა მწვერვალზე ასულმა ნამიერად იგრძნოს „მზის“ სიახლოვის უნეტარესი წამი და შემდეგ კვლავ დაღმართზე დაუგორდეს ლოდი — სიმბოლურად — ხორციელი ცხოვრება. „ლმერთან შეცვედრის“ ხსოვნა და მოლოდინი კვლავ ფეხზე წამოაყენებს, სასწაულებრივ ძალას შთაბერავს და კიდევ ერთხელ შეავლებინებს თვალს მწვერვალისთვის, საიდანაც უმზერენ წმინდანთა სულები და თავისკენ მიიხმობენ, სწორედ ეს „მიხმობა“ აიძულებს კვლავ ზე აღმართოს მზერა, ზურგზე მოიგდოს უმძიმესი ლოდი ყოველდღიური საზრუნვებისა (რეალურად — სულიერი მოძღვრისა, მასზე მინდობილი მრევლის „ცოდვათა“ კურნების ტვირთი) და კვლავ შეუყვეს აღმართს, „ჭმუნვის ალის“ (აკაე) გასანელებლად, რათა სიცოცხლე იგრძნოს და სიკედილმა ვეღარ შეაშინოს.

ამ შემოქმედებას მსჭვალავს წყურვილი; „ნეტარ იყენენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ლმერთი იხილონ“. ამიტო-


მაც არის, რომ ამ ლექსთა კითხვისას გვახსენდება ეფრემ ასურის „აღსარება“: „გლახაკი ვარ, გველისაგან განძარ-ცული; უძლური გახრენილებით შეკრული; არ გმაჩინია ძალა ცოდვით დათრგუნულს“ და წმინდა გრიგოლ ღვთის-მეტყველი: „გახუნდა ყოველივე, მოახლოვდა მკათავე: თმები გამითეთრდა; კალო აგროვებს თავთავს; მოსავალიც შემოვიდა; ახლოა რთველი. ჩემი ბოროტგვემულებანი საწნახელში უკვე იწურება. ჰოი, ჩემი ბოროტი დღე! როგორ გავექცე? რა დამემართება? როგორ მაშინებს ცოდვა; რა საშინელებაა გომორის ეკალ-ბარდებითა და ტეცნებით დახუნძლული აღმოჩნდე“ („სინანულის საგალობელი ცხოვრების მიმწურზე“). იოანე ოქროპირი: „ნუ დაუბრუნ-დებით ამქვეყნიურ ამაო გარჯას.

გეშინოდეთ ღვთისა და იცოდეთ, რომ სიმდიდრე წარმაგალია, დიდება — ფუჭი, სილამაზე — ცვალება-დი, მშვენიერება — განქარვებადი, ყოველივე ამა სოფლის დიდება ამაო, რომელიც სიზმარივით დავიწყებას მიეცემა, კვამლის მსგავ-სად გაიფანტება და აჩრდილივით გაქრება. ამისთვის თქვა სოლომონ ბრძნება: „ამაოება ამაოებისა და ყოველივე ამაო არს“ (ეკლ. 1, 2); და-ვით წინასწარმეტყველმა კი ბრძანა: „რამეთუ ყოვლითავე ამად არს ყოველი კაცი ხორცილი“ (ფსალმ. 38, 6) („სოფლის წარმავლობისათვის, სიკვდილისა და სასჯელისათვის“).

ამ ლექსების ერთი შთამბეჭდავი სახე-სიმბოლოა აყვავებული ალუ-ბალი, იგი არაერთ ლექსში გაქროება და ამხელს პოეტის სწრაფვას იდეალისკენ. „ლურჯ პრილში“ სარქმელთან აფეთქებული ალუბალი თითქოს მთლიანად აგსებს სივრცეს, ასე რომ, ქალაქი, თავისი ურბანისტული ლანდშაფტებით, სადღაც ქრება და სამყაროში რჩებინან ორინი; ის და გადაპენტილი ალუბალი — მისი ერთადერთი სულიერი მეგობარი. მას იზიდავს მისი უმანკო სითეთრე, რომელიც დასტურია უცოდველობისა. მისი ცქერა ახსენებს სამოთხეს, სადაც შემოსილი იყო სწორედ ამგვარი უმანკოებით, ამიტომაც გრძნობს თანაზიარობას მასთან, ის მისი სულის ტოლია, რომელიც გაზაფხულობით ეწვევა ხოლმე დროებით, რათა შეაგრძნობინოს სხვა ფერთა სიკაშაშისა თუ ელვარების მოჩვენებითობა. ის ახსენებს მას იღუმალ ყამს, როდესაც უფალმა ხორცი შეიმოსა, ამიტომაც სურ დამამახსოვროს მასთან შეხვედრის ყოველი წამი და აღბეჭდოს მშვენიერ სტრიქონებად:

**შევუერთდე  
უმანკო მდუმარებას  
მიუწვდომელ მხარეში.**

როგორც აკაკი ეძიებდა „საყვარლის საფლავს“ ვარდის კოკორში, ბულბულსა თუ ვარსკვლავში, ასე დაეძებს ისიც გულამისკნილი და აღმოაჩნს უპირველესად აყვავებული ალუბლის სიქათქათეში:



დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი

გარეთ კი გარეთ ჩაბნელებულ  
სარკმლის გადაღმა  
თეთრად ჰყვაოდა ალუბალი  
ჰგავდა პატარძალს

(\*\*\* „ერთხელ როგორდაც“)

აქ ალუბალი, სიმბოლურად, ქრისტეს სასძლოა, პატარალა, გონიერი ქალწული, რომელიც სიბნელეშიც თეთრად ანთია, ფხიზლობს და მოელის შუაღამის სიძეს, მაცხოვარს, რათა ღირს იქმნეს ზეციურ ქორწილში, სამოხეში შესვლისა. ამიტომაც ასეთი ენგბითა და გატაცებით წერს მამა არჩილი ალუბლის ყვავილზე, ასე იზიდავს მისი შეურყყნელი სითეთრე, თითქოს მასთან სიახლოვე მასაც გადაჟფენს ამ უჩრდილო ნათელს, ეს არის, როგორც გორეთი იტყოდა, „არჩევითი ნათესაობა“. ამიტომაც ჩნდება ერთ ლექსში ასეთი შთამბეჭდავი სახე: „აქათქათდა თეთრად მიდამი როგორც წმინდანი თეთრად ჰყვავის ხე ალუბალის“ („ალუბლის სიბრძნე“).

ალუბლის წმინდანთან შედარება ცხადყოფს ამ ყვავილის მისია, იტვირთოს „ღვთის სიტყვის“ შესხენება მოკვდავთათვის, გაძედოს და აყვავდეს არეულ, გიგ მარტმ, თავი განიროს, გადაღახოს ამ თვის სიავე, ამდღვრეულობა და ღვთის კურთხევა გაამართლოს, თეთრად გადაპენტილმა ჩასახოს იმედი აღდგომისა და სწნისა. ამიტომაც გაჩნდა ასეთი ამაღლვებელი სტრიქონები: „რასაც ვერ ვჰპოვებ ადამიანში ალმო-

ვაჩინე მე ალუბალში“ (\*\*\* „აქ ჩემს სარქმელთან“).

პოეტი ხედავს ღვთაებრივ სულს ალუბალში, ამიტომაც სარქმელთან მომდგარ ალუბალს ეალერსება, ტებება მისი სიახლოვით, აკვირდება დაბერილი კვირტებიდან სიცოცხლის დაბადებას და მიითხველსაც გადასდებს ამ შეხვედრის სიხარულს... და მამა არჩილის სიცოცხლე თითქოს ამ ორ მოვლენას — ალუბლის აყვავებით ტებობასა და მისი აყვავების სევდიან მოლოდინს შორის მოექცევა.

ყვავილი უფლის სიმბოლოა, „ყუავილ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესუსისა ყუავილად ალმოსცენდა ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა მარიამისგან ჭორციელად, ხოლო სულნელებითა მით ლმრთებისათა სული იგი მაღლისად მოპფინა ჩუებ ზედა“ (იოანე საბანისძე).

მამა არჩილის პოეზიაშიც ყვავილი უფალზე მიანიშნებს. ყვავილები სამოთხის სიმბოლოცაა, ამიტომაც გაკრთებინან ხშირად ამ პოეზიაში ის, ზამბახისა თუ იასამნის სახებანი. მამა არჩილის პოეზის უპირველესი ფერებიც ესაა: ისიფერა და თეთრი. თეთრი ღვთაებრივ უმანკოებას განასახიერებს და მის უპირველეს მოციქულად აყვავებული ალუბალი ევლინება პოეტს, ისიფერიც სამყაროს იდუმალებაზე, სამოთხეზე მიანიშნებს. „იის უფაქიზეს სურნელს ვერ ივიწყებს სული“ (\*\*\* „იის უფაქიზეს სურნელს“).

ეს სურნელი სამოთხისეულია, ამას ვერ ივინწყებს სული და ცდილობს ამქვეყნიური ამაობის შერყვნილ, დაბინძურებულ პაერში ის უნაზესი სურნელი გამოარჩიოს და მოჰყვეს, როგორც სოლომონი „ქებათა ქებაში“: „სულნელებელსა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდით“. (სოლომონი, 1,4).

იესო ქრისტემაც ქადაგებისას არაერთხელ „მახედა“ მოციქულები შრომშისკენ და მაგალითად დაუსახა: „და სამოსლისათვის რასა პზრუნველი? განიცადენთ შროშანი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ არცადა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისას შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“ (მათე, 6, 28-29).

ამ ლექსებში მძაფრი დაპირისპირებაა წარმავალისა და წარუვალისა. ლექსში „ტაძარში ცეცხლი, გარეთ სიბნელე“ კონტრასტულადაა წარმოჩენილი, თუ როგორ აღველინება მორჩილი მრევლის მიერ მხერვალე ლოცვები, გარეთ კი სიბნელეა:

### ტაძარში ცეცხლი საღმრთო ლოცვების გარეთ სიბნელე ამ დაღლილ სოფლის.

ეს ლექსები გულიდან ამოსული წრფელი ალსარებებია, მხერვალე ლოცვებია. ოსიფ ბროდსკი წერდა: „ბახს საოცრად გაუმართლა. ღმერთის შესაქებად ქორალებს ან კანტატას წერდა და უშეუალოდ უზენაესს მიმართავდა. დღეს, როცა პოეტი იმავეს მოინდომებს, იძულებულია, ირი მეტყველებას მიმართოს.“

„ნისლი მატებდა ბებერ სივრცეს იდუმალებას და მხარს უბამდა დაღლილ სულის ჩუმ მდუმარებას“ — წერს მამა არჩილი და ხატავს, როგორ ამოიზრდება ცოდვების ნისლში ყოვლის მიმტევებელი „უხილავი ღმერთის“, ხატი, როგორ შეიგრძნობს „მადლის შექებას“ და თვალწინ ჩაუქროლებენ სამყაროს შექმნისა და სამოთხიდან ადამ და ევას გამოდევნის სურათები (\*\*\* „ნისლი მატებდა“).

ლექსში „წერილი უფალს“ „ზეცით ნასაზრდოები“ სწრაფვაა „ტკბილი იესოსკენ“. ეს სწრაფვა მას სიყვდილის წყურვილით განმსჭვალავს, მაგრამ „ნუგეშისცემული კვლავ მხევდება“ და ამშვიდებს განცდა: „ჯერ მანდ დარჩი და მემსახურო“.

მიწიერი მამულის სიყვარულითა და მისი ხსნის იმედითაა გამსჭვალული ლექსი „ქართველთა მისია“. ავტორი იხსენებს „მანდილის ქრისტიანებად“ წოდებულ, „მაცხოვრის კვართის მცველი“ ქართველი ერის ორიათასწლიან ისტორიას, ხატავს აწმყოს და ნინასნარმეტყველებს კიდევ: „ლაზარე-საქართველო“ აღსდგება მკვდრეთით და „ქართველი ერი დაიმწყემება და სიცოცხლის წყლებთან საბოლოოდ და მოუბრუნებლად მიყვანება ამენ ამენ ამენ“. ცურადლებას იცცევს პოემა „უფალი მოვალს“ (დაბეჭდილია 2008 წელს გამოცემულ ამავე სახელწოდების პატარა კრებულში), რომელიც ეხმანება იოანე მოციქულის სიტყვებს: „რამეთუ მოვალს უამი, და აწვე არს“ (იოანე, 5, 25). ეს არის ლექსად დაწერილი ქადაგება. მასში გულის-შემძვრელად არის გადმოცემული ღვთისმშობლის შობის ამბავი. მისი მართალი მშობლების, სიბერინის გამო დალონებული იოაკიმესა და ანას განცდები, მათი ღვთისმოსაობა. მთხოვნელის ტონი მშვიდი და ამაღლებულია, მკითხველსაც გადაედება იერუსალიმის მკაცრ უდაბნოში მდუ-

ლარე ცრემლებით მლოცველი იოაკიმის გულისწუხილი და სასოება. ნიუანსობრივად არის წარმოჩენილი და დახატული სულის უფაქიზესი მოძრაობები. მაგალითად: „შორის დაფნათა იჯდა მოწყენით მართალი ან, მან თვალი ჰიტი, ჩიტი დაფრინდა, თავის ბარტყებთან და გადეფარა“, — ზუსტად და ნათლად წარმოაჩინს თბილი ცრემლებით თვალდნამული ანას გულისცემას.

ავტორი ამაღლევებლად ჰყვება ღვთისმშობლის ბაგშვინბაზე, განსაკუთრებით შთამბეჭდავადაა დახატული ის ეპიზოდი, როდესაც ოთხი წლის მარიამი (რომელსაც, აღთქმისამებრ, აქამდე მინაზე ფეხი არ დაუდგამს) მშობლებს ტაძარში მიჰყავთ, ფსალმუნთა გალობით როგორ აივლიან კიბის საფეხურებს და როგორ გასხლტება გოგონა წმიდა-თანმიდისკენ.

ავტორს არ გამორჩება არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ექსპრესიული თხრობა კულმინაციას აღნევს, როდესაც წმინდა ქალწულის უბინო წიაღით ქვეყნიერებას მხსნელი მოევლინება. პოეტი ზედმიწენით მიჰყვება ოთხ-თავს და ემოციური დეტალებით ოდესალაც მომხდარ სასწაულებს ახლაც განაცდევინებს მკითხველს. როდესაც ჯვარცმის ამბავს გადმოგვცემს, ეხმიანება დავით გურამიშვილს, რომელმაც „დავითიანში“ გააცოცხლა ეს ეპიზოდი („ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩინიერ...“). ამის დასასრულს კი თავის დამკიდებულებას ამაღლებული სტრიქონებით გამოხატავს:

**მიდლენდლამდე დგანან ტაძრები—  
ღმერთს ადიდებენ და ჩვენ განგვიძენე  
ისინი სჩანან, როგორც ანძები  
დაუმსხვეველი ხომალდებისა.**

პეტრე და პავლე მამა არჩილის გამორჩეულად საყვარელი მოციქული არიან. ღვთის განგებითაა, რომ სწორედ პეტრე-პავლეს ტაძარში მოღვაწეობს, აქვე, ამ ეზოშივე ააგებინა ახალი ტაძრები, მცუდრო და საამო, ცოდვილთა შემწედ და საოხად. ამ ტაძრებში სწირავს მსხვერპლს და უფლის სიტყვას ქადაგებს მოუღლელად.

მისი ქადაგებები ცალკე საუბრის თემაა, მისი მგზნება-რება და ხატოვანება გვახსენებს იოანე იეროპირისას, სიღრმე — გრიგოლ ღვთისმეტყველისას, სიყვარული — პავლესას, გულისშემუსვრილობა — იობისას. და კიდევ: პოეტურობა, რაც ხან ზედაპირზეა და ხან კიდევ შეფარულად. მაგალითად, აი, ერთი ქადაგების დასაწყისი: „როგორ ემთხვევა ერთმანეთს ეს მოწყენილი ამინდი გვიანი ზამთრისა, მდუმარება ტაძარში, სინანულის საგალოობლები და სახარების დღევანდელი საკითხავი წმ. ლუკასაგან“ („უძლები შვილის კვირიაკე“).

აღსანიშნავია, რომ მამა არჩილს არაერთი წმინდა მამის ქადაგებანი და სჩავლანი აქვს ნათარგმნი შესანიშნავი ქართულით, მათ შორის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე იეროპირისა.

რა გზა გაიარა მამა არჩილმა, როგორც შემოქმედმა?

1997 წელს აგნისანის (ა. რატიშვილის) ფსევდონიმით გამოსცა წიგნი, რომელშიც გააერთიანება ლექსების ციკლი — „თანააზრი“ და ოთხი ნოველა. წიგნს დართულ წინასიტყვაობაში როსტომ ჩიხიძემ შესანიშნავად წარმოაჩინა მამა არჩილის პოეტური ხელნერის ძირითადი თავისებურებანი.

ეს იყო პოეტურ სამყაროში მგზავრობის დასაწყისი, ერთგვარი გზაჯვარედნი, რომელზე შეყოვნებულსაც უნდა გაეკეთებინა არჩევანი, თუ რა გზას გაჰყვებოდა. სწორედ ამ ფიქრიანი შეყოვნების ანაბეჭდია ეს წიგნი, რომელ-შიც ჩანს გაორებული კაცი, ხორცსა და სულს შორის გახლეჩილი, ღვთაებრივ ჰარმონიას მონატრებული და მისი მაძიებელი. ახალგაზრდა კაცი ირგებს სხვადასხვა წილაბს და ცდილობს ამგვარად ჩასწოდეს ცხოვრების აზრს, საკუთარი მოვლინების მიზანს. ყურადღებას იქცევს ავტორის ენობრივი სამყარო, სათქმელის გამოხატვის ხაზგასმულად მეტაფორული ენა, სხვადასხვა კოდის — ლიტერატურული, რელიგიური, ფილოსოფიური — სიუხვე. მხატვრულ სახეთა რაგვარობით ენათესავება ცისფერყანებების პოეზიას. იგრძნობა ქედმოხრა ფრანგი სიმბოლისტების წინაშე. მათი სახელები არაერთგზის გაიელებენ და ხელს უწყობენ ავტორს, წარმოაჩინოს თავისი წუხილი თუ სიხარული. ამ ლექსებში მოჩანს არჩილ მინდიაშვილი, როგორც ესთეტიკი, მას თანაბრად აქვს გამახვილებული თვალი (ამის დასტურია ფერწერული სახეები) და ყური (საინტერესო რითმები, რიტმები, სხვადასხვა ფორმა (ყურადღებას იქცევს რამდენიმე სონეტი).

აღსანიშნავია ოთხი წოვალიაც, რომელმაც წარმოაჩინეს არჩილ მინდიაშვილი, როგორც პრიზაკოსი. იგი შესანიშნავია მთხოვბელია და დასამახსოვრებელ პერსონაჟებს ქმნის. მას, აგრეთვე, ეხერხება ოსტატური აღწერა საგანთა თუ მოვლენათა, ღრმა და გაულისმო მსჯელობა ეგზისტენციალურ საკითხებზე. მის თხრობას თავისებურ სიმსუბუქესა და სილადეს მატებს მახვილონივრული დაკვირვებანი, მოსწრებული ირონიის თანხლებით. ამ წიგნში ხშირად გაიელებენ ლიტერატურის, ფერწერის, ფილოსოფიის, კორიეთა სახელები, რაც ამხელს, ერთი შრივ, ავტორის, განსწავლულობას, სიყვარულს მეტაფიზიკისადმი და, რაც მთავარია, მის არტისტულობას, სიტყვიერი თამაშის ხელოვნებას. საგულისმოა, რომ წიგნის ბოლოს ამ ლექსებისა და მოთხრობების შემქმნელი (მიუხედავად იმისა, რომ წიგნი თემატურად მრავალფეროვანია, ლირიკული გმირი ერთია, სხვადასხვა ლექსება თუ მოთხრობაში განსხვავებული ნიღბით წარმოჩენილი), ამ შემთხვევაში, წოვალი „განშორების“ გმირი თომა ბრონტინი თავს იყლავს. ეს არის სიმბოლური აქტი, რადგან ამ წიგნმა წარმოაჩინა მტანჯველი და სულისშემხუთველი, სასონარმკვეთი გზაჯვარედინიდან გასვლა, გათავისუფლება და კონკრეტული გზის არჩევა. „ცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ გაგათავისუფლოთ თქვენ“ — არჩილ მინდიაშვილმა „სცნო“ ეს ჭეშმარიტება, ღრმა ინტელექტისა და გამორჩეული ესთეტიკური იდეალების მატარებელმა, არჩევანი გააკეთა, მეორედ იშვა, როგორც მამა არჩილი. წარსული კი ცხოვრების წიგნი ჩაიწერა და დარჩა, როგორც ლამაზი წაკვალევი.

ხიდი კი, რომელიც ძველსა და ახალს შორის არის გადებული, გალაკტიონის ხატითაა გაცოცხლებული, ეს ერთადერთი სიმბოლოა, რომელიც მას „ახალ ცხოვრებაში“ ისეთივე მგზნებარებით ენუგეშება, როგორც წინათ.

გალაკტიონი მისი თანმდევია, შთამაგონებელი, ამიტომაც ხშირად მის ლექსებს სწორედ მისი სტრიქონში აქვს ეპიგრაფად, იქნებ იმიტომ, რომ გალაკტიონის თვალით დანახული მშვენიერება აღელვებს, რადგან გრძნობს უფლის ხელს მის სტრიქონებში, მხოლოდ „სულისა წმიდისა

მიერ“ კარნახით დაწერილს შეიძლება ჰქონდეს ასეთი ძალა, მოასმენინოს მკითხველს იდუმალი ხმებით ავსებული სამყაროს ჰარმონია, დაანახვოს ისიფერი, ვარდისფერი თოვლი და ივლისისფერი ყინვა. შაგრძნობინოს, რომ „შენთვის გაეკრა ჯვარზე იქსო, სულო, ჭაობზე უნოტიესო“ („ხომალდს მიჰყება თოვლის მადონა“).

„აქ ყოველივე ერთი მტვერია, რომელიც თვალებს მივსებს და ღვთიურ სინათლეს სულ უფრო და უფრო განვეშორები, კედელ-კედელ, ხან აქ, ხან იქ - ხელისცეცებით, დავხეტიალობ დიდი ცხოვრების მიღმა. გავვადნიერდები ერთ მართალ სიტყვაზე: ღვთის თამაშია ადამიანი“ — წერს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი („გარეგანი ადამიანის ნაკლებფასეულობასა და არსებული სინამდვილის ამაობაზე“), ამ სიტყვებს ეხმანება მამა არჩილი თავისი გულისთქმით.

ერთ ბოლო ლექსში, „თანამედროვეობის კალეიდოსკოპი“ რომ ჰქვია, მამა არჩილი შთამბეჭდავად ხატვას დროის მაჯისცემას, კატაკლიზმებს, მსოფლიო რომ შეარყია:

### მე ესრედ ვგონებ მისწვდა კრავი ბეჭედს მეექვსეს.

ლექს აზრობრივ სილრმეს ანიჭებს აპოკალიფსის რემინისცენციები. პატმოსის ჭალში განმარტოებულ, ქრისტეს უსაყვარლეს მონაფეს, ღვთისმშობლის შვილობილს ალბათ თვავადვე აძრნუებდა წინასწარმეტყველური ხილვები: „და ვახილე, რაუაშ ალალ შეექსე ბეჭედი, და ძრვა იქმნა დიდი, და მზე შვე იქმნა, ვითარცა ძაბა ბალნისაა, და მთოვარე ყოველითურთ იქმნა, ვითარცა სისხლი. და ვარსკულავრ ცისანი გარდამოცვეს ქუყანად, ვითარცა ლელუმას რაა დაყარის ყუავილი თვისი, ქარისაგან დიდისა შერყყულმან. და ყავ წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი. და ყოველნი მთანი და ბორცუნი ადგილთა თვსთაგან შეიძრნეს“ (გამოცხადება, 6, 12-14).

თუმცა სიცოცხლის გაქრობის „მრუმე ფიქრებს“ აქარწყლებს ლექსის ბოლოს აელვარებული ხატება ლურჯად აყვავებული იასამინისა, უფლის მწყალობელი თვალებით რომ იმზირება და გულში მინავლებულ ხსნის ნაპერნკალ აღვივებს.

გარდაუვალ სიკედილზე ფიქრმა დაბადა „ანდერძი შვილებს“ — ამ ლექსში მამა არჩილი ანდერძს უბარებს ხორციელა და სულიერ შვილებს, სთხოვს, რომ არ დაივიწყონ „ტებილი იქსო“, ერთმანეთი უყვარდეთ და მათი ფიქრის საგანთა უკვდავება იყოს. თვითონ კი ერთი ნატვრა აქვს, ტაძრის მახლობლად მიებაროს მინას, საფლავის ქვაზე სადა წარნერით: „წირვა უყვარდა ქადაგებდა უამით-უამაძე“. ამ ლექსშიც, სხვათა მსაგასად, მოჩანს უსაზღვრო სიყვარული მასზე მინდობილ „შეილთა“ მიმართ.

მამა არჩილის ლექსები — ლოცვების კითხვისას მკითხველი შეიგრძნებს, როგორ განიძარცვება მიწერი საზრუნვებისაგან, როგორ მაღლდება და განიწმნდება სული, როგორ ეუფლება სიმშვიდის ნეტარი განცდა, როგორ ურიგდება სიკედილს, რადგან იგი წარმოუდგება ჭეშმარიტი, მარადიული სახლის კარის კარი, რომლის მიელის უძღვებ შვილს, და ეს მოლოდინი ისეთი წარმტაცი და ყოველისმომცველია, რომ გამოუთქმელი სიხარულით აღავსებს მისკენ მიმავალს.

## რუსულან ნიშნიანიძე

# სამინარი: სამი ისტორია

განსხვავებული აზრი. განსხვავებული გემოვნება; შესაბა-  
მისად, განსხვავებული წასაკითხი თუ საყურებელი. თუმცა  
არის საერთოც — გინდა, არ გინდა „უსმენ, უყურებ, ეთხულობ...  
არ ვგულისხმობ მხოლოდ იმას, რაც „არ გინდა“. პირიქით, საყუ-  
რადღებოცაა და ეგბ მოგწონს კიდეც, ბევრი რომ კითხულობს  
და უფრო მეტი — უყურებს. ინდივიდუალური შეფასება არასო-  
დეს კარგავს ძალას. აქ საინტერესოა, სხვა თაობის თვალით და-  
ნახულიც: როგორ იღებნ, რასაც ვთავაზობს? ერთი გამოცდი-  
ლება უკვე მაქსა: ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცი“ და მას-  
ზე დაწერილი რეცეპტიზე. გულნრწველი, პირდაპირი, საკუთა-  
რი აზრით, ლიტერატურული ტექსტის მხატვრული შეფასებე-  
ბით და მოქალაქეობრივი პოზიციის გამომხატველიც.

ახლა უკვე სხვა მოსაზრებები მაინტერესებს, თან სრუ-  
ლიად სხვა ტექსტებთან მიმართებამი, თანაც — ყოველ-  
დღიურობასთან კონტექსტში შემთხვევით, რასაკვირვე-  
ლია, არცერთი არ მოხვედრილა. საგანგებოდ შევარჩიე. სრულიად განსხვავებული უანრიც, გმირებიც და ეპოქაც.  
ერთი შეხედვით, გარევეულ ანაქრონიზმადაც იყოთხება; თან არც კომპოზიციურადა ერთფეროვანი ან ერთგარო-  
ვანი — თითოეულს თავისი სიმბოლური ფუნქცია აქვს. სა-  
მივე მთავარი პერსონაჟი — გამოგონილიცა და ისტორიუ-  
ლიც, დამოუკიდებლად უჩერებულოა: „ჩარჩი“ არ მოერგება.

...ჩიგნები გამოდის, საღამოობით სერიალებს ვუყუ-  
რებთ. თითოეულ ავტორს თუ რეჟისორს თავისი მოტივა-  
ცია და სათქმელი აქვს. ისიც მნიშვნელოვანია, რამდენად  
სწორად იგებენ ახალგაზრდა მეითხველები არსებითს. მო-  
დით, ამჯერად, საგანგანათლებლო სივრცეზე არ ვისაუ-  
როთ; სირთულეები და სერიოზული ხარვეზები თვალშისა-  
ცემია. ვგულისხმობ განათლების ხარისხს. თუმცა, აქვე  
ვიტყვი, ცოდნის მიღების სურვილი ჯერ არ დაკარგულა. და არც კარგი მეითხველები და მათი ნაწერებიც... ეს რე-  
ცენზიები არაა, ალბათ, უფრო შთაბეჭილებები...

„ჯერ კიდევ კურსზე გვასწავლიდნენ...“

— შე ჯერ კიდევ კურსზე ხარ? — ეს ერთი ფრაგმენ-  
ტია: ხელმძღვანელისა და მისი გუნდის ნევრების დიალო-  
გიდან. იგავური აზრი და, შესაბამისად, სანტერესო (არა  
„გაყიდული“) დამოკიდებულება, არამედ აზროვნების მუდ-  
მივი განცდა) მე მათ სრულიად სხვადასხვა საფიქრალს  
ვთავაზობ: დათო ტურაშვილის ტელემონთხრობა „გურჯი  
ხათუნი“, როსტომ ჩეხიძის დეტექტიური ცდა „ეკლიანი  
და პატარა გზა“, და ერთ-ერთი სერია ცონბილი სერიალი-  
დან „ექიმი ჰაუსი“. ადამიანებს სურთ, სჭირდებათ სასწა-  
ულები: გამოგონილიც და ნამდვილიც. როგორც ამგვარ  
შემთხვევებში ფიგურალურად იტყვიან, ეს ის ნავი არაა,  
სადაც ყველა უნდა ჩაჯდეს და, რაც კიდევ უფრო გამო-  
რიცხულია, ერთი მიმართულებით იცურონ. მთავარი არა  
ემოციები, არამედ პრინციპები მიგონია. უმთავრესი კი ფა-  
სეულობებთან დამოკიდებულებაა, რომელთა შესახებ

მსჯელობა დისკუსიას არ ექვემდებარება, ეს მყარი ფასეუ-  
ლობებია; გააჩნია შეფასების კრიტერიუმებს...

ექიმი ჰაუსი ბრმა არაა; პირიქით, კამერის ხაზგასმული  
აქცენტი — ცისფერ თვალებზე... არადა, ზოგადად ხომ ცნო-  
ბილია, რომ „ნარმატება აბრმავებს“. მით უფრო, თუ ნარმა-  
ტებები „გადაება“, მორჩია. ბევრის ემართება... ერთხელ დაუმა-  
ლავენ კიდეც და მოგვიანებით ასე განუმარტავენ: თუ ჩვენ  
გეტყოლით სიმართლეს, რომ შენ საქმე გადასჭერი, ყოველგ-  
ვარი სამედიცინო დადასტურების გარეშე, თავს ღმერთად  
წარმოიდგინდა. მოულოდნელი და იმგვარიდ ირონიული ჰა-  
სუხი, რომელიც მხოლოდ ჰაუსისანარ კუცებს აქვთ: ღმერთი  
არ კოჭლობს! ეს არაა ტრადიციული „საპნის სერიალი“. ისე,  
სერიალებს რაც შეეხება, პროზაულად მისი დაწერის ლიტე-  
რატურული ფაქტი უკვე არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ავ-  
ტორი (ცორიგი გახსარია) ჟანრს თავად განსაზღვრავს: „ეს  
სერიალი იქნება — „ცრემლიანი სათვალე“... საპნის იპერა  
მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოზე“... რატომ  
მაინცადამაინც „საპნის?“ ტრადიციული სახელდება თუ ლა-  
ქების მოცილების სურვილი (თუ „ხედავ“, სისუფთავის დაცვა  
შესაძლებელი ხდება). ყოველ სერიალს თავისი ფუნქცია აქვს  
და თუ „ამ ცრემლის ისტორია — თაობის ისტორიაა“, მას გა-  
ცილებით სხვა სიძიმის, მნიშვნელობის დატვირთვა ენიჭება.  
ირონია, თვითორინა თუ... დეტალურად ეგებ სხვა დროს.

და კიდევ ერთი, ჰაუსის კრედიტი: ყველა ტყუის! ნერგავს  
სკეპსის? რა ვიცი... არადა, ყველა მართლაც ტყუის: უბ-  
რალო, უბირი ფერმერიდან დაწყებული — კეთილშობილი  
სენატორით დამტავრებული.

ისტორია არ ტყუის! „დადებითი წინაპრის“ აუცილებლობა  
იქნებ იმ საგანგებოდ შემწილმა ფონმაც განაპირობა, რომე-  
ლიც გაუგებარია, როგორ ან რატომ გამყარდა: „ნათესავი ქარ-  
თველთა ორგულ ბუნება არს“. გაუთავებლად ეწევან ამ ფრა-  
ზის ციტირებას, დანერგვას და არაერთი უკეთურობის გამარ-  
თლებას. არადა, ამის მთემელი გარევეულ კონკრეტულ ფაქტს  
გულისხმობდა, ან თუ ასეც არა, ყოველთვის მისი მოხმობა  
სრულიადაც არაა გამართლებული. და ამის პარალელურად  
მკევრი კონტრასტი: ლირსეული, დიდებული ქართველები. ერთ  
მათგანზე ტელემონთხრიბა ჯერ დაინერება, მერე გადაი-  
ღებენ კიდეც. თუმცა ფილმი ასე დამთავრდება: „დანარჩენი  
წიგნში“... უყურებ და კითხულობ გურჯი ხათუნის — თამარ  
მეფის შვილიშვილის — სევდიან და ლირსეულ ისტორიას...

ერთი ადამიანის — იმავდროულად, საზოგადოებრივი აზ-  
რის ისტორია. ეს მკარი, მაგრამ მართალი ისტორიაა: ვინ რო-  
გორ ფიქრობს, როგორ ალიქვამს და, შესაბამისად, განიცდის  
კიდეც... ილია ჭავჭავაძის ისტორია საქართველოს „თავგადა-  
სავალის“ ერთი საყურადღებო მონაკვეთია. როსტომ ჩეხიძე  
განსხვავებული ადამიანების სილუეტების ჩვენებით იმათაც  
წარმოაჩენს და მათი მოყოლილი ამბებით — დიდ ილიასაც...

სამივე მათგანთან დაკავშირებით მე ჩემეული შეფასე-  
ბები მაქვს. მე როგორ ვფიქრობ, ამას უეჭველად გიამ-  
ბობთ. ამჯერად მათი მაინტერესებს. ისინი როგორ უყურე-  
ბენ და კითხულობენ. ისინი იგანე ჯავახიშვილის სახელო-  
ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ...

ადამიანების ისტორიული მეხსიერება, სიკეთე, განსჯა,  
სიყვარული — პატიოვით სჭირდებათ... ხელოვნური სუნთ-  
ქვის აპარატი? ამჯერად როგორაა...

მაშ ასე — სემინარი დავინიშოთ! სემინარი თემაზე: „სა-  
მი ისტორია.“



ინგებორგ ბახმანი

## CURRICULUM VITAE

გრძელია ლამე,  
იმ კაცისთვის ძალზე გრძელია,  
ვისაც არ ძალუდს გარდაცვალება.  
დიდი ხანია, ქუჩის ფარნებქვეშ  
ნანაობს მისი შიშევლი თვალი და სხვისი თვალიც,  
არყის ოშმივრით დაბრმავებული, და სურნელი  
სველი ხორცისა, მის ფრჩხილებქვეშ დაბუდებული,  
მას ყოველთვის ვერ გააბრუებს, ო, ღმერთო ჩემო,  
გრძელია ლამე.

თმა არასოდეს გამითეთრდება,  
მე მანქანების ბნელი საშოდან ვარ გამომძვრალი,  
მე ხის ბდვილმა ვარდისფერი წამისვა შუბლზე  
და დალალებზე, მას კი თოვლივით თეთრი დაიკა  
მოუშოვეს ყოვლად შეუბრალებლად.  
მაგრამ მე, როგორც მეთაური, მაინც ისე დაგბიჯებდი  
ათჯერდაასჯერასათასი სულის ქალაქში,  
ფეხქვეშ ვთელავდი ნამისჭიებს ჩემი სულისას  
ტყავის ზეცის ქვეშ, სად ათჯერდაასჯერასათასი  
მწვავე სურვილი შერიგებისა ეკიდა ცივად.  
მე ანგელოზის უშფოთველობას  
ვინატრებდი ჩემი თავისთვის და – სანადირო ადგილებსაც,  
პირთამდე სავსეს  
მეგობრების შმაგი ყივილით.

გადაჩაჩეული ფეხებით და გაშლილი ფრთებით  
ახალგაზრდობამ თავზე თეთრად გადამიარა,  
გადაირარ წუნწუნების თავზე და უასმინიდან  
უზარმაზარ ლამებში დაიდო ბინა, კვადრატულ  
ფესვის ამოუხსნელ საიდუმლოთი,  
ჩემს ფანჯარას კი ყოველ საათში  
ნელი ფშვინვით შეეხება სიკვდილის მითი,  
მგლის რქე მომეცით, და ჩამაყარეთ მე ხახაში  
ჩემამდე მყოფი მოხუცების სიცილ-ხარხარი,  
ფოლიანტებზე როცა ტებილად ჩამეძინება;  
როს – სამარცხვინო სიზმარში მყოფი –  
აზროვნების უნარს დაგკარგავ

\* ლექსები თარგმნილია დათო ბარპაქაძის მრავალტომეული  
პროექტისთვის „მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა“.

და იმ ფოჩებით დავიწყებ თამაშს,  
გველები რომ ძვრებიან ხოლმე.

ჩვენი დედებიც დღენიადაგ ხომ ოცნებობდნენ  
ქმრების მომავლის განჭვრეტის მიზნით.  
ძლევამოსილი ეგონათ ყველა,  
რევოლუციის ჯარისკაცი და მარტოსული.  
და მაინც, ბაღში, ბარაკლისის შემდგომ წუთებში  
აბრიალებულ სარეველას რომ დაგცეროდი,  
ხელი მეკიდა ტიტინა ბავშვზე,  
იგი ხომ მათი სიყვარულის იყო წაყოფი.  
შენ, ნაღვლიანო მამაჩემო,  
მითხარი, რატომ დადუმდით მაშინ  
და ფიქრი კვლავაც არ გააგრძელეთ?

ბრიალა ცეცხლის შადრევნებში დაკარგულები,  
ღამით, იმ ერთი ქვემეხის გვერდით,  
აღარასოდეს რომ არ გაისვრის,  
ო, რა გრძელია წყეული ღამე,  
სნეული მთვარის ამონანთხევქვეშ,  
მის ნაღველივით მწარე შუქში  
ძალაუფლების ნაოცნებარ კვალს მიუყვება  
და გადამივლის  
თავზე მარხილი, გაყალბებული ისტორიის ფურცლებით სავსე.  
განა მეძინა: არა, მართლა ფხიზელი ვიყავ,  
ოლონდ ყინულის ჩინჩხებშუა გზას უიკალავდი.  
სახლში მოვედი, ტანზე სურო შემოვიხვიე,  
ნანგრევები შევათეთრე გზის ნარჩენებით,  
დიდ პატივს ვცემდი დღესასწაულებს,  
და მხოლოდ მაშინ, აღთქმის ვადა რომ გავიდოდა,  
პურს ერთ ლუკმას თუ მოვატებავდი.  
გულზვიადობით აღსავსე დროში  
ერთი შუქიდან მეორეში,  
ერთი ქვეყნიდან მეორეში  
ცისარტყელის ქვეშ უნდა წახვიდე,  
ფარგლის წვეტი კი გულში გქონდეს განაწონები  
და რადიუსად ღამე გქონდეს შეგულებული,  
შორს, ცისქვეშეთში. მთის მწვერვალიდან  
რა დიდებულად მოჩანან ტბები,  
ტბებში კი – მთები. ღრუბლის ქულებში  
ირხევიან სხვა სამყაროს უცხო ზარები.  
ოლონდ: ვისია ეს სამყარო,  
ამის ცოდნა მე მეკრძალება.

და ერთ პარასკევს მოხდა ისე, რომ  
– ჩემი სიცოცხლის სასკეთოდ მე ვმარხულობდი.  
ჰაერს წვეთავდა ლიმონის წვენი,  
ყელში კი მქონდა ფხა გაჩერილი –  
გაფატრული თევზის ტანიდან  
ის ბეჭედი გამოვარჩიე, რომელიც ჩემი დაბადებისას  
დამის ნაკადში ჩავარდა და გაუჩინარდა.  
ის კვლავ ღამეში მოვისროლე დაუნანებლად.  
სიკვდილის შიში რომ არ მქონდა,  
მაშინ სიტყვები მექნებოდა მოძიებული  
(და მაშინ მიზანს არ ავაცდენდი).  
ჩემს გულში გვიმრა რომ არ მქონდა

## პოეზიის მარილიანები

(მაშინ მზეს ქვევით ჩამოვაგდებდი),  
პირში წყურვილი რომ არ მეგრძნო ასე ძლიერად  
(მაშინ ველურ წყალს ხომ არ დავლევდი),  
და წამნამები რომ არ გამეხსნა  
(ზონარს ხომ ველარ დავინახავდი),  
ზეცას სადღაც შორს თუ წაიღებდით?  
მე დედამინა არ მატარებდა,  
დიდი ხნის წინათ ვიქნებოდი დადუმებული;  
იქ ვიქნებოდი გაშოტილი დიდი ხნის წინათ,  
სადაც ლამეს ვენდომებოდი.  
სანამ იგი ნესტოებს ჰერავს  
და ფლოქებს ასწევს დარტყმის სურვილით,  
იგი დარტყმისთვის მუდამ მზად არის.  
მუდამ ლამეა.  
დღე კი არ არის.

### გულოვანად თქმული

სიცოცხლის სიმზე ორფეოსივით  
მეც ვუკრავ სიკვდილს.  
ზეცას განაგებს შენი თვალების  
და დედამინის მშვენიერება.  
მათ შემხედვარეს მხოლოდ ის ძალმიძს,  
რომ ბუნდოვნად ვილაპარაკო.

არ დაივინყო, რომ შენც უეცრად  
იმ დილით, როცა სარეცელი  
ჯერ კიდევ სველი გქონდა ნამისგან  
და შენს მკერდზე მიხაქს ეძინა,  
შენ დაინახე მრუმე მდინარე,  
თვალწინ მდორედ რომ ჩამოვიარა.

დუმილის სიმი  
სისხლის ტალღას გადაჭდობოდა,  
შენს აძგერებულ გულს ჩავკიდე ორივე ხელი,  
შენი კულული ღამის ჩრდილის თმად ქცეულიყო  
და წყვდიადის შავი ფანტელი  
შენს მწყაზარ სახეს მოსავდა თოვლით.

ამიერიდან მე შენ მართლა აღარ გეკუთვნი  
და ორივენი მწარედ ვგოდებთ ახლა ამაზე.

სამაგიეროდ ორფეოსივით მეც ვიცი უკვე,  
სიკვდილთან რომ სიცოცხლეც სუფება.  
და ამიტომაც ლურჯად მიჩანს  
სამარადისოდ დახუჭული შენი თვალები.

### გაგრძელებული დრო

წინ უფრო მკაცრი დღეები ვველის,  
უარსაყოფად გაგრძელებული  
დრო პორიზონტზე ილანდებოდა.  
შენ ფეხსაცმელზე თასმები ხომ უნდა შეიკრა,  
ძალების ხროვა ჭაობებში თუ გსურს შერეკო.

რადგან თევზების შიგნეული  
ქარში ძლიერ გაცივებული  
და ყვავილების შუქი ბჟუტავს ასე უმწეოდ.  
შენი მზერა კი ნისლში თითქოს გზას იკვალავდა,  
უარსაყოფად გაგრძელებული  
დრო პორიზონტზე ილანდებოდა.

იქით, ქვიშაში, სატრფო ეფლობა  
და მის გაშლილ თმას ფეხევეშ ვინც თელავს,  
სიტყვას არ აცლის, გაჩუმებას ისე უბრძანებს,  
ასე ჰყონია, რაეკი სატრფო მოკვდავი არის,  
მას რამდენჯერაც მოეფერები,  
იგი იმდენჯერ მზად იქნება განსაშორებლად.

გეყოფა, ირგვლივ ნუ იხედები,  
ფეხსაცმელებზე თასმა შეიკარ,  
ძალების უმალვე უკან მოუხმე  
და ყვავილების შუქი ჩააქრე!

წინ უფრო მკაცრი დღეები ვველის.

### ხე და გულბუშელა

ონავარაზე არაფერს ვამბობ,  
მისი ცნობა არ არის ძნელი.  
და მიმდინარე რევოლუციაც  
ასე საიში სულაც არ არის.  
სიკვდილს თან ახლავს პროცესია ხმაურიანი  
და იმ ხმაურში ოდითგანვე არის ჩართული.

და მაინც, კარგად დაიმახსოვრე: უდღეურებს და დედაკაცებს  
მაინც ერიდე და გეშინოდეს ყველა ვაიმონადირისა.  
ერიდე კიდევ შემლამაზებლებს,  
მერყევებსა და კეთილმოსურნეთ,  
მათაც ერიდე, ზიზლი რომ არ გამოუცდიათ.

ჩეგინ ტყეებიდან ვეზიდებით ფიჩხსა და კუნძებს  
და მზის ამოსვლა რა ხანია ალარ გვიახავს;  
კონვეირზე მოსრიალე ქაღალდებით გაბრუებული,  
ველარც ტოტს ვარჩევ, ვერც – მუქ მელანში  
გამოხარმულ ხავსს  
და ველარც – სიტყვას კიდევმოკვეცილს,  
მართალსა და გამამაცებულს.

გაცრეცილი ფურცლების დასტა, ტრანსპარანტები,  
პლაკატები შავი და მუქი... დღისით და ღამით  
რომ ძაგაგებს ნაირნაირ ვარსკვლავების ქვეშ  
რწმენის მანქანა. მაგრამ იმ ხეში,  
სანამ ჯერაც მწვანეა იგი, ნაღველის წვენით,  
სანამ ჯერაც მწარეა იგი, ნაღველის წვეთით,  
სანამ ჯერაც მწარეა იგი,

მზად ვარ ჩავწერო –  
დასაბამიდან რა იყო ქვეყნად.

თქვენ კი ეცადეთ, ფხიზლად იყოთ!

აფრიალებულ ბურბუშელას თან მოჰყვება

დიდი გუნდი ონავარასი  
და ჭასთან დადგმულ სატყუარას,  
ოდესლაც რომ ძალას გვაცლიდა,  
ყალყზე უდგება შიშისგან  
თმები.

## ადრიანი შუალე

ჩუმად ამწვანდა ცაცხვი ერთი ზაფხულის დამდეგს,  
და ქალაქებს განრიდებული  
მქრქალად ციმციმებს შუადლის მთვარე. შუადლე დადგა.  
ჭაში მზის სხივი ამოძრავდა,  
ამოზიდა ნანგრევებში ზღაპრული ჩიტის  
ფრთა გაყვლეფილი  
და ქვების სროლით სახეცვლილი, მახინჯი ხელი  
ეფლობა კარგად გაღივებულ პურის მარცვალში.

გერმანიის ცა სადაც მინას მძიმედ აშავებს,  
თავმოკვეთილი ანგელოზი სიძულვილისთვის  
და შენ გინვდის საკუთარი გულის გასაღებს.  
მწარე ტკივილის მთელი პეშვი ბორცვებს მიღმა გადიკარგება.

შვიდი წლის შემდეგ  
ეს სიტყვები მოგაგონდება  
ჭიშკრის წინ, ჭასთან,  
იცოდე, წყალში ძალიან ღრმად ნუ ჩაიხედავ,  
თორემ თვალები უმალ ცრემლით დაგებურება.  
შენ კი თვალები გეხუჭება, ძილი გერევა.

შუადლე დადგა. და იქვე, ფერფლში  
მხურვალე რკინა იგრიხება. ეკალბარდებზე  
დროშა ფრიალებს და უძველესი  
სიზმრების კლდეზე  
არწივია დღეს მიჯაჭვული.  
მხოლოდ იმედი მოკუნტულა, შუქისაგან დაბრმავებული.

მიდი, მოხსენი ბორკილები,  
კლდეზე ფრთხილად ჩამოიყვანე,  
თვალებზე ხელი ააფარე,  
რომ ჩრდილი არ ააბრიალოს!

გერმანიის ცა სადაც მინას მძიმედ აშავებს,  
ღრუბელი სიტყვის ძიებაშია და დუმილით ავსებს კრატერებს.  
სანამ ზაფხული თავსხმა წვიმად არ გადააქცევს.

სიტყვა უთქმელი, ჩუმად რომ ვთქვათ,  
ქვეყნის თავზე გადაიქროლებს:  
შუადლე დადგა.

## შველა დღე

ამიერიდან ომი ალარ გამოცხადდება,  
ის გაგრძელდება დაუსრულებლად.  
ჯერ არსმენილი აზრი გახდა ყოველდღიური.  
გმირი შორს არის ბრძოლებისაგან,  
ცეცხლის ხაზზე ლაჩრები დგანან.  
დღის უნიფორმა მოთმინებაა,  
ჯილდო საწყალი ვარსკვლავია იმედისა,  
დაბნეული მებრძოლის მკერდზე.

მას ანიჭებენ,  
როცა უკვე მოსახდენი არაფერია,  
და ქვემეხებიც აღარ გრგვინავენ,  
როცა მტერი უჩინარი გამხდარა უკვე  
და მუდმივი აღჭურვილობის  
დიდი ჩრდილი ზეცას დაფარავს.

მას ანიჭებენ  
დროშისაგან გაქცევისათვის,  
მეგობრის თვალინი ჩადენილი მამაცობისათვის  
და სამარცხვინო საიდუმლოს გაცემისათვის  
და ნებისმიერ ბრძანებაზე  
უარის თქმისათვის.

## უსტარი

ზეცის გვამივით გაყინული წინკარიდან მზე გამოვიდა.  
იქ უკვდავნი არ ბინადრობენ,  
ბრძოლის ველზე დაცემულნი არიანო, ასე გვსმენია.

ბრწყინვალება ხომ გახრწნას მაინც არაფრად აგდებს.  
ხოლო დვთაება ისტორია ისეთ საფლავს უკვეთავს ჩვენთვის,  
იქიდან არც ერთს ალდგომა რომ არ გვიწერია.

## ვარდების ჟეკა-ქუსილში

საით მივაწყდეთ ამ ვარდების ჭექა-ქუხილში,  
ლამე ეკლებით განათებულა. ფოთლების გრგვინვა,  
ბურქებში რომ გარინდულოყო,  
ფეხდაფეხ მოგვსდევს კარგა ხანია.

## ჩემი ფრინველი

რა ალარ ხდება: უდაბური სამყარო ჩვენი  
კვლავ იძირება საღამოს ბინდში,  
ტყეები მას ბანგს განუმზადებენ.  
და იმ კოშკიდან, ყარაულმა რომ მიატოვა,  
დაჟინებით და აუდელვებლად ჩამოგვცერიან  
ჭოტის თვალები.

რა ალარ ხდება: შენ კარგად იცი უამი შენი,  
ჩემო ფრინველო, ჩამოიფარებ შენს პირბადეს  
და ნისლში ჩემსკენ გამოფრინდები.

ჩვენ ვუთვალთვალებთ ხროების ასე წალეყილ არეს,  
შენ ჩემი ხელის დაქნევაზე მოფრთხიალდები  
და აიქოჩრავ ნაკრტენს და ნატკნეს.

ჩემო ჭალარა მეგობარო, მხარზე მიზიხარ. და იარაღი,  
რაც გამაჩინია,  
იმ ბუმბულით არის შემკული. და რომ იცოდე,  
სხვა სამკაულს არც მივიკარებ, შენი ბუმბულით  
მოქსოვილი პირბადის გარდა.

თუმცა, ნინვების რიალში ხის ქვეშ  
კანი მეწვის.  
ნელამდე მწვდება ბუჩქნარი ხშირი,  
ფოთლის სურნელით ჩემს შეცდენას ასე რომ ლამობს.  
და როცა ქარი დალალს შემირხევს,  
როცა სინესტეს უკვალოდ შთანთქაეს,  
ამ თმაზე მაშინ დამაცვივა ვარსკვლავთ ნამქერი.


მე თუმცა კვამლის მუზარადი მახურავს თავზე,  
მაინც ვუწყი, ირგვლივ რა ხდება,

ფრინველო ჩემო, შენ, ღამეულო ჩემო მფარველო,  
თუ აღმაფრუნა მეწვევა დამით,  
ბნელ არემარეს ტკაცანი შესძრავს  
და გამოკვესავს ნაპერნკალი ჩემი არსიდან.

თუკი შემრჩება ეს აღმაფრენა  
და ცეცხლსაც ისევ თუ ვეყვარები,  
ვიდრემდე ხის ტანს მოჟონავს ბდვილი,  
ჭრილობებს ნამავს და დედამინას  
თბილ ნართში ახვევს.  
(თუნდ ღამლამობით ჩემს გულს ძარცვავდე,  
ჩემო ფრინველო, რწმენის ფრინველო,  
ერთგულების ფრინველო ჩემი!)

კვლავ სინათლეში მოექცევა სამზერი ჩვენი,  
რომელსაც უკვე ვერტადამცხრალი,  
დიდებული შენი სიმშვიდით შეაფრინდები.  
რა ალარ ხდება.

### გერმანულიდან თარგმნა დალი ფაჯიკიძემა



კერძო მაქს აუგუსტ ფაჯიკიძე ნატურალიზმი



დაიბადა 1990 წლის 12

ნოემბერს.  
სხავლობს ივანე ჯა-  
ვახიშვილის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსი-  
ტიტში სოციალურ და პო-  
ლიტიკურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის უურნალის-  
ტიკის მიმართულებაზე.  
იძეჭდება პირველად.

დათო გორგილაძე

## ერთი ხოსტა ორი ამბავი

### ხოსტა და უფსარულისფერობიანი გოგონა

მე ხოსტე მქეია. გონებამახვილი ვინმე ვარ. ყველას  
ვარწმუნებ რომ ჩემი საყვარელი მწერლის, კამილო ხოსტე  
სელას პატივსაცემად დამარქევს ასე. სინამდვილეში კი  
ჩემი ბაბუის ფრონტის მეგობრის სახელი მიბოძეს, რომე-  
ლიც საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეულა და გზაში  
შიშისაგან მომკვდარა, რომ მიპოვონ, მერე რაღა ვქნაო.

სანთლით რომ მოიაროთ მთელი დუნია, ჩემზე უშნო  
ყმაწვილის პოვნა გაგიჭირდებათ. საკუთარ თავს ვეზუ-  
მრები ხოლმე, ბავშვობამ დაგაბეჩავა – მეთქი. ბავშვობა კი  
მართლაც რთული მქონდა. ნამითაც კი არ გამივლია თავ-  
ში, რომ თოვლის ბაბუა სინამდვილეშიც არსებობდა. არ  
მეჯერა, რომ ისეთი სათონ და კეთილი არსება, როგორა-  
დაც თოვლის ბაბუას მიხატავდნენ, შეიძლებოდა ისეთი  
ძუნი ყოფილიყო, როგორიც ჩემი.

მე განსაკუთრებული ნიჭი მაქეს. სურნელის მიხედვით  
შემიძლია მივხვდე, რა ფერის კანი ან თმა აქვს ქალს.  
პოლკოვნიკ ფრენკ სლეიდს ვგავარ, ფილმიდან „ქალის  
სურნელი“, მაგრამ ერთ ქალსაც ვერ იპოვით დედამიწის  
ზურგზე, რომელიც იტყვის ხოსტე მიზიდავსო. მიუხედავად  
ამისა, თავს უფლებას ვაძლევ ადელიტა არანორმალური  
სიყვარულით მიყვარდეს.

ადელიტა ქვესანელისფერობიანი გოგოა. მისი თმა  
ყველაფერზე შავი და გასაოცარია. თმაზე უფრო გასაო-  
ცარი კი მისი თვალებია. თვალები მის თმაზე უფრო შავია.  
ადელიტას ფეხზე წამომდგარი მკერდი და ხავერდის კანი  
აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მის ფეხებზე ვერ იტყვით,  
გამჩენმა საგანგებოდ თხლად ჩამოასხაო, მე მაინც მიყ-  
ვარს ადელიტა.

1997 წლის 23 აპრილს, ჩირალდნების ქუჩაზე ადელი-  
ტას სურნელი ტრიალებდა. თვითონ გოგონა კი მსუქანი

გაბოს კაფეში იჯდა, რომელსაც სახელად „ლია ცის ქვეშ“ ჰქვია. სურნელმა ადელიტამდე მიმიყვანა...“

როცა სულს განვუტევებ და გამჩენის ნინაშე წარვდგები, მინდა რომ უზენაესმა ჩემი კეთილი საქმეების სანაცვლოდ, ჩემი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდში წამიერი დაბრუნება შემომთავაზოს. მე იმ წამს ავირჩევ, როცა ადელიტა დაინახე პირველად. მსუქანი გაბოს კაფეში მჯდომი, სასია-მოვნო სურნელების მფრქვეველი.

1997 წლის 23 აპრილის შემდეგ მე მიყვარს ადელიტა. მიყვარს მისი ფეხზე წამომდგარი მკერდი, კუპრზე უფრო შავი თმა, უფსკრულზე უფრო შავი თვალები და არცთუ ზედმინევნით ლამაზად ჩამოსხმული ფეხები.

1997 წლის 23 აპრილის შემდეგ მე ყოველდღე უუთქვამ პამინას ადელიტას. დილის თერთმეტ საათზე, ჩირალდნების ქუჩაზე, კაფეში სახელად „ლია ცის ქვეშ“

დილის ცხრა საათიდან ვიწყებ პა-ემანისთვის მზადებას. მიცირთმევ და-რიბულ საუზმეს, ვიცვამ ჩემი გარდე-რობის საუკეთესო კოსტიუმს, ვიპუ-რებ სუნამოს, რომელსაც მამიდა მჩუქნის ყოველი წლის შობა დღეს, და ველოდები თერთმეტ საათს.

კაფეში თერთმეტამდე წუთებით ადრე მივდივარ. როცა ადელიტას სურ-ნელს ვიკრძნობ გულისცემა მიჩქარდება. ადელიტას ჩემ დანახვაზე ყოველთვის ელიმება. მე ეს ლიმილი ქვეყანას მირჩევნია. ხავერდისებანიანი გოგონა იქ საუზმობს. ფუნთუშასა და საკუთა-რი თმასავით შავ ყავას მიირთმევს. კა-ფეში მე და ადელიტა არასოდეს გსაუბ-რობთ. როცა გაილიმებს, მეც ვილიმ. როცა დამწუხრდება, მეც უმაღ იმავეს ვაკეთებ. როცა არც ილიმის და არც ნალვლიანობს, მეც ჩვეულებრივი ხო-სეს გამომეტყველება მაქვს, რომელიც ტკივილამდე სასაცილოა.

ადელიტას ფინჯანი რომ დაიცლება, პამინის დასასრულიც ესაა. ჩვენ ვდეგებით. ჩირალდნების ქუჩას ერთად მივუყვებით, მაგრამ ადელიტას ერთი ნაბიჯით წინ სიარული უყვარს. მე არ მელოდება. საოცრად ჯიუტია.

ქუჩის ბოლოს რომ მივუახლოვდებით, ადელიტა შემობრუნდება და გამი-ლიმებს ხოლმე. ამის შემდეგ ჩირალდნე-ბის ქუჩას ტრვებს. მე სურნელით ვსვდები საით წავიდა, მაგრამ კვალს არასოდეს მივყვები. შინ ვბრუნდები და ხვალინდელი პამინისთვის ვემზადები.

...მერე რა, რომ არასოდეს დავლაპარაკებივარ ადე-ლიტას? მერე რა, თუ ჩვენ სხვადასხვა მაგიდას ვუსხედ-

ვართ კაფეში? მიუხედავად ამისა, 1997 წლის აპრილიდან მოყოლებული, ლამაზოვალება ღვთაებას ჩემთვის, დინო-ზავრისპროფილიანი ვაჟიმილისთვის, არცერთხელ არ უთქვამს უარი პამინზე. მეტიც, არასოდეს დაუგვიანია.

მე ხოსე ვარ. ყველაზე უშინო არსება დედამიწაზე. მე ქვესკელისფერთმიანი ღვთაების სიყ-ვარულს ვბედავ...

...როცა მოვედები და უფალი ჩემი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის წა-მიერ განმეორებას შემომთავაზებს, მე უჭყველად ავირჩევ იმ წამს, როცა ადელიტა დავინახე პირველად. კაფე-ში მჯდომი, ვნებისალმძრელი სურ-ნელის მფრქვეველი.

## ხოსე ულავაზო

ძალიან ნუ დაიხარჯები, ცხოვრებში ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება გაბრიელ გარსია მარკესი

წარმოიდგინე, ისეთი ბიჭი ხარ, ასე-თი უშინო არავინ დადის დუნაზე, რომ იტყვიან. დაუუშვათ, ხოსე გქვია და ყვე-ლას უმტკიცებ, ნობელის პრემიის ლა-ურეაზ კამილო ხოსე სელას პატივსა-ცემად დამარქვესო. სინამდვილეში კი ბაბუაშენის ფრონტის მეგობრის სახე-ლი გიბოძეს, რომელიც ტყვედ ჩაგარდ-ნილა, მერე საკონცენტრაციო ბანაკი-დან გამოქცეულა და ტყეში დამალული შიშისაგან მომკვდრა – რომ მიპოვონ, მერე რაღა ვენაო.

რეალისტი ხარ. ბავშვობაში წამით არ გაგივლია თავში, რომ თოვლის ბა-ბუა მართლაც არსებობდა. ხედებოდი, რომ ისეთი სათონ და კეთილი არსება, როგორიც თოვლის ბაბუაა იდეაში, არ შეიძლებოდა ასეთი ძუნნი ყოფილიყო.

შენდა საუბედუროდ, შინ ბევრი სარკე გაქვს და ხეირად იყურები შიგ-ნით. იცი შენი შესახედაბის ამბავი. ერთხანს კი ფიქრობდი „ქალებს ლამა-ზი მამაკაცები არ მოსწონთ, მათ იტა-ცებენ კაცები ლამაზ ქალებთან ერთა-დო,“ მაგრამ მერე მიხვდი, რომ არც ეს თეორია ასხამდა შენს წისქვილზე წყალს და ჩანექი შლამში თევზივით.

არადა, ქალი გესმის მაგრად. და-ახლოებით ისე, როგორც ალ პაჩინის გმირს „ქალის სურნელში“. შეგიძლია სურნელის მიხედ-ვით თქვა, რა ფერის კანი ან თმა აქვს, მაგრამ დედამიწა-ზე მცხოვრებ ქალთა 0,00001 %-ც არ იტყვის შენზე: „ხო-სე მიზიდავსო“.



მხატვარი მალხაზ იაშვილი

ჯერ პოლიციელობაზე ოცნებობდი, მერე – მეხანძრეობაზე, ბოლოს – ფოტოგრაფობაზე. ეს უკანასკნელი კარგადაც გამოგდიოდა. შენ წინა კორპუსში მცხოვრები შავგვრემანი გოგონა მოვწონდა. არა, ეს ზუსტი სიტყვა არაა, გაგიუჟებდა. ოცნებობდი, მისთვის სურათები გადაგეღლო. მერე ერთხელ გაუბედე და თხოვნით მიხევდი. ჰოდა, როცა უკვე მოლურისტებას ან რამე ამის მსგავსს ელოდი, შენდა გასაკვირად, თანხმობა მიიღე, საღამოს სახლში თქვი, მეგობარს მივყვები ქალაქგარეთ, ღამე სურათები უნდა გადაგილოთ. სინამდვილეში კი მთელი ღამე იმ შავგვრემან შიშველ კახბას აქცევდი შენი ფოტოკამერის ობიექტივში. ის გოგო ისედაც შემაცდენლად იყო მოვლენილი დედამინაზე და შენ მთლად დამღვეულად დახატე. ვაჟიშვილი იყავი და, როცა გაიხდიდა, ბუნებრივია, შეგიყვარდებოდა. იმ სახლიდან ისე წამოხვიდოდა, რომ გაოგნებული მაღლობასაც ვერ ეტყოდა. ან, უარეს შემთხვევაში, მიხიდოდი და შიშველ ქალს მაღლიერების ნიშნად ხელზე აკოცებდი.

ფოტოგრაფიის დიდი ნიჭი გქონდა, ისევე როგორც იმას – პოზიორობისა. სურათები მშენებირი გამოვიდა. არავისთვის გრივენებია. ძილის წინ მხოლოდ შენ ათვალიერებდი. უყურებდი, ოცნებობდი, იძინებდი, უყურებდი, იმედოვნებდი, გერინა და, ვინ იცის, კიდევ რა სისულელეს სჩადიოდი.

მერე, ალბათ, ის გოგო, როგორც ეგერებს სჩვევიათ, სხვა სახლში გადავიდოდა საცხოვრებლად. წასვლისას წითელი მოკლე სარაფანი ეცმეოდა. რაღაც წივთებს ჩამოიტანდა და მანქანაში ჩაალაგებდა. ნელ-წელა დაილებობდა, გულ-მერდი დაენამებოდა. შენ ამას, ალბათ, ფაჯირიდან დაინახავდი და იმის დაჯერება არ გენდომებოდა, რომ მას ველარასოდეს ნახავდი. იმასაც კი გაიფიქრებდი, თან წავყვები და სადმე მის სიახლოეს ვიცხოვრებო. მერე გადაიფიქრებდი. ბოლოს კი, როცა მანქანაში ჩაჯდებოდა და მიხვდებოდი, რომ მართლა ველარასოდეს ნახავდი, გაიქცეოდა, ლოგინის ქვემოდან იმ საგულდაგულოდ შენახულ სურათებს გამოიღებდი და დაწვას დაუპირებდი. მერე უკელეოდი და ისევ იქ შეინახავდი, მაგრამ ძილის წინ აღარ დაათვალიერებდი ხოლმე.

მერე გაივლიდა დრო. დაამთავრებდი სკოლას და სასწაულის წყალობით, უნივერსიტეტში ფოტოურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარებდი. სასწაულის წყალობით იმიტომ, რომ მანამდე „ბიძია თომას ქოხიც“ კი არ გეტებოდა წაკითხული. უნივერსიტეტში მაგარი გოგოები არიან ხოლმე. გეყოლებოდა ერთი-ორი ისეთი ჯგუფელი, რომელზედაც ჭკუას დაკარგავდი, მაგრამ შენ უშინო იქნებოდი და მხოლოდ კარგი მეგობრობა გამოივიდოდა მათთან. შენთან მეგობრობა მართლა მოენონებოდათ. ამ გოგოებთან ერთად ხშირად დაგინახავდენ სეირნობისას. შეეგულებოდი, რომ მათთვის მხოლოდ მეგობარს ნარმოადგნენ და ხანდახან ეს გაგამხნევებდა კიდევ.

მერე, ალბათ, შეცდომა მოგივიდოდა და სიტუაციას რეალურად ველარ შეაფასებდი. გაგიტაცებდა ისეთი გოგო, რომელზედაც ბევრი იოცნებებდა. შენ უფრო მონესრიგებულად ჩაცმას დაინტებდი, გამუდმებით მიიპკურებდი სუნამოს. ის გოგო კი არ დაგაიმედებდა, მაგრამ არც იმას გეტყოდა, დაამუხრუქეო. ეგ აქვთ ცუდი ქალებს – ძალიან მისწონთ, როცა ვინმეს უყვართ. არ აქვს მნიშვნელობა, ვის. მერე აუიტირებული ივლიდი შენი ფოტოკამერით. ერთ დღესაც უნივერსიტეტში მიხვიდოდი და იმ გოგოს მეგობარი გეტყოდა, გათხოვდა.

ასე, ორი თვე არ გაიპარსავდი წვერს, ან უარესი – არ იპანავებდი. შეიძლებოდა სახლშიც ჩაკეტილიყავი (ისე, თუ არ იპანავებდი, აჯობებდა მართლაც სახლში ჩაკეტილიყავი). ჩუმად იტირებდი, იფხიზლებდი. მოუსმენდი ბრაინ ადამსს ან მერაია ქერის.

შენი გუნებაზე მოსვლა გაზაფხულის დადგომას დაემთვეოდა. გარეთ გამოხვიდოდი, გასიერნებდი, მეგობრებს ნახავდი. თავს კვაზის პოზიციაში ჩააყენებდი და ერთიხანგა ეს გაგიტაცებდა კიდევც. მერე მიხვდებოდი, რომ თავის წვალება სისულელეა და ისევ ხოსე გახდებოდი.

უნივერსიტეტს დაამთავრებდი და მუშაობას დაიწყებდი რომელიმე იაფეასიან უურნალში, რომელიც შენს ქვეყანაში ყვითელი პრესის თვალსაჩინო წარმომადგენელი იქნებოდა. გადაიღებდი უნიჭო უურნალისტების უნიჭო რესპონდენტებს სურათებს. მერე შენ შეზობელი უკეთეს სამსახურში მოგაწყობდა. დაგანიხილურებდნენ და შენი სამუშაო მოგეწონებოდა. მასზე გადაერთვებოდი. ხელფასი კარგი გექნებოდა. მალე მანქანას იყიდდი. ყველაფერი კარგად წავიდოდა, მაგრამ ერთ დღესაც მიხვიდოდი სამსახურში და გეტყოდნენ, რომ უკეთესი მიიღეს და შენ აღარ სჭირდებით. ყველაზე გამაოგნებელი კი ის იქნებოდა, რომ იმ შენს შემცვლელსაც ის მეზობელი მიიყვანდა იქ, რომელმაც მანამდე შენ მოგაწყობდა.

დაიღალე მარტორბით და ცოლობა სთხოვე შენს მეზობელს, რომელიც ფიზიკური „ლირსებებით“ ძალიან გაგას. როცა წინადადება წაუყენებ, გაიცინა და თვალიდან ცრემლი გადმოუვარდა. შენ, ალბათ, არ იტირე. მან ხმის ამოღება ვერ შეძლო — თანხმობა თავის მოძრაობით განიშნა და ჩაგებული. თქვენს ჯვრისწერაზე მხოლოდ ძალიან ახლობელი ადამიანები შეიკრიბნენ. ჯვრისწერისას დედა და ბებია ცხარე ცრემლით ტიროდნენ სიხარულისგან. მამა ამაყად იდგა და მხედრული სწორება ეჭირა. ცერემონიის შემდეგ მშობლებმა დაგიძახეს და გითხრეს, რაც დაიბადე შენთვის ფულს ვაგროვებთ და დადგა დრო, გადმოგცეთო. შენ მოგერიდა და გაქვავებული იდექი. მერე მუჭი მამამ თვითონ გაგაშლევინა და ფულის შეკვრა ჩაგიდო. ამ დროს კი ტირილი ველარ შეიკავე.

გადანებული, საცხოვრებლად უცხოეთში წახვიდე. თან პირად წივთები, მათ შორის ის პატარა ყუთიც წაიღე, ლოგინის ქვეშ რომ ინახავდი. უკვე უცხოეთში ხართ. ცოლმა, რომელსაც ძალიან უყვარსარ, იმ შიშველი კახბის სურათები ალმოაჩინა. შენ ულებელი, როდის დაინტებს ტირილსა და მოთქმას, რომ უნამუსო და მოღალატე ხარ... მის დასამშვიდებლად და თავის გასამართლებლადაც ემზადები. ცოლი კი ამბობს, რომ ეს იდეალური სურათებია და აღტაცებული გიყურებს. შენ გახარებული ზიხარ სავარძელში და ხვდები, რომ ცოლი ძალიან უცხოეთში ხართ. მერე დღეს იგი ერთ-ერთ ძალიან ცნობილ უურნალში მიდის და შენი სურათები მიაქვს. ამის შესახებ შენ არაფერი იცი. მერე იმ უურნალიდან მონვევა მოდის – მუშაობას გთავაზობენ.

ყოველ დილით გასვლის წინ და მერე შინ შემოსვლისას ცოლს კოცნი. გყავთ შევილები, რომლებსაც აღმერთებთ. ბავშვები მშობლებს არ ჰევანან. სახელებიც საგულდაგულოდ აქვთ შერჩეული. იმ უურნალში ფოტორედაქტორი მუშაობა და ბეჭნიერი ხარ.

გამოვიცანი?

ნობელიანტი ამერიკელი მწერლის ვრცელი თხზულება „ნითური“ პონი“ ერთიან მოთხოვადაც განიხილება და, ამასთან, ორი დამოუკიდებელი მოთხოვის — „საჩქარი“ და „დანაპირები“ — მომცველადაც, რაც ნიშანავს, ისინი ცალ-ცალკეც შეიძლება გამოქვეყნდეს. თუმც რაკიდა ერთმანეთს აგრძელებენ, მაინც სჯობს მკითხველს სრული შთაბეჭდილება შეექმნას, „ნითურ პონიზე“. ამიტომაც „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია ორ ნომერში ზედიზედ გამოაქვეყნებს ორივე ნაწილს. სტაინბერი ჩვეული ხელოვნებით აღადგნს ყმანვილის ცნობიერების გამოღიძების სურათს — ფილიგრანული ტექნიკითა და ნიუანსობრიობით, და საგულისხმოა, რომ ცნობიერების გამოღიძება ცხენთან მეგობრობის ამაღლვებელ ფონზეა გაშლილი.

### ჯონ სტაინბერი

## ნითური პონი

### საჩქარი

ბილი ბაკი ფარდულიდან უთენია გამოვიდა, წუთით ზღურბლზე შეჩერდა და ცას ახედა. პატარა ტანის, ფეხებ-მოგრეხილი კაცი იყო, ულვაშები ლომ-ვეშაპს მიუგავდა, დაკუთხულ-დაკოურილი მელავები და დაკუნთული ხელის მტევნები ჰქონდა. წყლიანი, ფიქრიანი, ნაცრისფერი თვალებით იმზირებოდა, ფართოფარფლიანი ქუდიდან უხეში და მზისაგან გახუნებული თმა მოუჩანდა. კაცმა ქამრი შეისწა და უფრო მჭიდროდ შემოიჭირა. ქამრის ნასვრეტთა გვერდებზე დაჩნეული ბრჭყვიალა ნაჭდევები მისი ლიპის თანდათანობით ზრდაზე მეტყველებდა. როცა დარწმუნდა, რომ იმ დღეს ამინდი კარგი იქნებოდა, ბილიმ საჩვენებელი თითო ჯერ ერთ ნესტოზე მიიჭირა, მერე მეორეზე და ერთი მაგრად მოიხოცა ცხვირი. შემდევ საჯინიბოსკენ წავიდა, თან გზადაგზა ხელებს ინმენდდა. თავლაში სამურველითა და ჯაგრისით ორი ცხენის გასუფთავება დაიწყო, თან გაუჩერებლად რალაცას ებუტბუტებოდა პირუტყვებს. ის-ის იყო საქმეს მოჩა, რომ სახლიდან რკინის სამკუთხედის წკარუნი შემოესმა. ბილიმ ჯაგრისი და საბურველი ერთმანეთს მიატყუპა, მოაჯირზე ჩამოიდო და სასაზმობლი გაემართა. დინჯი, მაგრამ ისეთი გამოზომილი ნაბიჯებით მიდიოდა, რომ როცა სახლს მიუახლოვდა, მისის თიფლინი ჯერ კიდევ ანკარუნებდა სამკუთხედზე. ქალი ჭალარა თავის დაკვრით მიესალმდა და სამზარეულოში შევიდა. ბილი ბაკი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. წესითა და რიგით, პირველი ვერ შევიდოდა სასადილო ოთახში, რადგანაც ფერმის მუშა იყო. ბილიმ გაიგონა, ფეხების ბაკუნით როგორ ისწორებდა ჩექმებს მისტერ თიფლინი.

სამკუთხედის მჭახე ხმამ გამოაღვიდა ჯოდი. ის პატარა, ათიოდე წლის ბიჭი იყო, თმა მტკვერწაყრილი ჩალის ფერი ჰქონდა, მორცევი, მორიდებული ნაცრისფერი თვალებით იმზირებოდა, ფიქრისას ტუჩებს გამუდმებით აცმაცუნებდა; სამკუთხედის ხმამ ბიჭს ბილი დაუფრთხო. ბაგშეს აზრადაც არასოდეს მოსვლია, შეურჩებოდა ამ მჭახე ძახილს. ამ ხმას ყველა ემორჩილებოდა. ჯოდიმ შებლიდან გადაივარცხნა აბურდული თმა და ლამის პერანგი გაიძრო. ერთი წუთის შემდეგ უკვე ბამბის ლურჯ პერანგსა და კომბინიზონში იყო გამოწყობილი. ზაფხული იდგა, ასე რომ, უფეხსაცმლოდაც შეიძლებოდა ყოფნა. სამზარეულოში შესულმა ცოტა ხანს მოიცადა, ვიდრე დედამისი ნიუარას მოსცილდებოდა და ლუმელთან გადაინაცვლებდა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიბანა პირი და სველი ხელით თმა უკან გადაიწია. დედა მკვეთრი მოძრაობით შემობრუნდა მისკენ.

ბიჭი ნიუარას მოს-ცილდა და მორცევად გაიხედა განზე.

— თმა ძალზე გა-გეზარდა, შესაჭრელი გაქვს, — უთხრა დე-დამ, — საუზმე მაგი-დაზეა, ნადი და ბი-ლიც შემოვა.

ჯოდი მიუჯდა გრძელ მაგიდას, რო-მელზედაც თეთრი მუშამბა იყო გადაფა-რებული. მუშამბა ხში-რი წმენდისაგან აქა-იქ გაცრეცილიყო. მა-გიდაზე იდგა ფართო ლანგარი, ზედ მწერივად დაწყობილი ჩახლილად შემწვარი კვერცხებით. ჯოდიმ სამი კვერცხი და შემწვარი შაშხის სამი დიდი ნაჭერი გადაიღო. მერე ერთი კვერცხის გულიდან მონდომებით შეუდგა სისხლიანი ლა-ქის მოცილებას.

ბილი ბაკი ოთახში შემოპრაცუნდა.

— ეგ ლაქა არ მოგნამლავს, — აუხსნა ბილიმ, — მამალ-მა იცის ასეთი ნიშნის დატოვება.

მალე ჯოდის მამაც გამოჩნდა — მაღალი და მკაცრი კაცი. ნაბიჯების ხმაზე ბიჭი მიხვდა, მამას ჩექმები აცვიაო, მაგრამ დასარწმუნებლად მაინც შეიხედა მაგიდის ქვეშ. მა-მამ მაგიდის თავზე დაკიდებული ნავთის ლამფა ჩააქრო, რადგან ფანჯრებში დღლის შექ გამოჩნდა.

ჯოდის არ უკითხავს, სად აპირებდნენ მამა და ბილი ბაკი წასვლას, თუმცა ძალზე უნდოდა თან გაჰყოლოდა. მამა დისცილინს მოითხოვდა, ჯოდი უსიტყვოდ ემორჩილებოდა. კარლ თიფლინი მაგიდას მიუჯდა და ლანგარი თავისკენ მიიჩნა.

— ძროხები წასაყვანად მზად არიან, ბილ? — იკითხა მან.

— ქვემოთ არიან, ბაგაში, თვითონ მივხედავ, — მიუგო ბილიმ.

— მიხედვით კი მიხედავ, მაგრამ კაცს დამხმარე სჭირდება, ამას გარდა, ყელის გასველება არ გვაწყენდა, — ამ დილას კარლ თიფლინი ხუნდებაზე დამდგარიყო.

კარებში ჯოდის დედამ შემოიხედა:

— კარლ, როდის დაბრუნდები?

— არ ვიცი, სალინასში რამდენიმე კაცი მყავს სანახავი, ალბათ, სალამომდე შეცვლიდები.

კვერცხები, ყავა და დიდი ნამცხვარი სწრაფად გაქრა მაგიდიდან. ორივე კაცი სახლიდან გამოვიდა, ჯოდიც მათ მიჰყვა. ბიჭმა დაინახა, როგორ შეასხდნენ ცხენებს, გამოიყვანეს ბაკიდან ექვსი ბებერი მეწველი ძროხა და გორაკის გადავლით სალინასისაკენ გაირეებს, — ბებერი ძროხები საყასბოში მიჰყვადათ გასაყიდად.



## ახალი თარგმანები

მამა და ბილი გორაკს რომ მიეფარნენ, ჯოდი სახლის უკან ფერდობზე ავიდა. იქვე, კუთხიდან ძალები გამოცუქუქდნენ, ზურგაზიდულები საზარელ კბილებს სიამოვნებისგან აღრჩიალებდნენ. ჯოდი ორივეს მოეფერა თავზე. ერთი უბრალო ეზოს ძალი, „ბოი“ იყო, დიდი სქელუდა და ყვითელოვალება, მეორე კი — კოლის ჯიშის „ყოჩალი“, რომელსაც კოიოტი მოეკლა და იმ ბრძოლაში ყურიც კი დაეკარგა. სალი ყური იმაზე მეტად დაცქვეტოდა, — ვიდრე ამ ჯიშის ძალებს ახასიათებთ. ბილი ბაკი ამბობდა, ცალყურა ძალებს მუდამ ასე ემართებათო. ამ გიური მისალმების შემდეგ ორივე ცხოველი მიწის ყნოსვას მოჰყავა საქმიანად, მერე კი წინ გაცვიდნენ, თან დროდადრო ბიჭს გამოხედავდნენ, მოგვყება თუ არაო. შინაური ფრინველებისათვის შემოღობილ ეზოს რომ მიუახლოვდნენ, დაინხეს, ქათმებთან ერთად საკენკს მწყერიც მიირთმევდა. „ყოჩალმა“ ფრინველებს ჩამოურბინა, — აქამდა, პრაქტიკას გავდივარ, იქნებ იდესმე ცხვრების დაცვა დამავალონო. ჯოდიმ გზა გააგრძელა ბოსტანში, სადაც სიმინდის მწვანე ღეროები უკვე მის თავს ზემოთ ყელყელაობდნენ. გოგრები ჯერ ისევ მევახე და პატარა ზომისა იყო. ჯოდი მიუახლოვდა აბზინდის ბუჩქს, რომლის ახლომახლოსაც ცივ-ცივი წყარო მიღიდან მოედინებოდა და ხის ფართე კასრში გროვდებოდა. ბიჭი გადისარა და ხავსმოდებულ კასრს იმ ადგილას დაენაფა, საიდანაც სმა ყველაზე მეტად ეგერმიელებოდა, მერე მოტრიალდა და თეთრად შედებილ დაბალ რანჩის გამოხედა. სახლს სარტყელივით შემორტყმილა წითელი გიორგინები. იქვე, კვიპაროსის მახლობლად მოჩანდა გრძელი ფარდული, სადაც ბილი ბაკი მარტოკა ცხოვრობდა. კვიპაროსის ქვეშ იდგა უზარმაზარი შავი ქაბი, რომელშიც დაკლულ ღორებს თუთქავდნენ ჯაგრის გასაცლელად. მზე უკვე გორაკის თავზე მოქცეულიყო, თეთრად აელვარებდა შეღებილ სახლსა და ფარდულს და აბრჭყვიალებდა ცვრიან ბალახს. ბავშვის ზურგსუკან, აბზინდის მაღალ ბუჩქზე, ხტუნვა დაინყეს ჩიტებმა და გამხმარი ფოთლები ააშარიშურეს, გორაკის ფერდობზე ყურისამდებად ანრიპინდნენ ციყვები. ჯოდი ფერმას გაჰყურებდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც უნდა შეცვლილიყო, რაღაც დაეკარგა და რაღაც ახალი, მისთვის უცნობი რამ შეეძინა. გორაკის თავზე, მინასთან საკმაოდ ახლოს ორი შავი სვავი დაფრინავდა; მათმა ჩრდილმა სწრაფად და ლივლივით გადაუარა ჯოდის თავზე. ეტყობოდა, სადაც მახლობლად, მკვდარი ცხოველი ეგდო. ბიჭი დარწმუნებული იყო, იქ ან მკვდარი ძროხა ეგდო, ანდა კურდელი. სვავების მზერას არაფერი ეპარებოდა. ჯოდი, ისევე როგორც ნებისმიერი წესიერი არსება, ვერ იტანდა ამ ფრინველებს, თუმცა არც მათი განადგურება ივარგებდა, რადგან სწორედ ისინი ასუფთავებენ გარემოს ცხოველთა ნეშტებისგან.

მალე ბიჭი ისევ ქვემოთ ჩაუყვა გორაკს. ძალებს უკვე კარგა ხნის წინათ მიეტოვებინათ იგი, თვალს მიჰყარებოდნენ და თავიანთი ძალური საქმეებით იყვნენ გართული. ჯოდი ისევ ბოსტანში შევიდა, წამით შეჩერდა და ქუსლით გასრისა ჯერ კიდევ მწვანე ნესვი, მაგრამ ამან სიამოვნება ვერ მიინიჭა. ცუდი რამ ჩაიდინა, ამას თევთონაც ხვდებოდა, ადგა და მინა მიაყარა ნამოქმედარის დასამალად.

შინდაბრუნებულს დედამ ჯერ გაუხეშებული ხელები და თითები დაუთვალიერა, მერე ფრჩხილებიც შეუმონმა.

აზრი არ ჰქონდა მათ დასუფთავებას, — რა იცი, სკოლისაკენ მიმავალი გზაზე კიდევ რას გადაეყრება. ქალმა ამოიონება შვილის დახეთქილი თითების დანახვაზე, წიგნები და საუზმე გაუწოდა და გაუშვა სკოლაში, რომელიც ფერმიდან ერთ მილზე მდებარეობდა. დედამ შეამჩნია, რომ ამ დილით ჯოდი ჩვეულებრივზე უფრო მეტად აცმაცუნებდა ტუჩებს.

ბიჭი სკოლისაკენ გაეშურა, გზადაგზა ჯიბები თეთრი კვარცის ნამტკრევებით გამოიტენა და შემხვედრ ფრინველებსა თუ მზესმიიტცხებულ კურდლლებს წამდაუნულ ესროდა. ხიდს რომ გადასაცდა, გზაჯვარედინზე თავის ირ მეგობარს წამოენია და სამივემ ერთად გააგრძელა გზა. ბიჭები ნაბიჯებს სასაცილოდ ადგამდნენ და, რამდენადაც შეეძლოთ, ტუტუცურად იქცეოდნენ. მეცადინეობა სკოლაში სულ რაღაც ორი კვირის წინათ დაინყო, თუმცა მოსნავლეთა მეამბოხე სული ჯერაც არ ჩამცხრალიყო.

ოთხი საათი ხდებოდა, როცა ჯოდი ისევ გამოჩნდა გორაკზე და ზემოდან გადმოხედა რანჩის. თვალით შეკაზმულ ცხენებს დაუნულ ძებნა, მაგრამ ბაკი კვლავ ცარიელი იყო. მამა ჯერ არ დაბრუნებულიყო. ჯოდი ტაატით გაემართა შუადლის საქმეების გასაკეთებლად. სახლის ზღურბლზე დედა ჩამოჯდარიყო და წინდებს კემსავდა.

— საზიარეულოში ორი ფუნთუშა შენოვის, — უთხრა ქალმა.

ჯოდი მკვირცხლად შექვრა სამზარეულოში და მალევე გამოვიდა ნახევარი ფუნთუშით პირგამოტენილი. დედამ ჰყითხა, — დღეს რა ისწავლეთ სკოლაშიო? — და მისი ფუნთუშინან პირით ნათქვამი ბოლომდე არც კი მოისმინა, ისე შეაწყვეტინა:

— ჯოდი, იცოდე, ამაღამ კარგად გაავსე ყუთი შეშით. წუხელ ჯვარედინად დაგილაგებია და ხახევარი ყუთიც ვერ შეივსო. დღეს შემის ნაჭრები ერთმანეთზე თანაბრად დაალაგე. და აი, კიდევ რა, ქათმები კვერცხებს მალავენ, შეიძლება ძალებიც კი ჭამენ, ნადი, ერთი, და ნახე, ბალახებში ხომ არ დებენ.

ჯოდი ჭამა-ჭამით შეუდგა ყოველდღიურ საქმიანობას. ქათმებს საკენკს რომ უყრიდა, დაინახა, როგორ მოგოგმანდა მწყერი და კენკვა დაინყო. მამას რატომლაც ძალიან უხაროდა მწყერების სტუმრობა, სახლის მახლობლად სწორლაც კი აკრძალა, ეს ფრინველი რომ არ დაეფრთხო.

შემის ყუთის ავსების შემდეგ ჯოდიმ თავისი ოცდაორკალიბრიანი თოფი აიღო და გაემართა აბზინდის ჯაგანრისაკენ, იქ, სადაც ცივი წყარო მოედინებოდა. წყალი დილან-დელივით მოსვა და დაინულ ყველაფრის მიზანში ამოღება. თოფს ხან ქვებს უმიზნებდა, ხან ჩიტებს, ხან დიდ, შავ, საღორე ქვებს, კვიპაროსის ქვეშ რომ იდგა, მაგრამ სროლით არ ისროდა, რადგან ტყვიები არ გააჩნდა და არც ექნებოდა, ვიდრე თორმეტი წლისა არ გახდებოდა. მამას რომ დაენახა, როგორ უმიზნებდა თოფს სახლის მიმართულებით, ტყვიების მიცემას ერთი წლით კიდევ გადაუვადებდა. ჯოდის ეს კარგად ახსოვდა და ამიტომაც მეტად აღარ მიუმართავს ლულა სახლისენ. ორი წელიც ხანგრძლივი დრო იყო ლოდინისათვის. მამის თითქმის ყველა საჩუქარს რაღაც შეზღუდვა ახლდა თან, რაც გარკვეულწილად ფასს უკარგავდა ამ საჩუქრებს. ეს შეზღუდვებიც დისციპლინის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

## ახალი თარგმანები

ვახშმად მამის მოსვლამდე არ დამსხდარან. დაბინდებისას, როგორც იქნა, ჩამოვიდა კარლი ბილისთან ერთად. ჯოდიმ იგრძნო ბრენდის სასიამოვნო სუნი, ორივე კაცს რომ ასდიოდა. ბიჭი სიხარულმა შეიძყრო, რადგან, როცა შინ ასეთი სუნი დატრიალდებოდა, მამა მასთან საუბარსაც ინეპებდა ხოლმე და თავის ბავშვობისდროინდელ ცელქებებზეც კი უჟევებოდა შვილს.

ნავახშმევს ჯოდი ბუხარს მიუჟდა და მორიდებული მზერა მოავლო სასადილო ოთახს. ბავშვი ელოდა, როდის გაუმშებდა მამა სათქმელს, გუმანით გრძნობდა, სიახლე უნდა გაეგო. მაგრამ ბიჭს იმდი გაუცრუვდა. მამამ თითო მიუშვირა და მეაცრად უთხრა:

— კარგს იზამ, დასაძინებლად თუ წახვალ, დილით დამჭირდები.

ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. ჯოდის ეხალისებოდა იმ სააჯახო საქმეების კეთება, ყოველდღიური მძიმე შრომისაგან რომ განსხვავდებოდა. ბიჭი იატაკს დააცქერდა, ვიდრე რამეს იტყოდა, ერთხანს აცმაცუნა ტუჩები და ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა, ჩუმად ეკითხა:

— რა უნდა გავაკეთო დილით, ღორი უნდა დავკლათ?

— შენი საქმე არ არის, წადი, დაიძინ!

ჯოდი გავიდა და კარი გაიხურა, მაგრამ მის ყურს მაინც მისწვდა მიმის და ბილი ბაკის ქირქილი. ბიჭი მისვდა, მასზე იცინდენენ. უკვე საწილში ჩანოლილი ბავშვი ცდილობდა კარსმილმა საუბარი გაერჩია. უცებ გარკვევით გაიგონა, როგორ თქვა მამამ პროტესტით:

— მაგრამ, რუთ, ბევრი არ გადამიხდია მასში.

ჯოდის ესმოდა, საკუჭნაოსთან თავგებზე როგორ ნადირობდნენ ბუხება, ესმოდა, როგორ უტყულაშუნებდა ხეხილი სახლის ტოტებს. ბიჭს უკვე ძილში ჩაესმა ძროხის ბლავილი.

მეორე დილით, სამკუთხედმა რომ დაინკარუნა, ჯოდიმ ჩვეულებრივზე უფრო მარდად ჩაიცვა, სამზარეულოში პირი დაიბანა და, თმას რომ ივარცხნიდა, დედამ, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებით უთხრა:

— გარეთ ვერ გახვალ, ვიდრე წესიერად არ ისაუზმებ.

ბიჭი სასადილო ოთახში შევიდა და გრძელ, თეთრ მაგი-დას მიუჟდა. ტაფიდან გადაილო ცხელ-ცხელი ბლინი, ზედ დაადო ჩახლილად შემწვარი რორი კვერცხი, ზემოდან მეორე ბლინი დააფარა და ჩანგლილ კარგად დატკეპნა.

მამა და ბილი ბაკი შემოვიდნენ ოთახში. მათ ფეხის ხმაზე ჯოდი მიხვდა, რომ ორივეს ჩემები ეცვა, თუმცა და-სარწმუნებლად მაინც შეიხედა მაგიდის ქვეშ. მამამ ლამფა ჩააქრო, რადგან უკვე გათენებულიყო. იგი მეაცრი იყო და შეუვალი. რაც შეეხება ბილი ბაკს, მას არცეკი გაუხედავს ბიჭისკენ. ბილიმ თვალი განგებ მოარიდა ბავშვის მოკრძალებულ, შეკითხვით აღსავსე მზერას და შებრანული პურის უზარმაზარ ნაჭერს პირდაპირ ყავით სავსე ჭიქაში უკრა თავი.

კარლ თიფლინმა მწყრალად წარმოთქვა:

— საუზმის შემდეგ ჩვენ გამოგვყვები.

ჯოდის ლუკმა ყელში გაეჩირა. ნუთუ ჰაერში რისხვის სუნი დატრიალდა? ბილი ბაკება ლამბაჟი ასწია და ბოლომ-დე დალია ყავა, ციტა ხნის ნინათ ჭიქიდან რომ დაისხა, მერე კი ხელები ჯინისის შარვალზე შეინმინდა. მალე ორივე მამაკაცი წამოდგა და დღის შუქით უკვე კარგად განათებულ ეზოში გავიდა. ჯოდი მოკრძალებით გაჰყვა შორიახ-

ლო. ბიჭი ცდილობდა წინასწარ არაფერზე ეფიქრა, არ უნდოდა, მის აზრებს მოვლენებისთვის გაესწრო.

— კარლ, ბავშვი სკოლაში არ დააგვიანო, — შინიდა დაადევნა დედამ.

მათ ჩაუარეს კვიპაროსს, რომლის ტოტზეც განმბჯენი იყო დამაგრებული ღორის დასაკიდად, ჩაუარეს შავ რკინის ქვაბაც, ეს ნიშავდა, რომ ღორის არ კლავდნენ. მზე გორაკის თავზე ამოდიოდა და ხეებისა და შეხობების გრძელ, მუქ ჩრდილებს აფენდა მინაზე. საჯაზიბოსკენ გაუხვიეს და მოკლეზე გადავიდნენ თავლისევენ. ჯოდის მმამ ურდული გადანია და სამივე შიგნით შევიდა. აქეთ მომავლებს მზე პირდაპირ სახეში ანათებდა, ამიტომაც ეხამუშათ თავლაში გამეფებული სიბნელე. შიგნით თივისა და ცხენების თბილი სუნი იდგა. ჯოდის მამა ბაგას მიუახლოვდა.

— მოდი აქ, — უბრძანა ბავშვს.

ჯოდის თვალი შეეჩინა სიბნელეს და უკვე არჩევდა საგნებს. ბიჭმა ბაგაში შეიხედა და მოულოდნელობისაგან უკან გადმოხტა.

ბიჭს ბაგიდან უყურებდა წითური პონის კვიცი, რომელსაც ყურები დაეცევიტა, ხოლო თვალებში დაუმორჩილებლობის ცეცხლი უგიზგიზებდა. ბენვი ერდელტერიერივით სქელი და უხეში ჰქონდა, ფაფარი გრძელი და აბურდული. ჯოდის თთოქს ყელში წაუჭირესო, — სუნთქვა შეეკრა.

— ამას ახლა კარგი განმენდა უნდა, — უთხრა მამამ, — და თუკი გავიგებ, რომ არ აჭმევ, ან ბაგას არ უსუფთავებ, მაშინვე გაიყიდო.

ჯოდიდ ველარ გაუძლო პონის თვალებს, მზერა საკუთარ ხელებზე გადაიტანა და გაუბედავად იკითხა:

— ჩემია?

კითხვაზე არავინ უპასუხა. ბიჭმა ხელი კვიცისაკენ გაიწოდა. პირუტყვება ნაცრისვერი ცხენირი შიუახლოვა მის ხელს, ხმაურით სუნთქვავდა, მერე ზედა ტუჩი მაღლა ასწია და ძლიერი კბილები ბავშვის თითებს ჩაუჭირა. პონიმ თავის ქნევა ისე დაინყო ზევით-ქვევით, თითქოს ნიშნისმოგებით იცინისო. ჯოდიმ თავის გალურჯებულ თითებს დახედა.

— კარგია, — თქვა ბიჭმა ამაყად, — კბენა კარგი სცოდნია.

კაცებმა გაიცინეს, თითქოს მხრებიდან ტვირთი ჩამოისნესო. კარლ თიფლინი თავლიდან გაგიდა და გორაკის ფერდობისაკენ გაემართა, მარტო სურდა ყოფნა, რადგან ასეთ წუთებში თავს უხერხეულად გრძნობდა. ბილი ბაკი იქვე დარჩა. ბიჭს მასთან უფრო ეიოლებოდა საუბარი, ამიტომაც ისევ იკითხა:

— ჩემია?

ბილიმ პროფესიონალი ცხენისნის ტონით უპასუხა:

— შენია, აბა, რა! ოღონდ, იმ პირობით, რომ თვითონ მოუვლი და გახედნი. ყველაფერს გასწავლი, რა როგორ უნდა გააკეთო. ეს ჯერ კვიცია და ზედ შეჯდომა ადრეა.

ჯოდიმ ისევ გაინვადა ნაკბენი ხელ პონისაკენ, ამჯერად პირუტყვება ნება მისცა ბიჭს, მისთვის ცხვირი მოექექა.

— ამას სტაფილო უნდა მივცეთ, — თქვა ჯოდიმ და მერე იკითხა, — ბილი, სად იყიდეთ?

— შერიფის აუქციონზე, — უპასუხა ბილი ბაკმა, — სალინასში ადგილობრივი ცირკი გაკოტრდა და გალები დაედო, შერიფიც ადგა და უძრავ-მოძრავი ქონება გაუყიდა.

## ახალი თარგმანები

პონიმ ცხვირი წინ გამოიშვირა და თვალებზე ჩამოყრილი ფაფარი თავის ქნევით უკან გადაიყარა. ჯოდი დრუნჩე მოეფერა და ჩუმად იყითხა:

— უნაგირი... არ ჰქონდა?

ბილი ბაკმა გაიცინა.

— როგორ დამავიწყდა, წამომყევი.

აღვაზმულობის შესანახ ოთახში ბილიმ კაუჭიდან ჩამოხსნა პატარა უნაგირი, რომელსაც ტარსიკონის ნითელი ტყავი ჰქონდა გადაკრული.

— ეს ცირკიდან წამოღებული უნაგირია, — აგდებულად თქვა ბილი ბაკმა, — ჯაგნარში სასიარულოდ არაა პრაქტიკული, სამაგიროდ, იაფად ვიყიდეთ.

ბენიერი ჯოდი თვალებს არ უჯერებდა, ვერც უნაგირისთვის შეეხდა და ხმასაც ვერ იღებდა. ბაგშვმა თითო წევრები მიმოატარა წითელი ტარსიკონის ტყავს და კარგახნის დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, თქვა:

— მაინც ძალიან მოუხდება ზურგზე დადგმა.

ჯოდის ახლა აგონდებოდა ყველა ის დიდებული და უმშვენიერესი რამ, რაც კი ოდესმე ენახა ან განეცადა.

— თუ ჯერ სახელი არა აქვს, მე გაბილანის მთას დავარქმევ, — თქვა ბაგშვმა.

ბილი ბაკმა კარგად იცოდა, რას გრძნობდა ახლა ჯოდი.

— ცოტა გრძელი სახელი ხომ არ არის, უბრალოდ გაბილანის რომ დავრქვა? ეს სიტყვა ინდურად შევარდენს ნიშნავს, ხომ ლამაზად უდერს? — ბილიც ბიჭთან ერთად ხარობდა, — შენ თუ ძუას მოაგროვებ, მე დაგიწნავ და შეძლებ ქამინდად გამოყენო...»

ჯოდის ისევ ბაგშვი უნდოდა მიბრუნება:

— როგორ ფიქრობ, შეიძლება სკოლაში წავიყვანო და ბავშვებს ვაჩვენო?

ბილი ბაკმა ნიშნად თავი გაიქნია:

— ჯერ მიუჩვეველია აღვირის. მთელი გზა დაგვტანჯა, ძალით მოვათრევდით. სკოლაში წასვლის დროა, იჩქარე.

— ნაშუადღეს ბაგშვებს მოვიყენ მის სანახავად, — თქვა ჯოდი.

ნაშუადღეს, ჩვეულებრივზე ნახევარი საათით ადრე ექვსი ბიჭი ლამის პირდაპირ თავით დაეშვა გორაკის ფერდობზე, აქოშინებულები იდავვებს მთელი ძალით იქნევდნენ. ჩაუქროლეს სახლს, გაუხვიეს თავლისკენ, გზის შემოელების მიზნით ნამჯგანი მინდორი გადაჭრეს და უცემ მონუსხულებივით შეჩერდნენ პონის წინ. ამის შემდეგ მზერა ჯოდიზე გადაიტანეს და რაღაც ახლებური აღფრთოვანებითა და პატივისცემით აღსავსე თვალებით მიაჩერდნენ ბიჭს. აქმდე ჯოდი ერთი უბრალო ბავშვი იყო, სხვა ბიჭებივით კომბინიზონსა და ლურჯ პერანგში გამოწყობილი. ეს უთქმელი ბიჭი ბევრ მის ამხანაგს, ცოტა არ იყოს, მხდალიც კი ეგონა. ახლა ჯოდი სხვა ადამიანად იქცა. ამხანაგებს მის მიმართ პატივისცემის სწორედ ისეთი გრძნობა გაუჩნდათ, როგორსაც ფეხით მოსიარულე საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა მხედრის მიმართ. ბავშვები ალლოთი გრძნობიზე, რომ მხედარი სულიერადაც და ფიზიკურადაც ბევრად აღემატება ფეხით მოსიარულეს. ბიჭებმა ისიც იგრძნეს, რომ ცოტა ხნის წინათ მათ თანასწორად მყოფი ჯოდის ავტორიტეტი ერთიორად გაიზარდა. გაბილანმა ბაგიდან ცხვირი გამოყო და ბაგშვები დასუუნა.

— რატომ არ ჯდები ზედ? რატომ არ უწნავ ძუაში ბაფებს, ბაზრობაზე რომ არის ხოლმე, ისე? როდის აპირებ პონით სიარულს? — დააყარეს კითხვები ბიჭებმა.

ჯოდი გაამაყდა. მანაც იგრძნო მხედრისათვის ნიშან-დობლივი უპირატესობა:

— ჯერ პატარაა და არ შეიძლება მასზე შეჯდომა. მე თვითონ უნდა გავხედნო, ბილი ბაკი მასწავლის.

— არ შეიძლება (ცოტა გავასეირნოთ?

— ჯერ აღვირი არ იცის, — უპასუხა ჯოდიმ. ბავშვს არ უნდოდა, ვინმე დასწრებოდა იმ წუთს, როცა პირველად გამოყვანდა ცხენს მარტოვა.

— წამოდით, უნაგირს გაჩვენებთ.

წითელი ტარსიკონგადაკრული უნაგირის დანახვაზე ბავშვებს ენა ჩაუკარდათ, გაოგნებულები მიაჩერდნენ ამ საოცრებას.

— ჯაგნარში სასიარულოდ არ გამოდგება, — აუხსანა ჯოდიმ, — ისე კი ძალიან მოუხდება. ჯაგნარში სიარული თუ მომინია, შეიძლება უუნაგიროდ შევჯდე პონიზე.

— ძროხას როგორლა გამოიბამ, თუკი უნაგირს თოკის მისაბმელი არა აქვს?

— საყოველდღეოდ შეიძლება სხვა უნაგირი ვიშოვო, მამაჩემს უნდა საქონლის მოვლაში დავეხმარო.

ჯოდიმ ათხოვა ბაგშვებს უნაგირი, უკეთ რომ დაეთვალიერებინათ. მან ამხანაგებს თითბრის ჯაჭვიანი აღვირიც აჩვენა და დიდი, თითბერისუფე ბალთებით მორთული საშუალებაც. ეს ყელობაფერი არაჩვეულებრივი იყო. ბიჭების წასვლის დროც მოვიდა. თითოეული გონების თვალით ეძებდა თავის საკუთრებაში არსებულ რამე ნივთს, რითაც შეძლებდა ჯოდის გულის მოგებას და პონით ჯირითის ნებართვას მოიპოვებდა, როცა დრო დადგებოდა.

ჯოდის გაეხარდა ბიჭების წასვლა. კედლიდან ჯაგრისი და სამურველი ჩამოილო, გადაწია ხარისა და ფრთხილად შევიდა ბაგაში. პონიმ თვალები დააკვესა და მკვეთრი მოძრაობით შეტრიალდა წიხლის საკვრელად.

ჯოდი მხარზე შეეხო ცხოველს და ისე მოუქექა აყელყელავებული კისერი, ბილი ბაკმა რომ იცოდა ხოლმე, მერე კი თბილად მოუგურგურა:

— კაა ბიჭი!

პონი ნელ-ნელა დამშვიდდა. ჯოდი იქამდე წმენდდა და ასუფთავებდა ცხენს, ვიდრე მინაზე ჩამონავარცხნი ბალნის გროვა დადგებოდა და ცხენის წითური ტყავი პრიალს დაიწყებდა. ბიჭი ველარ ამთავრებდა პონის გასუფთავებას, ეგონა, კიდევ სჭირდება გარიალებათ. ფაფარი და შებლზე ჩამოყრილი თმა ჯერ წვრილად დაუწნა, მერე ისევ დაუშალა და ჯაგრისით დავარცხნა.

ჯოდიმ ვერც კი გაიგო, როგორ შეები და თავლაში დედამისი. ქალი გაჯავრებული იყო, მაგრამ როცა პონი და მასზე მზრუნველი საკუთარი შვილი ამ ყოფაში იხილა, გული სიამაყით აევსო.

— შეშა სულ დაგავიწყდა, არა? — რბილად ჰკითხა დედამის, — მალე დაბინდება, შინ კი ფიჩიც არა გვაქვს, ქათმებიც დასაბურებელია.

ჯოდიმ აჩქარებული მოძრაობით დააწყო ჯაგრისი და სამურველი.

— დამავიწყდა, მერ.

— მოდი, ასე შევთანხმდეთ, ჯერ შენი გასაკეთებელი საქმე გააკეთე და აღარ დაგავიწყდება. როგორც ვატყობ, თვალყური თუ არ გადევნე, ამიერიდან უფრო მეტი რამ დაგვიწყდება.

— შეიძლება სტაფილო მოვუკრიფო ხოლმე ბოსტანში?

## ახალი თარგმანები

დედა დაფიქრდა და ისე მიუგო:

— ასე იყოს, ოღონდ პატარებს ხელი არ ახლო, დიდრონები მოკრიფე.

— სტაფილო ტყავს უფრო მეტ ბზინვას ანიჭებს, — თქვა ბიჭმა და მის სიტყვებზე დედას ისევ გადაუარა სიამაყის უცნაურმა ტალღამ.

მას შემდეგ, რაც პონი მოუყვანეს, ჯოდი სამკუთხედის დანკარუნებამდე დგებოდა ლოგინიდნ. უკვე ჩვევად ექცა, — დედის გაღვიძებამდე საწოლიდან ფრთხილად გადმოძვრებოდა, უცებ გადაიცვამდა ტანსაცმელს და ფეხაკრეფით მიდიოდა გაბილანის სანახავად. რიურაუზე, როცა ჯერ ისევ რუხი მდუმარება სუფევდა ირგვლივ, როცა მიწა, ჯაგნარი, შენობები და ხეები ფოტონებატივით ორ ფერად — ვერცხლისფრად და შავად — შეფერილიყო, ბავშვი უწუმრად მიპარებოდა ფარდულისენ, მერე გვერდს აუვლიდა მთვლემარე ქვებსა და ძილში წასულ კვიპაროსს. კოიოტისგან თავდასალნევად ხეებზე დაბუდებული ინდაურები ძილში კივეივებდნენ. მინდვრები ცივი რუხი ფერით ელავდა, ცვრიან პალახს გარკვევით აჩნდა კურდლებისა და მინდვრის თავგების ნაფეხურები. უწყინარი ძალები შმაგად გამოცვივებოდნენ ხოლმე თავიანთი პატარა სახლებიდან, ზურგზე ბალანაშლილები ყრუ ხმებს გამოსცემდნენ, მაგრამ როგორც კი ჯოდის სუსს იქრავდნენ, მაშინვე მისკუნ გავარდებოდნენ, გაშტიკინებულ კუდებს მაღლა სწევდნენ, აქიცინებდნენ და ასე ესალმებოდნენ ბიჭს. ამის შემდეგ ეზოს ძაღლი „ბო“ და „ყოჩალი“ — მომავალი მწყების — ზანტად მიტრალდებოდნენ და ისევ თბილ საწოლებს უბრუნდებოდნენ.

დროის ეს მონაკვეთი, უცნაური, საიდუმლო სვლა თავ-ლისაკენ, ჯოდის სიზმრის გაგრძელებად მიაჩნდა. პონის მოყვანის პირველ დღეებში ბიჭს რაღაცნაირ სიამოვნებს ანიჭებდა თავის დატანჯვა იმაზე ფიქრით, რომ გაბილანი თავლაში არ დახვდებოდა, ანდა, უარესი, რომ იქ საერთოდაც არ ყოფილა ცხენი. ბიჭი სხვა ტებილ-მწარე ფიქრებითაც იტანჯვავდა თავს, მაგალითად, წარმოიდგენდა, როგორ დაღრღნეს ვირთხებმა წითელი უნაგირი, ანდა თავვებმა ისე დაუკბინეს კუდი გაბილანს, რომ წვრილი ძარღვებიდა ეკიდა გავაზე. ფარდულამდე დარჩენილ რამდენიმე ფუტს ჯოდი უკვე სირბილით გადიოდა, გადაწევდა დაუანგებულ ურდფულს და თავლაში შედიოდა. კარი სულ უხმაუროდაც რომ გალებულიყო, გაბილანი მაინც გამოხედავდა ხოლმე ბიჭს ბაგის ბარიერის მიღმიდან, ჩუმად წაიჭიხვინებდა, მინას წინა ფეხის ფლოქებს დაუშენდა და თვალებს ისე დაკვესებდა, თითქოს შიგნით მუხის სის წითელი ნაღვის ულვილებად.

ხანდახან, როცა ცხენები სამუშაოდ უნდა გაერეკათ, ჯოდი საჯინიბოში ბილი ბაკას ნახულობდა, ის კაზმავდა და ანესრიგებდა ცხოველებს. ხშირად ბილი ბიჭთან ერთად დაგებოდა ხოლმე, გაბილანს მიაჩერდებოდა და უამრავ რამეს ყვებოდა ცხენების შესახებ. ბილის თქმით, (ცხენებს ძალზე ემზნოდათ ფეხების დაზიანების, და რათა ადამიანებს მოეხსნათ ეს შიში, ხშირად უნდა დაზილათ მათვის მუხლები და გაეხეხათ ჩლიიქები). ბილი იმასაც ყვებოდა, თუ როგორ მოსხონდათ ცხენებს, როცა მათ ელაპარაკებოდნენ, ჯოდისაც ურჩია, ხშირად დალაპარაკებოდა პონის და თანაც ყველაფერი აეხსნა პირუტყვისათვის. ბილი დარწმუნებული არ იყო, რომ ცხოველები ყველაფერს იგებდნენ,

რასაც ეუბნებოდნენ, მაგრამ ის კი კარგად იცოდა, რომ წარმოუდგენლად ბერები რამე ესმოდათ და ხვდებოდნენ. ცხენი ურჩიბას არასოდეს დაიწყებდა, თუკი მისი საყვარელი ადამიანი ყველაფერს წესიერად აუხსნიდა. ბილის მაგალითებიც კი მოჰყავდა: თურმე ერთი ქანცგანყვეტილი ცხენი ნაბიჯს ვეღარ დგამდა, მაგრამ როცა პატრონმა აუხსნა, რომ დაინიშნულების ადგილამდე მცირე მანძილილა იყო დარჩენილი, პირუტყვი გამოცოცხლდა და გზა განაგრძო. ხოლო ერთ შიშისაგან ადგილზე გაქავებულ ცხენს თურმე მაშინვე გაუქრა ეს გრძნობა, როგორც კი პატრონმა დაარწმუნა, საშიში არაფერია. ასეთ რამებს უყვებოდა ბიჭს ბილი ბაკა; თან, ამასობაში, ჭრიდა სამი ინჩის სიგრძის იცდათოდე ჩალის ღერს და თავის ქუდზე მოვლებულ ზონარში არჭობდა. მერე კი, მთელი დღის მანძილზე კბილის გამოჩიჩქა ან რამის დალეჭვა თუ მოუნდებოდა, სათითაოდ იღებდა ამ ღერებს და სურვილისამებრ იყენებდა.

ჯოდი დიდი ყურადღებით უსმენდა ბილი ბაკას, რადგან ეს კაცი, არამარტი ბიჭის, არამედ მთელი სოფლის აზრითაც, ცხენების საქმის უდიდეს ისტატად ითვლებოდა. ბილის საკუთარი ცხენიც ჰყავდა — ძარღვიანი, დიდთავა ინდური პონი, რომელიც თითქმის ყველა შეჯიბრზე პირველ პრიზს იგებდა. ბილი შესანიშნავად ხმარიბდა ქამანდს, შეეძლო ლასოს სამაგი მარყუში ჩარის რქებზე, მერე ჩამოცვეითებულიყო და ცხენისათვის მიენდო დანარჩენი. პონი ხარს ისე დაატრიალებდა ხოლმე, როგორც მეთევზე ასხმარტალებს ანკესზე წამოგებულ თვეზეს, მანამ ანვალებდა ხარს, სანამ ეს უკანასკნელი მინაზე არ დაეცემოდა და ბრძოლას არ შეწყვეტდა.

ყოველ დილით, ცხენის გასუფთავებას რომ მორჩებოდა, ჯოდი ბაგის ხარისა ზემოთ ასწევდა და გაბილანს შემოლებილ მინდორზე უშვებდა საჯირითოდ. ცხენი წრეზე დარბოდა და ლაღად დაკუნტრუშობდა, მერე უცრად ერთ ადგილზე შეშედებოდა მთლად აცახცახებული და ყურებდაცემეტილი. თვალებს ისე ატრიალებდა, რომ თეთრი გარსილა ანათებდა, ისე იდგა, თითქოს რაღაცმა შეაშინაო, მერე ფრუტუნით მივიღოდა წყლით საგსე გობთან და მთელ დრუნჩის შიგ ყოფდა, მხოლოდ ნესტოებს ტოვებდა ზევით, რათა ესუნთქა. ასეთ წუთებში ჯოდი სიამაყით ივ-სებოდა, რადგან იცოდა, რომ ცხენები წყლის სმის მიხედვით ფასდებოდნენ. სუსტი ცხენი მხოლოდ ტუჩს შეახებს ხოლმე წყალს, კარგი, ცოცხალი ცხენი კი მთელ დრუნჩის ჰყოფს შიგ და მხოლოდ ნესტოებს ტოვებს ზემოთ, სუნთქვა რომ შეძლოს.

ჯოდი იდგა და თვალს არ აშორებდა ცხენს, ისეთ რამებს ამჩნევდა, რაც სხვა ცხენებისთვის არასოდეს შეუნიშნავს. პონის სწორი, სრიალა, დაკუნტრული ბარკლები ჰქონდა, გავა ისე დასჭმოდა, როგორც მომუჭული მუშტია, მზის სხივები საოცარ ჰქნა სდენდა მის წითურ ტყავას. იმის მიუხედავად, რომ ჯოდი მთელი სიცოცხლე ცხენებს ხედავდა, ყურადღებით არასოდეს დაპერვებებია მათ. ახლა ისიც კი შეამზნა, რომ ყურების მოძრაობა პირუტყვის გამომეტყველებას უცვლიდა, მას ყურებით შეეძლო ლაპარაკი. იმის გამოცნობა, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ცხენის ამაზნისათვის თუ ისე მიედვით იყო შესაძლებელი, — ხან გაშტიკინებული და აცევეტილი ჰქონდა, ხან — აქეთ-იქით

## ახალი თარგმანები

გაპარტყული. როცა რამის შეეშინდებოდა, ან გაფიცხდებოდა, უკან სწევდა, თუ დაძაბული იყო, რამე აინტერესებდა, ანდა კმაყოფილი იყო რამით, წინ წამოწევდა. ერთი სიტყვით, ცხენის ყველა ემოციას სწორედ ყურები გამოხატავდა.

ბილი ბაკმა პირობა შეასრულა, ცხენის ვარჯიში ადრეულ შემოდგომაზე დაიწყეს. ავშარის მორგბა რთული გამოდგა. თავიდან ხომ ყოველთვის ყველაფერი რთულია. ჯოდი სტაფილოს იქტერდა ხელში, რომ პონის ყურადღება მასზე გადაეტანა, ამასობაში კი აღვირს ქარავდა. პონი წინააღმდეგობას უწევდა და ვირივით გაჯიუტებული ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ამგვარი პროცესი მანამდე გრძელდებოდა, სანამ ცხენი დანებდებოდა. ახლა ჯოდი უკვე მოელ ფერმას გარს უვლიდა და თან გამობმული გაბილანც დაჰყუყდა. ნელ-ნელა აღვირის მოშევებაც დაიწყო და პონი უკვე ნებით დაჰყევებოდა ბიჭს.

ამის შემდეგ კორდით წვრთნა დაიწყეს. ჯოდი წრის შუაგულში იდგა და ცხენი გრძელ თოვზე ჰყავდა გამობმული. ბიჭი ენას რომ დააწელა ბუნებდა, პონი ფართო წრეზე იწყებდა სიარულს, მეორედ რომ დააწელა ბუნებდა, ჩორთზე გადადიოდა, ხოლო მესამე ასეთივე ნიშანზე უკვე გაჭერდებოდა, გაბილანი ფლორების თქარათქურით წრეს წრეზე არტყამდა და უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა. როგორც კი ჯოდი დაუძახებდა: — გაჩერდი, — იმავე წამს ჩერდებოდა. დიდი დრო სულაც არ დასჭირვებია გაბილანისთვის ყოველივე ამის უშეცდომობ სწავლებას. მაგრამ პონი ზოგჯერ ცუდაბაც იქცეოდა — ჯოდის ბარძაბზე კბენდა და ფეხს ფეხზე ადგამდა, ხან ყურებს უკან გადანევდა ხოლმე და ცდილობდა წიხლი ეკრა ბიჭისთვის. ყოველი ასეთი მცდელობას შემდეგ გაბილანი უკან იხევდა და თითქოს კმაყოფილებით ჩაიჭიბენიებდა ხოლმე.

საღამობით ბილი ბაკი ქამანდს წინავდა ბუხრის წინ. ჯოდი გამუდმებით აგროვებდა ძუას ტომარაში. ბიჭი ბილის მიუჯდებოდა ხოლმე და თვალს ადევნებდა მის აინჯა და ხანგრძლივ საქმიანობას. ბილი ძუის რამდენიმე ღერს ერთმანეთზე გრებდა, მერე ორ ამგვარ გრეხილს ერთურთს გადააჭდობდა და კიდევ უამრავი ასეთი გრეხილისაგან თანდათან იწებოდა ქამანდის ნანილები. საქმეს რომ მორჩებოდა, ძუის ამგვარ კონებს იატაკზე აგდებდა და ფეხით აგორგოლავებდა, რათა ქამანდი მრგვალი და მაგარი გამოსულიყო.

კორდით წვრთნა სწრაფი ტემპებით უახლოვდებოდა სრულყოფილ შედეგს. ჯოდის მამამ როცა ნახა, როგორ ემორჩილებოდა ცხენი ბიჭის ბრძანებას წრეზე, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილი დარჩა:

— ეს რა ფანდები გისწავლებია, ვერ ვიტან განვრთნილ ცხენებს. ამნაირი ფოკუსები ლირსებას ულახავთ. რაღა განვრთნილი ცხენი და რაღა მასინობი, რომელსაც არც ლირსება გააჩნია და არც საკუთარი ხასიათი. ამს სჯობს, რაც შეიძლება სწრაფად მასწილი უნაგირს, — დასძინა ბოლოს.

ჯოდი აღაზმულობის შესახახი ითახისავენ გავარდა. უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც შეშის სახერს ხარიხაზე უნაგირს შემოდებდა და ზედ ჯდებოდა, ცდილობდა შეჩერებოდა. ბიჭი ხან აგრძელებდა უზანებს, ხანაც ამოკლებდა, მაგრამ საჭირო სიმაღლეზე მაინც ვერ დააყენა. ხარიხაზე შემოსკუპებული ჯოდი წარმოიდგენდა, თითქოს ცხენზე ამხედრებული გადიოდა ამ შესაკაზმი ითახიდან, რომლის

კედლებზეც ბლომად ეკიდა ულლები, მოსართავები და აღვირები, თითქოს უნაგირის გარდიგარდმო თოფგადებული მინდორზე მიაქროლებდა ცხენს და ფლოქვების თქარათქურით გარემოს აყრუებდა.

ცხენისთვის უნაგირის პირველად დადგმა მეტად სახლაფორთო საქმე გამოდგა. გაბილანი ხან იკუზებოდა, ხან ყალყზე დგებოდა და მანამდე აგდებდა ძირს უნაგირს, სანამ მის დამაგრებას მოასწრებდნენ. მერე ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა. ჯოდი და ბილი მანამდე არ მოეშვნენ, სანამ პონი ბოლოს და ბოლოს არ დანებდა. ასევე რთული აღმოჩნდა მოსართავთა გაკეთებაც. ჯოდი დღითიდლე სულ უფრო მჭიდროდ უჭერდა მოსართავებს; ცხენი ისე მიერგია ამ ყოფას, რომ ბოლოს უნაგირი აღარც კი ანუხებდა.

ლაგამის ამოდების ჯერიც დადგა. ბილის რჩევით ბიჭმა თავიდან ძირტყებილას ფეხის ჩაუდო ცხენს პირში, ლაგამს რომ მიჩევოდა. ბილიმ აუხსნა ბავშვს, ლაგამის ძალით ჩაჩრა პირუტყვს დააშინებს და პატრონს მხოლოდ შიშის გამო დაემორჩილება და არა საკუთარი სურვილითო.

პირველად რომ ამოსდეს ალგირი, პონი თავის ქნევას მოჰყვა, ენას ისე ძლიერად უსვამდა ლაგამს, რომ ლაშების კუთხებიდან სისხლმა გამოიჭონა, დრუნებს გეჯას უსახუნებდა, ლაგამის აყრას ცდილობდა, ყურებს აცაბაცაცა ატრიალებდა, თვალები შიშისა და მძინვარებისაგან ჩაუნითოლდა. ჯოდის უხარიდა პონის ამგვარი ქცევა, რადგან იცოდა, მხოლოდ უვარების ცხენი არ ეწინააღმდეგება პატრონს ასეთ დროს.

ჯოდის თრთოლვა ისყრობდა, როცა იმ დროს წარმოიდგენდა, პირველად რომ მოაჯდებოდა უნაგირს. თავიდან პონი ალბათ ძირს ჩამოაგდებს. ამაში სასირცვებილ განარიანი აღიარების მაშინ ჭამს, თუკი უცებ არ წამოხტება ფეხზე და ისევ არ შეაჯდება. სიზმარში ბიჭი ხშირად ხედავდა, თითქოს მტკერეში ეგდო, ტიროდა და ველარ ახერხებდა უნაგირზე ასვლას. სიზმრიდან გამოყოლილი სირცვების გრძნობა ბავშვს შუადლებ სდევდა თან.

გაბილანი სწრაფად იზრდებოდა. ის უკვე აღარ იყო აწონილი კვიცი. ფაფარი დაუგრძელდა და გაუმჯუქდა. გამუდმებული ნებენდა-გასუფთავებისაგან ბეწვი ისე უბრნწინავდა, თითქოს ფორთობლისფერ-მოწითალო ლაქი გადაუსვამთო. ჩილიქები რომ არ დახეტქოდა, ჯოდი უწმენდდა და ცხიმით უპოხავდა.

ძუის ქამანდი თითქმის დასრულდა. მამამ ჯოდის აჩუქა ძველი დეზები, რომლებიც გვერდებში მოხარა და ჯაჭვები ისე დაუმოკლა, ფეხზე კარგად რომ მორგებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კარლ თიფლინმა შვილს განუცხადა:

— პონი იმაზე სწრაფად იზრდება, ვიდრე წარმოვიდგენდი. უფიქრობ, მაღლიერების დღესასწაულისთვის უკვე შესაძლებელი იქნება მასზე შეჯდომა. როგორ გგონია, თავს დაიმაგრებ უნაგირზე?

— არ ვიცი, — თქვა მორცხვად ჯოდი. მადლიერების დღემდე სამი კვირალა ჩჩებოდა, ბიჭი ნატრობდა, იმ დღეს არ ეწვიმა, წითელი უნაგირი რომ არ დალაპავებოდა.

გაბილანი უკვე ცნობდა თავის პატრონს და უყვარდა კიდეც. ბიჭი ნაწერალზე რომ გამოჩინდებოდა და დაუსტვენდა, პონი ხვიცებით გაბობდა პატრონთან შესახევდრად. ჯოდის ყოველთვის მიჟერნდა მისთვის სტაფილო.

ბილი ბაკი ბიჭს გამუდმებით ასწავლიდა მხედრობის წესებს:

— როგორც კი უნაგირზე შეჯდები, მუხლები მაგრად მოუჭირე ცხენს გვერდებზე და ხელი არ მოჰკიდო კოტას. თუ ჩამოგაგდებს, ისევ შეაჯექი. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, კარგი ცხენოსანი ხარ თუ არა. ყოველთვის მოძებნება ცხენი, რომელიც ჩინებულ მხედარსაც კი ჩამოაგდებს. ისე მარდად უნდა მოექცე ზემოდან, პირუტყვამა თავისი უპირატყესობა არ იგრძნოს; ასე რომ მოიქცევი, აღარ გადმოგაგდებს ძირს, ხოლო ძალიან მალე უკვე ველარც შეძლებს ამას. ხომ გაიგე, რაც უნდა ქნა?

— ნეტავ არ იწვიმოს, — თქვა ჯოდიმ.

— წვიმა რას დაგიშლის, ტალახში არ გინდა ჩავარდე?

ნანილობრივ ეს ასეც იყო; გარდა ამისა, ჯოდი შიშობდა, ხომ შეიძლება ყალყზე შემდგარ გაბილანს ფეხი დასხლტომოდა, ბიჭი ქვეშ მოეყოლებინა და ფეხი ან თეძო მოეტეხა მისთვის. ჯოდის ენახა, ცხენი და მისი მხედარი მინაზე გასრესილი ბალინჯოებივით როგორ იკრუნჩიხობდნენ და სწორედ ასე-თი რამისა ეშინოდა.

ხის სახერს ხარიხაზე წამოსკუპებული ბიჭი ვარჯიშობდა, როგორ უნდა სქეროდა სადავეები მარცხენა ხელით და ქუდი — მარჯვენათი. თუე არივე ხელი დაკავებული ექნებოდა, ველარ შეძლებდა მოსჭიდებოდა უნაგირის კოტას ჩამოარდნისას. ბიჭს ფიქრიც კი არ უნდოდა რა მოხდებოდა, თუე წონასწორობის შესანარჩუნებლად უნაგირის კოტას მოეჭიდებოდა, — ალბათ, მამა და ბილი ბაკი ხმას აღარ გასცემდნენ, ისე შერცხვებოდათ მის გამო, ამბავი სწრაფად გავრცელდებოდა და დედასაც შეარცხვენდა. იმისი წარმოდგენაც კი, რაც სკოლაში მოხდებოდა ამ ამბის შეტყობის შემდეგ, ჯოდის ძალებს აღემატებოდა.

ბიჭი მარცხენა ფეხს უზანგში გაყრით კი უყრიდა, მაგრამ მარჯვენათი გაბილანზე დადგმულ უნაგირზე გადაჯდომას მაინც ვერ ბედავდა, რადგან აკრძალული ჰქონდა მაღლიერების დოლის დადგომამდე.

ყოველ ნაშუადლევს ჯოდი უნაგირს ადგამდა პონის და სულ უფრო უჭერდა მოსართავებს. პონი ამ დროს მუცელს უსაშველოდ ბერავდა, ხოლო როცა ბიჭი ბალთის შეკვრას დაამთავრებდა, ცხენი ნელ-ნელა ისევ დაიფუშებოდა ხოლმე. ჯოდის ზოგჯერ ვაგნარში მიჰყავდა გაბილანი და მრგვალი, მწვანე კასრიდან არწყულებდა. ხშირად ნაწვერალის გაცლით გორაკზეც კი აუყვანია. ამ ადგილიდან შესაძლებელი იყო თეთრი ქალაქის — სალინასის — გეომეტრიული ფორმის მინდვრებისა და მუხის ხეებქვეშ შეფარებული ცხვრის ფარების დანახვა. ბიჭი და ცხენი ხანდახან ჯაგ-

ნარში გაძვრებოდნენ ხოლმე და გადიოდნენ მინის პატარა, მოტიტვლებულ ადგილზე, რომელიც მთელი დანარჩენი სამყაროსგან ამ ჯაგნარით იყო გამიჯნული და მხოლოდ ცის ნაჭერის დანახვა შეიძლებოდა აქედან. გაბილანს მოსწონდა ამგვარი მოგზაურობა, რასაც იმით გამოხატავდა, რომ თავს იღერებდა და ნესტორებს ცნობისმოყვარეობისგან ძალზე ბერავდა. უკან დაბრუნებულებს ჯაგნარიდან გამოყოლილი აბზინდის მძაფრი სუნი ასდიოდათ.

მაღლიერების დღის დადგომამდე დრო მეტისმეტად გაიწელა, სამაგიეროდ, მალე დაზამთრდა. ცას ღრუბლები შემოესივნენ და მთელი დღები გაუნირევლად ეკიდნენ ჰაერში, გორაკებს ზემოთ, ღამდამობით კი ქარი გამგმირავად ღმულდა. მუხის ფოთლები მანამ ცვიოდა ხიდან, სანამ მინა მთლად დაიფარებოდა, თუმცა ხეები ისევ უცვლელად გამოიყურებოდა.

მართალია, ჯოდის ძალზე უნდოდა, მადლიერების დღემდე არ ეწვიმა, მაინც განვიმდა. ყავისფერი მინა გაშავდა, ხეები სისველისაგან აპრიალდნენ. ნაწვერალზე მოდებული სავს მუქად მოჩანდა, თივის ზვინებს ნაცრსფერ დასდებოდა ნესტისგან, საცურავებზე მოდებული ხავსი, ზაფხულში რუხი ხვლიკის ფერისა რომ იყო, ახლა მომწვანომყვითალოდ ელავდა. მთელი წვიმინი კვირა ჯოდის პონი თავლაში ჰყავდა გამომწყვდეული, გარეთ მხოლოდ მაშინ გამოყავდა, სკოლიდან რომ ბრუნდებოდა; ცოტას გაატარებდა, ზემოთ აიყვანდა და კასრიდან წყალს დაალევინებდა ხოლმე. გაბილანი ერთხელაც არ მოყოლილა დიდ წვიმაში.

სველი ამინდები მანამდე შენარჩუნდა, სანამ ახალი ბალახი ამოინვერებოდა. ჯოდი წყალგაუმტარი ლაბადითა და მოკლეყელიანი რეზინის ჩემებით დაიარებოდა სკოლაში. ერთ მშვენიერ დღეს მზებ მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოანათა. ბაგის დასუფთავებით დაკავებულმა ჯოდიმ ბილი ბაკს უთხრა:

— რა იქნება, ვიდრე სკოლაში ვიქნები, გაბილანი შემოღობილში რომ დავტოვო?

— რატომაც არა, მზეს მიეფიცება; ცხოველებს არ უყვართ სულ ჩაეჭილში ყოფნა, — დაეთახხმა ბილი, — მე და მამაშენი ფოთლებისგან წყაროს გასაწმენდად ავდივართ ზევით, — ამ სიტყვებით ბილმ თავი დაიქნია და ქუდის ზონრიდან ამოძრობილი ჩალის ღერი კბილში გაირჭო.

— წვიმა რომ წამოვიდეს?.. — შეყოყმანდა ბიჭი.

— არა მგონია, დღეს განვიმდეს, წვიმამ უკვე მოიოხა გული, — ბილიმ სახელოები აიკაპინა და რეზინის სამაგრე-



მხატვარი ნინო ზაალიშვილი

## ახალი თარგმანები

ბით წეაუნით დაიმაგრა მკლავებზე, — კიდეც რომ იწვიო-  
მოს, ცხენს არაფერი დაუშავდება.

— თუკი მაინც იწვიმა, შიგნით შეიყვანე, რა, ბილი! მე-  
შინია, არ გაცივდეს, თორემ დათქმულ დროს ვეღარ შევაჯ-  
დები ზურგზე.

— ეგრე იყოს! ზემოთ თუ არ შევყოვნდით, ყურადღებას  
არ მოვაკლებ. ისე კი, იცოდე, დღეს არ გაწვიმდება.

მოკლედ, ჯოდიმ გაბილანი გარეთ დატოვა და სკოლაში  
წავიდა.

ბილი ბაკი იშვიათად ცდებოდა რამეში, ეს არ ემართე-  
ბოდა, მაგრამ იმ დღეს ამინდმა ნამდევლად მოატყეა. ნა-  
შუადღეს გადაცილებული იყო, გორაკის თავზე ღრუბ-  
ლებმა რომ მოყარა თავი და წვიმამაც დასცხო. გავე-  
თილზე მყოფმა ჯოდიმ გაიგონა, როგორ აკაკუნდა წვიმის  
პირველი წევთები სკოლის შენობის სახურავზე. ბავშვმა  
დააპირა მასნავლებლისთვის თითის ანევით ეთხოვა ნე-  
ბართვა, საპირფარეშოში გაეშვა, ამით ესარგებლა, შინ  
გაქცეულიყო და პონი ბაგაში შეეყვანა, თუმცა ვერ გაძედა,  
რადგან იცოდა, სკოლაშიც და სახლშიც სასტიკად დას-  
ჯიდნენ ამის გამო. ბავშვი იძულებული გახდა, თავიდან  
ამოეგდო ეს აზრი და გულს იმშვიდებდა ბილის ნათქვამით,  
წვიმა ცხენს ვერაფერს დააკლებსო. გაკვეთილების დამ-  
თავრებისთანავე ბიჭმა თავსხმაში შინისენ მოკურცხლა.  
გზის ორივე მხარეს ნაკად მიედინებოდა ტალახიანი წყა-  
ლი. ცივი ქარის გამო წვიმა ალმაცერად ასხამდა. ჯოდი ში-  
ნისენ მირბოდა. მის ფეხებზე გზის კიდეებიდან ჩამო-  
რცხლილ ხრეში ხმაურობდა.

ბიჭმა გორაკის თავიდანვე დაინახა საცოდავად აპუზუ-  
ლი გაბილანი. ცხენს წითელი ტყავი ჩამუქებოდა და წყალი  
წურწურით ჩამოსდომა, თავჩალუნულს ქარისა და წვიმი-  
სათვის ზურგი შეეცია. ჯოდი მთელი ძალით დაეშვა გო-  
რაჟიდან, თავლის კარი მოაფრიალა, დასველებულ პი-  
რუტყვს შუბლზე ჩამოყრილ ფაფარზე სტაცა ხელი და სად-  
გომში შეიყვანა. შიგნით იპოვა უხეში ტილოს ტომარა და  
ცხენს სველი ზურგი, ფეხები და კოჭები გაუმშრალა. გაბი-  
ლანმა მორჩილად აიტანა ეს ყოველივე, თუმცა მთელი სხე-  
ული მაინც ერთიანად უცახცახებდა.

პონი შეძლებისდაგვარად რომ გაამშრალა, ჯოდი სახ-  
ლში გაიცა, იქიდან ცხელი წყალი მოიტანა და შიგ შვრია  
დაალბო. გაბილანს არ შიოდა, უგემურად დეჭავდა დამბალ  
მარცვალს და დროდადრო აკანკალებდა. ნოტიო ზურგი-  
დან ობშივარი ასდიოდა.

თითქმის ბნელოდა, როცა ბილი ბაკი და კარლ თიფლი-  
ნი შინ დაპრუნდნენ.

— წვიმა რომ დაიწყო, ბენ პერჩიან შევაფარეთ თავი,  
არა და არ გადაიღო, — კარლ თიფლინმა სცადა აქსნა.

ჯოდიმ საყვედურით შეხედა ბილის და მანაც თავი დამ-  
ნაშავედ იგრძნო.

— ხომ მითხარი, არ იწვიმებსო, — ბიჭის ხმაშიც საყვე-  
დური გაისმა.

ბილიმ თვალი აარიდა.

— ძნელია ამინდის სწორად გამოცნობა წელიწადის ამ  
დროს.

მისი თავისმართლება დამაჯერებელი არ იყო და ბილი  
თვითონაც მიხვდა ამას.

— პონი დასველდა, მთლად გაილუმპა.

— გაამშრალე?

— კი, ტომრით გავამშრალე და შვრია ცხელ წყალში ჩა-  
ვულბე.

ბილიმ მოწონების ნიშნად დაუქნია თავი.

— როგორ ფირობ, გაცივდება?

— პატარა წვიმა ვერაფერს დააკლებს, — დამშვიდა  
ბილიმ.

საუბარში ბავშვის მამა ჩაერია და დარიგება წაუკითხა  
შვილს.

— ცხენი, — დაიწყო მან, — სახლის ძალლი არ გეგო-  
ნოს...

კარლ თიფლინს სტულდა სიაზიზე და სიძაბუნე, ხოლო  
ნებისმიერ უსუსურობას შეიძლებოდა მთლად გაეცოლები-  
ნა.

ჯოდის დედამ მაგიდაზე შემწვარი ხორცი, მოხარული  
კარტოფილი და გოგრა დადგა. საჭმლიდან აღენილმა ობ-  
შივარმა ოთახი გააცსო. ყველა სადილს მიუჯდა. კარლი აგ-  
რძელებდა თავის შეგონებას მათი მისამართით, ვინც ანე-  
ბივრებს ცხოველებსა ან ადამიანებს და მათგან რაღაც გა-  
აზიზულ არსებებს აყალიბებს.

ბილი ბაკს ეტყობოდა, ისევ განიცდიდა თავის შეცდო-  
მას.

— რამე თბილი თუ გადააფარე ზურგზე? — ჰკითხა  
ბიჭს.

— სხვა ვერაფერი ვიპოვე და ტომრები გადავაფარე.

— ნავახშებს ერთად წავიდეთ და ჩავათბუნოთ, — ბი-  
ლის ცოტათი მოეშვა გულზე. ჯოდის მამა ბუხრისეკნ გა-  
დაჯდა, დედამ კი ჭურჭლის რეცხვა დაწყო. ბილიმ ფანარი  
მოძენა და აათოო, მერე ჯოდისთან ერთად ტალახიანი  
გზით საჯინიბოსეკნ გაემართა. შიგნით ბნელოდა და სასა-  
ამოვნოდ თბილოდა. ცხენები ჯერ ისევ ღერძავდნენ საღა-  
მოხანს დაყრილ თივას.

— ფანარი დამიჭირე, — უთხრა ბიჭს ბილიმ. მან ცხენს  
ფეხები გაუსინჯა, ხელით შეუმოწმა ბარკლები, — სიცხე  
ხომ არა აქვსო, მერე ლოყა მიადო მის ნაცრისფერ დრუნჩის,  
ქუთუთოები აუწია და თვალის კალები დაუთვალიერა,  
ლაშები გადაუნია და ღრძილებს დააკვირდა, ბოლოს თი-  
თები ჩაუყო ყურებში.

— რაღაც უხალისოდ გამოიყურება, ერთი კარგად უნ-  
და დავზილოთ.

ბილიმ ტომარა აილო და მთელი ძალით შეუდგა გაბილა-  
ნის ჯერ ფეხების, შემდეგ კი მეკრდისა და მხრების ზელას.  
პონი უცანურად გაყუჩებული იდგა, მოთმინებით იტანდა  
მთელ ამ პროცესს. ბოლოს ბილიმ შესაკაზმი ოთახიდან გა-  
მოიტანა ბამბის დიდი, ძველი ქსოვილი, გადააფარა ცხენს  
ზურგზე და კისერსა და მკერდთან ზორნით შეუკრა.

— დილაზე კარგად იწევა, — თქა ბილიმ.

ჯოდი შინ რომ დაბრუნდა, დედამ შეხედა და უთხრა:

— შენი ძილის დრო, კარგა ხანია, გადავიდა, — მერე ნი-  
კაპზე მოჰკიდა გაუხეშებული ხელი, შუბლზე ჩამოყრილი  
თმა გადაუნია და დაამშვიდა, — პონიზე არ იდარდო, კარ-  
გად გაბდება. ბილიმ ყველა ვეტექიმზე მეტი იცი.

ჯოდიმ არც კი იცოდა, დედამ დარდი რომ შეამჩნია. ბი-  
ჭი ფრთხილად მოსცილდა ქალს, ბუხრის წინ მუხლებზე  
დაეძეა და მანამდე დარჩა იქ, სანამ ცეცხლის მცხუნვარე-  
ბისგან მუცელი გაუხურდებოდა. კარგად გამოტარი ბავშვი  
ლოგინისეკნ გაემართა, თუმცა დაძინება ერთობ რთული  
გამოდგა. ბიჭს უცებ გამოელვიძა, ისეთი გრძნობა ჰქონდა,

## ახალი თარგმანები

თითქოს დიდხანს სძინებოდა. ოთახში ბნელოდა, თუმცა ფანჯრიდან ისეთი მონაცრისფრო შექი შემოძიოდა, განთიადის დადგომისას რომ იცის ხოლმე. საწილიდან წამოდგა, ხელისცეპით მოძებნა კომბინიზონი და სწრაფად ამოიცვა. სწორედ ამ დროს გვერდითა ოთახში საათმა ორჯერ ჩამოჰკრა. ჯოდიმ კომბინიზონი გაიძრო, სკამზე დადო და ისევ ლოგინში ჩანვა. მეორედ რომ გამოეღვიძა, უკვე კარგად გათენებულიყო. ცხოვრებაში პირველად დაეძინა ისე, რომ სამკუთხედის წკარუნი ვერ გაიგო. ლოგინიდან წამოვარდა, სასწრაფოდ ჩაიცვა და ოთახიდან გავიდა. ლილებს გზადაგზა იკრავდა. დედამ თვალი გააყოლა და ისევ თავის საქმეებს მიუქრუნდა, მის თვალებში ფიქრსა და სიკეთეს დაესადგურებინა, დროდადრო ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა, თვალების გამომეტყველება კი არ ეცვლებოდა.

ჯოდი თავლისკენ გაიქცა. ნახევარი გზაც არ გაევლო, რომ სწორედ ის ხმა მოესმა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა — ცხენი ხრინინად ახველებდა. ბავშვმა სირბილს უმატა. თავლაში ბილი ბაკი დახვდა. კაცი დაკუნთული, ძლიერი ხელებით ცხენს ფეხებს უზელდა. მან ბიჭს ამოხედა და მხიარულად გაულიმა.

— ცოტა გაგვიცვდა, მალე გამოვაჯანსალებთ.

ჯოდიმ ცხენს შეხედა. პირუტყვას თვალები ნახევრად მოესუნა, ქუთუთოები შეშუბებული და გამომშრალი ჰქონდა, თვალის უპეებში შემხმარი ლორნო მოუჩანდა. თავჩაქინდრული და ყურებჩამოყრილი იდგა. ბიჭმა ხელი გაუნოდა, მაგრამ ცხენი არ განძრული. გაბილანმა ისევ დაახველა, თან მთელი ტანით წაიპირინა, ნესტოებიდან ლორნო წამოუვიდა.

ჯოდი ბილის მოუტრიალდა და უთხრა:

— ძალიას ავადა.

— ხომ გითხარი, ცოტა გაციებულია, — თავისას არ იშლიდა ბილი, — მიდი, ისაუზმე და სკოლაში გაიქცი. ამას მე მივხედავ.

— სხვა საქმეები რომ გამოგიჩნდეს და მარტო მოგინიოს მისი დატოვება?

— არა, არსად წავალ. ამას არ მივატოვებ. ხვალ შაბათია, შეგიძლია მოელი დღე მასთან გაატარო.

ბილი კიდევ ერთხელ შეცდა და ამას ძალზე განიცდიდა. რადაც უნდა დაჯდომოდა, ცხენი უნდა განეკურნა.

ჯოდი გრძნობებისაგან მოთლად დაცლილი დაბრუნდა შინ და მაგიდას მიუჯდა. ერბოკვერცხი და ბეკონი გაციებული და ქონისგან გაზეპილი დახვდა, მაგრამ ბიჭს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, თავისი ულუფა ჩვეულერივ შექამა. ბავშვს იმის სურვილიც კი არ გასჩენია, დედისათვის შინ დარჩენის წებართვა ეთხოვა. ცარიელ თევზე რომ იღებდა, დედამ შუბლიდან თმა გადაუნია და დამაჯერებელი ტონით უთხრა:

— ბილი მოუვლის შენს პონის.

სკოლაში მოელი დღე უგუნებოდ იყო, ვერც კითხვებს პასუხობდა, ვერც კითხულობდა გაკვეთილს. გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ვინმესთვის შეეჩივლა პონის ავადმყოფობა, ეშინოდა, ვაითუ ცხენი კიდევ უფრო ცუდად გამხდარიყო. და როცა გაკვეთილები დამთავრდა, ძიმით შეპყრობილი გაეშურა შინისკენ. ნელა მიდიოდა და მაღე ამხანაგებს ჩამორჩა. უნდოდა, გზა უსასრულოდ გაგრძელებულიყო და თავის რანჩოში აღარასდეს დაედგა ფეხი. ბილი შეპირე-

ბისამებრ თავლაში დახვდა, პონი კი უფრო ცუდად გამხდარიყო. თვალები თოთქმის მოთლად დახუჭოდა, ისეთ სტვენისმაგვარ ხმას გამოსცემდა, თითქოს ცხვირში რაღაც გაჭედოდა. ქუთუთოების მიღმა ძლივს მოუჩანდა ლიბრგადაკული თვალის კაკლები; საეჭვო იყო, საერთოდ თუ ხედავდა რამეს. დროდადრო ქშუტუნებდა, მაგრამ ცხვირი გასუფთავების მაგირ კიდევ უფრო ებშობოდა. ჯოდი დამწუხებული უცქერდა პონის აბურგნულ და მოუვლელ ბენვს, რომელსაც უწინდელი პენი დაეკარგა. ბილი მდუმარედ იდგა ბაგასთან. ჯოდის საშინლად არ სურდა, რამე ეკითხა მისოვის, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა გაეგო:

— ბილი, ის... ის გამოჯანმრთელდება?

ბილიმ ძელებს შორის შეყო ხელი და პონის ყბა მოუსინავა.

— აი, აქ მოკიდე ხელი, — უთხრა ბიჭს და თეითონვე დაადგებინა თითები ქედა ყბის შესიებულ ადგილზე, — კი-დევ რომ გაეზრდება, გავუჭრი და უკეთ იგრძნობს თავს.

ჯოდი სწრაფად შებრუნდა, მას სმენოდა ასეთი ჩირქეროვის შესახებ.

— რა სჭირს?

ბილის არ უნდოდა ეპასუხა, მაგრამ იძულებული გახდა აეხსნა, მესამედაც ტყუილი რომ არ გამოსვლოდა.

— ქოთაო დაგერართა, — თქვა მოკლედ, — მაგრამ არ ინერვიულო, მოვარჩენ. გაბილანზე უარესად მყოფი ცხენებიც მინახავს გამოჯანსალებული. ახლა ორთქლის აბაზანები უნდა გავუკეთოთ. ხომ მომებარები?

— კი, — უთხრა ჯოდიმ სასონარკეთოლ ხმით.

ბავშვი ბელელში გაპყვა ბილის და უყურებდა, როგორ გამზიადა მან ორთქლის ტომსიკა. ეს იყო გრძელი, უხეში ტილოთ თასმებიანი თოფრა. ეს თასმები ცხენს ყურსუკან ეკვრებოდა. ბილიმ თოფრაში ჩაყარა ერთი შესაძლი ქატო, ორი მუჭა ხმელი სვია და ამ მშრალ მასას მოასხა კარბოლმუვა და ცოტა სკიპიდარი.

— ვიდრე ამ ყველაფერს ერთმანეთში ავურევ, გაიქცი და სახლიდან ადულებული წყალი მომიტანე, — უთხრა ბილიმ ბაგშვს.

ჯოდი ადულებული წყლით სავსე ქეთლით დაბრუნდა. ბილი ბაქმა თოფრა მჭიდროდ მოარგო გაბილანს ცხვირზე და თასმებით ყურებს უკან შეუკრა. მერე თოფრაში დატოვებული ხერელიდან წელან მომზადებულ ნარევს ადულებული წყალი დაასხა. ორთქლის ძლიერმა ნაკადმა ცხენი შეატორებმანა, მაგრამ ანაორთქლმა მაინც შეაღწია მის ცხვირსა და ფილტვებში და ცოტათი ჩაუწმინდა სასუნთქი გზები. ცხენმა ხმაურით ამოისუნთქა, ფეხები ციებიანი ანიგირით აუკანვალდა და მწველი ორთქლის გამო თვალები დახუჭა. ბილიმ თოფრაში ისევ ჩაასხა მდუღარე და თხუთმეტწუთით გაუჩერა პირუტყვას ცხვირზე. ამის შემდეგ ქეთლი მინაზე დადგა და ცხენსაც მოხსნა ეს მოწყობილობა. პონი უკეთ გამოიყურებოდა, თავისუფლად სუნთქავდა და თვალები ფართოდ გაეხილა.

— ხედავ, როგორ უშველა, — თქვა ბილიმ, — ახლა ისევ თბილია დავახუროთ, იქნებ დილისთვის მთლად გამოჯანსალდება.

— ამაღამ მასთან დავრჩები, — თქვა ჯოდიმ.

— არა, რა საჭიროა, ჩემს საბანს მოვიტან და თვითურები. შენ შეგიძლია ხვალ დარჩე და, თუ საჭირო გახდა, ორთქლის აბაზანაც გაუკეთო.

## ახალი თარგმანები

სალამოვდებოდა, როცა ორივე სავახშმოდ გაემართა სახლისკენ. ჯოდის აზრადაც არ მოსულია, რომ მის მაგიერ ქათმებიც სხვამ გამოკვება და შეშაც სხვამ მოიტანა. ბიჭმა გვერდი აუარა სახლს, აპზინდის დაბურული ჯაგნარისაკენ გაემართა და კასრიდან მოიკლა წყურვილი. წყაროს წყალი ისეთი ცივი იყო, რომ კბილი მოჭრა და სხეულში შრუოლვა-სავით დაუარა. გორაკის თავზე (კა ჯერ არ დაბინძულიყო). ჯოდიმ ძალიან მაღლა, ცაში მონავარდე შევარდები დაინა-სა. მზის ჩამავალი სხივები ფრინველს მკერდზე ეცემოდა და მას ბრჭყვიალა ნაპერწკალს ამსგავსებდა. ის ორი შაშ-ვიც, კვალში რომ მისდევდნენ შევარდენს და მტრებივით უტევდნენ, ასევე ციალებდნენ მზის სხივებში. ჩრდილოე-თით ისევ თავს იყრიდნენ ღრუბლები.

ვახშმობისას ჯოდის მამას ხმა არ ამოუღია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბილი ბაქმა თავისი საპანი აიღო და თავლაში ნავიდა დასასძინებლად, კარლ თიფლინმა ბუხარი ააგიზ-გიზა და ათასგვარი ამბის მოყოლა დაინწყო. ოთახში მყოფთ მოუყვა ამბავი ერთი ველური კაცისა, რომელსაც ცხენის კუდი და ყურები ება და ტიტლიკანა დარბოდა ხოლმე, აგ-რეთვე ამბავი მორო კოპოში მობინადრე კატა-კურდლების შესახებ, რომლებიც ხეზე იჭერდნენ ჩიტებს. გაიხსენა ცნობილი ძმები მაგსუილები, რომლებმაც ოქროვანი ძარლ-ვი იპოვეს და ისე საგულდაგულოდ დამალეს, რომ შემდეგ თვითონაც ველარ მიაგნეს.

ჯოდი ხელზე ნიკაპჩამოდებული იჯდა და ტუჩები ნერ-ვიულად უთორთოდა. მამა, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ბიჭი ყურადღებით სულაც არ უსმერდა.

— ხო სასაცილო ამბავა? — ჰკითხა შვილს.

ჯოდიმ ზრდილობის გამო გაიცინა და უპასუხა:

— ძალან სასაცილოა, სერ!

მამა გაბრაზდა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. იმ სა-ლამოს ალარაფერი მოუყოლია. ცოტა ხნის შემდეგ ჯოდიმ ფანარი აიღო და თავლაში ნავიდა. ბილი ბაქს თივაზე ეძი-ნა. პონი ხრინწიანად კი სუნთქვდა, მაგრამ ეტყობოდა, უკეთ გრძნობდა თავს. ჯოდი ერთხანს შეყვოვდა, ცხენს აჩეჩილ წითურ ბერვზე მოუცაცუნა თითები, ფანარი ისევ აიღო და შინ დაბრუნდა. ბიჭი ლოგინში იწვა, ოთახში დედა რომ შემოვიდა.

— თბილად გაფარია? ზამთარი დგება.

— დიახ, მეტ.

— აბა, მშვიდად დაიძინე, — დედა გასვლისას შეყოყ-მანდა, მერე მიუბრუნდა შვილს და უთხრა, — პონი კარგად იქნება.

იმ დღემ ჯოდი ძალზე გადაღალა. ბავშვს მალე ჩაეძინა და განთიადამდე აღარ გაღვიძებია. სამკუთხედმა დაინკა-რუნა.

სანამ ჯოდი ეზოში გავარდებოდა, ბილი ბაკი უკვე სახ-ლთან მისულიყო.

— როგორ არის? — შეკითხვას კატეგორიულობა ახლ-და.

— არა უშავს. ამ დილით ჩირქებოვას გადავუხსნი, იქ-ნებ უკეთ გახდეს.

ნასაუზმევს ბილიმ აიღო თავისი საუკეთესო დანა, რო-მელსაც ნემსივით ბასრი წვეტი ჰქონდა. დიღხანს ლესაუდა პრიალა, მჭრელ გვერდს პატარა სალეს ქვაზე. ნალესს ნამ-დაუზუმ უსინჯავდა ფხას დაბებრილი ცერა თითით, ბო-ლოს კი საკუთარ ჯაგარა საულვაშეზეც კი მოსინჯა.

თავლისკენ მიმავალმა ჯოდიმ შეამჩნია, რა სწრაფად გაზრდილიყო ქორფა ბალასი და როგორ თვალსა და ხელს შუა ქრებოდა ნაცვერალი ახლადამობინებული ნაგერა-ლის ქვეშ. ცივი, მაგრამ მზიანი დილა იდგა.

ცხენი დაინახა თუ არა, მიხვდა, უარესად რომ იყო. პი-რუტყვი თვალებს ვეღარ ახელდა, რადგან გამოუნილ და გამმემარ ლორწოს ქუთუთოები ერთმანეთისთვის მიეწებ-ბინა. თავი ისე დაბლა დაგხარა, სახით დაგებულ ჩალას ეგებოდა. მისი ყოველი ამოსუნთქვა კვნესას ჰგავდა, გუ-ლის სიღრმიდან ნამოსულ, მნირე ბედს შეგუებულ კვნესას.

ბილიმ უღონიდ ჩამოკიდებული თავი აუწია და სწრაფი მოძრაობით გადაუსერა შესიებული ადგილი. ჯოდიმ დაი-ნახა, როგორ გადმოასხა ყვითელმა ჩირქმა. ვიდრე ბილი კარბოლმუავას მაღამოთი უმუშავებდა ჭრილობას, ჯოდის ცხენის თავი ეჭირა.

— ახლა უკეთ იგრძნობს თავს, — დამაჯერებლად თქვა ბილიმ, — ეს ყვითელი შეამია მისი ავადმყოფობის მიზეზი.

ჯოდიმ უნდობლად შეხედა კაცს.

— მძიმედა ავად.

ვიდრე უპასუხებდა, ბილი კარგა ხანს ფიქრობდა. მერე ერთი კი დააპირა, არხეინი ტრინით ისევ ენუგეშებინა ბავშ-ვი, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა.

— ჴო, საკამაო მძმედა, — როგორც იქნა, აღიარა, — მაგრამ ამაზე უარესებიც მინახავს, კარგად რომ გამხდა-რან. ფილტვების ანთება თუ არ დაემართა, გამოვაკეთებთ. მასთან დარჩი, თუ გაუუარესდა მდგომარეობა, დამიძახე.

ბილი წავიდა. ჯოდი კარგა ხანს იდგა პონისთან და ყურ-სუკან უსვამდა ხელს. ცხენი უკვე აღარ სწევდა თავს ძე-ლებური ხალისით. მისი ყოველი ამოსუნთქვა სულ უფრო ყრუდ ისმიდა.

თავლაში ეზოს ძალმა „ბოიმ“ შეიხედა, სქელ კუდს გა-მომწვევად აქიცინებდა. მისმა ჯანსაღმა შესახედაბამ ისე განარისხა ჯოდი, რომ მიწიდან მაგარი, შავი ბელტი აიღო და ესროლა. ძალი წავნენ გაიქცა, რომ დაშავებული თათი აელოეა.

შეადლე ახლოვდებოდა, ბილი ბაკი რომ დაბრუნდა და ცხენის კიდევ ერთხელ ასუნთქა ირთელი. ჯოდის უნდოდა ენახა, ამჯერადაც თუ გაუიღოლდებოდა ცხენს სუნთქვა. პონიმ შედარებით თავისულობად კი ამოსუნთქა, მაგრამ თავი ვეღარ ასწია ზევით.

შაბათმა ზოზინით ჩაიარა. ნაშუადლევი კარგა ხნის გა-დასული იყო, ჯოდი შინ რომ შევიდა, იქიდან თავისი ლოგი-ნი გამოიტანა და თივაზე მოეწყო დასაძინებლად. ამის ნე-ბართვა არავისთვის უკითხავს. დედის მზერაზე მიხვდა, რომ ახლა მას თითქმის ყველაფრის ნებას დართავდნენ. ბა-გასთან ჩამოკიდებული ფანარი დამით ანთებული დატოვა. ბილიმ დაუბარა, დროდადრო დაუზილე გაბილანს ფეხე-ბიო.

ცხრა საათი ხდებოდა, ქარი რომ ამოვარდა და თავლას-თან აღმუვლდა. დარდის მიუხედავად, ჯოდიმ იგრძნობ, რომ ძაღლი ეპარებოდა. ბაგშვი საბანში გაეხვადა და ჩაეძინა, მაგ-რამ მალე გაბილანის ხრინწიანმა სუნთქვამ მის ძალში შე-აღწია. მის სმენას მიწვდა ჯახუნის ხმა, რომელიც არა და არ ჩერდებოდა და ბიჭს გამოეღვიძა. თავლაში ქარი დათა-რეშობდა. ბაგშვი ფეხზე ნამოვარდა და ბაგების მნერივს შეხედა. თავლის კარი ყურთამდე მოღიავებულიყო, ხოლო პონი არსად ჩანდა.

## ახალი თარგმანები

ჯოდიმ ფანარს სტაცა ხელი, გარეთ გავარდა და დაინა-  
ხა გაბილანი, რომელიც სიბნელეში სადღაც მიჩანალებ-  
და. ცხენს თავი ძირს დაეხარა და ფეხებს მექანიკურად  
ამოძრავებდა. ჯოდი გამოეკიდა, დაწინა და შუბლზე ჩა-  
მოყრილ ფაფარში სტაცა ხელი. ცხენი დაემორჩილა და  
უკან, ბავაში შეჭყვა. მისი კვნესისმაგვარი სუნთქვა სულ  
უფრო ხმამაღლა ისმოდა, (ცხვირიდან კი სტვენისმაგვარი  
შმა გამოსდიოდა.

ჯოდიმ ვეღარ დაიძინა. ცხენს სუნთქვა სულ უფრო ხმა-  
მაღლი და მჭახე გაუხდა.

ჯოდის გაეხარდა, განთიადისას ბილი ბაკი რომ შემოვი-  
და თავლაში. კაცი ერთხანს ისე უცქერდა ცხენს, თითქოს  
პირველად ხედავსო. ბილიმ ფერდები და ყურები გაუსინჯა  
პონის.

— ჯოდი, — უთხრა ბიჭს, — იძულებული ვარ, ისეთი  
რაღაც გაგუეთო ცხენს, რისი დანახვაც ნამდვილად არ  
გენდომება, გაიქცი შინ და ცოტა ხანს იქ დარჩი.

ჯოდი გამნარებით ჩააფრინდა იდაყვში.

— უნდა ესროლო?

ბილიმ ხელზე ხელი მოუთათუნა ბავშვს:

— არა, საყლაპავი მილი მინდა ოდნავ გავუჭრა, რომ  
სუნთქვა შეძლოს. ცხვირი დაცობილი აქვს. როცა გამო-  
ჯანსაღდება, ამ ადგილას პატარა თითბრის საცობს დავუ-  
ყენება, რომ ისუნთქოს.

ჯოდის კიდევაც რომ სდომებოდა წასვლა, მანც ვერ  
დატოვებდა იქაურობას. საშინელება იყო იმის დანახვა,  
როგორ გაუჭრიდნენ ცხენს წითურ ტყავს, მაგრამ ის უფრო  
საშინელი იქნებოდა, სცოდნოდა, რომ ამას აპირებდნენ და  
მას არ შეძლებოდა ამის ნახვა.

— არ წავალ, აქ დავრჩები, — თქვა სასონარკვეთილმა  
ბავშვმა, — უაშისოდ არ შეიძლება?

— არა, არ შეიძლება. თუკი დარჩები, მაშინ თავი დაუ-  
ჭირე, გული თუ არ აგერევა.

ისევ გამოჩნდა ბასრი დანა, ისევ აილესა საგულდაგუ-  
ლოდ. ჯოდიმ ხელებში ისე მოიქცია ცხენის თავი, რომ კი-  
სერი წაგრძელებული ჰქონდა, ვიდრე ბილი საჭირო წერ-  
ტილს მოძებნიდა გასაჭრელად. ჯოდიმ მხოლოდ ერთხელ  
წამოისლუკუნა და ეს მაშინ მოხდა, როცა მოელვარე, ბას-  
რი დანა პონის ყელში გაუზინარდა. გაბილანმა მძიმედ დაი-  
ხია უკან და ერთ ადგილზე გაშეშდა. მთელი ტანით ცაცა-  
ხებდა, სისხლი სქელ წაკადად ჩამოედინებოდა დანაზე, ბი-  
ლის თითებსა და პერანგის სახელოებზე. მტკიცე, თხე-  
კუთხა ხელმა მრგვალი ხვრელი ამოჭრა ხორცში და იქი-  
დან, სისხლის გარდა, პაერმაც იხუვლა. უანგბადის ჩასუნ-  
თქვამ უცებ მისცა ძალა ცხენს. მან ტლინკები ჰყარა და  
ყალყზე შედგომას შეეცადა, მაგრამ ჯოდი თავის აწევის  
საშუალებას არ აძლევდა. ამასობაში ბილიმ ახალი ჭრილ-  
ბაც კარბოლმჟავის მაღამოთი დაუმუშავა. ყველაფერი სა-  
უკეთესოდ ჩატარდა. სისხლდენა შეწყდა, ხვრელი თანაბ-  
რად ისრუტავდა პატარს და მერე ბუყბუყით უშვებდა უკა-  
მონასუნთქს.

წვიმა, რომელიც დამის ქარმა მოიტანა, თავლის სახურავ-  
ზე აკაუნდა. მალე სამკუთხედის წკარუნის ხმაც გაისმა.

— შენ წადი და ისაუზმე, — უთხრა ბილიმ, — მე დავრ-  
ჩები და ყურადღებას მივაქცევ, ხვრელი რომ არ დაეცოს.

ჯოდი ფეხათრევით გავიდა თავლიდან. ისეთი სევდა  
შემოსწოლოდა, ბილის აღარც კი უამბო პონის გაპარვის

შესახებ. სველი, ნაცრისფერი დილა იდგა, ბიჭი ტალახიან  
გზას მიუყვებოდა შინისკენ. ყველა გუბეში გამეტებით  
ატყაპუნებდა ფეხებს, რაც ერთგვარ შვებას ჰგვრიდა. დე-  
დამ საჭმელი აჭამა და მშრალი ტანსაცმელი ჩააცვა. არა-  
ფერს ეკითხებოდა შვილს, ხვდებოდა, ბიჭი ვერაფერს უპა-  
სუხებდა. ჯოდი საჯინიბოში წასასვლელად რომ მოემზადა,  
დედამ ქურიდან გადმოდგა ქვაბი ცხელი კერძით და შვილს  
უთხრა:

— იმას წაულე.

ჯოდიმ ქვაბი არ გამოართვა.

— ახლა არ შეჭამს, — უთხრა დედას და შინიდან გარეთ  
გავარდა. საჯინიბოში მისულ ბიჭს ბილიმ აჩვენა, როგორ  
უნდა დაეხვია ჯოხზე ბამბა და გამონადენისაგან გაენმინ-  
და ხვრელი.

თავლაში ჯოდის მამა შეეიდა და დიდხანს იდგა მათთან  
ერთად ბაგასთან, მერე ბიჭს მიუბრუნდა და შესთავაზა:

— წასასვლელი ვარ ერთგან, ჩემთან ერთად ხომ არ წა-  
მოხვალ?

ჯოდიმ თავი გააქნია უარის ნიშნად.

— შენთვის სჯობს წამოხვიდე, აბა, აქ რა გესაქმება, —  
არ ეშვებოდა მაბა.

ბილი მიუბრუნდა მას და შეუტია:

— თავი დანებე, ეს ხომ მისი ცხენია!

კარლ თიფლინს ხმა არ ამოულია, ისე წავიდა. ძალზე  
გაბრაზებული იყო ორივეზე.

ჯოდი მთელი დილა ყურადღებით იყო, ცხენს ჭრილობა  
არ დაცობოდა და თავისუფლად ემოძრავა ჰაერს. შუადლი-  
სას ქანცგაცლილი გაბილანი გვერდზე გადავარდა და კი-  
სერი გადაგდო.

ბილი დაბრუნდა:

— თუ გინდა, რომ დამე გაუთოი, წადი და ცოტა გამოი-  
ძინე, — უთხრა ბიჭს.

ჯოდი მთლად გამოცარიელებული გამოვიდა თავლი-  
დან. ცა გადაწმენდილიყო და ცივი ლურჯი ფერი დასდებო-  
და. ჩიტები გამალებით მიირთმევდნენ წანვიმარი მიწიდან  
ამოფუთუთებულ მატლებს.

ჯოდი ჯაგნარისაკენ წავიდა და იქ ხავსიანი კასრის კი-  
დეზე ჩამოჯდა. ბიჭი ზემოდან დაჰყურებდა სახლს, ძელ  
ფარდულსა და მუქ კვიპაროსს. მთელი ეს გარემო, მართა-  
ლია, კარგად იყო მისთვის წაცნობი, მაინც რაღაც საოც-  
რად გადასხვაფერებული ეჩვენა. იქაურობა ახლა წააგავდა  
სურათის ჩარჩოს, რომელზეც ასახული იყო ფერმაში ბო-  
ლო დროს მომხდარი ამბები. ცივი ქარა ახლა უკვე აღმო-  
სავლეთიდან უბერავდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ  
გარკვეულ ხანს ალარ იწვიმებდა. ჯოდის ფერხთით ქორფა  
ბალახს პარანინა მეტავები ამოეზიდა მიწიდან. ტალახში  
მკაფიოდ ჩანდა ათასობით მწყერის ნაკვალევა.

ეზოს ძალმა „ბოიმ“ შორიდან მორიდებით მოუარა  
ბიჭს და ბოსტინის მხრიდან ფრთხილად მიუხალოვდა.  
ჯოდის გაახსნდა, როგორ ესროლა მინის ბელტი, მოეხ-  
ვია ძალს კისერზე და შავ, ფართო დრუნჩზე აკოცა.  
„ბოი“ გასუსული იჯდა, თითქოს გრძნობდა, რომ რაღაც  
მეტად სერიოზული ხდებოდა — ძალის დიდი კუდი მძი-  
მედ ეხლებოდა მიწას. ჯოდიმ „ბოის“ გატიკნული ტკიპა  
ამოაცალა კისრიდან და ცერა თითების ფრჩილებით  
გასრისა. ბიჭს შეეზიზდა და იქვე, წყაროს ცივი წყლით  
დაიბანა ხელები.

## ახალი თარგმანები

ფერმაში გამეფებულ სიმშვიდეს მხოლოდ ქარის თანაბარი გუვუნი არღვევდა. ჯოდიმ იცოდა, დედა არ გაუბრაზდებოდა, ლანჩჩე თუ არ მივიდოდა. ადგა და ისევ თავ-ლაში წავიდა. „ბორ“ ხუსულაში შეძვრა და კარგახანს თავისთვის ჩუმად წმუტუნებდა.

ბილი ბაკი ყუთიდან წამოდგა და უკვე გამოუსადეგარი ბამბიანი ჯოხი გადააგდო. ჭრილობის კიდევები ცხენის სუნ-თქვის მიხედვით ხან იხსნებოდა, ხან კი იხურებოდა. გაბილანის გამომშრალი ტყავისა და მკვდარი ბენგის დანახვაზე ჯოდი მიხვდა, რომ ცხენი ველარ გადარჩებოდა. მას ასეთივე უსიცოცხლო ბენგი ძალისაც ენახა და ძროხისაც და იცოდა, რომ ეს დასასრულის მოახლოების უტყუარი ნიშანი იყო. ბიჭი მძიმედ ჩამოჯდა ყუთზე და ბაგის გადამლობი ძელი ჩამოხსნა. დოხანს უცქერდა მოძრავ ჭრილობას და ბოლოს ჩათვლიმა. შუადღემ სწრაფად გაირბინა. შებინდებისას დედამ ჩაშუშული ხორცი მოუტანა, იქვე დაუდგა და თვითონ წავიდა. ბიჭმა ცოტა შეჭამა, მთლად რომ დაბნელდა, ფანარი აანთო და პონის თავთან ახლოს დადგა, უკეთ რომ ედევნებინა თვალყური ჭრილობისათვის და გამონა-დენი გაემინდა. მალე ბავშვის ისევ ჩაეძინა, ეძინა მანამდე, სანამ ღამის სიცივე გამოალვიძებდა. ქარი გაავებული უბერავდა და ჩრდილოეთის სიცივე მოჰქონდა თან. ჯოდიმი თი-ვიდან საბანი აიღო და შიგ გაეხვია. გაბილანი უკვე ჩუმად სუნთქავდა და ჭრილობის კიდევები ძლივსშესამჩნევად უმოძრავებდა. ბუები კივილით დაფრინავდნენ სათივეზე და თავგვებს ექცევდნენ. ჯოდიმ ხელები თავზე წაიფარა და დაიძინა. ძილშიც კი იგრძნო, როგორ გაძლიერდა ქარი და საჯინიბოში დაიწყო თარეში.

უკვე გათენებულიყო, ბიჭს რომ გამოეღვიძა. თავლის კარი ბორიალებულიყო, და ცხენი ბაგაში ალარ დაუხვდა. ჯოდი წამოხტა და დღის სინათლეში გამოვარდა.

პონის წაკავლევი მკაფიოდ აჩნდა გაყინული ცერით და-ფარულ ქორფა ბალას. მიწაზე დაჩნეული ხაზები მეტყვე-ლებდა, რომ ცხენი ძლივს მიათრევდა ჩილიქებს. კვალი ჯაგნარისაკენ, გორაკის ფერდობზე მიემართებოდა. ჯო-დიც ამ მიმართულებით გაიქცა. აქა-იქ მინიდან ამოჩილი თეთრი კვარცის კიდევები მზეზე ბრჭყვი-ალებდა. ჯოდის რაღაც ჩრდილომა მო-უჭრა გზა. მალლა აიხედა და შორს სვავების მთელი გუნდი დაინახა. ფრინველები წრეზე დაფრინავდნენ და სულ უფრო და უფრო ძირის ეშვე-ბოდნენ. ეს ავებედითი ფრინველები მალე გორაკის მიღმა გაუჩინარდნენ. შეშინებულმა და პანკაში ჩავრდ-ნილმა ბავშვმა სირბილს უმატა. კვალმა ჯაგნარი მიიყვანა და აბზინ-დის მაღალი ბუჩქებისაკენ გაგრძელდა.

გორაკის თავზე ბიჭს სუნთქვა გა-უჭრდა და სულის მოსათქმელად შე-ჩერდა. ყურებში სისხლი უხმულდა. სწორედ ამ დროს დაინახა ის, რასაც ექცევდა. ქვემოთ, მიწის პატარა, მო-ტიტველულ ადგილზე იწვა წითური პონი. ჯოდიმ შორიდანვე დაინახა,

როგორ ეკრუნჩებოდა პირუტყვს ფეხები. გარშემო სვავე-ბი შემოსხდომოდნენ და ელოდნენ მისი სიკვდილის წუთს, რაშიც მათ ეჭვი ნამდვილად არ ეპარებოდათ.

ჯოდი ფერდობზე სირბილით დაეშვა. სველი მიწა მის ფეხის ხმას ახშობდა, აბზინდის ბუჩქები კი მოლიანად ფა-რავდნენ ბავშვს. იმ ადგილს რომ მიაღწია, ყველაფერი უკ-ვე დამთავრებულიყო. ერთი სვავი თავზე აჯდა პონის და სწორედ იმ დროს ასწია ნისკარტი, საიდანაც ცხენის თვა-ლის კაკლიდან გამონადენი მუქი სითხე წვეთავდა. ჯოდი კატასავით დააცხრა მათ წრეს. ფრინველთა შავი ძმობა ღრუბლებში ავარდა. მხოლოდ ყველაზე დიდმა — იმან, პო-ნის რომ აჯდა თავზე — ვერ მოასწრო აფრენა. ერთი კი სცადა, მაგრამ ჯოდიმ დაასწრო, ფრთაში სწვდა და ძირს ჩამოქაჩა. სვავი სიდიდით ბევრად არ ჩამოუვარდებოდა ჯოდის. თავისუფალ ფრთას კეტივით უტყუაშუნებდა ბავშვს სახეში, მაგრამ ბიჭი უძლებდა და ხელს არ უშვებდა. სვავმა ბრჭყალები ფეხში ჩაასო ჯოდის, ფრთის სახსრები კი თავში წაუშინა. ბიჭი ვერაფერს ხედავდა, ისე გაიწოდა მარცხენა ხელი, თითებში მეპრძოლი ფრინველის კისერი მოიგდო. სვავის ჩასისხლიანებული თვალები მშვიდად, უტიფრად და მძინვარედ უყურებდნენ ბავშვს. მელოტი თა-ვი აქეთ-იქით ტრიალებდა. უცებ ნისკარტი დაალო და მყრალი სითხე გადმოანთხია. ჯოდი მუხლებზე წამოინდია და ზემოდან მოექცა ფრინველს. ერთი ხელით კისერზე და-აწვა და მიწას მიაჯაჭვა, ხოლო მეორეთი თეთრი კვარცის ბასრი ნაჭერი მოძებნა. პირველი დარტყმით წისკარტი ჩა-უმტვრია, პირის კუთხებიდან შავმა სასხლმი იჯეთქა. მე-ორე დარტყმა აუცდა. ჩასისხლიანებული უშიშარი თვალე-ბი ისევ უაზროდ, უტიფრად და ქედმაღლურად უმზერდ-ნენ. ბიჭმა კიდევ უფრო გამტებით დაუშინა სვავს და მა-ნამდე ურტყამდა, სანამ ფრინველი სულს გააფრთხობდა და თავი რბილ, წითელ მასად ექცევოდა. ჯოდი კვლავ ანგა-რიშმიუცემლად განაგრძობდა სვავის ჩეჩქვას, როცა ბილი ბაქმა აიტაცა და, აკანკალებული ბავშვი რომ დაემშვიდე-ბინა, მაგრად შემოხვია მელავები.

კარლ თიფლინმა შვილს წითელი ბენდენით მოწმინდა სახიდან სისხლი. ძალაგამოცლილი ჯოდი ხმას არ იღებ-და. მამამ ჩეჩმის წვერით მოისროლა სვავი.

— ჯოდი, — დამრიგებლური კი-ლოთი დაიწყო მამამ, — შენი პონი სვავს არ მოუკლავს, ამდენი ხმა უნ-და იცოდე?

— ვიცი, — უპასუხა ჯოდიმ დალ-ლილი ხმით.

ბილი ბაქმა თავი ველარ შეიკავა. მას ხელში აეყვანა ბავშვი და უკვე სახლისენ უნდა გადგომოდა გზას, მაგრამ შეჩერდა, მოუტრიალდა კარლ თიფლინს და გააფრთხებულმა მიახალა:

— რა თქმა უნდა, იცის, ღმერთო, ჩემო! წუთუ არ გესმით, რას განიც-დის ახლა ბავშვი?

ინგლისურიდან თარგმნა  
მაია ჯიჯეიშვილება

სამშაბათს, 18 მაისს  
უზრნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
განხილვა  
**უკლინ სირაძის**  
წიგნისა

„**ხელოვანის გზა**“

მომხსენებელი  
**სალომე კაპანაძე**

დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის 41

\* \*

საფლავის ქვები თუ რამხელა სამყაროა – ესთეტიკურიც, ფილოსოფიურიც, ფსიქოლოგიურიც – ამირან არაპულისა და ეთერ თათარაიძის წიგნი („შენდობით მომისენიებდეთ“) ყველაზე თვალნათლივ ადასტურებს – იქ თავმოყრილი აურაცხელი ფოტო-მსალა.

დღესაც გრძელდება ამ სამყაროს შევსება მაბილგონივრული წარწერებითა თუ ასო-ნიშანთა ნატიფი კვეთით. საფლავზე წამომართული ქანდაკებები სულაც კინოფილმის („არაჩეველებრივი გამოფენა“) სიუჟეტურ ქარგად იქცა. ეგა, დღესდღეობით ნახატები ფოტოებმა შეცვალა... თუმც განა წარწერათა მოხდენილი მონაბაზიც მსატვირის ხელობა არ არის?

ხელობაა, მაგრამ მალხაზ იაშვილისა – არა. გამოცდილი მსატვარი და დიზაინერი, ნატიფი გემოვნების, საქუთარი ხაზისა და სტილის მიმგნები ხელოვანი არც არასოდეს იფიქრებდა საფლავის ქაზე წარწერის ამოტვირას, მეგობარს რომ არ ეთხოვა: ჩემს კარგ ნაცნობს მშობლების საფლავზე არატრაფარეტული წარწერის ამოკვეთა სურს და იქნებ შენ დახმარებოდიო.

მალხაზი ჩვეული გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდება მისთვის ამ ახალ საქმეს.

დაივლის თბილისის სასაფლაოებს და აკვირდება წარწერებს, აკვირდება და არაერთ თავისებურებასაც მიაგნებს. მა-



სავით სხვა მხატვრებისთვისაც ეთხოვათ მეგობარ-ნაცნობებს უკანასკნელ განსასვენებელზე წარწერის ამოტვიფრა და ასო-ნიშანთა ხვეულებში აშკარად ამიტომაც მოჩანდა პროფესიონალის ოსტატობა.

დაკვირვება და გულმოდგინე მუშაობა კიდეც აპონინებდა ისეთ მოხაზულობას, რომ მეგობარიც კმაყოფილი დარჩებოდა და მისი ის ნაცნობიც, ვისთვისაც მალხაზი მეტად საპატივსაცემ პიროვნება შეიქნებოდა.

გადის ხანი და ახლა ამას სთხოვდა: იქნებ ჩემი საფლავის ქვისთვისაც წინასწარვე გაგემზადებინა წარწერაო.

მალხაზი გაუზეპრება: ეს რა განცდები შემოგპარვია, რა დროს შენი საფლავია, ნინჯერაც ხანგრძლივი გზა გიდევს და ასეთ ფიქრებს ჩამოეხსენი, თორემ სულ უფრო მოგერევაო.

და, დარწმუნებული, აღსასრულზე ფიქრი ერთხანს მაინც გამოვუბერტყყ გონებიდანო, კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდება.

მაგრამ ძილის წინ უეცრად თავში დაპკრავს: თავისი სიკვდილისათვის კი არ იქცერს წინასწარ თადარიგს, არამედ... არამედ...

და სიცილიც აუტყდება.

მეორე დილითვე დაურეკავს: შენ ნურაფერს ინალვლებ, წარწერას მალე გაგიმზადებო...

\* \*

გრიგოლ აბაშიძის რომანში „დიდი დამე“ ჩართულია ასეთი ეპიზოდიც, თუ როგორ ესვრის ისარს სულტან ჯალალედინს ვაჩე – რუსუდან დედოფლის კარის მხატვარი – მაგრამ რაკილა დაჭრილია, მიზანს აც-დენს და მხოლოდ ცხენს მოუკლავს.

სულტრის სამსახურში გადასული თბილისერი სპარსელები მიაგნებენ მსროლელს, შეიძირობენ და საქართველოს ამაოხრებელს მიჰვრიან.

იგი ძალიანა განრისხებული და ბრძანებს დაჭრილი განკურნებას, რათა შემდეგ ყველაზე სასტიკი სასჯელი განუმზადოს სხვების სამაგალითოდ.

– შენ როგორ ფიქრობ, ბიძაჩემო, – მიუბრუნდება ორხანს სულტანი, – რა იქნება მხატვრისათვის ყველაზე დიდი სასჯელი?

– ალბათ მარჯვენის მოჭრა, – მცირე ყოველის შემდეგ მოახსენებს ორხანი, – მარჯვენამოჭრილი მხატვარი ფუნჯსა და ყალამს უნდა გამოეთხოვოს და ეს ალბათ მისთვის ყველაზე მძიმე სასჯელი იქნება.

მაგრამ ჯალალედინი არ იყაბულებს ამ რჩევას:

– გამიგონია, მხატვრებსა და ხუროთმოძღვრებს მარჯვენას სჭრიან საქრისტანოშიო. არც თუ ისე მძიმე სასჯელია, მარჯვენას ქურდებსაც სჭრიან...



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

და თვალთა დათხრას ბრძანებს, მაგრამ ნუღა გავყვებით სიუჟეტს, რათა არ გამოგვრჩეს ეს ფრაზა: გამიგონია, მხატვრებსა და ხუროთმოძღვრებს მარჯვენას სჭრიან საქრისტანოში...

ცხადია, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ისტორიულ ჯალალედინს რაიმე სმენოდეს ხუროთმოძღვრისათვის მარჯვენის მოჭრის შესახებ, ეს მხოლოდ პერსონაჟ ჯალალედინს თუ გაეგონება, შექმნილს იმ ავტორის მიერ, ვინც იცნობს კონსტანტინე გამსახურდიას რომანს „დიდოსტატის მარჯვენას“.

ეს მან შეთხზა ამ რომანის სიუჟეტური კონფლიქტისათვის, სვეტიცხოვლის ამშენებელს კვლავი მოკვეთესო, და მსატვრული შთამბეჭდაობის მეობებით დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე და გამონაგონი რეალურ ისტორიულ შემთხვევად დაამკიდრა მკითხველის ცნობიერებაში.

ამ გავლენას ვერც გრიგოლ აბაშიძე გადაურჩა.

უნებურად ასე მიენერა სულტანს კონსტანტინე გამსახურდიას რომანის ყურმოკვრით ცოდნა.

ეს კიდევ ერთი ხელშესახები დადასტურებაა, როგორ გადადის მწერლის თანადროული ამბები, განწყობილებანი, მისწრაფებანი ისტორიულ რომანებში.

აგერ თუნდაც „ლაშარელაში“ გრიგოლ აბაშიძე ლაშა-გიორგის იმიტომ მიიწერს ომარ ხაიამის რობაიების თარგ-მნას, რომ XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ძალიან გახმა-ურდა ეს სპარსელი პოეტი ქართულ სინამდვილეშიც ამბა-კო ჭელიძის თარგმანთა წყალობით.

ამავე რომანში ბრძან მეფენანდურე მღერის ლექსს, რომე-ლიც მიხა ხელაშვილმა XX საუკუნის 20-იან წლებში შექმნა.

მწერალს ხელს არ უშლის შევდასაუკუნოვანი სივრცე მხატ-ვრულ რეალობაში ამგვარი ჩანართების მოსაფიქრებლად.

\* \*

ადამიანები ხშირად წინასწარ გრძნობენ მოახლოებულ სიკვდილს. მწერალთა ნაწერებში ეს განწყობილება აუცი-ლებლად გაკრთება ხოლმე და ხან საკმარის მძაფრიდაც დატრიალდება, მაგრამ თხუთმეტი წლით ადრე ზუსტად ამოიცნო შენი აღსასრული, მითუმეტეს, როდესაც ჯერაც ახალგაზრდა ხარ, ეს კი დიდი იშვიათობა უნდა იყოს, იმდე-ნად დიდი იშვიათობა, რომ ერთადერთი მაგალითის შეტს ვერც დავიძონმებოთ.

ნიკოლო მიწიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური თხზუ-ლების – „ეპოპეა“ – 1922 წლის 17 დე-კემბრიით დათარიღებულ ჩანაწერში ასეთი სტრიქონებია:

– მე ოცდაექვსი წლისა ვარ და ყვე-ლაფერი ისე ეწყობა, რომ ახლა ვიწყებ თავიდან ცხოვრებას. ჩემი ანგარიშით მე კიდევ გავძლებ თხუთმეტ წელს და ღირს ამისათვის თავის ტეხა?

ჩემი ანგარიშით...

ნეტა რა საანგარიში თუ საწყაო მოეპოვებოდა ასეთი, მართლაც მა-თემატიკური სიზუსტით რომ გამოი-ანგარიშა – და არა ივარაუდა – თავი-სი დალუპვის ჟამი?

გერონტი ქიქოძე ისევე გაოცებუ-ლიყო ანგარიშის ამ მეთოდით, რო-გორც ჩვენ ვერ დაგვიჯერებია ამ მიხ-ვედრის იდუმალი, მისტიკური საწყისი და გვირჩევნია ყველაფერი უნებური დამტხვევით ავხსნათ.

თუმც ამჯერად ამ მიმართულებით ფიქრის გაგრძელებას არ ვაპირებ.

ნიკოლო მიწიშვილის სახელის წამოგონებამ თავისთა-ვად გამოიწვია ეს ასოციაციაც, თორებ მისი სილუეტის წარმოსახვა კომიკური ეპიზოდის მიხედვით მსურდა და არა დრამატული.

ერთხანს უურნალ „ქართულ მწერლობას“ რედაქტო-რობდა და გაბეზრებულიყო ჰონორარისათვის მისული მწერლების დაუსრულებელი წაკადით. ბევრი ავანსად ითხოვდა, არადა, მათაც რა ელონათ, გასაჭირს მოპყავდა რედაქციის კარზე.

რედაქტორს რაც შეეძლო, ყველას უმართავდა ხელს, მაგრამ თუკი სალაროში ძალზე ცოტა თანხა მოიპოვებოდა და უფრო მძიმე ყოფაში ჩავარდნილი მწერლის მოსვლა იყო მოსალოდნელი?

ამიტომაც ასეთ ხერხს გამოძებნიდა.

ბოლოსდაბოლოს ისტორიული რომანი პირობითობა უფრო, ვიდრე მართლაც დამოუკიდებელი ჟანრი, და ამი-ტომაცაა, რომ კონსტანტინე გამსახურდია არც მიიჩნევდა მას ცალკე ჟანრად.

...ისე რომელიმე პოსტმოდერნისტი გრიგოლ აბაშიძის ადგილას თავს ვერ შეიკავებდა და ჯალალედინს ათქმევი-ნებდის: მარჯვენას ხუროთმოძღვრებს საქართვისანოშიც სჭრიან, როგორც თურმე თქვენი ერთი მწერალი იორმუ-ნებაო.



მხატვარი კარლო ფაჩულია

განცხადებაზე ყველას დაუფიქრებლად დაუდებდა რე-ზოლუციას ბუღალტერის სახელზე: გთხოვთ დააკმაყოფი-ლოთ თხოვნაო.

ოლონდ გვარ-სახელს ხან სრულად მოაწერდა ხოლმე, ხანაც ინიციალებს იქმარებდა: ნ.მ.

ვითომ რა მნიშვნელობა აქვს, არა?

სხვა შემთხვევაში არც არაფერი, მაგრამ ამჯერად ბუ-ღალტერს წინასწარ მოებაპარაკებოდა: ნ.მ. ინიციალებად კი არ აღიქვა, არამედ ასე გაშიფრე – ნუ მისცემო.

გახარებული მწერალი რეზოლუ-ციის ფრიალით შერბოდა ბუღალტე-რიაში, მაგრამ... იქ სინაულით აუწყებდნენ, რომ კაპიკი არ გააჩნდათ და, მიუხედავად რედაქტორის გან-კარგულებისა, ფულის გამონერა არ შეეძლოთ.

თურმე ინიციალები საბედისნე-როც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

მოგვანებით ნეტა ალექსი გომი-აშვილმა – ხელისუფლებისაგან ასევე დაფასებულმა პოეტმა, არაერთი თა-ნამდებობა რომ გამოიცვალა – ეს გადმოცემა იცოდა, თუ თავისით მი-აგნო ამავე ხერხს?

მისთვის გონებამახვილს – მწე-რალთა შემოტევებისაგან თავდას-ცავად.

ლიტფონდის თავმჯდომარეობისას არც მას აკლდა ფულის მთხოვნელი და არც მას გაუშვია არაგონ უარით. განცხადებაზე უყოფანოდ მოაწერდა ხოლმე ხელს, ოლონდ... ხან სრულად გვარ-სა-ხელს, ხანაც მარტოდენ ინიციალებს: ა.გ.

ვითომ ამჯერად რა მნიშვნელობა აქვს, როგორ დაა-დებდა რეზოლუციას?

მწერალსაც ასე ეგონა და ფურცლის ფრიალით შერბო-და ბუღალტერიაში... სადაც მწუხარედ ამცნობდნენ, კაპი-კიც არ გაგვაჩნია და, მიუხედავად თავმჯდომარის განკარ-გულებისა, თანხის გაცემა არ შეგვიძლიაო.

ბუღალტერმა იცოდა, როგორც უნდა გაეშიფრა ინიცი-ალები: ა.გ. – არა ალექსი გომიაშვილი, არამედ – არ გასცე.

ალბათ კარგია, ასეთი გვარ-სახელი რომ გაქვს და ინი-ციალებს მარჯვედ იყენებ.

თუმც ვისოვის როგორ...

ისე არ გაინტერესება, თქვენი ინიციალები რა დროს და როგორ შეიძლება გამოგადგეთ?!

ალბათ გსმენიათ ამბავი ურია ხეთელისა, ვისაც ძლევა- მოსილმა დავით მეფემ ჯერ ცოლი წაართვა, მერე კი ერთ- გული და დიდად ნამსახური კაცი საომრად გაუშვა, თანაც წე- რილი გაატანა თავისი სარდლის სახელზე: ურია იქ დააყენეთ, სადაც ყველაზე სასტიკი შერევნება იქნება და მტერს შეატო- ვეთ, რომ მოკლანო.

აი, რა მოხდა მერე:

„უთხრა მაცნები დავითის: როცა მოგვეძალნენ მტრები და ველ- ზე გამოვიდნენ ჩენენ წინააღმდეგ, შევუტიეთ და ქალაქის კარის- ჭეში ვდიეთ. მოსარებმა ისრები დაუშინეს გალავნიდნ შენ მორჩილი და ბევრი განწყდა მეფეს მორჩილთაგან. მოკვდა ხეთელი ურიაც, შენი მორჩილი. უთხრა დავითმა მაცნეს: ასე უთხარი იოაბს, ნუ განტხებს-თქო ეს ამბავი, რადგან ხან ერთს ჭამს მახვი- ლი, ხან მეორეს. მაგრამ შეუტიერ ქა- ლაქს და დაამხე-თქო. ასე გაამხენე- ვე იოაბი. გაიგო ურიას ცოლმა, რომ მოკვდა ურია, მისი ქმარი და დაი- ტირა თავისი პატრონი. როცა გავი- და გლოვის დლები, მოაგვანინა და- ვითმა ქალი თავის სახლში და შეირ- თო ცოლად და უშვა ვაჟი. არ მოე- წონა უფალს ეს საქმე, რაც დავით- მა ჩაიდინა“.

ისტორია არაფერს გვამცნობს იმის თაობაზე, თუ რას განიცდიდა ასე უნამუსოდ დაჩამარული კაცი. ეგბი ფიქრობდა, ოლონდ ბერსაბე დამიბრუნდეს და არაფერს ვერჩი, უნიდებურად მეყვარება; ეგებაც გამწარებულს ორგული ცოლის დანახვა აღარ სურდა. ვინ იტყვის, ვინ გამოიცნობს, რა ტრიალებდა უსამართლოდ განწირული მეომ- რის გულში.

ისტორია დუმს. ისტორია უფ- რო მეფეთა საგმირო საქმეებსა და ღვთაერთ განცდებს ეტანება. ილია ჭავჭავაძე ჩიოდა, ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მე- ფეთა სატორია არისონ; გამარტინი ფრინგი ფილოსოფიის ვოლტერი კი საფრანგეთის ისტორიის შესახებ ამბობდა: შეიძ- ლება იფიქრო, რომ ჩვენში, თოთხმეტი საუკუნის მანძილზე, მხოლოდ მეფები, მინისტრები და გენერლები არსებობდნენ.

რა გაწყობა, ისტორიკოსები თუ მნერლები ითვალისწინებენ ხალხის მასების განცყობილებას; ხოლო ხალხის მასებს, მეტნილად, სახელგანთქმულ ადამიანთა კოლოსალური ვენება- ნი უფრო აღელვებთ, ვიდრე უბრალო მოკვდავთა საფიქრალი და სატკივრო.

მაგრამ XIX საუკუნიდან სიტყვაკაზმული მწერლობა თავის გმირებს უკვე პოულობს საზოგადოების დაბალ ფენებშიც. საემარისია, სახელდახელოდ რომ დავასახელოთ ჰიუგო, დი- კენია, გოგოლი, დოსტოევსკი და ჩვენი ილიაც...

ამ ცხოველმყოფელმა სიომ წარსულის ფარდებიც შეარჩია.

აგერ, გასული საუკუნის შეა წლებში გრიგორ აპაშიძე ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ თვალსაჩინო და სასახლო ფიგუ- რას, ლამა-გიორგის რომ უნიდებდნენ, თავისი რომანის ფურ- ცლებზე გვერდით ამოუყენა მისგანვე დაჩაგრული კაცი – ქმა- რი ველისციხელი ქალისა.

ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სიმართლე, ორი სიყვარუ- ლი – მეფისა და გლეხისა; და ისიც საკითხავია, უფლის სამსჯავ-

## პიკლინგი და ურია ხეთელი

როზე რომელი სიყვარული გა- დასწონიდა – მეფისა, დახვე- ნილ-რუსთველური თუ მისი ყმისა, უბრალო და მიწიერი.

ცალმხრივი სურათი „ქართლის ცხოვრებიდან“, თავის- თავად მომხიბლავი და ამაღელვებელი, ახალი, ხასხასა ფე- რებით შეავსო XX საუკუნის ქართველმა მწერალმა და მოგვ- ცა საუცხოო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ინერებოდეს ჭეშმარიტი ცხოვრება ქვეყნისა, გუშინდელი იქნება თუ დღე- ვანდელი.

სუსტინი და უპოვარნი, დამცირებულნი და შეურაცხო- ფილი თამამად ცოცხლდებიან ადამიანის სულს მესაიდუმ- ლეთა მადლიან კალამქვეშ.

ფრიად ორიგინალურად აქდერდა ზემოთ აღნიშნული თემა დიდებული ინგლისელი პოეტის რედიარდ კიპლინგის (1865-

1936) მრავალფეროვან შემოქმე- დებაში, სადაც გვხვდება ლექსი, რომლის სათაურიც გახლავთ „ამ- ბავი ურიასი“ და ეპიგრაფად უძღვის ბიბლიური ციტატა: „ორი კაცი ცხოვრობდა ერთ ქალაქში, მდიდარი და ღარიბი“ (ესაა და- საწყისი იმ იგავისა, ცოდვილ და- ვით მეფეს ჭკუის დასარიგბლად რომ უაბბო ნათან წინასწარმეტყ- ველმა).

კიპლინგის ამ ლექსის შინაარ- სი ასეთია:

ჯეპ ბარეტი გაემგზავრა ქა- ლაქ კვეტას (ჩრდ. ინდოეთი) – ამ- გვარი იყო განკარგულება. მან დატოვა ცოლი სიმლაში თავისი ჯამაგირის სამ მეოთხედზე. ჯეპ ბარეტი მოკვდა კვეტაში მანამდე, ვიდრე მომდევნო თვის გასამრ- ჯელოს აიღებდა. კვეტას გამგ- ზავრებული ჯეპ ბარეტი ვერ მიმ- ხვდარიყო მიზეზს, თუ რატომ გა-

დაიყვანეს იგი საამური მთაგორანი ადგილიდან ავი კლიმა- ტით განთქმულ კვეტაში. სექტემბრის თვე იდგა და მალარიამ მოკლე ხანში მოუღო ბოლო კვეტაში დაბიავებულ ჯეპ ბა- რეტს. მისის ბარეტს ხუთ თვეზე მეტი არ უგლოვია თავისი ქმარი და ხუთმა თვემაც ხუთი წუთივითი ჩაიქროლა.

ჯეპ ბარეტის უნუგეშო თავგადასავალს მოსდევს ავტორის ფიქრი და განსჯა:

ჯეპ ბარეტის ძლები უშფოთველად განისვენებენ კვეტა- ში, მაგრამ არ გამიკვირდება, თუკი მეტყვიან, რომ მიცვალე- ბულის სულმა უკვე იცის მიზეზი მისი სამსახურებრივი გადა- ადგილებისა პირალაის ძირის მდებარე სიმლადან ავზნიან კვე- ტაში.

და როდესაც განკითხვის დღე დადგებაო, ამბობს კიბლინ- გი, კვეტას სასაფლაოზეც მკვდრეთით აღდგებიან იქაური მკვიდრი და მე არ ვინატრებდი იმ კაცის ადგილზე ყოფნას, რომელმაც გასცა განკარგულება, რომ ჯეპ ბარეტი სიმლადან კვეტაში გადასულიყო თავისი ადმინისტრაციული სამსახურის გასაცემლებლად.

ასე გამოიქმნა დადგილებული ინგლისელი პოეტი ბიბლიუ- რია ხეთელს და, მასთან ერთად, ყველა დაჩაგრულს ძლიერ- თავის ამ ქვეყნისა, ყველა დათრგულსა და დაბეჩავებულს, ვისი სულიც უსასრულო მოლოდინით ელოდება განკითხვის დღის დადგომას.



ბერსაბე

1942 წლის ზაფხულში ზა-  
გორსკის (მოსკოვის ოლქი)

რაიკომის მდივანმა პარტიუ-  
ლი აქტივის კრებაზე საერთაშორისო და საშინაო ვითარების  
მიმოხილვისას ახსენა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის  
უინსტონ ჩერჩილის მეგობრული ვიზიტი მოსკოვში და, უნე-  
ბურად, „ბატონი ჩერჩილის“ ნაცვლად ნამოსცდა „ამხანაგი  
ჩერჩილი“. დარბაზში თავდაჭრილმა სიცილმა გადაიქრო-  
ლა. მაგრამ რაიკომის მდივანი არ დაბრულა და თავის სი-  
მართლები ღრმად დარწმუნებულმა განაცხადა: „დიახ, დი-  
ახ... არაფერიც არ მეშლება. სულ მალე „ამხანაგი ჩერჩილი“  
ოფიციალურად დამკვიდრდება“.

ზაგორსკის რაიკომის მდივნის ოპტიმისტური პროგნო-  
ზი, რასაციონისტებია, არ გამართლებულა.

იმავე წლის ოქტომბერში ამს. ჩერჩილმა საგანგაშო ზა-  
რებს შემოჰკრა: „მთელი ჩემი ფიქრები მიპყრობილია, უნი-  
ნარეს ყოვლისა, ევროპისაკენ, როგორც თანამედროვე ერე-  
ბისა და ცივილიზაციის აკენისადმი. მოსალოდნელია საზა-  
რელი კატასტროფა, თუკი რუსული ბარბაროსობა გაანად-  
გურებს ევროპის ძველისძველ სახელმწიფოთა კულტურას  
და დამოუკიდებლობას“.

ინგლისელი იურისტი დ. პრიტი იმოწმებს ზემოხსენე-  
ბულ ტექსტს და შენიშნავს, რომ მისი კითხვისას ძალაუნე-  
ბურად გაგახსენდება შემდეგი სიტყვები: „თუკი ბოლშევი-  
კური მეთოდები ნარმატებას მიაღწევს, მაშინ ევროპული  
კულტურა შეიცვლება ყველაზე საშინელი ბარბაროსობით,  
რომელიც კი ოდესებ არსებულა“.

აღნიშნული ფრაზა ნარმოუთქვამს ადოლფ ჰიტლერს  
1936 წელს, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყრილობა-  
ზე ნიურნბერგში.

1945 წლის გაზაფხულზე, როდესაც დამთავრდა მეორე  
მსოფლიო ომი, აშშ პრეზიდენტის ემისარი ევროპაში ჯ. დე-  
ვისი გაოცებით ამცნობდა პრეზიდენტ ტრუმენს: ჩერჩილი  
ისეთი მრისახანებით ლაპარაკობს ევროპაში კომუნიზმის  
გავრცელების საფრთხეზე, რომ გავიფიქრე, მთელი მსოფ-  
ლიოს გასაგონად ხომ არ აპირებს იმის გამოცხადებას – ჩვენ  
შეცდომა დაცვუშვით, როდესაც გერმანიას შევებრძოლეთო,  
ვინაიდან იგი ახლა ქადაგებს იმ დოქტრინას, რომელსაც ბო-  
ლო ითხი წლის განმავლობაში ქადაგბრძნენ ჰიტლერი და  
გებელსი საიმისოდ, რათა მოკავშირეთა ერთიანობა და ერლ-  
ვიათ.

როგორც აღნიშნავენ, ჩერჩილს უსაზღვრო სიხარული  
და ეფუფლა, როცა 1945 წლის ივლისში, „დიდი სამეულის“  
კონფერენციაზე პოტსდამში, შეიტყო, რომ ამერიკული ატო-

## 106. ჩერჩილი

მური ბომბის ექსპლიდენტუ-  
ლი აფეთქება წარმატებით ჩა-  
ტარდა.

ჩერჩილმა გული გადაუშალა ფელდმარშალ ალან ბრუკს:  
„ახლა ჩვენს ხელთაა ახალი იარაღი, რომელიც აღადგენს  
ძალთა თანაფარდობას რუსეთთან“.

ჩერჩილი ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირს ასე გამო-  
უცხადებენ: „თუკი თქვენ დაშინებით მოითხოვთ, რომ გავა-  
კეთოთ ესა და ეს, კეთილ და პატიოსანი, უსათუოდ გავაკე-  
თებთ. მერე კი ვიკითხავთ: ეს რუსები ნეტავი სად გაქრნენ?“

ალან ბრუკი შენიშნავს, რომ ჩერჩილი უკვე ხედავდა, თუ  
როგორ მოსპონდნენ საბჭოეთის სამრეწველო ცენტრებსა  
და ყველა დად ქალაქს.

რაც ტკბილად ეზმანებოდა ჩერჩილს, იმავე წლის ნოემბერ-  
ში ამერიკელებმა ატომური თავდასხმის გეგმად აქციეს. ბირთ-  
ვული დარტყმის ობიექტებად ჩამოთვლილი იყო: მოსკოვი, ლე-  
ნინგრადი გორკი, სვერდლოვსკი, ბაქო და, თქვენ ნარმოიდგო-  
ნეთ, თბილისიც! (თბილისი, მზის და ვარდების მხარე...).

მაგრამ ამერიკელებს ატომური იარაღის ამხელა მარაგი  
იმხანდა არ გააჩნდათ, ხოლო შემდგომში მათი ატომური მო-  
ნაბლიობა საპნის ბუტგივით გასკედა.

მანამდე კი, სახელდობრ 1945 წლის 9 მაისს, როდესაც  
მთელი მსოფლიო ზეიმობდა გამარჯვებას ნაცისტურ გერ-  
მანიაზე, ბრიტანეთის პრემიერის მეუღლემ, ქალატონმა  
კლემენტინამ მოსკოვის რადიოთი წიკითხა ჩერჩილის მი-  
მართვა საბჭოთა ხალხისადმი: „გულითადად გილოცავთ იმ  
ბრწინვალე გამარჯვებებს, რომლებიც თქვენ მოიხვეჭთ...  
აქ, ჩვენს სამშობლოში, დაეს ძალზე ხშირად ვფიქრობთ  
თქვენზე და მთელი გულით გისურვებთ ბედნიერებასა და  
კეთილდღეობას. ჩვენ გვნადია, რომ ამდენი მსხვერპლისა  
და ტანჯენის შემდეგ, რაც ერთად გამოვიარეთ, ახლა ლოია-  
ლური მეგობრობითა და ურთიერთსიმპათიებით გავაგრძე-  
ლოთ გზა ძლევამოსილი მშვიდობის კაშაშა მზის ქვეშ“.

ხომ ნათევამია, სიცრუე და ორპირობაო, მაგრამ ამას  
არავითარი ვნება არ მიუყენებია ჩერჩილის ფიზიკური თუ  
სულიერი ჯანმრთელობისათვის. ოთხმოცდათ წელს ხომ  
გადაბიჯა, სიკვდილამდე სიგარასაც გემრიელად აბოლებ-  
და და კონიაკსაც მადიანად წრუპავდა.

საბჭოთა პრესა გულმოდგინედ აცხობდა ჩერჩილის კა-  
რიკატურებს, ხოლო თბილისში გავრცელდა ქალაქური  
ფოლკლორის უკადრისი ნიმუში: „სულ ჩერჩილის ბრალი  
არი, ქვეყნად ავი რაცა ხდება, მე იმ მინას ვენაცვალე, ჩერჩი-  
ლი რომ ჩაძალდება“.

ესეც თქვენი ამს. ჩერჩილი!

## ეროვნია

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 22  
აპრილს, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდმა „ლი-  
ბო“ გამოუცემელი საბავშვო წიგნების გამოფენა მოაწყო. გამო-  
ფენა ეხმანებოდა 23 აპრილს – წიგნისა და საავტორო უფლება-  
თა დაცვის მსოფლიო დღეს.

გამოფენაზე ნარმოდგენილი იყო 70-ზე მეტი ქართველი ავ-  
ტორის 150 -მდე გამოუცემელი საბავშვო წიგნი. აქვე იყო ნაჩვენე-  
ბი მხატვარ-ილუსტრატორთა ნამუშევრები სლაიდების სახით.  
როგორც სალამოს ორგანიზატორმა და ფონდის ხელმძღვანელმა  
ირმა მალაციოძემ აღნიშნა, ეს ხელს შეუწყობს ავტორებს, რათა თა-  
ვიათი წიგნებისთვის შეარჩიონ სასურველი ილუსტრაცია. ქალ-

ბატონი ირმას თქმით, გამოფენის მიზანია ავტორების, ილუსტრა-  
ტორთა და გამომცემლების საქმიანი ურთიერთობის გაღრმავება,  
რაც ხელს შეუწყობს ბევრი ახალი საბავშვო წიგნის გამოცემას და  
საბავშვო ლიტერატურის განვითარებას საქართველოში.

საბავშვო ლიტერატურის ალმანახის რედაქტორმა, პატმა  
მარიამ ნიკლაურმა გულისტკივილით განაცხადა, რომ ძალიან  
ბევრი კარგი ნაწარმოება გამოუქვენებლად არის დარჩენილი.

მონველუმა სტუმრებმა და გამოფენის ორგანიზატორებმა  
სურვილი გამოითქვეს, რომ ამ დღემ ფუჭად არ ჩაიაროს და თუნ-  
დაც ერთი წიგნი გამოიცეს. ასევე გამოთქვეს იმედი, რომ ქართუ-  
ლი საბავშვო ლიტერატურის საქმე წინ ნავა.